გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა

ხელნაწერის უფლებით

გია დეკანოზიშვილი

დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში

სპეციალობა: სისხლის სამართალი;
სისხლის სამართლის პროცესი;
კრიმინალისტიკა;
კრიმინოლოგია;
სასჯელაღსრულებითი სამართალი.

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
აპოლონ ფალიაშვილი

თბილისი
2009

შინაარსი

შესავალი..... 5

თავი I.

დაკითხვის ცნება, ჩვენების ფორმირება და დაკითხვის მომზადება

§ 1. დაკითხვის ცნება 10

1. დაკითხვის არსი და ზოგადი თავისებურებები 10
2. ინდივიდუალური წარმოდგენები დაკითხვაზე 18
3. დაკითხვა, როგორც შესწავლის ობიექტი 21
4. დაკითხვის პროცესუალური თავისებურებები და ტაქტიკური ხერხები 22

§ 2. ჩვენების ფორმირების და მიღების პროცესი 30

1. პიროვნების მიერ ფაქტებისა და გარემოებათა აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა 30
   - *1.1. აღქმა* 31
   - *1.2. დამახსოვრება* 43
   - *1.3. გადმოცემა (რეპროდუქცია)* 47
2. კომუნიკაცია 48
3. არავერბალური ინფორმაციები 51
   - *3.1. არავერბალური გზავნილები - მესიჯები* 51
   - *3.2. ჟესტ მიმიკის ენა (ნეიტრალური, თავდაცვითი და აგრესიული ადამიანის ტიპის განსაზღვრება)*..... 56
   - *3.3. ჟესტ მიმიკის ენის დეკოდირება*..... 59
   - *3.4. ჟესტ მიმიკის ენა კულტურაში*..... 61
4. ფსიქოლოგთა დაკვირვებები 63
   - *4.1. ნეირო ლინგვისტური პროგრამირება* 63
   - *4.2 ხელოვნურობა* 66
   - *4.3. დაკითხვისას მონაყოლი ამბის დამახინჯება* 67
   - *4.4. თავისუფალი თხრობისა და მოსმენის აუცილებლობა* 68
   - *4.5. დესტრუქციის აცილება* 69
   - *4.6. ემოციების, იდეების, და ფაქტების გაგება* 70

§ 3. დაკითხვის მომზადების ზოგადი საკითხები 71

თავი II.

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის მეთოდები და თავისებურებანი

შესავალი 78

§ 1. მოწმის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი 82

1. მოწმე, როგორც დაკითხვის სუბიექტი 82
2. წარმოდგენები და შეცდომები მოწმის ჩვენებებში 84
3. წარმატებული დაკითხვა არაკონფლიქტურ სიტუაციებში 90
4. დაკითხვისას შემთხვევის ადგილისა და დროის ფაქტორები 92
5. ჩვენების გადამოწმება (პერეფრაზირება) 93
6. გზავნილების ფიქსაცია 94
7. კოგნიტური ინტერვიუ ანუ შემეცნებითი დაკითხვა 95
8. არაკონფლიქტურ სიტუაციაში დაკითხვის თავისებურება 103

§ 2. დაზარალებულის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი 105

1. არაკონფლიქტური და კონფლიქტური დაზარალებულები 105
2. სიცრუის აღმოჩენა დაკითხვის დროს 110
3. არავერბალური კომუნიკაცია სიცრუის დროს და მისი წარმოშობის საფუძვლები 113

თავი III.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის მეთოდები და თავისებურებანი

§ 1. მონაცემები მსოფლიო პრაქტიკიდან (აშშ) 118

1. „მირანდას“ გაფრთხილება 118
2. „მინნიკის“ გადაწყვეტილება 121

§ 2. ეჭვმიტანილის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი 125

1. ეჭვმიტანილის დაკითხვის თავისებურებანი კონფლიქტურ სიტუაციაში 128
2. წარმატებული დაკითხვის ხერხები 130
3. დაკითხვის მომზადება, ადგილი და გარემო 131

4. საქმის მასალებისა და დასაკითხი პიროვნების ცოდნა 132
5. განსხვავება დაკითხვისა და გამოკითხვას შორის 133
6. დაკითხვის გეგმის შედგენა 135
7. დაკითხვისას კარგი ურთიერთობის დამყარება
საკმარისი დროის დათმობა 137
8. ჩვენების ანალიზი 139
9. გამოსადეგი მეტყველების ნაწილები 141
10. შინაგანი ინფორმაციის გათვალისწინება 148
11. დამაჯერებლობის (დარწმუნების) აუცილებლობის
გათვალისწინება 149
12. ჩვენების ბალანსი და შემოწმება 150
13. ეჭვმიტანილის მიერ ჩადენილი ქმედების აღიარება 152
14. ეჭვმიტანილის პარანოია 153

§ 3. ეჭვმიტანილის აღიარების ფსიქოლოგიური ფაქტორები 155
1. ეჭვმიტანილებისგან აღიარების მიღებისათვის
გასათვალისწინებელი ქმედებები 155
2. მაგიური (საჭირო) სიტყვები აღიარების მიღებისათვის 158
3. გამართლების მექანიზმის ეფექტურად გამოყენება 164
4. აღიარების მიღების თავისებურება (სიცრუე,
დაპირებები ან მუქარა) 166

**§ 4. ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალური და
ტაქტიკური თავისებურებანი** 178
1. ბრალდებული, როგორც დაკითხვის
პროცესუალური სუბიექტი 178
2. ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალური და
ტაქტიკური ხერხები 182

თავი IV.

არასრულწლოვანთა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული) დაკითხვის მეთოდები და თავისებურებანი ძალადობის შემთხვევებში

შესავალი 189

**§ 1. არასრულწლოვან პირთა დაცვის ღონისძიებები
ძალადობის შემთხვევაში** 191
1. არასრულწლოვანთა უფლებები 191
2. არასრულწლოვნებზე ძალადობის კატეგორიები 192

§ 2. არასრულწლოვანთა საქმეთა სამართალწარმოების
თავისებურებები 193
1. ძალადობის ნიშნების გამოვლინება 195
2. ფიზიკური ძალადობის ნიშნები 195
3. არასრულწლოვანის უყურადღებოდ დატოვება 202
4. კვების ნაკლებობა და არასრულწლოვანის
განვითარებისათვის ხელის შეშლა 202
5. სქესობრივი ძალადობის ფაქტების დადგენა 203
6. ემოციური ზეწოლის ფაქტები 205

§ 3. არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან,
ეჭვმიტანილთან და ბრალდებულთან ურთიერთობა 206
1. არასრულწლოვნებთან გასაუბრების მიზანი 206
2. კომუნიკაცია სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვანთან 206
3. არასრულწლოვანის გაცნობა და ურთიერთობის დამყარება 216
4. არასრულწლოვანის გრძნობების გათვალისწინება 222
5. დაბრკოლებების გადალახვა კომუნიკაციის დროს 227
6. არასრულწლოვანის სირთულეები უფროსებთან
ურთიერთობის დამყარებისას 229
7. არასრულწლოვანი, როგორც ეჭვმიტანილი და მოწმე 233

თავი V.

დაკითხვის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებები

§1. დაკითხვისას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების
პროცესუალური და ტაქტიკური ხერხები..... 237

§2. დაკითხვის არატრადიციული მეთოდები 245
1. სიცრუის დეტექტორი (პოლიგრაფი) და
მისი გამოყენება დაკითხვისას 245
2. ჰიპნოზის გამოყენება დაკითხვისას 248
3. ბიორიტმოლოგიის გამოყენება დაკითხვისას 249
4. სუნისა და მუსიკალური ფონის გამოყენება დაკითხვისას 250
5. ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება დაკითხვისას 251

დასკვნა 254

გამოყენებული ლიტერატურა 260

დანართი..... 273

შესავალი

მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის ჩვენება მტკიცებულების რთული სახეა, რომელიც ზოგჯერ ფორმირდება ისეთი ადამიანების განგებაში, რომლებიც ვერ ათვითცნობიერებენ მომხდარს, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებით საჭიროა ობიექტური რეალობის დადგენისათვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სისხლის სამართლის საქმეების ბედი დამოკიდებულია ამ ჩვენებებზე, რადგან უმეტეს წილად ისინი წარმოადგენენ მტკიცებულების დამოუკიდებელ სახეს. აქედან გამომდინარე მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის ჩვენების სისრულის და მართებულობის დადგენა წარმოადგენს გამოძიებისათვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნით, ჩვენების სისრულის დადგენა გულისხმობს ყველა არსებული მტკიცებულების ცალ-ცალკე გამოკვლევას, მათი სხვა მტკიცებულებებით გადამოწმებას ანუ ჩვენების სისრულე წარმოადგენს გარკვეული ტაქტიკური, ფსიქოლოგიური, პროცესუალური თუ ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობით მათ ფორმირებას, რის მიხედვითაც გამოგვაქვს დასკვნა რაიმე ფაქტების, გარემოებების და მოვლენების გარშემო. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენების შინაგანი მხარის სისრულე გულისხმობს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენებაში არსებული გონებრივი დასკვნების და ფიზიკური შესაძლებლობების დეტალურ კვლევას.

ამავე დროს დადგენილია, რომ გარკვეულ შემთხვევებში გამომძიებლები ცდილობენ გვერდი აუარონ ამ პრობლემას, რადგან არ იციან, როგორი ინტერპრეტაცია გაუკეთონ ამგვარ მოვლენებს.

სირთულეს ჩვენების დიაგნოსტირებაში და შეფასებაში, რომლებიც შეიცავენ გაუთვითცნობიერებელ შეცდომებს, წარმოადგენს მათი ფსიქოლოგიური არსი. უნებური შეცდომები ჩვენებებში არის ადამიანის ფსიქიკის გათვითცნობიერებულ და გაუთვითცნობიერებელ კომპონენტებს შორის გაუაზრებელი და არაკონტროლირებადი ურთიერთქმედების შედეგი, რომელიც განისაზღვრება

პიროვნების ინდივიდუალურობით: განწყობით, მიზანმიმართულებით, ტემპერამენტით, კულტურული, ეთნიკური, ეროვნული თავისებურებებით.

დაკითხვის არსებული ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხები, რომლებიც შემუშავებულია ჯერ კიდევ საბჭოური მმართველობისას, 1960-70 წლების პერიოდში, საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც გამოწვეულია საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით და მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით.

ფსიქოლოგიურ-ტაქტიკური ხერხების გაუმჯობესებაში ვგულისხმობთ, პროცესის მონაწილეების ცნობიერებაში და ქვეცნობიერებაში გამომძიებლის ღრმად ჩაწვდომას არა მარტო ლოგიკური ურთიერთქმედების, არამედ ემოციურ ქცევის დონეზეც.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენების მიღების და ანალიზის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხების გაუმჯობესება ითვალისწინებს და ითხოვს გამომძიებლის პროფესიული დონის ამაღლებას. უმეტესი ყურადღება ამ კონტექსტში დათმობილი აქვს გამომძიებლის პროფესიული ცოდნის დონის ისეთ საკითხებს, როგორიცაა დაკვირვება - დაკითხვის პერიოდში დასაკითხის რეაქციების შესწავლას; კომუნიკაბელურობა - როგორც ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების საშუალება; მოქნილობა - ანუ ტაქტიკურ არსენალში საკმაო რაოდენობის ტაქტიკური ხერხების ქონა, კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლისათვის და საგამოძიებო სიტუაციის დიაგნოსტირებისათვის.

წინამდებარე დისერტაციის კვლევის ობიექტია მტკიცებულების კატეგორიების შემადგენლობიდან – დაკითხვის შედეგად მიღებული ჩვენება. ჩვენების მიღების, შემოწმების და შეფასების ფსიქო-კრიმინალისტიკური კომპლექსი.

კვლევის მიზანია სრული და ობიექტური ჩვენების მიღებისათვის, ტაქტიკური ხერხების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს საკითხთან საერთომეცნიერული სისტემური, ასევე ლოგიკური, სტატისტიკური, საერთო და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მიდგომა.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. თანამედროვე კრიმინალისტურ სწავლებებს კრიმინალისტები უკავშირებენ კრიმინალისტიკის ტაქტიკის

განვითარებას, გამოძიების ფსიქოლოგიური საფუძვლების გაუმჯობესებას გარკვეული მიმართულებით, გამომძიებლის სხვადასხვა სახის ქცევების შემუშავებას და ასევე ახალი, უფრო ეფექტური ტაქტიკური ხერხების შემუშავებას. ამ მიმართულებაზე დაყრდნობით, სისხლისამართალწარმოების პრაქტიკაში, შემოვიტანეთ სიახლე, მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკაში ფსიქოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიის, მედიცინის, ნეირო-ლინგვისტიური პროგრამირების მიღწევების საქართველოს სისხლისამართალწარმოების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით. კერძოდ:

1. შესწავლილია დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენებისას პროცესუალური ნორმების დაცვის მექანიზმი.

2. ჩამოყალიბებულია დასაკითხის მიერ ინფორმაციის გადაცემის (ჩვენების მიცემისას) დომინირებული - კინესთეტიკური, აუდიტორიული და ვიზუალური ფორმების დადგენის მეთოდიკა.

3. სისტემატიზირებულია ჩვენების მიღებისას დომინირებული ფორმების შესაბამისი დაკითხვის ტაქტიკური ხერხები.

4. შემუშავებულია შემეცნებითი დაკითხვის ანუ ე.წ. კოგნიტური ინტერვიუს გამოყენების საკითხები, მოწმისაგან ან დაზარალებულისაგან სრული და დაზუსტებული ინფორმაციის მიღებისათვის, რაც ითვალისწინებს მოვლენების კონტექსტში აღდგენის, სხვადასხვა თანმიმდევრობით გახსენების, პერსპექტივაში დანახვის და სპეციფიკური გახსენების ტაქტიკური ხერხების გამოყენებას.

5. პრაქტიკაში, ხშირად, სათანადოდ არ არის განსაზღვრული დაზარალებულის როლი, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს გამოძიების ეფექტურობაზე, ამიტომ შესწავლილია ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიცაა კონფლიქტური და არაკონფლიქტური დაზარალებულების დაკითხვა და შემუშავებულია რეკომენდაციები ამ ტიპის დაზარალებულების დასადგენად, დაკითხვის შესაბამისი ტაქტიკური ხერხის გამოყენებისათვის.

6. პრაქტიკულად არის შესწავლილი ,,ვიქტიმურობის ფენომენი'', როგორც ადამიანის გაზრდილი შესაძლებლობა, მისი სულიერი და ფიზიკური ფაქტორების, სოციალური

როლის ან სტატუსის შედეგად, განსაზღვრული გარემოებების გამო აღმოჩდნენ დანაშაულის მსხვერპლი.

7. პირველად საქართველოში შესწავლილია და პრაქტიკაშია დანერგილი ე.წ. **RPM**-ს (racionalizacion, projection, minimizacion) მეთოდი, რომლის განხორციელების პროცესს ,,გამართლების მექანიზმი'' ვუწოდეთ, რაც წარმოადგენს ეჭვმიტანილების დაკითხვისას დანაშაულის რაციონალიზაციის, გადაბრალების და შემცირების საუკეთესო ტაქტიკურ ხერხს.

8. შესწავლილია არასრულწლოვანთა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული) დაკითხვის მეთოდები და თავისებურებანი ძალადობის შემთხვევებში, ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები აღნიშნული საკითხზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნული სიახლე წარმატებით იქნა გამოყენებული და დღესაც ხდება მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პრაქტიკაში.

კვლევის სამართლებლივ ბაზად გვევლინება საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მდგომარეობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი და ასევე სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, რომლებიც კავშირშია სადისერტაციო თემის საკითხებთან, აგრეთვე კრიმინალისტიკური ტაქტიკის პრობლემებთან.

გამოყენებულ იქნა კვლევის კერძო მეთოდები, საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი, ანკეტირება, საექსპერტო გამოკითხვა.

თეორიულ ბაზას შეადგენს მეცნიერული კვლევები: კრიმინალისტიკის, კრიმინოლოგიის, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, სოციოლოგიის, ბიოლოგიის, ნევროლოგიის, ფილოსოფიის, ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგიისა და ასევე ნეირო-ლინგვისტიკის საკითხებში.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მოწმიდან, დაზარალებულიდან, ეჭვმიტანილიდან და ბრალდებულიდან ჩვენების მიღების, შემოწმების და შეფასების ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხების მიმართ კომპლექსურ მიდგომაში, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამეცნიერო კრიმინალისტიკური და სასამართლო ფსიქოლოგიური კვლევებისას. მიგვაჩნია, რომ შემუშავებული ხერხები

ხელს შეუწყობს კრიმინალისტიკური ტაქტიკის და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის გაუმჯობესებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში, დაკითხვის პროცესში მონაწილე პირების შესწავლის ფარგლებში, მისი გამოყენების შესაძლებლობით. ნეირო-ლინგვისტიკური პროგრამირების სფეროში, კომუნიკაციის დამყარების შესწავლით. ბოლო მიღწევების გამოყენება, დაეხმარება ოპერატიულ თანამშრომლებს, გამომძიებლებს და მოსამართლეებს მოწმეებთან, დაზარალებულებთან, ეჭვმიტანილებთან და ბრალდებულებთან, ტაქტიკურად სწორი და მოფიქრებული კონტაქტის დამყარებაში, რათა სრულად მიაღწიონ ჭეშმარიტების დადგენას დანაშაულის გამოძიების პროცესში.

თავი I.

დაკითხვის ცნება, ჩვენების ფორმირება და დაკითხვის მომზადება

§ 1. დაკითხვის ცნება

1. დაკითხვის არსი და ზოგადი თავისებურებები. დაკითხვა - ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაა, იგი მართლმსაჯულებაში მტკიცებულების მიღების და შემოწმების ერთ-ერთი პირველი პროცესუალური მოქმედებაა. შესაძლებელია გამოვყოთ დაკითხვის განვითარების სამი ეტაპი, რომელიც მიესადაგება სისხლის სამართლის პროცესის ისტორიულ განვითარებას.

პირველ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს დაკითხვის ფორმირების აუცილებლობა, როგორც სინამდვილის დადგენის მეთოდი, რომელიც დაკავშირებულია დაკითხვის წარმართვის წესის და ტაქტიკის რაიმე ხსენების არქონასთან. ისტორიულ წყაროებში ნახსენებია მოწმეები, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათი დაკითხვის წესებზე.

ჩვ. წ. აღ-მდე „მანუ“-ს ძველ ინდური კანონების ნაკრებში (ძვ. წ. აღ. V საუკუნე) ნათქვამია „მოწმეები უნდა აირჩნენ ისეთი ადამიანებიდან, რომლებიც იმსახურებენ ნდობას, იციან თავიანთი მოვალეობები, არ არიან ხარბები, დანარჩენი სხვანი არ დაიშვებიან.“ პიროვნებების რიცხვი, რომლებიც არ დაიშვებიან მოწმეებად საკმაოდ დიდია. „პირები, რომლებიც არიან ფულის ინტერესის ზემოქმედების ქვეშ, ავადმყოფები, მეგობრები, მსახურები, მტრები, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილები და სხვა“. აქვე მოსამართლეთა ყურადღება გამახვილებულია ცრუ მოწმეებზე; „ისინი, რომლებიც მოყოლისას ხტებიან ერთი ადგილიდან მეორეზე, ენით ილოკავენ პირის კუთხეებს, რომელთა სახე იფარება ოფლით და იცვლიან ფერს, რომლებიც პასუხობენ ნელა, აკანკალებული და წყვეტილი ხმით, აცმაცუნებენ ტუჩებს, არ პასუხობენ მკვეთრი ხმით და ღია შემოხედვით, რომლებიც თვითნებურად გამოავლენენ სუნთქვის, ტანის და ხმის ცვლილებას, ესენი ეჭვმიტანილნი არიან ცრუმოწმეობაზე“. [57 - გვ. 203.]

ძველ საბერძნეთში საქმეების გარჩევა და დაკითხვა მიმდინარეობდა ღამღამობით, იმ მიზნით, რათა გამოერიცხათ მოწმეების შესაძლებელი ზემოქმედება

მოსამართლეებზე, რომლებიც ვერ ხედავდნენ მოწმეების სახეს და ესმოდათ მხოლოდ ხმა.

მეორე ეტაპზე დაკითხვა ხასიათდება მისი წარმართვის გარკვეული რეგლამენტირებით. რომში კანონის მიხედვით საქმეზე მტკიცებულებად ითვლებოდა მოწმეთა ჩვენება, დანაშაულის აღიარება და ფიცი, ჩვენების მიღების საშუალებად ითვლებოდა წამება. მოწმეთა ჩვენებები აღინუსხებოდა ოქმებში და მათი რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო ორზე ნაკლები. მოწმეები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ თავისუფალი მოქალაქეები, მოწმეებად არ დაიშვებოდნენ არასრულწლოვნები და ეჭვმიტანილის ახლო ნათესავები. მონების ჩვენებები მიიღებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოპოვებული იყო წამების შედეგად.

იულიუს კეისარის (ცეზარის) დროს წამებას იყენებდნენ იმ თავისუფალი მოქალაქეების მიმართაც, რომლებსაც ჩადენილი ჰქონდათ სახელმწიფო დანაშაული. შემდგომში სასამართლოზე შეჯიბრებითობის პროცესი გარიყა სასამართლოს ინკვიზიციურმა ფორმამ, რომლის დროსაც წამება იქცა ეჭვმიტანილისა და მოწმისაგან ჩვენების მიღების ძირითად საშუალებად.

დამკითხველების ძალისხმევა მიმართული იყო ეჭვმიტანილისაგან აღიარების მიღებისკენ, რომელიც ითვლებოდა უტყუარ მტკიცებულებად და გამორიცხავდა შემდგომში მტკიცებულებათა წარდგენის აუცილებლობას. დაკითხვის ხელოვნება დამყარებული იყო ცხოვრებისეულ ფსიქოლოგიაზე: სახის გარკვეულ გამომეტყველებაზე, ჟესტებზე და გრძნობების გამოხატვაზე, რომლებიც აიწერებოდა და ეძლეოდა მტკიცებულებითი მნიშვნელობა. შემდგომ ჩამოყალიბდა დაკითხვის სისტემა, რომლის არსი მდგომარეობდა დამკითხველების მიერ არა ნათელი, ორაზროვანი შეკითხვების ფორმირებაში ანდა ისეთი კითხვებისა, რომლის პასუხი იმალებოდა დასაკითხისაგან. დასაკითხს ბრალად ედებოდა პასუხის არალოგიკურობა, რომლის აცილებაც თითქმის შეუძლებელი იყო, ამავე დროს მისი შინაგანი მდგომარეობის გათვალისწინება, მისი წამების მიზეზი ხდებოდა.

მრავალი ასწლეულის განმავლობაში სჯეროდათ, რომ წამებით მიღებული ჩვენება შეესაბამებოდა სიმართლეს და არ სურდათ გაეგოთ, რომ აუტანელ ტკივილს შეეძლო ჩვენება ადამიანს თავის წინააღმდეგაც მიეცა, რათა შეწყვეტილიყო წამების პროცესი. [57. გვ. 203.]

მესამე ეტაპზე ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი დამადანაშაულებელი პროცესი იცვლება სამართლის სამძებრო წესით, რის შედეგადაც აიკრძალა მტკიცებულების მისაღებად წამება: პრუსიაში – 1756 წელს, ავსტრიაში – 1776 წელს, ბავარიაში 1808 წელს.

XVII ს-მდე ინგლისის სასამართლოს (Star Chamber) უფლება ჰქონდა აღიარების მისაღებად ეჭვმიტანილების წამებისა, ისინი იძლეოდნენ ფიცს, რომ უპასუხებდნენ ყველა კითხვას, ამასთან ისეთსაც, რომლებიც მათ დამნაშავეობას გამოააშკარავებდა. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ არ უნდა აიძულოს პიროვნება ჩადენილი დანაშაულის წამებით აღიარებაში, გაჩნდა ინგლისში. იმ დროისათვის ხალხმა დაიწყო გამოსვლა 1487 წელს ჩამოყალიბებული ბრიტანული სასამართლოს წინააღმდეგ. 1641 წელს ამ სასამართლოს გაუქმების შემდეგ, ინგლისის კანონი ითვალისწინებდა პრივილეგირებულ უფლებას თვით აღიარების წინააღმდეგ. [48. 109 გვ.]

რუსეთში ჩვენების მიღებისათვის წამება აიკრძალა 1801 წელს ალექსანდრე I – ის პერიოდში. 1864 წელს სასამართლო რეფორმის შედეგად გაუქმებულ იქნა ფორმალური მტკიცებულებების თეორია და სისტემაში იქნა მოყვანილი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, დაკითხვაც.

XIX საუკუნის ბოლოს, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლების ცდების და დაკვირვებების შედეგად, დაიკარგა მოწმეების ჩვენებებისადმი ნდობა, ხოლო იურიდიულ მეცნიერებაში გაჩნდა თეორია, რომელიც უარყოფდა მოწმის მიერ მიცემული ჩვენებების მტკიცებულებით ხასიათს.

გერმანელი ფსიქოლოგები ვ. შტერნი და ჰანს გროსი თავის ცდებში ახდენდნენ შემთხვევების ინსცენირებას მოწმეების თანდასწრებით, შემდეგ კი აწყობდნენ მათ დაკითხვას, რათა აღმოეჩინათ მათ ჩვენებებში აღქმის სისრულე და შეცდომები. შემდგომში ფსიქოლოგებისა და იურისტების მიერ ასეთივე ცდები ტარდებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

სასამართლო ფსიქოლოგებისა და კრიმინალისტების მიერ კვლევების ჩატარების შედეგად მიღებული დასკვნები იყო როგორც მართებული, ასევე - მცდარიც. ასე მაგალითად, ჰ. გროსი ამტკიცებდა, რომ ყველაზე კარგი მოწმეები არიან 7-9 წლის

ბავშვები; ვ. შტერნი ამტკიცებდა, რომ ქალების ჩვენებები უფრო არადამაჯერებელია, ვიდრე მამაკაცებისა და. [57. 205გვ.]

დაკითხვა - არის პირისგან ჩვენების მიღების პროცესი, რომელსაც გამოსაძიებელი საქმისათვის საჭირო ინფორმაცია გააჩნია. ანუ დაკითხვა, როგორც საგამოძიებო (სასამართლო) მოქმედება, გამოიხატება იმაში, რომ გამომძიებელმა (სასამართლომ) დასაკითხი პირისგან მიიღოს ჩვენება იმ ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელი საქმისათვის და უშუალოდ კავშირშია მასთან. იგი ყველაზე გავრცელებული და რთული საგამოძიებო მოქმედებაა, მაგრამ საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ გამომძიებელს ხშირად უპირისპირდება პირი, რომელსაც არ სურს სიმართლის თქმა ან საერთოდ ჩვენების მიცემა, არამედ ადამიანი, რომელსაც აქვს საქმის გარშემო მისთვის ცნობილი, ჭეშმარიტად სრული ინფორმაციის გადმოცემის სურვილი, მაგრამ ჩვენების მიცემისას იბნევა და ცდება. აუცილებლობას წარმოადგენს მოგონილის და ცდომილებების თავის დროული აღმოჩენა, რათა გათვალისწინებული იქნას შემდგომში ჩვენებების შეფასებისას.

გამომძიებლისათვის ჩვენება წარმოადგენს მტკიცებულებათა ინფორმაციულ წყაროს, მასში არსებული ფაქტობრივი მონაცემები კი მტკიცებულებას. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის ჩვენება არის მის წინააღმდეგ წარმოქმნილი ეჭვისა ან წარდგენილი ბრალდებისაგან თავდაცვის საშუალება. ამის გათვალისწინება აუცილებლობას წარმოადგენს დაკითხვის, როგორც საგამოძიებო მოქმედების შეფასებისას.

დაკითხვა წარმოადგენს გამოსაძიებელი შემთხვევის ანდა მასთან დაკავშირებული გარემოებებისა და პირების შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცესს. დასაკითხი ამ ინფორმაციას ღებულობს ამა თუ იმ მოვლენის ანდა საგნების აღქმის მომენტში, იმახსოვრებს, შემდეგ მეხსიერებაში აღიდგენს და დაკითხვისას გადასცემს გამომძიებელს. ჩვენების ფორმირების პროცესი ატარებს ფსიქოლოგიურ ხასიათს, მოვლენის აღქმიდან ინფორმაციის გადაცემამდე, რის განმავლობაშიც ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედებს მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი, რომელიც შემდგომში ჩვენების მართებულობაზე და სისრულეზე სხვადასხვაგვარად აისახება. გამოსაძიებელი მოვლენის ან მისი ელემენტების აღქმის ხელისშემშლელ ობიექტურ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს ცუდი ამინდი, მოვლენის ადგილიდან სიშორე, მოვლენის ან მასზე დაკვირვების მცირე დრო და ა.შ. ზუსტად ასევე მოქმედებს

ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა აღგზნებულობა, შიში, გადაღლილობა, ყურადღების დაძაბვა თუ გაფანტვა, მოვლენისადმი ინტერესი ან უინტერესობა და ა.შ.

დაკითხვა საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური პროცესია. ადამიანის მოქმედება ანუ ქცევა მხოლოდ ფიზიკურ პროცესს არ წარმოადგენს. ქცევა არის იარაღი, საშუალება, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმი გარემოს ერგება. მას, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მხარეც გააჩნია. ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებაში არსებით როლს ფსიქიკური პროცესები ასრულებენ. ადამიანის გარკვეული მოქმედების ძირითად მომენტს წარმოადგენს საგნის ან მოვლენის აღქმა, მსჯელობა, მოქმედების მიზნის დასახვა, მისი წარმოდგენა, სურვილი, მისწრაფება, შეფასება და ა.შ.

დაკითხვა შესაძლებელია იყოს პირველადი, განმეორებითი ან დამატებითი. განმეორებითი დაკითხვა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ პირველადი დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის სისწორე და დასაკითხი პიროვნებისაგან მოყვანილი (მონაყოლი) ფაქტები ეჭვს იწვევს, ხოლო რაც შეეხება დამატებით დაკითხვას, მოცემულ შემთხვევაში ხდება იმ გარემოებებისა და ფაქტების დადგენა-დაზუსტება, რომლებიც პირველადი დაკითხვის დროს იქნა მიღებული.

დაკითხვის ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნას სწორი და ზუსტი ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის მიღება გარკვეულწილად ძნელიც კი არის ცალკეულ შემთხვევებში, თუნდაც მაშინ, როდესაც დასაკითხი პიროვნება აშკარად არ გვაძლევს და არც სურს მოგვცეს ზუსტი ჩვენება.

დაკითხვა, ისევე როგორც გამოძიების მთელი პროცესი, უნდა მიმდინარეობდეს საპროცესო კოდექსთან შესაბამისობაში, მუქარის, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის გარეშე. დასაკითხი პირები (მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული) არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ფსიქიკური თავისებურებებით, ცხოვრებისეული გამოცდილებებით, განათლებითა და მრავალი სხვა თვისებით. ასევე განსხვავებულია მათი დამოკიდებულება მომხდარ ფაქტთან და მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, მოწმეები და დაზარალებულები, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან გამოძიებას ან არ იჩენენ მაინცდამაინც დიდ ინტერესს მომხდართან დაკავშირებით. ყოველივე ეს თითოეული პიროვნებისადმი, მათი თავისებურებებიდან გამომდინარე,

ინდივიდუალურ მიდგომასა და დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენებას საჭიროებს.

იმისათვის, რომ დაკითხვა წარმატებული იყოს, დამკითხავს უნდა ჰქონდეს ისეთი განსაკუთრებული პიროვნული თვისებები, რომლებიც დასაკითხ პიროვნების ნდობას გამოიწვევენ. დაკითხვის მწარმოებელი პირი უნდა იყოს ობიექტური, პრინციპული, ტაქტიკური, მომთხოვნი და ყურადღებიანი. არაკორექტული, უხეში დამოკიდებულება მისი მხრიდან, ხშირ შემთხვევაში, მოქმედებს დასაკითხი პიროვნების ფსიქიკაზე, რაც შემდეგში უარყოფითად მოქმედებს ზუსტი ჩვენების მიღებაზე.

აღსანიშნავია, რომ დაკითხვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველების კულტურას. უნდა ვიცოდეთ, რომ არა მარტო გამომძიებელი სწავლობს დასაკითხი პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებებს, არამედ, თავის მხრივ, დასაკითხიც აკვირდება დამკითხავის თვისებებს.

ნებისმიერ დასაკითხ პიროვნებასთან ურთიერთობისას დაუშვებელია ქედმაღლობა, უხეში მიმართვა, ასევე მისი კანონიერი უფლებების დარღვევა. მეორეს მხრივ, დაუშვებელია, რომ დასაკითხი პიროვნება გადავიდეს გამომძიებელთან ურთიერთობის არსებულ ზღვარს. ზოგიერთი პირი დაკითხვის დროს იქცევა ისე, რომ დამკითხავს აკარგვინებს წონასწორობას და ნერვიულობას აწყებინებს. მსგავსი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა თავიდანვე განემარტოს დასაკითხ პირს თავისი უფლება-მოვალეობანი.

დასაკითხი ყოველთვის უნდა გრძნობდეს, რომ გამომძიებელი არის მშვიდად და მაქსიმალურად ცდილობს სიმართლის დადგენას, იქიდან გამომდინარე, რომ მან კარგად იცის ის არსებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს მომხდარ ფაქტთან.

იმისათვის, რომ დაკითხვა წარმატებული იყოს, გამომძიებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მიიღოს და როგორი ტაქტიკური ხერხები გამოიყენოს. დაკითხვის საგანს წარმოადგენს იმ გარემოებათა და მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელთა გამორკვევასაც აპირებს გამომძიებელი. მათ რიგს მიეკუთვნება დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებები, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს გარკვეული პირების დანაშაულთან კავშირს და მათი

ქცევის მოტივს, რომელიც მოქმედებს დამნაშავის პასუხისმგებლობის ხასიათზე, ასევე დანაშაულით მიყენებული ზარალისადმი დამოკიდებულებას. დაკითხვის საგანში შეიძლება შედიოდეს გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და ყველა სხვა მონაცემი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გამოსაძიებელ საქმეზე რეალობის დადგენისათვის. დაკითხვის საგანი დამოკიდებულია, როგორც დასაკითხის ფსიქოლოგიურ, პროცესუალურ მდგომარეობაზე, ასევე იმაზე, თუ რა ინფორმაციას ფლობს იგი.

დაკითხვის სხვადასხვა სახეები არსებობს, რომელიც დამოკიდებულია პირის პროცესუალურ მდგომარეობაზე, მის პერსონაზე და საქმის გადაწყვეტის ფორმაზე. დაკითხვის სახეებს პირის პროცესუალური მდგომარეობის შესაბამისად მიეკუთვნება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის დაკითხვა. (დაპირისპირება ამოღებულია ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის პროცესიდან.) პერსონის მიხედვით დაკითხვის სახეებს წარმოადგენს არასრულწლოვანთა დაკითხვა; იმ პირთა დაკითხვა, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ მთლიანი მოცულობით განახორციელონ უფლებამოსილება; რელიგიის მსახურ პირთა და მორწმუნეთა დაკითხვა. დაკითხვა საქმის გადაწყვეტის ფორმის მიხედვით შეიძლება ხდებოდეს გამოძიების პროცესში და საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვყოთ ის ძირითადი პრინციპები, რის მიხედვითაც დაკითხვა ჩატარდება კანონის დაცვით, ნორმალურ პირობებში, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების გათვალისწინებით.

<u>კანონიერება.</u> დაკითხვის კანონიერება გულისხმობს იმ პროცესუალური ნორმების მტკიცე და განუხრელ დაცვას, რომლებიც არეგულირებენ ყველა სუბიექტის ჩვენების მიცემის წესსა და პირობებს, დასაკითხი პირის უფლებების დაცვას და უზრუნველყოფენ ჩვენების მიცემის სისრულეს, ყოველმხრივობასა და ობიექტურობას.

<u>ნებაყოფლობითობა.</u> დაკითხვის ნებაყოფლობითობის პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ არ შეიძლება დასაკითხი პირი ვაიძულოთ ჩვენების მიცემისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჩვენების მიცემა წარმოადგენს მათ პროცესუალურ ვალდებულებას. ყველა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს დარწმუნების

მეთოდი. პრაქტიკაში გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი იძულება, მუქარა, ფიზიკური ძალადობა, უხეშობა და სიცრუე.

<u>**დაკითხვის ეფექტურობა.**</u> დაკითხვის ეფექტურობას უზრუნველყოფს მთელი რიგი ისეთი საკითხების გათვალისწინება, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დასაკითხი პირისგან სწორი და ობიექტური ჩვენება, გავხადოთ დაკითხვა მიზანსწრაფულ მოქმედებად. დაკითხვის ეფექტურობას განაპირობებს ამ საგამოძიებო მოქმედების მომზადებულად ჩატარება, დაკითხვის გეგმის სწორად შედგენა, საქმის მასალების კარგად ცოდნა, დაკითხვის დროისა და ადგილის სწორად განსაზღვრა, დასაკითხ პირთან ნორმალური ფსიქოლოგიური ურთიერთობის დამყარება, დაკითხვის ჩატარება ნორმალურ პირობებში და ვითარებაში, დაკითხვის ტაქტიკური ხერხების შერჩევა კონკრეტული სიტუაციისა და დასაკითხი პიროვნების გათვალისწინებით, გადავიწყებული ფაქტებისა და გარემოების გახსენება - აღდგენაში ხელის შეწყობა.

<u>**დაკითხვის ინდივიდუალურობა.**</u> ამ პრინციპის არსი იმაში გამოიხატება, რომ დაკითხვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდუალურ-კონკრეტული პირობები. მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის ყველა სახეს აქვს მრავალი საერთო, თითოეული პირის დაკითხვის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ამ პირის დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი; ის კონკრეტული პირობები, რომლის დროსაც მან აღიქვა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებანი; დასაკითხი პირის ისეთი თვისებები, როგორიცაა აგრესიულობა და პასიურობა, ობიექტურობა და სიცრუე, კარჩაკეტილობა კონტაქტების იოლი დამყარება, ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა.

<u>**მეცნიერულ-ტაქტიკური ხერხების გამოყენება.**</u> ყოველი ტაქტიკური ხერხი, რომელიც გამოიყენება დაკითხვის პროცესში, უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებაში მყარად და საიმედოდ დადგენილ დებულებებს. დაკითხვის ყოველი ტაქტიკური ხერხი უნდა იყოს შემოწმებული და აპრობირებული პრაქტიკაში.

<u>**ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დაცვა.**</u> როგორც დაკითხვის პროცესში, ისე ტაქტიკური ხერხების გამოყენების დროს, დაცული უნდა იყოს ზნეობრივ-ეთიკური ნორმები. დაუშვებელია დაკითხვის დროს ისეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენება, რომელიც ამცირებს დასაკითხი პიროვნების პატივსა და ღირსებას, საშიშია მისი ჯანმრთელობისათვის, დაკითხვის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიცრუეს,

უსაფუძვლო დაპირებებს, ჩვენების გამოძალვას, შანტაჟს. არ შეიძლება ისეთი ფსიქოლოგიური ,,ეშმაკობა'' და ფსიქოლოგიური „ხაფანგების" გამოყენება, რომელიც ფსიქიკურ ზეგავლენას ახდენს დასაკითხზე.

დაკითხვის ჩატარების აღნიშნული და შემდგომში დაწვრილებით განხილული მოთხოვნათა დაცვა წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას საგამოძიებო მოქმედების შესრულების დროს. იგი იძლევა გარანტიას, რომ ჩვენების შედეგად მიღებულ ფაქტებსა და გარემოებებს მიენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

2. ინდივიდუალური წარმოდგენები დაკითხვაზე. წარმოდგენები დაკითხვაზე, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებული აქვთ პროფესიონალ გამომძიებლებს, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებსა და იურისტებს. ეს წარმოდგენები ანუ მითები ზოგიერთი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მუშაკის არაპროფესიონალური მუშაობის შედეგად ყალიბდება, რასაც ადგილი აქვს ძალოვან სტრუქტურებში, ხოლო რაც შეეხება დამწყებ გამომძიებლებს, მათ ეს წარმოდგენები უყალიბდებათ ძირითადად მასმედიის, ტელევიზიისა და სხვადასხვა დეტექტური ჟანრის ფილმებისა თუ ნაწარმოებების ზეგავლენით. ეს მითები დროთა განმავლობაში ყალიბდება პიროვნების შეხედულებად, რის გამოც ამ საკითხთან დაკავშირებით მათი წარმოდგენის შეცვლა და მოდიფიცირება საკმაოდ რთულია.

თუმცა ძნელი იქნება, მაგრამ ზოგიერთი მცდარი წარმოდგენის შეცვლა აუცილებელია, ვინაიდან ამაზე არის დამოკიდებული პროცესუალურად დაკითხვის სწორად წარმართვის მექანიზმი. ყოველივე ეს შეიძლება შევადაროთ იმ პიროვნების ავტომრბოლელად გადამზადებას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მართავს ავტომობილს და თვლის, რომ ეს საქმე საფუძვლიანად ესმის, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, საჭირო ხდება ზემოხსენებული პიროვნება გადაეჩვიოს და ,,დაივიწყოს'' ზოგიერთი ის მავნე ჩვევა, რითაც ძალიან იწონებს თავს. ამ პიროვნებებისაგან განსხვავებით, ახალბედები გამონაკლისს წარმოადგენენ, თუმცაღა მათაც გარკვეული შეხედულებები გააჩნიათ ავტომობილის მართვაზე.

თემის შემდგომი მიზანიც სწორედ მითებისა თუ სხვადასხვა შეხედულებების ანალიზს ეძღვნება იმ იმედით, რომ განხილული საკითხები ნაწილობრივ მაინც გამოასწორებენ მოცემულ პრობლემას.

„დაკითხვა შეუძლებელია ვისწავლოთ თეორიულად“. ეს აზრი საკმაო რაოდენობით შეიცავს სიმართლის ელემენტებს, რის გამოც იგი დასამახსოვრებელი ხდება. მართლაც, რეალურად დამკითხავი ვერასოდეს დაიხვეწება თუ არ ჩაატარებს და არ წარუძღვება (წარმართავს) დაკითხვას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეს ვერ დახვეწავს დამკითხავს და ვერ შესძენს მას პროფესიონალიზმს. პრაქტიკის საშუალებით რაიმე რომ განამტკიცო და დახვეწო, ჯერ უნდა შეისწავლო საკითხი. ამა თუ იმ საკითხის ფუნდამენტის გათავისება, მხოლოდ სწავლის საშუალებითაა შესაძლებელი. ზოგიერთ დამკითხავს მუშაობის ოცი წლის სტაჟი აქვს, მაგრამ ზოგიერთებს ერთი წლის გამოცდილება აქვთ ოცზე გამრავლებული.

ზოგიერთს ჰგონია, რომ დაკითხვა არის მომზადებული, მხოლოდ ერთმანეთზე მიყოლებული კითხვების სერია. ამ აზრს შეიძლება სოციოლოგები და ამომრჩეველთა სიების შემდგენლები დაეყრდნონ, მაგრამ გამომძიებლები - არავითარ შემთხვევაში. ყველაზე უფრო გამოცდილი დამკითხავები დაკითხვას მოიხსენიებენ, როგორც ,,მიზანდასახულ საუბარს''. ურთიერთობა ანუ კომუნიკაცია მყარდება საუბრის მეშვეობით, რომელიც ორმხრივი პროცესია.

გასაკვირი არ არის, რომ წარმატებული დაკითხვის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს კომუნიკაბელურობა, ჭეშმარიტი ზრუნვის გამოხატვა ხალხის მიმართ, დახვეწილად და შინაარსიანად მეტყველების უნარი, მაგრამ ამ სხვადასხვა ატრიბუტების ერთმანეთში არევაც, შეცდომაა.

დაკითხვას მიზანი უნდა ჰქონდეს, ანუ მიზანმიმართული უნდა იყოს. იმისათვის, რომ დამკითხავმა სწორად განსაზღვროს დაკითხვის მიზანი, საჭიროა იგი კარგად მოემზადოს დაკითხვისათვის, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს საქმეზე მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაციის გულმოდგინედ შესწავლის საშუალებით (საქმის არსებითი გარემოებები, მტკიცებულებები, პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული კონკრეტულ საქმესთან).

მაგრამ ის აზრიც, რომ გამომძიებელი უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ფაქტებს, მცდარია. მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელიც ინფორმაციას ღებულობს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებიდან, დამკითხავს ურთიერთობა აქვს ინფორმაციის ისეთ წყაროსთან, რომელსაც გააჩნია გრძნობები და ემოციები. ამ ფაქტის გაუთვალისწინებლობა დაკითხვის ჩავარდნას განაპირობებს. დასაკითხში პოზიტიური გრძნობების აღძვრა, ისეთების, როგორებიცაა: მოვალეობის გრძნობა,

სიამაყე, და ა.შ. ამასთან დასაკითხის უარყოფითი გრძნობების ნეიტრალიზება, ისეთები, როგორიცაა შიშის გრძნობა, უნდობლობა - მიუთითებს გამომძიებელს, რომ ეს ხშირად წარმატებული დაკითხვის გასაღებს წარმოადგენს.

თუ საჭირო ემოციური მდგომარეობა მიიღწევა, ფაქტები და ინფორმაცია ბუნებრივად, უპრობლემოდ გადმოიცემა დასაკითხის მიერ. სხვა შემთხვევაში ასე არასოდეს ხდება.

ზოგს წარმოუდგენია, რომ მოსმენა ბუნებრივი პროცესია და მეტი არაფერი, მაგრამ გარკვეულწილად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დაკითხვის სწორად წარმართვისათვის, უმეტეს შემთხვევაში, მოსმენა ხელოვნებასაც კი წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ნათქვამის გაგებას, შეცნობას, დამახსოვრებას სჭირდება გულისყურით მოსმენა და გარკვეული გონებრივი ძალდატანებაც, სწორედ ამის იგნორირება იწვევს ზოგიერთი დამკითხავის ჩავარდნას დაკითხვის დროს.

არის შემთხვევა, როცა ჩვენების უფრო სრულად და ზუსტად ფიქსირებისათვის ბევრი დამკითხავი ჩანაწერების გაკეთებას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს და ღებულობს გადაწყვეტილებას სიტყვასიტყვით ჩაიწეროს ის, რასაც დასაკითხი ამბობს და ამას დაკითხვის პროცესის დროს აკეთებს. ბუნებრივია, ეს აფერხებს საუბარს, არღვევს დამყარებულ ფსიქოლოგიურ კონტაქტს და ასუსტებს გამომძიებლის შესაძლებლობას, დააკვირდეს დასაკითხის ქცევას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დაკითხვის დროს. ამის შედეგად სახეზეა ცუდი ჩანაწერები. ასეთი ჩანაწერების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, გაანალიზებული და განხილული იქნას ყველაფერი, რაც დასაკითხმა განაცხადა დაკითხვის პროცესში. ეს ყველაფერი დასაკითხის თანდასწრებით უნდა მოხდეს, ვინაიდან თავიდან იქნას აცილებული იმ ინფორმაციის შელამაზება, რომელიც მიღებული იქნა დაკითხვის პროცესში.

დამკითხავი უნდა დომინირებდეს და აკონტროლებდეს სიტუაციას. ფაქტობრივად ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ შეცდომა მდგომარეობს არა თვით ზემოაღნიშნულ პრინციპში, არამედ მის ინტერპრეტაციაში. ახალბედა გამომძიებლის ინსტრუქტირება იმის შესახებ, რომ ის უნდა დომინირებდეს, ძალზე ფრთხილად უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შესაძლოა სხვანაირად იქნას აღქმული ან გაგებული და შესაბამისი არასასურველი შედეგი მოჰყვეს, რაც გამოიხატება

ძირითადად უფლებამოსილების გადამეტებაში. მაშასადამე, დამკითხავი ხშირ შემთხვევაში სიტუაციას უნდა აკონტროლებდეს არა მუქარის საშუალებით, არამედ დაკითხვის დროს წყნარი ტონითა და თავდაჯერებულობით.

კარგად და საფუძვლიანად მომზადებული კითხვები, რომელიც გამიზნულია ტყუილის მთქმელის თავისივე სიტყვებში გამოჭერისათვის, ჯვარედინი დაკითხვის არსს წარმოადგენს. ზოგიერთი პროფესიონალი მართლაც დახელოვნებულია ამ საკითხში და ახერხებს გამოააშკარაოს ჩვენების მიმცემის ტყუილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს გააჩნია უამრავი დადებითი მხარე, დაკითხვასთან მისი გაიგივება მაინც არ შეიძლება. ჯვარედინი დაკითხვის დროს შესაძლებელია დამკითხავი დარწმუნდეს დასაკითხის ბრალეულობაში ან სხვა დაარწმუნოს ამაში, მაგრამ ძალიან იშვიათია მისგან აღიარების მიღება. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანები, მათი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, არ აღიარებენ დანაშაულს მხოლოდ დასმული კითხვების შედეგად, არამედ აღიარებენ დანაშაულს იმიტომ, რომ დამკითხავმა მისცა მას ამისთვის საჭირო მიზეზი.

ჯვარედინ დაკითხვასა და დაკითხვას შორის სხვაობის არცოდნას დამკითხავი ხშირად მიჰყავს დაკითხვის ჩაგდებამდე. წარმოიდგინეთ დამკითხავი, რომელიც მუდმივად უმეორებს დასაკითხს შეკითხვას, ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული, ხოლო დასაკითხი, რაღა თქმა უნდა, მუდმივად უარყოფს ამას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად დღევანდელი მსოფლიო უახლესი ტექნოლოგიური მიღწევებისა, რომელთაგანაც ბევრმა სამართალდამცავ სტრუქტურებშიც შეაღწია და მათი დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად წარმოდგინდა, უამრავი დანაშაულის გამოკვლევა მაინც ცოცხალ ადამიანთან არის დაკავშირებული და ამ საშუალებების ეფექტურად გამოყენებისათვის საჭიროა, რომ გამომძიებლები კარგი დამკითხავები იყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პრაქტიკა არ განამტკიცებს პროფესიონალიზმს – ვარჯიში და სწავლა მუდამ აუცილებელია.

3. დაკითხვა, როგორც შესწავლის ობიექტი. დაკითხვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამართალდამცავების მიერ. მოწმისაგან ინფორმაციის მიღება, ან დანაშაულის ჩამდენისაგან აღიარება, დიდად არის დამოკიდებული დაკითხვის სწორად

ორგანიზებასა და ჩატარებაზე. დაკითხვის არასწორად წარმართვამ შესაძლოა უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს დაკითხვაში მონაწილე ყველა მხარისათვის. ამ მხარეებს კი წარმოადგენენ: მოწმეები, დაზარალებულები, ეჭვმიტანილები, გამომძიებლები, პოლიციელები და სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებსაც დაკითხვასა და გამოკითხვაში მონაწილეობის პროცესუალური უფლება გააჩნიათ.

არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც დამკითხავმა დაკითხვის წარმოებისას არ უნდა დაარღვიოს. ამ წესების გათავისება და თანმიმდევრობით შესრულება გამომძიებელს უამრავ პრობლემას ააცილებს, რომელიც ჩვეულებრივ თავს იჩენს არასწორი დაკითხვის დროს.

დავიწყოთ ზოგადად, ეტაპობრივად ჯერ იმ უმარტივესი საერთო წესების, საერთო ხასიათის პროცესუალური და ტაქტიკური ხერხების განხილვით, რომლის მონაწილეც შესაძლებელია გახდეს ყველა კატეგორიის დასაკითხი პიროვნება, შემდგომში განვიხილოთ ჩვენების ფორმირების და გადაცემის პროცესი, როგორც მოვლენის აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურებები, ასევე ინფორმაციის გადაცემის თავისებურებები.

შემდგომში განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს ცრუ მოწმესთან, ცრუ დაზარალებულთან, რომლებიც შესაძლებელია შემდგომში ეჭვმიტანილებიც გახდნენ. და ბოლოს, განვიხილავთ ისეთ რთულ კატეგორიებს, როგორებიც არიან უშუალოდ დასაკითხი დამნაშავეები.

აქვე გავითვალისწინოთ ისიც, რომ გარკვეული საკითხი, ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტისათვის შესაძლებელია გამეორდეს. მიგვაჩნია, რომ ასეთი სახით მასალის გადმოცემა ხელს უწყობს მკითხველს უკეთ უკეთ გაეცნოს ნაშრომს.

4. დაკითხვის პროცესუალური თავისებურებები და ტაქტიკური ხერხები. საერთო ხასიათის პროცესუალური თავისებურებები ითვალისწინებს დაკითხვის წარმოების პროცესუალურ თანმიმდევრობას, რომელიც საერთოა ყველა კატეგორიის დასაკითხი პიროვნებებისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ საგამოძიებო მოქმედება შესაძლებელია ჩატარდეს იმ ადგილზე, სადაც მიმდინარეობს გამოძიება ან სადაც იმყოფება დასაკითხი პიროვნება, როგორც წესი

დღის საათებში. დასაკითხ პირებს ჩვენება შეუძლიათ მისცენ გამომძიებელს პირისპირ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს დამცველის, პედაგოგის, არასრულწლოვანის მშობლების ან მათი ახლო ნათესავების ყოფნას დაკითხვაზე.

დაკითხვის დაწყებისას გამომძიებელი, საჭიროებისამებრ, უნდა დარწმუნდეს დასაკითხის ვინაობაში, უნდა აუხსნას მას თავისი უფლება-მოვალეობები, გაარკვიოს საჭირო საანკეტო მონაცემები. დაკითხვა არსებითად იწყება წინადადებით მოყვეს დასაკითხი საქმის გარშემო რაც იცის, რის შემდეგაც გამომძიებლს შეუძლია დაუსვას შეკითხვები.

ჩვენება იწერება ოქმში, პირველ პირში, შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით. საჭიროების შემთხვევაში იწერება დასმული კითხვები და მასზე პასუხები. დასაკითხს შეუძლია ჩვენება დაწეროს თავის ხელით. დაკითხვის დამთავრების შემდეგ ოქმი წარედგინება მას წასაკითხად ან მისი თხოვნით წაიკითხავს გამომძიებელი. ბოლოს, ოქმს ხელს აწერს დასაკითხი, გამომძიებელი და დაკითხვაში მონაწილე სხვა წევრები.

სანამ განვიხილავთ დაკითხვის ზოგად ტაქტიკურ ხერხებს, ჩამოვაყალიბოთ თუ დაკითხვის რა ტაქტიკურ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს გამომძიებელი.

დაკითხვის ტაქტიკური პირობებია:

ა. აქტიურობა ან პასიურობა;
ბ. მიზანდასახულობა;
გ. ობიექტურობა და სისრულე;

დაკითხვის აქტიურობა გამოიხატება გამომძიებლის მიერ ინიციატივის ქონაში, ყველა აუცილებელი ტაქტიკური ხერხის ზუსტად და მარჯვედ გამოყენებაში. იმ პირების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ ზუსტი ჩვენების მიცემას, დაკითხვას აქვს თავდასხმითი ხასიათი, გამომძიებლი, მის ხელში არსებული ყველა კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებით ცდილობს მიიღოს რეალური ჩვენება და არ იყოს მხოლოდ უბრალოდ მონაყოლის რეგისტრატორი.

დაკითხვის მიზანდასახულობა ნიშნავს მის ჩატარებას წინასწარ საჭირო და განსაზღვრული ჩვენების და არა ყველანაირი ინფორმაციის მისაღებად.

მიზანდასახულობით უზრუნველყოფილია ის გამომძიებელი, რომელსაც აქვს მყარი წარმოდგენა დაკითხვაზე.

დაკითხვის ობიექტურობა და სისრულე გამომჟღავნდება იმაში, რომ გამომძიებელს არა აქვს უფლება თავისი შეხედულების მიხედვით შეამოკლოს მიღებული ჩვენება, შეცვალოს იგი თავისი შეხედულებისამებრ და თავს მოახვიოს იგი დასაკითხს. ობიექტურობის გარანტიაა კანონით აკრძალული მიმნიშნებელი კითხვების დასმა, ხოლო სისრულის – ჩვენების შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით ჩაწერის მოთხოვნა.

დაკითხვის ზოგადი ტაქტიკური ხერხები ისეთი ხერხებია, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ყველა კატეგორიის დასაკითხი პირის მიმართ.

მათ მიეკუთვნება:

ა. დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნა;
ბ. დაკითხვის თანმიმდევრობის განსაზღვრა;
გ. დასაკითხ პირთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება;
დ. საკონფლიქტო სიტუაციების განმუხტვა დადებითი ემოციების წახალისების გზით;
ე. შეკითხვების მიცემის მიზანშეუწონლობა თავისუფალი თხრობის დროს;
ვ. დავიწყებული ფაქტებისა და გარემოებების აღდგენა მოფიქრებული და თანმიმდევრული შეკითხვების მიცემის გზით;
ზ. დარწმუნების ზემოქმედების ხერხის გამოყენება, როდესაც პირი არ იძლევა ჩვენებას ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას;
თ. წახალისების ხერხის გამოყენება, როდესაც პირს სურს მისცეს სწორი ჩვენება;
ი. მტკიცებულებათა წარდგენისა და დემონსტრაციის ტაქტიკური ხერხი სწორი ჩვენების მიღების მიზნით;
კ. ჩვენების ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

თემის სრულად გახსნამდე, რაც ითვალისწინებს ცალ-ცალკე დაზარალებულის, მოწმის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და არასრულწლოვანების დაკითხვისას მათი გამოყენების თავისებურებებს, მოკლედ განვმარტოთ აღნიშნული ტაქტიკური ხერხები, რათა სრული წარმოდგენა შეგვექმნას მათზე.

დაკითხვის ნორმალური პირობების შექმნას გარკვეული დადებითი მნიშვნელობა აქვს სწორი, სრული და ობიექტური ჩვენების მისაღებად. დაკითხვისთვის ნორმალური პირობების შექმნა გულისხმობს დაკითხვის სწორ ორგანიზაციას. დაკითხვა უნდა მოხდეს განმარტოებით, გარეშე პირების დაუსწრებლად. ამ დროს გამორიცხული უნდა იყოს ტელეფონზე საუბარი განყენებულ თემებზე, ტელევიზორის ცქერა და ა.შ. მიღებული უნდა იყოს ზომები, რომ დასაკითხი პირები ერთმანეთს არ შეხვდნენ დაკითხვამდე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის მიზნით. თვით გამომძიებელი ადგილზე უნდა დახვდეს დასაკითხ პირს, არ ალოდინოს მას, შეხვდეს დასაკითხ პირს დადებითი განწყობით, იყოს თავაზიანი.

ზოგიერთი დაკითხვა შესაძლებელია შედგეს პოლიციის განყოფილების კედლებს მიღმა. დაკითხვაზე გარკვეული გავლენა აქვს სამართლებრივ ნორმებსა და დაკითხვისათვის ხელსაყრელი ოთახის არსებობას. გავლენა შეიძლება იქონიოს ოჯახურმა და სამსახურეობრივმა მოვალეობებმა. დრო საკმარისი უნდა იყოს. ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ გარემოცვა, ხმაურისა და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობის შესაძლებლობა. ბევრი ადამიანი არჩევს საკუთარ სახლს, თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭიროა დავფიქრდეთ, რამდენად შევძლებთ ოჯახურ გარემოცვაში მშვიდად და დაუბრკოლებლად დაკითხვის წარმართვას. ინფორმაციის გახსენება კონცენტრაციასა და მშვიდ გარემოს მოითხოვს. რამდენად მართებულია თანამოსაუბრის სახლი ან სამუშაო ადგილი გამოიყენო? ნივთიერი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, რამდენად მოსახერხებელია, მისი მიტანა დაკითხვის ადგილზე? ყოველივე ამას გარკვეული ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს სწორი ჩვენების მიღებისათვის და ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის.

საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული კრიმინალური სიტუაცია და ობიექტური ჩვენების მიღების შესაძლებლობა, გამომძიებელმა სიტუაციიდან გამომდინარე უნდა დაადგინოს დასაკითხ პირთა თანმიმდევრობა. ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენებას, გარკვეული მნიშვნელობა აქვს სწორი და სრული ჩვენების მიღებისათვის. პირველად და უფრო ადრე უნდა დაიკითხოს ის პირი, ვინც თანამშრომლობს გამოძიებასთან ანუ ვისგანაც უფრო მოსალოდნელია სრული და ობიექტური ჩვენების მიღება; პირი, რომლის ჩვენებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად; პირი, ვინც დადებითად აშუქებს საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებსა და გარემოებებს; პირი, ვინც იძლევა ჩვენებას ისეთი გარემოებების შესახებ, რომელსაც ადრე ჰქონდა

ადგილი; პირი, ვიზეც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ დაშინების, მუქარის, ძალადობის ან შანტაჟის გამოყენებით; პირი, ვინც იმყოფება საავადმყოფოში, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ შემდგომში მისი დაკითხვა შეუძლებელი იქნება, ასეთ შემთხვევაში დაკითხვა ხდება მკურნალი ექიმის ნებართვით და თანდასწრებით; პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს ასრულებს მეორეხარისხოვან როლს.

საქმის მასალების შესწავლის შემდეგ უნდა გაირკვეს, თუ რომელი მტკიცებულება არის ხელმისაწვდომი და გადამწყვეტი, რისი მიღწევაა საჭირო დაკითხვით. აუცილებელია ისეთი კითხვების გათვალისწინება, როგორიცაა:

ა. ვისთან და რა თანმიმდევრობით უნდა წარიმართოს დაკითხვა?

ბ. რატომ არის ამა თუ იმ მოწმის შეხედულება მნიშვნელოვანი?

გ. რა ინფორმაციის მოპოვებაა დაუყოვნებლად საჭირო?

დ. ახლავე დავკითხოთ რესპოდენტი, თუ დაველოდოთ, სანამ დამატებით ინფორმაციას მოვიპოვებდეთ, ჩადენილი დანაშაულის სხვადასხვა გარემოებათა შესახებ?

აღნიშნული ტაქტიკური ხერხების გამოყენება ბევრ შემთხვევაში გვაძლევს სასურველ შედეგს.

დასაკითხ პირთან სასურველი ფსიქოლოგიური კონტაქტი გულისხმობს ისეთი ატმოსფეროს შექმნას, როდესაც დასაკითხი პირი განეწყობა გამომძიებლისადმი დადებითად, პატივისცემით, გაგებით მოეკიდება მის მოვალეობებს და გამორიცხავს ყველანაირ პირად მოტივს მის მოქმედებაში. ყველანაირი უხეში ქცევა - ყვირილი, ლანძღვა, მუქარა, როგორც წესი, დასაკითხ პირს განაწყობს უარყოფითად, რაც შემდგომში აისახება ჩვენების სისრულეზე და ობიექტურობაზე.

დასაკითხის გამოცხადებისთანავე, გამომძიებელი არკვევს რა მის ვინაობას და პიროვნებას, დამოკიდებულებას სხვა დასაკითხ პირთან, უმარტავს რა უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს მასთან გარკვეულ ფსიქოლოგიურ კონტაქტს, ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის შესაბამისად. ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება, როგორც ტაქტიკური ხერხი მიზნად ისახავს განაწყოს დასაკითხი პირი სწორი და ობიექტური ჩვენების მიცემისათვის, განმუხტოს დაძაბული ვითარება, უარყოფითი ემოციები და საკონფლიქტო სიტუაცია, განაწყოს პირი დადებითად. ამ მიზნის

მისაღწევად სასურველია, რომ გამომძიებელი განყენებულ თემაზე ესაუბროს დასაკითხ პირს, შეაქოს იგი დროული გამოცხადებისათვის, მოუწოდოს მას აქტიური მოღვაწეობისათვის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხაზი გაუსვას დასაკითხი პირის დადებით თვისებებს, მის გულრწფელობასა და პრინციპულობას.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო დაკითხვის იმ ტაქტიკური ხერხის გამოყენებისას, რომელსაც დასაკითხ პირზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ვუწოდებთ – ე.წ. ,,ფსიქოლოგიური ხაფანგები''. ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროცესუალურ კანონს და მის პრინციპებს, ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებს. ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ვგულისხმობთ გამომძიებლის მიერ რესპოდენტის დარწმუნებას იმაში, რომ გამოძიებისთვის ცნობილია მომხდარის შესახებ ყველაფერი, არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რათა მან ილაპარაკოს სიმართლე საქმის გარშემო, ყველა ტყუილი რაც კი ითქმება, იმოქმედებს მასზე უარყოფითად. საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს მტკიცებულებები, მისცეს დასაკითხ პირს შეკითხვები იმ თანმიმდევრობით და იმ საკითხებზე, რომლებიც ამხელს მას გარკვეულ სიცრუეში.

ჩვენების მიცემის დროს თავისუფალი თხრობის პროცესში ტაქტიკურად დაუშვებელია დასაკითხი პირის შეჩერება, ჩვენების შეწყვეტა და შეკითხვების მიცემა, რადგან ყოველივე ამას შეუძლია გამოიწვიოს დაბნეულობა, ჩამოყალიბებული აზრის გადავიწყება და არასასურველი სიტუაციის ჩამოყალიბება. თავისუფალი თხრობის დროს დასაკითხი პირის შეჩერება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საუბრობს ისეთი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს მოცემული სისხლის სამართლის საქმესთან.

სწორი და სრული ჩვენების მიღებისათვის უცილებელ პირობას წარმოადგენს დასაკითხი პირისადმი მოფიქრებული შეკითხვების მიცემა, მათი თანმიმდევრობა და კონკრეტულობა. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი თხრობის დროს დასაკითხმა პირმა არ გააშუქა ისეთი გარემოება, რომელსაც აქვს არსებითი მნიშვნელობა და რომლის გამოც იკითხება პირი, მას უნდა მიეცეს ძირითადი შეკითხვა, დაკავშირებული დაკითხვის საგანთან. თავისუფალი თხრობის დროს გამორჩენილი ფაქტებისა და გარემოებათა გაშუქების მიზნით დასაკითხ პირს მიეცემა დამატებითი ხასიათის შეკითხვები, ხოლო იმ მიზნით, რომ მოვაგონოთ გადავიწყებული ფაქტები და გარემოებანი, დასაკითხ პირს მიეცემა მოსაგონებელი შეკითხვები. იმ

შემთხვევაში, როდესაც თავისუფალი თხრობის დროს არასრულად იქნა გაშუქებული საკითხები, დასაკითხ პირს მიეცემა დამაზუსტებელი ხასიათის შეკითხვები. იმ მიზნით, რომ შემოწმდეს ჩვენების სისწორე, დასაკითხ პირს მიეცემა საკონტროლო ხასიათის შეკითხვები. თავისუფალი თხრობის შემდეგ დასაკითხ პირს, კანონის ძალით, არ შეიძლება მიეცეს მისახვედრი შეკითხვები. ეს ის შეკითხვებია, როდესაც გამომძიებელი ფაქტიურად კარნახობს შეკითხვის პასუხს და უბიძგებს პირს გარკვეული პასუხის მიცემისაკენ.

როდესაც დასაკითხი პირი სწორ ჩვენებას იძლევა, მაგრამ იგი ვერ იხსენებს გარკვეულ სიტუაციებს და გარემოებებს, ვერ აზუსტებს მომხდარ ფაქტებს, ასეთ დროს გარკვეული დადებითი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს დამატებითი, დამაზუსტებელი და მოსაგონებელი შეკითხვების მიცემას გადავიწყებული და არაზუსტად აღწერილი ფაქტების სწორი და სრული გაშუქების მიზნით.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირი საერთოდ არ იძლევა ჩვენებას, გამოყენებული უნდა იქნას დაკითხვის სხვა ტაქტიკური ხერხი. თუ დასაკითხი არის მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი, მათ უნდა განემარტოს ვალდებულება მისცენ ჩვენება და აეხსნათ მათ ჩვენების მიცემაზე თავის არიდებისა და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის, უსაფუძვლოდ უარის თქმის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების დაკითხვისას დადებითი შედეგის მისაღებად შესაძლებელია დარწმუნების ტაქტიკური ხერხის გამოყენება, რაც გამოიხატება მათ წინაშე ცნობილი ფაქტებისა და გარემოებების მოყოლაში. ეუწყოთ მათ ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობის შესახებ და ა.შ.

ცრუ ჩვენების მოსმენისას, ზემოთ აღნიშნული ტაქტიკური ხერხების გარდა, შესაძლებელია მტკიცებულებათა წარდგენის ხერხის გამოყენება, რაც ხორციელდება კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით. მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის საქმის მონაწილეთა დაკითხვის ოქმები. ჯერ წარუდგენენ მცირე მნიშვნელობის მტკიცებულებას, მერე უფრო ფასეულს და ასე შემდეგ, სანამ პირს არ გაუჩნდება სურვილი რეალური ჩვენების მიცემისა. ზოგჯერ საკმარისია ერთი ფასეული მტკიცებულების წარდგენაც. მაგრამ როცა გამოძიებისათვის ყველაფერი ცნობილია, შესაძლებელია ყველა მტკიცებულების ერთდროულად წარდგენა. ასეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება, გარკვეულ შემთხვევებში, უბიძგებს პირს სწორი ჩვენების მიცემისაკენ.

დაკითხვისას, გარდა მტკიცებულებათა წარდგენისა, შესაძლებელია მტკიცებულებათა დემონსტრირების ტაქტიკური ხერხის გამოყენება, რაც გამოიხატება, როგორც ნივთმტკიცებათა წარდგენაში, ასევე მაგნიტოფონზე ან ვიდეოკამერით ჩაწერილი ფაქტების დემონსტრირებაში. ასეთი ტაქტიკური ხერხის გამოყენება არწმუნებს ცრუ ჩვენების მიმცემს, რომ ყველა ფაქტი და გარემოება სრულად და ობიექტურად არის ასახული ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგად.

კონკრეტული ტაქტიკური ხერხების გამოყენება და მისი ეფექტურობა მჭიდრო კავშირშია საქმის მასალების გულდასმით შესწავლასთან, დასაკითხი პიროვნების გარკვევასთან, მის მიერ მიცემული ჩვენების კრიტიკულ ანალიზზე. იმისათვის, რომ დავადგინოთ ცრუ ჩვენების მიღების ფაქტი, აუცილებელია ამ ჩვენების დეტალური შესწავლა, მათში წინააღმდეგობათა დადგენა, მისი შეფასება სხვა მასალათა ერთობლიობაში. ასეთი კრიტიკული შეფასების საფუძველზე გამომძიებელი განსაზღვრავს დასაკითხი პირისადმი მისაცემ შეკითხვებს, მათ თანმიმდევრობას, მტკიცებულებათა წარდგენისა და დამონსტრაციის ხერხს და სხვა ტაქტიკურ საშუალებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სწორი და სრული ჩვენების მიღებას პირის განმეორებითი დაკითხვის დროს.

ერთ-ერთ ტაქტიკურ ხერხს წარმოადგენს ჩვენების აუდიო და ვიდეო ფიქსაცია, რომელიც პროცესუალურად არ არის სავალდებულო და გამოიყენებს გამომძიებელი, რათა შემდგომში დაწვრილებით შეისწავლოს დასაკითხი, გაშიფროს ინტონაციები, სხვადასხვა ვერბალური თუ არავერბალური ქცევები; ასევე, როდესაც ჩვენებას აქვს საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა; როდესაც საჭიროა ჩვენების მიღება მძიმე ავადმყოფისაგან, მომაკვდავისაგან; როდესაც დაკითხვაში მონაწილეობს თარჯიმანი; როდესაც არსებობს ჩვენების შეცვლის მოლოდინი; როდესაც ჩვენების მიღება ხდება ცალკეული დავალების შესრულებით; როდესაც დაკითხული უნდა იყოს პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია განახორციელოს დაცვის უფლება.

§ 2. ჩვენების ფორმირების და მიღების პროცესი

1. პიროვნების მიერ ფაქტებისა და გარემოებათა აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა. ადამიანებთან ურთიერთობა გამომძიებლის საქმიანობის ძირითადი ნაწილია. ადამიანის ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის, ურთიერთობის დამყარების, ურთიერთობის სწორად წარმართვის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ცოდნა პროფესიონალი გამომძიებლისთვის (დამკითხავებისთვის) აუცილებელია, ვინაიდან დასაკითხებიდან მოწოდებული ინფორმაციის და ფაქტების ანალიზი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ დაკითხვის ბოლოს, არამედ უშუალოდ დაკითხვის პერიოდში. ჩვენებებში ზოგჯერ წარმოიქმნება შეუთავსებლობები ფაქტებთან, ადრე მოცემულ ჩვენებებთან, მტკიცებულებებთან, რისი ანალიზიც უშუალოდ დაკითხვის მიმდინარეობის პერიოდშია საჭირო, რადგან ზოგჯერ უსწორობები დაკითხვისას ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ ცრუ ჩვენებასთან გვაქვს ადგილი. სხვადასხვა სახის ხარვეზები ჩვენებებში შეიძლება ჰქონდეს იმ ადამიანებსაც, რომელთაც სურთ შემთხვევის შესახებ სრული ინფორმაციის მოწოდება.

ჩვენების ფორმირება თავისი სიზუსტით, ზოგჯერ ხარვეზებით და უსწორობებით წარმოიქმნება ჩვენების ფორმირების პროცესში, რომელიც მოიცავს სამ ფაზას. ეს არის ფაქტებისა და გარემოებების აღქმა, მათი დამახსოვრება და გადმოცემა, მოწოდების პროცესი (რეპროდუქცია).

ფაქტებისა და გარემოებათა შესახებ ცნობების მიღებისა ან მათი უშუალო ნახვიდან ჩვენების მიცემამდე გადის გარკვეული დრო, ამ პერიოდში ხდება ჩვენების საწყისი და შუალედური ფორმირება, რასაც საფუძვლად უდევს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესები.

ჩვენების ფორმირება, დამკითხავისა და დასაკითხის ურთიერთობის დროსაც მიმდინარეობს გარკვეული ინფორმაციების გაცვლის მეშვეობით. ინფორმაციების გაცვლა ურთიერთობისას, არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას და მიღებას. სუბიექტს, რომელიც გადასცემს ინფორმაციას გადამცემი ეწოდება, ხოლო ის ვისაც გადასცემენ ინფორმაციას არის მიმღები, მათი როლები იცვლება პროცესის შეცვლისთანავე. ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად მიმღები ისე არ იგებს ინფორმაციას, როგორც გადამცემს სურს, ასეთი ურთიერთობა წყდება, საერთოდ კი ურთიერთობის შეწყვეტა ბევრმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს.

ჩვენი მიზანია დმკითხავებს გავაცნოთ ეფექტური კომუნიკაცია, რათა მათ შეძლონ ოპონენტებთან ურთიერთობის დამყარება და თავიდან აიცილონ ურთიერთობის შეწყვეტა.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ჩვენების ფორმირების საფეხურების აღქმას, იგი ადამიანებს შორის ყოველგვარი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს; ფაქტებისა და გარემოებების დამახსოვრებას - განხილული იქნება ადამიანის, როგორც მთლიანი სისტემა თავისი ყურადღებით, წარმოსახვით, აზროვნებით, მეხსიერებით, გრძნობებით, შინაგანი მეტყველებით. გავეცნობით ფსიქოლოგების დაკვირვებებს; ფაქტებისა და გარემოებების გადაცემისას ურთიერთობის პროცესს. განასხვავებენ სიტყვიერ (ვერბალურ) და არასიტყვიერ (არავერბალურ) კომუნიკაციას. ვერბალურ კომუნიკაციაში ეფექტური ადგილი უჭირავს სიტყვიერ უნარ-ჩვევებს, ხოლო არავერბალური კომუნიკაცია არის ჟესტებით, მიმიკითა და მოძრაობით გამოხატული ურთიერთობა.

1.1. აღქმა. აღქმა არის ჩვენების ფორმირების პროცესის პირველი საფეხური, რომლის დროსაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებების, მოვლენების ნახვისა და დაკვირვების შედეგად ადამიანის დიდი ტვინის ქერქში ყალიბდება ნანახისა და მოსმენილის დროებითი ნერვიული კავშირი.

ფაქტების, მოვლენების, საგნების აღქმა შეიძლება მოხდეს წინასწარ დასახული მიზნის საფუძველზე ანუ თვითნებურად და უნებურად. თვითნებური აღქმისათვის დამახასიათებელია აღქმული ფაქტების, გარემოებების, მოვლენების, საგნების შედარებითი სიზუსტე და სისრულე, ვინაიდან ამ დროს ადამიანის ყურადღება გადატანილია ნანახის და მოსმენილის დამახსოვრების სურვილზე. ამ თვისებას შედარებით მოკლებულია აღქმის ისეთი სახე, როგორიცაა უნებური აღქმა, რომლის დროსაც ყურადღება გაფანტულია და აღქმა ხდება უნებურად.

ადამიანი გარე სამყაროს გრძნობის ორგანოებით აღიქვავს. ფსიქოლოგების განმარტებით, გრძნობის ორგანო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველია რეცეპტორი - სპეციფიკურად აგებული გარე აპარატი, რომელიც გაღიზიანების მისაღებადაა მოწყობილი. მეორეა გამტარი ნერვი, რომელიც გაღიზიანებას გრძნობის ორგანოს მესამე ნაწილისკენ – თავის ტვინის შესატყვის სენსორულ არეებში მოთავსებული ცენტრებისკენ ატარებს. გრძნობის ორგანოები მკაფიოდ არიან ურთიერთისაგან გამოყოფილი.

განსაკუთრებით ოთხი გრძნობის ორგანო – **მხედველობის, სმენის, სუნის და გემოს.** თითოეული მათგანი სხეულის გარკვეულ ადგილზეა მოთავსებული და შესატყვის გაღიზიანებას მხოლოდ მათი საშუალებით ვღებულობთ: სინათლის სხივებში მთელი ორგანიზმია გახვეული, მაგრამ, იგი მხოლოდ თვალზე მოქმედებს. ასეა ხმაც, სუნიც და შეიძლება გემოც.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ მხრივ ე.წ. მეხუთე გრძნობის ორგანოს – ჩვენი სხეულის ზედაპირს, კანს, ანუ როგორც მას უწოდებენ **შეხების ორგანოს.** როგორც გამოირკვა, იგი სრულიადაც არ არის მარტო ერთი გრძნობის ორგანო, მას ორგანოების მთელი რიგი აღმოაჩნდა: ცალკე წერტილები, რომლებიც სითბოსა და სიცივის გაღიზიანებას ღებულობენ და ტემპერატურის გრძნობის შესაძლებლობას იძლევიან; წერტილები, რომლებიც შეხების გაღიზიანებას აღიქვამენ და ტკივილის გამღიზიანებელი მიმღები ცალკე ადგილები. ამას უნდა დავუმატოთ გრძნობიერი ნერვების დაბოლოებები კუნთებსა და სახსრებში, როგორც სრულიად განსხვავებული გრძნობის კინესთეტური გრძნობის ორგანოები და დასასრულს, სხეულის წონასწორობის გრძნობის ორგანოც.

გამღიზიანებლების ზემოქმედების შედეგად გრძნობის ორგანოში გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესი, ე.წ. აგზნება ჩნდება. იგი გამტარებელი ნერვის საშუალებით თავის ტვინს აღწევს და განსაზღვრულ არეებში, სათანადო სენსორულ ცენტრებში ვრცელდება. იმ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც ამის შედეგად წარმოიქმნება, შეგრძნება ეწოდება.

გარე სინამდვილის განცდა მხოლოდ შეგრძნების გზით ხერხდება; სხვა გზა ცოცხალ არსებას არა აქვს. მიუხედავად ამისა, სინამდვილე მაინც არასდროს არ განიცდება ცალკე ფერების, ცალკე ტონების, თუ რომელიმე სხვა ცალკეული შეგრძნების სახით, როცა თუნდაც ფანჯარაში ვიყურებით და აყვავებულ ბუნებას ვაკვირდებით, ვერ ვიტყვით, რომ შეგრძნებათა მთელი ქაოსი გვეძლევა, მაგალითად: ამდენსა და ამდენ ფერს ან სინათლეს ვხედავთ, ან რაღაც ხმაური, თუ შრიალი გვესმის, არამედ ჩვენ ხეებს, მისი ფორმისა და ფერის, ნიავის დროს კი მათი შრიალით აღვიქვავთ. ერთი სიტყვით, სინამდვილეში ნაირნაირ შეგრძნებათა ქაოსი როდი გვეძლევა, არამედ ყოველთვის მხოლოდ გარკვეული თვისებების მქონე საგნები, რომლებიც ჩვენს გარეთ არსებულ სივრცეში იმყოფებიან და იქიდან აღიქმებიან.

აქედან ცხადია, რომ, მართალია, სინამდვილესთან ჩვენ მხოლოდ შეგრძნების გზით მივდივართ, მაგრამ არასოდეს არ ხდება, რომ იგი შეგრძნების სახით გვეძლეოდეს; სინამდვილეს კი არ შევიგრძნობთ, ჩვენ მას აღვიქვამთ იმიტომ, რომ შეგრძნება, მაგალითად ფერისა არ შეიძლება. სინამდვილეში კი ჩვენ მხოლოდ ფერს კი არა, ყოველთვის ამა და ამ ფერის საგანს ვხედავთ. საგნის განცდა კი აღქმაა და არა შეგრძნება.

ცოცხალ არსებას საგნებთან აქვს საქმე, თავის მოთხოვნილებებს, მათი საშუალებით იკმაყოფილებს და არა თავისთავად ფერის, სუნის, გემოს საშუალებით. ამიტომ გასაგებია, რომ მას საგნების აღქმის უნარი შეუმუშავდა და არა შეგრძნებათა ქაოტური განცდისა. ეს პროცესი, რომელსაც ჩვეულებრივ აღქმას უწოდებენ ხანგრძლივად იყო ფსიქოლოგიური კვლევა ძიების საგანი.

აღქმა არის რთული ფსიქოლოგიური პროცესი. მის სიზუსტეზე, სისრულეზე, ნათელყოფაზე, სისწორეზე გავლენის მოხდენა შეუძლია მთელ რიგ გარემოებებს და მათ ერთობლიობას. კერძოდ, აღქმის სიზუსტეზე და სისრულეზე გავლენის მოხდენა შეუძლია, როგორც სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს, ისე ამ ფაქტორების გარკვეულ სინთეზს (ფიზიკურ და ფსიქიკურ მონაცემებს, მეტეოროლოგიურ პირობებს, დროის მონაკვეთებს, ასაკს, განწყობას, გამოცდილებას, პროფესიას, ადამიანის ათვისების უნარს და ასე შემდეგ).

ობიექტურს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც არ არის დაკავშირებული პიროვნებასთან და მის განწყობასთან. ამ ფაქტორებს შეუძლიათ აღქმის პროცესზე მოახდინონ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა. ძირითადად ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება აღქმის გარე პირობები, აღსაქმელი საგნების თავისებურებები და მათი ერთობლიობა; ესენია ცუდი მეტეოროლოგიური პირობები (თოვლი, ქარი, წვიმა, ძლიერი სიცხე, სიცივე), ხილვადობის არახელსაყრელი პირობები (მძლავრი განათება, განათების უკმარისობა, ნისლი, ღრუბელი), დანახული ობიექტების და მოვლენების სიშორე, მათი დანახვის ხანმოკლე დრო, ხმაურის ფონი, ძალიან მაღალი და დაბალი ტემპერატურა და ასე შემდეგ.

სუბიექტურს მიეკუთვნება ისეთი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნებასთან და მის განდობასთან. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება ჯანმრთელი ადამიანის გრძნობის ორგანოების ბუნებრივი ფიზიკური შეზღუდვები, ფიზიკური ნაკლი (სიყრუე, სიმუნჯე, დალტონიზმი), ფიზიკური მდგომარეობა (ავადმყოფობა,

დაღლილობა, სიმთვრალე, ინტოქსიკაცია), ფსიქიკური მდგომარეობა (სულიერი აღელვება, ნერვიული სისტემის მოშლა), პროფესია (პროფესიონალიზმი) და ბოლოს განწყობა (ემოციურობა, შიში, უყურადღებობა, დარწმუნებულობა, დამოკიდებულება და სხვა).

ჩვენების ფორმირების პროცესის საწყისი ფაზა, აღქმა, ხშირ შემთხვევაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გარკვეულ ერთობლიობაზე და შერწყმაზეა დამოკიდებული. ამიტომ შედარებით სირთულეს წარმოადგენს დროის მონაკვეთის, მოძრაობის სიჩქარის, ფერისა და სივრცის აღქმა, რადგან ყოველივე ეს ობიექტურ და სხვა ფაქტორებთან ერთად პიროვნების სუბიექტურ წარმოდგენაზეა დამოკიდებული.

ასე მაგალითად, ფერის შეგრძნების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს, ადამიანის როგორც სუბიექტური თვისებები (ამ ფერის აღქმის უნარი), ასევე ობიექტური, რადგან მაგალითად წითელი ფერი შედარებით უკეთესად აღიქმება და შორი მანძილიდან ჩანს. დროის აღქმა ადამიანის სუბიექტურ მდგომარეობაზე, ემოციურობაზეცაა დამოკიდებული. დადებითი ემოციებისას დრო ჩქარა გადის, უარყოფითი ემოციებისას - ნელა. თუ ვიცით ორი ენა (ქართული და რუსული) და ადამიანს მისი გარეგნული შეხედულების მიხედვით აღვიქვავთ, როგორც გასაუბრების ობიექტს, მას იმ ენაზე დაველაპარაკებით, რა გარეგნული შეხედულებაც აქვს. (რუსული გარეგნობისას, რუსულად) და ასე შემდეგ.

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, ჩვენების ფორმირების პირველი საფეხური, აღქმა, განხილულ უნდა იქნას, არა მარტო, როგორც მასზე მოქმედი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ზეგავლენა, არამედ ასევე, როგორც ამ სუბიექტური და ობიექტური ზეგავლენების ერთობლიობა. ამიტომ საკითხის შესწავლა უნდა მოხდეს სუბიექტური და ობიექტური ზეგავლენების ერთობლიობით, რათა გამომძიებლებმა და სისხლის სამართლის პროცესით დაკითხვის უფლებამინიჭებულმა პირებმა იცოდნენ ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანების აღქმაზე. ეს საშუალებას მოგვცემს სწორად და შეუცდომლად გავაანალიზოთ მოცემული ჩვენება, თავის ბუნებრივად მონაყოლ თუ ხელოვნურად მოგონილ ფაქტებთან ერთად.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ადამიანები ერთსა და იგივე მოვლენას ერთნაირად აღიქვავენ, მაგრამ რეალობაში ხშირად ასე არ არის. ყველა ინდივიდს ახასიათებს

სამყაროს უნიკალური და თავისებური აღქმა. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანის მიერ გარე სამყაროს აღქმაზე გავლენას ახდენს გრძნობის ორგანოები და გარკვეულ სიტუაციებში მათი ფიზიკური შეზღუდვები. ე.ი. აღქმა ყოველთვის როდი იძლევა საგნის ობიექტურად სწორ, უტყუარ ასახვას. გარკვეულ პირობებში, ადგილი გვაქვს საგნის არასწორ, დამახინჯებულ აღქმასთან. არასწორი აღქმის სამ სახეს ასხვავებენ:

ა. **„ფიზიკური ილუზიები“, გრძნობის ორგანოების ფიზიკური შეზღუდვები, მათზე მოქმედი ზოგადი ფაქტორები;**
ბ. **„ფიზიოლოგიური ილუზიები“ და მოქმედი გარე ფაქტორები;**
გ. **„ფსიქოლოგიური ილუზიები“**

გრძნობის ორგანოების ფიზიკური შეზღუდვები, მათზე მოქმედი ზოგადი ფაქტორები, „ფიზიკური ილუზიები“. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ე.წ. გრძნობის ფიზიკური შეზღუდვა, მდგომარეობა, რომელშიც დამკვირვებელი იმყოფება და „ფიზიკური ილუზიები“. ეს ის ილუზიებია, რომელსაც იწვევს საგნის მოცემულობის ფიზიკური პირობები. განვიხილოთ ყველაფერი ერთობლიობაში.

შეგრძნებების შეზღუდულობის გამო ადამიანი გარე სამყაროს სრულიად ვერ აღიქვავს, მაგ. რადიო ტალღებს, ინფრა წითელ და ულტრა იისფერ სხივებს, გარკვეული სიხშირის ბგერებს, რადიაციის გარკვეულ სახეობას. რეცეპტორული სისტემის შეზღუდულობის უნარი გვაიძულებს აღვიქვათ მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც ხდება ჩვენს გარშემო. გარე სამყაროს შეზღუდულ აღქმას მაშინაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც ჩვენს გრძნობებს ფიზიკურად შეუძლია მისი აღქმა.

მხედველობა - მხედველობის შეგრძნებათა როლი ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდია. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი სინამდვილესთან ურთიერთობაში პირველ რიგში მხედველობით ხელმძღვანელობს. თვალის მთელი რუტინა (თვალის ბადურა) იძლევა სინათლისა და ფერის შეგრძნების საშუალებას, მაგრამ მხოლოდ ცენტრალური ნაწილი იძლევა საშუალებას, საგნები ცნობიერ აღქმამდე ავიყვანოთ, რადგან პერიფერიული ნაწილის შთაბეჭდილებანი ბუნდოვანია.

ადამიანის მხედველობითი აღქმა უფრო შეზღუდულია, ვიდრე ზოგიერთი ცხოველისა (იხ. დანართი სურ. 1). ადამიანის თვალს არ შეუძლია აღიქვას რაიმეს

ძალზე სწრაფი მოძრაობა, როგორიცაა გასროლილი ტყვიის მოძრაობა. სიბნელეში ადამიანის მხედველობა უარესდება, ძნელი ხდება ფორმებისა და ფერების აღქმა.

ცუდად განათებული ნივთების გარჩევა რთულია განსაკუთრებით მაშინ, თუ მათი ფერი ერწყმის სხვა ნივთების ფერს; სავსე მთვარის შუქზე ადამიანის ამოსაცნობად მისგან 10 მეტრის მანძილზე უნდა ვიმყოფებოდეთ; ღამე ნელა მოძრავი საგნების გარჩევა რთულია; მოძრავი სუბიექტი გვერდულად, პროფილში მდგომმა ადამიანმაც შეიძლება შეამჩნიოს და პირდაპირი ხედვით, ანფასითაც, მაგრამ უმოძრაო საგნების შემჩნევა გვერდულად, პროფილში მდგომი ადამიანისათვის შეუძლებელია.

ფერის ზუსტად აღქმაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: თვალის ბადურის მიერ სხვადასხვა კუთხიდან ფერი ერთნაირად ვერ აღიქმება; განათებამ და შუქმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ფერის აღქმაზე (იხ. დანართი სურ. 2 და სურ. 3); მუქი სათვალე, განსაკუთრებით ღამით; წითელი და ლურჯი ობიექტების შედარებისას, ლურჯი ობიექტი უფრო დიდი ჩანს.

თვალი ასევე ძნელად უმკლავდება განათების სწრაფ ცვლილებას. მხედველობის აღდგენისთვის საჭიროა გარკვეული დრო, განათების ცვლილების პროცესში კი აღდგენა ძნელი ან საერთოდ შეუძლებელია. აუცილებელიცაა ცოდნა იმ ფაქტორებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ მხედველობის შეზღუდვაზე: განათებული ადგილიდან ბნელში ან პირიქით სწრაფი გადასვლა ზემოქმედებას ახდენს აღქმაზე, ვინაიდან მხედველობის დაკარგვა, კონტროლის დაკარგვას უკავშირდება (იხ. დანართი სურ. 4 და სურ. 5).

გარდა ამისა მხედველობაზე გავლენას სხვადასხვა ფაქტორებიც ახდენენ. მათგან აღსანიშნავია:

- მანძილი, ზომა:
- დამკვირვებლის მდებარეობა;
- ამინდი (წვიმა, ძლიერი ქარი, ნისლი);
- სულიერი და გონებრივი მდგომარეობა, მაგალითად შიში, მოდუნება (დეტალურად განხილულია შინაგან ფაქტორებში).

სმენა – სმენა იძლევა ბგერის შეგრძნებას და შემჩნევის საშუალებას. ბგერა ორგვარია ხმაური ანუ ჩქამი და ტონი, რომელთა არევა ერთმანეთში შეუძლებელია.

მაგრამ ადამიანის სმენაც შეზღუდულია. ხმაურიან ადგილას ყოფნის შემდეგ ადამიანს სმენის სრულად აღსადგენად გარკვეული დრო ესაჭიროება. გამომძიებელმა უნდა იცოდეს, რომ ჩაკეტილ პატარა სივრცეში ხმაურს, თუნდაც გასროლის ხმას, შეუძლია ადამიანს გარკვეული პერიოდით დააკარგვინოს სმენა.

სმენაზე გავლენას შემდეგი ზოგადი ფაქტორებიც ახდენენ: ხმის წარმოქმნის ადგილის დადგენა უფრო ადვილია ცალი ყურით; მანძილი ხმის წარმოქმნის ადგილამდე განისაზღვრება ხმის ინტენსივობასთან შეფარდებით; გამოცდილ ადამიანებს გაცილებით უადვილდებათ ხმის გარჩევა; ღამით ხმა შორ მანძილზე ისმის; ღამით ხმის გამომცემი ობიექტი უფრო დიდი ჩანს.

ყნოსვა და გემო - სუნისა და გემოს შეგრძნება გრძნობის რეცეპტორებზე ქიმიური ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება. საჭიროა იმ ასპექტების გათვალისწინებაც, თუ რა გავლენას ახდენს ყნოსვისა და გემოს აღქმაზე სხვადასხვა ფაქტორები; სუნის შეგრძნებას ძლიერი ადაპტაცია ახასიათებს, ერთიდაიგივე სუნის ხანგრძლივი მოქმედების შედეგად მგრძნობელობა მის მიმართ ეცემა და ზოგჯერ დროებით ქრება კიდეც. რამდენიმე სუნის შერევის შედეგად ხდება ერთი სუნის მიერ მეორეს ჩახშობა, ზოგჯერ სუნის ნეიტრალიზაცია ან ახალი სუნის შეგრძნება. ბევრი ნივთიერების განსხვავება სუნით არის შესაძლებელი; ბენზინი და მსგავსი ნივთიერებები ადამიანს გარკვეული დროით ყნოსვას აკარგვინებს; სურდოს დროს ადამიანს უჭირს სუნის აღქმა და ამავე დროს გემოს შეგრძნებაც სუსტდება.

გამომძიებელმა კარგად უნდა იცოდეს ის ფაქტორები, რომლებიც გემოზე ახდენენ ზეგავლენას, კერძოდ; გემოთი შეიძლება დადგინდეს ტკბილი, მწარე, მჟავე და მარილიანი ნივთიერებები. შეგრძნებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს საზრდოს მოთხოვნილების მდგომარეობა. გარკვეულ ფარგლებში გემოს განცდა იცვლება იმის მიხედვით, შია ადამიანს თუ არა ან რამდენად შია. ამავე დროს გემოს შეგრძნებაში ადგილი აქვს ადაპტაციას და კიდევ უფრო გამოკვეთილი სახით კონტრასტის მოვლენას. მაგალითად: სოდიანი ხსნარით პირის გამოვლების შემდეგ ჩვეულებრივი წყალი პირველ მომენტში ტკბილი გვეჩვენება. მჟავის შემდეგ ოდნავ მოტკბო საჭმელი ძალიან ტკბილი გვეჩვენება და ა.შ. გემოს შეგრძნება ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა თავიდან ავიცილოთ სახიფათო სიტუაციები, სხვადასხვა მოწამვლები. გემოს ხშირად ადარებენ სუნს.

სხეულის ზედაპირი, კანი - კანი ადამიანის ერთ-ერთი გრძნობის ორგანოა, რომელსაც აღქმის განსაკუთრებულად რთული ფუნქციები აკისრია. სხეულის ზედაპირის, კანის ფუნქციებს ფსიქოლოგები შეხების მოდალობებს უწოდებენ.

ადამიანის შეხებათა შეგრძნებებს უკავშირებენ:

ა. შეხებისას: უბრალოდ შეხებისა და წნევის განცდას; სიმაგრისა და სირბილის განცდას; სიმახვილის და სიბლაგვის განცდას; სიმშრალისა და სინოტივის განცდას;
ბ. ტემპერატურის შეგრძნებას;
გ. ვიბრაციის შეგრძნებას;
დ. კინესთეტური ანუ მოძრაობის შეგრძნებას;
ე. წონასწორობის ანუ სხეულის სივრცეში მდგომარეობის შეგრძნება;
ვ. ორგანული ანუ სასიცოცხლო პროცესებთან (სისხლის მიმოქცევა, სუნთქვა, საჭმლის მონელება და სხვა) დაკავშირებული შეგრძნებას.

შეხების მოდალობებზე ანუ შეხებით აღქმაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: ადაპტაცია გამღიზიანებლების მიმართ, (მაგ. ვერ ვგრძნობთ საათს, ხელს თუ არ ავამოძრავებთ; თბილი წყალი შეძლება ცივად მოგვეჩვენოს, თუ მასში ხელს ჩავყოფთ მას შემდეგ, რაც ხელები ცხელ წყალში გვქონდა); არასტანდარტული მდგომარეობა (ჩხუბის დროს); შეხებით შეიძლება ბევრი საგნის ან მოვლენის დადგენა (სითბო, სიცივე, ვიბრაცია, მუხტი და სხვა).

შეგრძნებების ზოგად ფიზიკურ მახასიათებლებთან ერთად გარკვეულ როლს თამაშობს შინაგანი სუბიექტური ფაქტორები. მაგალითად ადამიანი შეიძლება დალტონიკი იყოს (იხ. დანართი სურ. 6), ჰქონდეს ცუდი მხედველობა ან დაქვეითებული სმენა. დაღლილობა და ასაკიც ახდენს გრძნობის ორგანოებზე გავლენას. (იხ. დანართი სურ. 7)[26] გამომძიებელმა უნდა იცოდეს, რომ სმენის შეზღუდულობამ შეიძლება იმოქმედოს ჩვენების სიზუსტეზე. ხშირად ადამიანები არ აღიარებენ საკუთარ ნაკლოვანებებს, რის გამოც შესაძლოა მოცემული ჩვენება არასარწმუნო აღმოჩნდეს. ამიტომ ზოგჯერ საჭიროა გადამოწმდეს მოცემული ჩვენება.

ადამიანის აღქმაზე მოქმედი გარე ფაქტორები, „ფიზიოლოგიური ილუზიები“. „ფიზიოლოგიური ილუზიები“ და გარე ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა

იქონიოს გრძნობის ორგანოებსა და ადამიანის მიერ მოვლენათა აღქმაზე, შესაძლოა იყოს ინტოქსიკაცია, ოპტიკური და ხმის კვალი ანუ სინათლის ანარეკლი და ექო. (იხ. დანართი სურ. 8). ზოგიერთი ასეთი ზემოქმედების შედეგად აღქმულს, ხალხში მოჩვენებებს ეძახიან. აღქმის ეს ილუზიები (მოჩვენებები) გამოწვეულია ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედებითა და ორგანიზმში მიმდინარე პროცესების გავლენით.[26}

ინტოქსიკაცია - ნარკოტიკის, მედიკამენტების ან ალკოჰოლის გავლენის ქვეშ მყოფ პირებს დარღვეული აქვთ აღქმის უნარი. რამდენადაც შეიძლება გამოიწვიოს ინტოქსიკაციური ილუზიები (იხ. დანართი სურ. 9)[26]

სინათლის ანარეკლი - გარკვეული სახის ანარეკლს შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ვიზუალურ აღქმაზე. მზის ანარეკლში წყლიანი ჭიქა შეიძლება ვერ აღვიქვათ ნორმალურად, (იხ. დანართი სურ. 10 და სურ. 11). წყალში ჩაშვებული ჯოხი ან წყლიან ჭიქაში ჩაშვებული კოვზი გადატეხილად აღიქმება, რისი მიზეზიც სხივების განსხვავებული გარდატეხაა გამჭვირვალე სითხეში და მის გარეთ. მზის კაშკაშა სხივი შესაძლოა ავარიის მიზეზიც გახდეს.[26]

ექო - ხმის ექოც შეიძლება არასწორად იქნას აღქმული. ექოს შეუძლია შეცვალოს ხმის აღქმა. მაგალითად, შენობაში გასროლის დროს ძნელია სროლის ადგილის და გასროლილი ტყვიების რაოდენობის განსაზღვრა. (იხ. დანართი სურ. 12)[26]

შინაგანი, ფსიქოლოგიური ფაქტორები, „ფსიქოლოგიური ილუზიები“. და ბოლოს, მესამე ჯგუფს შინაგანი, ფსიქოლოგიური ფაქტორები ანუ ,,ფსიქოლოგიური ილუზიები'' წარმოადგენს. ეს ის ილუზიებია, რომლებიც ფსიქიკური ფაქტორითაა განპიროვნებული. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ემოციით, ძლიერი აფექტით, ძლიერი სურვილით, მტკიცე რწმენით, დაძაბული მოლოდინით, ძლიერი მოთხოვნილებით, მტკიცე განწყობით ან სხვისი სიტყვების შეგონებით, აღქმის სტრუქტურითა და სხვა ფსიქიკური ფაქტორებით გამოწვეული ილუზიები.

ილუზორული აღქმა - აღქმაზე გავლენას ახდენს ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორიცაა ე.წ. ილუზორული აღქმა. ადამიანები ერთიანობაში აღიქვავენ გარე სამყაროს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში გარკვეულ ელემენტებს საერთოდ არ ჰქონია ადგილი. მხედველობის საბაზო დონეზე ეს ეფექტიც თამაშობს გარკვეულ როლს. ზოგი ადამიანი აღიქვავს ერთ გამოსახულებას, ხოლო სხვები სრულიად

განსხვავებულს. ასეთი ორაზროვანი სურათების ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი მაგალითია ე.წ. რუბინის ,,თასი და პროფილები''. (იხ. დანართი სურ. 13 და სურ. 14)

ეს კარგად ჩანს დანართში მოყვანილი მაგალითიდანაც: ხალხი ჩვეულებრივ პატარ პატარა ზოლებს (იხ. დანართი სურ. 15 და სურ. 16) წრის ნაწილად აღიქვავს,

ბევრისთვის დანართში სურ. 17 მოყვანილი ხაზები არაფრის მთქმელი და უაზროა; გარკვეული ხაზების დამატებით კი (სურ. 18), უმრავლესობა ხედავს სახლის გამოსახულებას;[26]

ეს უფრო მეტად ეხება მხედველობით და სმენით აღქმულ კომბინაციებს. ხშირად ადამიანები წარმოიდგენენ იმას, რაც ესმოდათ. დამკითხველმა ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს ჩვენების უტყუარობა.

ფსიქოლოგიურ ილუზიათა შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით თბილისში წარმოებულმა ექსპერიმენტულმა კვლევამ. ამ კვლევებით დამტკიცდა, რომ ილუზიათა რიგს, რომელიც მანამდე შეგრძნების ორგანოს მოქმედების ეფექტად ითვლებოდა, საფუძვლად უდევს სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა – განწყობა, სახელდობრ ფიქსირებული განწყობა. თუ კი წინასწარ განმტკიცდა, დაფიქსირდა, გარკვეულ ობიექტთა აღქმის განწყობა, შემდეგში მცირედ განსხვავებულ საგანთა აღქმისას ამ ფიქსირებული განწყობის გავლენით ეს საგნები არასწორად, სხვა საგნის მიმართ განმტკიცებული განწყობის შესატყვისად აღიქმება.

საქართველოში დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით წარმოებული კვლევების შედეგად ირკვევა, რომ ფსიქოლოგიურ ილუზიათა დიდ ნაწილს განწყობის ფაქტორი განსაზღვრავს.

შიშის გამო ადამიანი თუ განწყობილი, რომ შებინდებისას მგელი შეხვდება ტყეში, შეიძლება კუნძი ან ბუჩქი მართლაც მგლად აღიქვას. იგივე ადამიანი სხვა პირობებში იგივე კუნძს ან ბუჩქს მგლად არ აღიქვავს. თუ ადამიანი დარწმუნებულია, რომ მას ოდეკოლონში დასველებულ ბამბას აძლევენ დასაყნოსად, ადვილად შეიძლება აღიქვას წყალში დასველებული ბამბის სუნი ოდეკოლონის სუნად, რადგან ამ სუნის აღსაქმელად მტკიცედ იყო განწყობილი.

მუქარით ან შეურაცხყოფით გამოწვეულ ძლიერ ემოციას შეუძლია არსებითად იმოქმედოს ადამიანის აღქმაზე. მაგალითად მძარცველთან პირისპირ შეჯახების შემდეგ გამოწვეულმა ემოციამ შეიძლება გამოიწვიოს იმის დავიწყება, თუ როგორ გამოიყურებოდა მძარცველი, ან შეიძლება თქვას, რომ მას დიდი დანით ემუქრებოდნენ, მაგრამ ეს დანა სულაც არ ყოფილიყო დიდი.

განწყობა და ემოციურობა იჩენს თავს მაშინაც, როცა საქმე გვაქვს დროის აღქმასთან. თეორიით და პრაქტიკით არის დადგენილი, რომ პიროვნების დადებითი ემოციებით განწყობის შემთხვევაში დრო შედარებით მალე გადის, ვიდრე სინამდვილეში და პირიქით - პიროვნების უარყოფითი ემოციების შემთხვევაში დროის ფაქტორი უფრო ხანგრძლივად გვეჩვენება, ვიდრე ამას სინამდვილეში აქვს ადგილი.

აღქმის პროცესის ბუნების კიდევ ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ შეგრძნების ორგანოებიდან სიგნალი ცნობიერ დონემდე ასვლის დროს განიცდის პიროვნულ ინტერპრეტაციას. ადამიანს ინტერპრეტაციის უნარი უვითარდება ცხოვრების დასაწყისიდან, სწავლის პროცესში. ახალდაბადებული არასრულწლოვანის აღქმა შედგება ერთმანეთში არეული შეგრძნებებისაგან, რომელთაც არა აქვთ გარკვეული მნიშვნელობა. დროთა განმავლობაში ის თანდათანობით სწავლობს სიგნალთა მნიშვნელობას, მას ესმის დედის ხმა და ხედავს მის სახეს, რაც ნიშნავს მისთვის, რომ მოუვლიან და აჭმევენ. შემდეგ არასრულწლოვანი უკვე სელექციურად აღიქვავს სამყაროს, ახერხებს ყურადღება მიაქციოს მისთვის საჭირო საგნებს, როდესაც სამყაროს სტრუქტურირებას ახდენს, არასრულწლოვანი საგანთა მნიშვნელობებსაც წვდება.

ასეთი ორიენტაცია გარე სამყაროში გრძელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში. რაც უფრო კარგად ვიცნობთ ადამიანებსა და საგნებს, მით უფრო ნაკლები დაკვირვება გვესაჭიროება მათ ამოსაცნობად. ჩვენ შეგვიძლია თვალის მოკვრით ან ნაბიჯების ხმით ვიცნოთ ჩვენი უახლოესი მეგობარი.

რამდენადაც შეგრძნების ორგანოების აღქმითი შესაძლებლობები შეზღუდულია, ჩვენი ინტერპრეტაცია გარე სამყაროს შესახებ ეყრდნობა არასრულ ინფორმაციას. ეს შეზღუდულობა რამდენადმე კომპენსირდება იმით, რომ ინტერპრეტაციის პროცესი ეყრდნობა აგრეთვე ადრეულ გამოცდილებას, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ჩვენ სამყაროს ადეკვატურად აღვიქვათ. ჩვენი ნებისმიერი აღქმითი პროცესი აუცილებლად შეფერილია პიროვნული გამოცდილებით.

ავიღოთ მაგალითად მეტყევე, სამხედრო მოსამსახურე ოფიცერი და პოეტი, რომლებიც ერთად სეირნობენ ტყეში და არავითარი სხვა მიზანი არ გააჩნიათ. სამივე ხედავს ერთი და იგივე მდელოებს, ბილიკებს, მზის ნათებას, ხეებს, ბუჩქებს, მაგრამ აღქმა სამივეს სხვადასხვანაირი აქვთ. მეტყევე აკვირდება ხეებს, მათ ლპობას, უსისტემო განლაგებას, ცხოველების კვალს. სამხედრო ოფიცერი ამჩნევს ადგილებს სადაც შეიძლება ჩასაფრება, ნაღმების დადება, ხოლო პოეტი კი მათნაირად ნამდვილად ვერ დაინახავს.

არავის შეუძლია თქვას, რომ რომელიმეს მიერ აღქმული სამყარო მცდარია. ისინი განპირობებულია განსხვავებული პიროვნული ინტერესებით, გამოცდილებითა და თავისებურებებით, გარდა ამისა ინფორმაციის მიღების შეზღუდული უნარის გამო ადამიანები მოვლენებს მათთვის მისაღებ, მათთვის დამაჯერებელ ფორმას აძლევენ ინტერპრეტაციის პროცესში. როდესაც არსებობს შერჩევითი დამოკიდებულება ფაქტისადმი, ადამიანები მათ მთლიანობაში აერთიანებენ ლოგიკური დამაჯერებლობის თვალსაზრისით. ასეთი მცდარი გაგება ფაქტებისა ყოველთვის მოითხოვს მათი ნამდვილი მიმდინარეობის აღდგენას.

განწყობა ადამიანების მიმართ ყოველთვის ახდენს გავლენას ფაქტების ინტერპრეტაციაზე. თუ ორი ბიჭი ჩხუბობს, ერთი მათგანი ,,კარგი'' რეპუტაციის არის, მეორე კი ,,ცუდი'', გინდაც ,,კარგი'' რეპუტაციის ბიჭი იყოს დამნაშავე, ადვილად დამაჯერებელია, რომ მასწავლებელმა ან სხვა ,,ობიექტურმა'' პირმა ვერ გამოიტანონ სწორი დასკვნა; ,,კარგი'' ბიჭი ჩხუბობს თავდასაცავად, ხოლო ცუდი თავს ესხმის. ადამიანებს ყოველთვის აქვთ განსხვავებული განწყობა გარშემო მყოფ ხალხზე. ეს ურთიერთობა მუშავდება მათ ქცევაზე დაკვირვებით და აუცილებლად განიცდის პიროვნულ ფაქტორების, გარკვეული მოლოდინების ზეგავლენას. ამ მოლოდინების შესაბამისად ჩნდება პიროვნებისათვის სიმპათიური და უსიმპათიო ხალხი.

ზემოთ ჩამონათვალის შეჯამების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ორიენტაცია გარე სამყაროში არის ბიოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც ინფორმაციის მიმღები აპარატის შეზღუდული უნარი კომპენსირდება ინტერპრეტაციის უნარით და ამგვარად წარმოდგება მთელი გარე სამყაროს სურათი. აღქმის პროცესში შესაძლებელია გადახრები რეალობიდან, რომელთაც განაპირობებს:

- აღქმის სელექციური ხასიათი, რომელიც ზღუდავს გარეშე სიგნალების ინტერპრეტაციას და ემყარება ინდივიდის ადრეულ გამოცდილებას;
- ლოგიკური შევსების მექანიზმი, რომელსაც ხშირად მივყავართ მოვლენების არარეალური მსვლელობის აგებამდე;
- განწყობები, პიროვნული ინტერესები და სიმპათიები, რომელიც წინ უსწრებს აღქმის მონაცემების ინტერპრეტაციას.

1.2. დამახსოვრება. დამახსოვრება არის ჩვენების ფორმირების პროცესის მეორე საფეხური, რომლის დროსაც აღქმული საგნების, გარემოებების, მოვლენების, ფაქტების შესახებ ცნობები ადამიანის დიდი ტვინის ქერქში მყარდება და უცვლელი რჩება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. გამომძიებლებს დაკითხვისას უპირველეს ყოვლისა აინტერესებთ დასაკითხის მოგონებები მოვლენებზე, რომლებიც მათ განიცადეს.

ისე, როგორც აღქმაზე, დამახსოვრებაზეც გავლენას ახდენს მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური, ფაქტორები, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო აღნიშნული.

დამახსოვრება ისე, როგორც აღქმა, შეიძლება იყოს ორი სახის: თვითნებური და უნებური. პირველ შემთხვევაში დამახსოვრების დრო და ხარისხი უფრო დიდია და სრულყოფილი, რადგან პირი ცდილობს დაიმახსოვროს აღქმული საგნები და მოვლენები. დამახსოვრების ამ სახისათვის დამახასიათებელია გააზრებული მოქმედება. უნებური დამახსოვრების დროს აღქმული საგნებისა და მოვლენების დამახსოვრება ხდება ყოველგვარი ძალის დატანების გარეშე – მექანიკურად. ამიტომ დამახსოვრების დრო და ხარისხი შედარებით დაბალია.

ადამიანის ფსიქიკაში აისახება არა მხოლოდ ამჟამად მოცემული გარემო საგნები, რომელნიც ამჟამად ფიზიკურად ზემოქმედებს მასზე, არამედ წარსულში განცდილიც, წარსულში აღქმული, გაგებული, გააზრებული და ასე შემდეგ. ინდივიდის მიერ წარსულში განცდილის ამა თუ იმ სახით ასახვა მის ფსიქიკაში მეხსიერების გამოვლინებას წარმოადგენს. ადამიანს აქვს უნარი მოვლენების მოგონებებით ანუ ცნობიერი ხატების წარმოდგენის საშუალებით აღიდგინოს თავისი ადრეული დაკვირვებები ან ფაქტები, რომელშიც მას მონაწილეობა მიუღია. ასეთი ,,მოვლენების მოგონებები'' ანუ ,,ხატები'' ემყარება წარმოდგენებს, რომელთაც ინდივიდი ინახავს მოვლენის შესახებ. ზოგიერთი მეცნიერი მას აღნიშნავს

გამოთქმით ,,მეხსიერების ხატები'' ან ,,მეხსიერების ხატების სიზუსტე''. ჩვენ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს დაკითხვისას რეალური მოვლენების პიროვნების მეხსიერებიდან ამოღებასთან, ამ ტერმინით აღინიშნება ის ძირითადი, რისი გადმოცემაც უნდა ადამიანს ის, თუ რამდენად ზუსტად შეიძლება აღიდგინოს ადამიანმა თავისი ადრეული დაკვირვებანი.

მოვლენების დამახსოვრების უნარი დამოკიდებულია სხვადასხვა მრავალი ხასიათის ფაქტორებზე და პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებზე. ერთი პიროვნება ადვილად იმახსოვრებს იმას, რაც დაკავშირებულია მხედველობასთან, მეორე - იმას, რასაც კავშირი აქვს სმენადობასთან, მესამე -შედარებით უკეთ იმახსოვრებს დროს და მის ხანგრძლივობას, მეოთხე - საუბრის შინაარსს, მეხუთე - საგნების ფორმასა და მოცულობას, მეექვსე - ყველაფერ იმას, რაც დაკავშირებულია მოძრაობასთან, მეშვიდე - ყველაფერ იმას, რაც დაკავშირებულია ემოციებთან, ამავე დროს ერთი და იგივე პიროვნებას შესაძლებელია ჰქონდეს უნარი, რომ ერთდროულად დაიმახსოვროს ნანახიც, მოსმენილიც, მოძრაობაც და ასე შემდეგ. რადგანაც ყველა ინდივიდი თავისებურად, სუბიექტური აქცენტით ღებულობს რეალობას, ,,მეხსიერების ხატებიც'' ძალიან ძნელი განსასაზღვრია. შემადგენლობის მიხედვით ისინი ცვალებადი და არამდგრადი არიან.

დასაკითხის მოგონებები მოვლენებზე ანუ მეხსიერების ხატები, რომლებიც პიროვნების ინტერესს არ იპყრობენ, სწრაფწარმავალნი არიან. ბევრი ადამიანისთვის ძნელია გაიხსენოს, თუ ამ დღეს რა მოხდა, რას აკეთებდა რამდენიმე დღის უკან, მით უმეტეს რამოდენიმე წლის წინ, თუ მას შესაძლებლობა არ მიეცა რეკონსტრუქცია გაუკეთოს იმ დღეს, დროს, რომლის განმავლობაშიც რაიმე მნიშვნელოვანი არ მომხდარა. მაგრამ მოვლენების მნიშვნელობაც არ განსაზღვრავს მათ დიდხანს არსებობას მეხსიერებაში ე.წ. ,,მეხსიერების ხატებად''. დროის განმავლობაში ისინიც იცვლებიან, ან იკარგებიან., გვავიწყდება მოვლენების მიმდევრობა, გვერევა დეტალები ან ახლებურად ვაკავშირებთ მათ. როდესაც დრო გადის, ადამიანს ახსოვს მხოლოდ მოვლენის არსი, ძირითადი ნაწილი. ასე რომ, დროის ფაქტორი გავლენას ახდენს მესხსიერებაზე. პიროვნება შედარებით სრულად და ზუსტად იმახსოვრებს გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს მოკლე დროის მანძილზე. რაც უფრო დიდი დრო გავა აღქმიდან ჩვენების მიცემამდე, მით უფრო დაბალია დამახსოვრების სიზუსტე.

გარდა დროისა, დამახოვრებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. მათ შორის თვით პიროვნების სურვილი, დაიმახსოვროს აღქმული გარემოება. ასეთ შემთხვევაში დამახსოვრების სისრულესთან გვაქვს საქმე; აღქმული საგნების კარგი ცოდნა - რაც უფრო კარგად იცის პიროვნებამ აღქმული საგნებისა და ფაქტების პარამეტრები, მათი ნიშანთვისებები, მით უფრო კარგად იმახსოვრებს მას; შთაბეჭდილების სიძლიერე - პიროვნება შედარებით კარგად იმახსოვრებს იმ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებმაც მასზე მოახდინეს დიდი შთაბეჭდილება და პირიქით; პიროვნების პროფესია - დასაკითხი პირი შედარებით უკეთ იმახსოვრებს იმ მოვლენებს, რაც დაკავშირებულია მის პროფესიულ ცოდნასა და პროფესიულ ჩვევებთან; პიროვნების ასაკი – რაც უფრო ასაკოვანია პიროვნება, მით უფრო ნაკლები დროის განმავლობაში იმახსოვრებს ფაქტებსა და მოვლენების არსებობას და მათ ნიშან-თვისებებს. პიროვნების ფიზიკური მდგომარეობა - მისი ჯანმრთელობა, დაქანცულობა, სიფხიზლე და სიმთვრალე, ფიზიკური ხასიათის ნაკლოვანება; პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობა – ნერვიული კავშირების მოშლა, გონებრივი განვითარების ჩამორჩენა, შიშის თუ სიხარულის გრძნობა, ადამიანის ტემპერამენტი (შედარებით კარგად იმახსოვრებს ფაქტებს და მოვლენებს დინჯი, ფლეგმატური, მელანქოლიური პიროვნებები, ვიდრე ექსპანსიური და სწრაფი აღგზნების პირები).

მეხსიერების სპეციფიკური ფენომენია რეტროაქტიური და პროაქტიური შეზღუდვები. ეს მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ვცდილობთ გავახსენოთ პიროვნებას ისეთი რამ, რაც დამაკავშირებელი რგოლია მსგავს მოვლენათა შორის. მოვლენები, რომლებიც მოვლენათა ჯაჭვში პირველები არიან, ზღუდავენ მომდევნო მოვლენების ზუსტად რეკონსტრუქციის უნარს (პროაქტიური შეზღუდვა). ასევე ძნელი ხდება მოვლენების ზუსტად გახსენება, თუ მის შემდეგ აღქმული იქნა ბევრი მსგავსი მოვლენა (რეტროაქტიური შეზღუდვა). ეს შეზღუდვები (ცვლილებები) უნდა განვიხილოთ, როგორც გამარტივების მექანიზმები, რომლებიც უადვილებს მუშაობას შთაბეჭდილების მიმღებ აპარატს. აქედან გამომდინარე, მეხსიერება, მოლენების მოგონებები ,,ხატები'' გამარტივებული ფორმით წარმოდგებიან, ამარტივებენ ნამდვილი მოვლენის სურათებს. ხშირად მრავალი მსგავსი მოვლენის ადგილას ერთი მათგანი იკავებს ადგილს, სხვები კი ქრებიან.

ორივე პროცესი, უმნიშვნელო დეტალების თანდათანობითი მივიწყება და მეხსიერების ,,ხატებისათვის'' ინდივიდუალური ხასიათის მიცემა, მეტად თუ

ნაკლებად ავტომატურად ხორციელდება. სელექციური მექანიზმი შეიძლება მივიჩნიოთ მეხსიერების პროცესის განუყრელ ნაწილად. ადამიანები ადვილად იხსენებენ იმას, რაც პერსონალურად აღელვებთ; ან კიდევ ისეთ რამეს, რაც ადრეული გამოცდილების შედეგად აგებულ სამყაროს სურათს შეესაბამება. ამიტომ მეხსიერებაში ძირითადად რჩება დაკვირვებები და მოვლენები, რომელთა დახმარებითაც ადამიანები აცნობიერებენ საკუთარ მოტივებსა და მისწრაწფებებს, ხოლო უმნიშვნელო მოვლენები უკვალოდ ქრება.

მეხსიერების სელექციური პროცესია დავიწყებაც. ამ დროს საოცარი ძალის მქონეა ადამიანის მიკერძოება და პატივმოყვარეობა. რაც დრო გადის, მეხსიერების შინაარსი უფრო და უფრო ღებულობს პიროვნულად სასურველ სახეს. დამოკიდებულება წარსულთან ადამიანებს მოაგონებთ თავისივე სიზმარს. იშვიათად აცნობიერებენ, რომ მეხსიერება ატყუებთ. დროის ცვლასთან ერთად, რეალობის სურათს ცვლის ლოგიკურად შევსებული ნიღაბი, რომელსაც რეალობად მიიჩნევენ. ამასთან, თუ მათი მეხსიერების საკითხი დაისვა, ღრმად შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს.

ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ ადამიანი თითქმის ნახევარს ივიწყებს პირველ ნახევარ საათში, 1/3-ს 9 საათის განმავლობაში, ¼1/4-ს 3 დღის განმავლობაში და 1/5-ს 1 თვის განმავლობაში. (იხ. დანართი სურ. 23)

როგორც აღქმის ხარვეზები ივსება ადრეული გამოცდილების მასალით, ასევე მეხსიერება მარაგდება ისეთი მასალით, რომელიც აქტუალურ შინაარსს არ ეხება. ასეთი შევსების შინაარსი ზოგჯერ განპირობებულია ინდივიდუალური მოთხოვნილებებით. აგრეთვე შესაძლოა სხვა მხრივ არასრული შინაარსის ლოგიკური სრულყოფა. სპეციფიკური არახელსაყრელი პირობებით შეცვლილი მეხსიერება (,,მეხსიერების ხატი'') ხშირად იძენს სრულიად ახალ შინაარსს, რომლის გავლენაც უმართავი ხდება. ჩვეულებრივ პირობებში დაკარგული ან ფრაგმენტირებული მეხსიერება ივსება შთაბეჭდილებებით. ასე იოლად ხდება, როცა დაკვირვების დროს არავინ იცის, რომ მოვლენა შემდეგში მნიშვნელოვანი გახდება.

ზემოთ ვთქვით, რომ მეხსიერებას და აღქმას ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან:

- მეხსიერება სელექციური პროცესია. მოვლენების მოგონებები (,,მეხსიერების ხატები''), რომელიც გარკვეული გზით განმტკიცდება პიროვნების ფსიქიკაში, ხასიათდება მეტი სტაბილურობით.

- მეხსიერების („მეხსიერების ხატის'') დავიწყებული ნაწილის აღდგენა ხშირად ლოგიკურად მისაღები შინაარსით ხდება.
- სხვადასხვა შემთხვევაში, მივიწყებული შინაარსის აღდგენა ხდება პიროვნების მოთხოვნილებისა და ინტერესების შესაბამისად.
- მეხსიერების სისუსტე განიცდის მოსაზღვრე მასალის გავლენას. რაიმე მოვლენის გახსენების დროს შესაძლებელია დეტალური ან მთლიანი ჩანაცვლება უფრო გვიანდელი მოვლენით.
- მეხსიერების ცვლილება გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. ამ პროცესით გამოწვეული უზუსტობები უფრო მნიშვნელოვან ხასიათს იღებს, ვიდრე აღქმის პროცესის თანმხლები შეცდომები.

1.3. გადმოცემა (რეპროდუქცია). არის ჩვენების ფორმირების პროცესის ბოლო მესამე სტადია, რომლის დროსაც ხდება აღქმული და დამახსოვრებული მოვლენის, ფაქტების, ნიშან თვისებათა აღდგენა და გადმოცემა.

ინფორმაციის გადმოცემა ხდება კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც მყარდება დასაკითხსა და დამკითხავს შორის. ამ დროს საჭირო ხდება ადრე ნანახი მოვლენების, ფაქტების, საგნების პარამეტრების და დავიწყებული ნიშან თვისებების აღდგენა, ასევე საჭირო ხდება ჩვენების მომცემის ხასიათის ამოცნობა, რათა დარწმუნებული ვიყოთ, გვაძლევს თუ არა დასაკითხი სწორ ჩვენებას, ხომ არა აქვს ადგილი პირადი დაინტერესების მიზნით ფაქტების განზრახ დამახინჯებას, ტყუილს, ფანტაზიას. როგორც ვიცით, დაკითხვის ძირითადი ამოცანა სწორედ ის არის, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებულ იქნას სწორი და ზუსტი ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციის მიღება გარკვეულწილად ძნელიც კი არის ცალკეულ შემთხვევებში, თუნდაც მაშინ, როდესაც დასაკითხი პიროვნება აშკარად არ გვაძლევს და არც სურს მოგვცეს ზუსტი ჩვენება. კომუნიკაციის დამყარების არცოდნამ, შეიძლება უარყოფითი შედეგი გამოიღოს ჩვენების ფორმირების პროცესზე.

ჩვენ შემთხვევაში კომუნიკაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც ინფორმაციის გადაცემა და მიღება, სწორად და სრულად ფორმირებული ჩვენების მიღების მიზნით. კომუნიკაციის არასწორად დამყარებამ შესაძლოა უარყოფითი შედეგი გამოიღოს დაკითხვაში მონაწილე ყველა მხარისათვის და ვერ მოხერხდეს ჩვენების სწორად მიღება. ამ მხარეებს კი წარმოადგენენ: მოწმეები, დაზარალებულები,

ეჭვმიტანილები, ბრალდებულები, გამომძიებლები, პოლიციელები და სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებსაც დაკითხვასა და გამოკითხვაში მონაწილეობის პროცესუალური უფლება გააჩნიათ. დამკითხავებისათვის კომუნიკაციის უნარ ჩვევების ცოდნა განაპირობებს დასაკითხებიდან აღქმული და დამახსოვრებული მოვლენის, ფაქტების, ნიშან თვისებათა აღდგენისა და გადმოცემის პროცესის კარგად წარმართვას, რათა დავასრულოთ ჩვენების ფორმირება და მივიღოთ სრული ჩვენება.

2. კომუნიკაცია. ეფექტური კომუნიკაცია თითოეული ჩვენგანის მამოძრავებელი ძალაა, რა ტიპის კომუნიკაციაც არ უნდა იყოს ეს: წერითი, ზეპირი, დახვეწილი, დასახვეწი, ფორმალური, არაფორმალური, შიდა კომუნიკაცია თუ გარე კომუნიკაცია. კომუნიკაცია არის ქმედება, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გადაცემა ერთი პირისგან მეორეზე ან პირიქით, საერთო სიმბოლოების დახმარებით. კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობს გამგზავნი ანუ ინფორმაციის გადამცემი, გზავნილი (მესიჯი) ანუ ინფორმაცია, საკომუნიკაციო არხი და ინფორმაციის მიმღები.

როგორც აღვნიშნეთ, კომუნიკაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გადაცემა ერთი პირისგან მეორეზე საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოების დახმარებით. ეს სიმბოლოები შეიძლება იყოს მხედველობითი, სმენითი, გააზრებული და გაუაზრებელი. ძირითადი საკომუნიკაციო პროცესი არის ინფორმაციის გაგზავნისა და მიღების სისტემა.

გამგზავნი არის პირი, რომელიც ქმნის და კოდირებას უკეთებს ინფორმაციას, გზავნილს (მესიჯს) და შემდეგ ,,უგზავნის" მას მიმღებს.

გზავნილი, ინფორმაცია არის მომზადებული შეტყობინება. ხდება გზავნილის კოდირება შემდეგი სიმბოლოებით, მაგ: ვერბალური, წერითი ან არავერბალური ფორმებით – და საკომუნიკაციო არხის საშუალებით ხდება მისი გადაცემა მიმღებზე. ყველაზე ხშირად გამოიყენება უშუალო (პირისპირ) ურთიერთობა; კომუნიკაციის სხვა სახეებია, მაგ: წერილები, გაზეთები, სატელეფონო საუბრები, ტელევიზია, ელექტრონული ფოსტა, წიგნები.

მიმღები არის პირი, რომელიც ახდენს გზავნილის (მესიჯის) დეკოდირებას, რაც მიმართული იქნება მიმღებისგან. დეკოდირება ნიშნავს სიმბოლოების გარკვევას (გაშიფვრას). როგორც წესი, ეს კომუნიკაციის პროცესის ყველაზე კრიტიკული ეტაპია და ვერბალური კომუნიკაციის დროს მოითხოვს მოსმენის განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს.

კომუნიკაციის სწორად დამყარებისთვის საჭიროა, განხორციელდეს შემდეგი პროცესები:

- გამგზავნი ახდენს მესიჯის სწორად კოდირებას;
- საკომუნიკაციო არხი უნდა იყოს თავისუფალი, ბარიერებისა და დაბრკოლებების გარეშე;
- მიმღები ახდენს გზავნილის სწორად დეკოდირებას;
- გამგზავნი მიმღებს აწვდის ინფორმაციას და ელოდება მის პასუხს.

კომუნიკაციის სამი მეთოდი, რომლის გამოყენებაც შეიძლება და რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინფორმაციის გადაცემა, არის შემდეგი:

ზეპირი ანუ ვერბალური კომუნიკაცია. ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება კომუნიკაციის დასამყარებლად არის ზეპირი ანუ ვერბალური ფორმა. ზეპირი კომუნიკაციის გავრცელებულ ფორმებში იგულისხმება სიტყვის წარმოთქმა, ორი ადამიანის ან ჯგუფური დისკუსიები, ასევე ახლობლური (არაოფიციალური) მასლაათი ან ჭორაობა.

1. დადებითი მხარეები

- სისწრაფე: ვერბალური გზავნილების გადაცემა და მასზე რეაგირება ხდება ძალზე მოკლე დროში.
- რეაგირება: თუ მიმღები ზუსტად ვერ იგებს გზავნილის შინაარსს, სწრაფი რეაგირების საშუალებით გამგზავნს შესაძლებლობა ეძლევა მალევე შეასწოროს ინფორმაცია, რომ გასაგები გახდეს მიმღებისთავის.

2. უარყოფითი მხარეები

- დამახინჯება: რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება გზავნილის გამტარი, მით უფრო მეტია მისი დაზიანების ალბათობა. სამართალდამცავ სტრუქტურებში გადაწყვეტილებებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემა სხვადასხვა იერარქიულ

საფეხურზე სწორედ ვერბალური ფორმით ხდება. აქ უკვე ჩნდება მყარი საფუძველი იმისა, რომ გზავნილი დამახინჯდეს.

- პიროვნების აქცენტი, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალების ზეგავლენის ქვეშ ყოფნით გამოწვეული გაუგებრობა, ან ფსიქიკური აშლილობა.

წერილობითი კომუნიკაცია - გულისხმობს მემორანდუმებს, წერილებს, ორგანიზაციის მიერ გამოცემულ მასალებს ან ნებისმიერ სხვა საშუალებას, რისი გადატანაც ხდება დაწერილი სიტყვებით ან სიმბოლობით.

1. დადებითი მხარეები

- წერილობითი კომუნიკაცია არის მუდმივი, ინახება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არის აშკარა და შესაძლებელია მისი მტკიცებულებად გამოყენება. როგორც წესი, ორივეს - გამგზავნსაცა და მიმღებსაც აქვთ ჩანაწერები.
- შესაძლებელია წერილობითი გზავნილის შენახვა. თუ მის შინაარსთან დაკავშირებით გაჩნდება კითხვები, ფიზიკურად შესაძლებელია მისი მოგვიანებით გამოყენება.
- სიტყვების ჩაწერისას უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო, ვიდრე ზეპირი მეტყველებისას. წერილობითი კომუნიკაცია მეტი დაფიქრების შედეგია და, შესაბამისად, არის ლოგიკური და ნათელი.

2. უარყოფითი მხარეები

- წერილობით კომუნიკაციაზე უფრო მეტი დრო იხარჯება. ერთი და იგივე ინფორმაცია ზეპირი ფორმით შესაძლოა ათ წუთში გადმოვცეთ, ხოლო მის წერილობით გადატანაში მთელი საათი დაგვჭირდეს.
- წერილობითი კომუნიკაციის დროს შეუძლებელია სწრაფი რეაგირება. ეს არის ზეპირი ფორმისგან მკვეთრად განსხვავებული ფორმა, რომლისგან გამომდინარეც მიმღებს არ ეძლევა საშუალება, სწრაფი რეაგირება დააფიქსიროს გზავნილთან მიმართებაში.
- ნაკლები შარმი აქვს, შეცდომები გვხვდება პუნქტუაციასა და ორთოგრაფიაში.

არავერბალური კომუნიკაცია - ნიშნავს სიტყვების გარეშე, სხვა საშუალებებით გზავნილის გადატანას.

ზოგჯერ კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილი არც ვერბალური და არც წერილობითი ფორმით არ გამოიხატება. კვლევები გვიჩვენებს, რომ ორი ადამიანის უშუალო კომუნიკაციის დროს გზავნილის გადატანა ხდება შემდეგნაირად:

- ჟესტ-მიმიკის ენა - 60 %
- ხმის ტემბრი - 30 %
- ჩვეულებრივი სიტყვები - 10 %

კვლევებმა აჩვენა, რომ კომუნიკაციის 80-90 პროცენტი არავერბალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის მხოლოდ 10 დან 20 პროცენტამდე გადმოიცემა სიტყვებით. არავერბალურ კომუნიკაციას გაცილებით მეტი გამოყენება აქვს, ვიდრე ვერბალურს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ორ ადამიანს შორის კომუნიკაციის დროს 90 % მოდის ჟესტ-მიმიკის ენასა და ხმის ტემბრზე.

პირისპირ შეხვედრის დროს ქვეცნობიერად ჩნდება თითქმის შეუღწეველი კედელი, ბარიერი. რას ფიქრობს სხვა ადამიანი? რის გაკეთებას შეეცდება ის? შეიძლება თუ არა ადგილი ჰქონდეს ვერბალურ ან ფიზიკურ წინააღმდეგობას, კონფრონტაციას? არც ერთ მხარეს არ შეუძლია წინასწარ ივარაუდოს, რა მოხდება მომდევნო წამების განმავლობაში.

3. არავერბალური ინფორმაციები

3.1. არავერბალური გზავნილები - მესიჯები. სიტყვები პიროვნების მიერ გადმოცემული მთლიანი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს გადმოსცემენ. ინფორმაციის 80-90% არავერბალურია. ვერბალური ლათინური სიტყვაა და ზეპირს ნიშნავს ე.ი. მხოლოდ სიტყვებით ნათქვამს, ხოლო არავერბალური – არაზეპირს. ჩვენს შემთხვევაში ეს ადამიანის ქცევებით, ტონით, მიმიკით, ჟესტიკულაციით მოწოდებული ინფორმაციაა, მას სიტყვიერი პორტრეტის მეთოდიკაში დინამიკურ ნიშნებს უწოდებენ. პოპულარულ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი არავერბალური გზავნილების (მესიჯების) სახელითაა ცნობილი.

ამიტომ კარგად მოსმენაში იგულისხმება ის, რომ დამკითხავი უნდა ისმენდეს არა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც სიტყვებით გადმოიცემა, არამედ უნდა ჩაწვდეს

მათ მნიშვნელობას, უნდა დაუკვირდეს ხმის ტონს, აფიქსიროს თვალების მოძრაობა, სახის გამომეტყველება, სხეულის და კიდურების მოძრაობა, ჩაცმულობაც კი.

ემოცია, დამოკიდებულება სხვადასხვა მოვლენებთან (პოზიცია, შეხედულება) ჩვეულებრივ, გამოიხატება არავერბალური გზავნილებით და ხშირად მათი გადმოცემა მხოლოდ სიტყვებით ძალიან რთულია. მაგალითად, მსმენელმა შესაძლოა თქვას, ,,მე ძალიან მაინტერესებს ის, რასაც თქვენ ამბობთ'', მაგრამ თუ ამას არ მოჰყვა შესაბამისი სახის გამომეტყველება, არ იქნა თქმული შესაბამისი ტონით, არ ახლდა სხეულის ან კიდურების შესაბამისი მოძრაობა, ზემოთქმული ნაკლები ინტერესის გამომხატველი იქნება და რაღა თქმა უნდა, ის ვერ დაარწმუნებს სუბიექტს, რომ მისი ნათქვამი მართლა აინტერესებს ვინმეს.

იმ დროს, როდესაც გამოუცდელმა დამკვირვებელმა შესაძლოა შემთხვევით აღმოაჩინოს სიცრუე ნათქვამში, არსებობენ პირები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სიცრუის აღმოჩენასთან და გაცილებით უფრო გაწაფულები არიან არავერბალური გზავნილებების საშუალებით სიცრუის დადგენაში, ვიდრე გამოუცდელები. პოლიგრაფისტები ხშირად თავიანთი ტექნიკური საშუალებების (მოწყობილობების, აპარატურის) დაუხმარებლადაც ადვილად ახერხებენ ნათქვამში სიცრუის აღმოჩენას (დეტექტირებას), მხოლოდ დაკვირვების და გულისყურით მოსმენის საშუალებით. პროფესიონალი ბანქოს მოთამაშეები ასევე გაწაფულნი არიან სიცრუის დეტექტირების თვალსაზრისით. სწორედ ადამიანში მიმდინარე ფსიქოლოგიური პროცესების უკეთ აღქმის შესაძლებლობა განასხვავებს მათ არაპროფესიონალებისაგან.

კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი ვინც ცრუობენ, ერიდებიან თვალებით კონტაქტს, ნაკლებად ამოძრავებენ თავს, მათ მეტყველებაში შეიმჩნევა ბევრი შეცდომა, ლაპარაკის სიჩქარე შედარებით დაბალია. ფეხის ტერფები ხშირად ყველაზე უფრო კარგ საშუალებად გვევლინება სიცრუის აღმოჩენის (დეტექტირების) თვალსაზრისით, შემდეგ კი - ხელები და სახის გამომეტყველება. უნდა აღინიშნოს, რომ სახის გამომეტყველების საშუალებით სიცრუის დეტექტირება, სხვა წყაროებთან შედარებით, რთულია. სიცრუის გამოჟონვა სახის გამომეტყველებაში შესაძლებელია გამოიხატოს თვალების წამიერი გაფართოებით. სახის გამომეტყველებაში მიკროცვლილებების შემჩნევა მაშინვე უნდა მოხდეს, სხვა შემთხვევაში სუბიექტი

ახერხებს მათ მასკირებას (დაფარვას). ლიტერატურიდან მრავალი მარტივი წესის შესწავლაა შესაძლებელი, რომლებიც ეხება არავერბალურ კომუნიკაციას. მსმენელი, დამკითხავი ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოს, რომ შეამჩნიოს არავერბალური გზავნილები. მან უნდა იცოდეს ამ არავერბალური ნიშნების რაობა და უნდა შეეძლოს შეიცნოს და გააანალიზოს ისინი.

სიცრუის მანიშნებელი ასევე შესაძლებელია იყოს ნორმიდან გადახვევაც, თუ დამკითხავი კარგად დააკვირდება დასაკითხის ქცევის ნორმებს დაკითხვის საწყის ეტაპზე, იმ დროს, როდესაც ხდება ,,შაბლონური'' (უბრალო) შეკითხვების დასმა და რომლებზეც მოსალოდნელია სწორი პასუხის მიღება, მაშინ ადვილი შესამჩნევი გახდება მისთვის ქცევაში ცვლილება, როდესაც დასაკითხს დაუსვამს კრიტიკულ შეკითხვებს (რომლებზეც მოსალოდნელია, რომ დასაკითხი იცრუებს). პიროვნების თავდაპირველი ქცევის ნორმიდან გადახრა მისი სიცრუის მანიშნებელია. არავერბალური და ვერბალური ნიშნების არდამთხვევაც ასევე სიცრუის მანიშნებელია. მაგალითად: ზრდილობიანი სიტყვების გამოყენება გაბრაზებული ხმის ტონის თანხლებით.

კომუნიკაციების კვლევებმა აჩვენა, რომ ეჭვის წარმომქმნელია ისეთი მომენტები, როგორიცაა დაკითხვის დროს სუბიექტის მიერ უკიდურესი უხეშობა ან პირიქით, ისე მოქცევა, თითქოს ძალზე მოხარულია, დაკითხვაზე რომ იმყოფება. საეჭვოა ისეთი პასუხები, რომლებიც ან ძალიან მოკლეა ან ძალიან ვრცელი.

კომუნიკაციის სხვადასხვა არხების კონტროლი, ერთსა და იმავე დროს, ძალიან რთულია. ამიტომ ამ საკითხზე შემდგომშიც გავამახვილებთ ყურადღებას.

ყველა ჩვენგანშია საშინელი მიდრეკილება რჩევების მიცემისა და კრიტიკისაკენ. ეს ამახინჯებს მოწმისა თუ ეჭვიტანილისაგან მიღებულ ინფორმაციას.

როგორც აღვნიშნეთ არავერბალური კომუნიკაცია ანუ ,,კინესიკა'' არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს სხეულის ენას. მოიცავს კომუნიკაციის ყველა იმ ფორმას რომელიც არ გულისხმობს წერილობით ან ზეპირ კომუნიკაციას.

ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი განცხადება ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. მათ შორის საერთო არის ის, რომ მათი განცხადება გამოიწვია არა იმან, თუ რა ითქვა, არამედ იმან, თუ რა იგრძნობოდა სიტყვებს მიღმა.

,,არ მომეწონა, თუ როგორ თქვა მან ეს''‘;

,,ის გადაღლილი ჩანდა''‘;

,,არა მგონია იმას ფიქრობდეს რაც თქვა''‘;

,,არ ვიცი რაზე ფიქრობს''‘.

არავერბალური კომუნიკაციის სახეები. არსებობს მრავალი გზა, რომლითაც ჩვენ განმოვხატავთ ჩვენს აზრებს და გრძობებს, მათ შორის არის:

ა. სხეულის ენა (კინესიკის ტიპის კომუნიკაცია) - ეს ძირითადად არის სახის მიმიკები, სხეულის მოძრაობები, ჟესტები და პოზები.

ბ. ფიზიკური გარემო (პროქსემიკური კომუნიკაცია) - ეს არის ადამიანის გარშემო არსებული სივრცე - დისტანცია მეორე ადამიანისგან და სივრცის კონტროლი.

გ. ფიზიკური შესახედაობა (ხელოვნური კომუნიკაცია) - ამაში მოიაზრება ყველა ის საშუალება, რომელსაც პირი იყენებს თავისი შესახედაობის შესაცვლელად.

დ. შორისდებულები - ,,ააა''‘; ,,ჰმ''‘; ,,ოჰ''‘; ,,აუფ''‘; ,,ჰოოო''‘ და ა.შ.

ე. შეხება (ტაქტიკური კომუნიკაცია) - ხელის ჩამორთმევა; ტაშის დაკვრა; მხარზე ხელის დარტყმა.

არავერბალური კომუნიკაციის ელემენტები შეიძლება დაგეხმაროთ შემდეგ სიტუაციებში:

- ამოიცნოთ ადამიანის განწყობა ყოველგვარი სიტყვების გარეშე.
- შეამჩნიოთ, თუ როგორ რეაგირებს პირი ამა თუ იმ ფაქტზე.

არავერბალური კომუნიკაციის ტიპები. არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპი არსებობს და ისინი სხვადასხვა სახით გადმოიცემა. არავერბალური კომუნიკაცია მოიცავს გათვითცნობიერებულ, ქვეცნობიერ, გაუთვითცნობიერებელ ან განზრახ მესიჯებს.

ა. გათვითცნობიერებული არავერბალური მესიჯები - ამ ტიპის არავერბალური მესიჯის შემთხვევაში პირს გათვითცნობიერებული აქვს ამ მესიჯის მნიშვნელობა. მაგალითად, ჩახუტების შემთხვევაში პიროვნებას გათვითცნობიერებული აქვს, თუ რას აკეთებს. ასეთი ქმედება, ჩვეულებრივ, სიყვარულზე ან მოწონებაზე მეტყველებს.

გათვითცნობიერებული არავერბალური მესიჯების რეციპიენტები ხვდებიან, რომ მათმა თანამოსაუბრემ თავისი მესიჯით გამოხატა სწორედ ის, რასაც გულისხმობდა.

ბ. ქვეცნობიერი არავერბალური გზავნილები - ქვეცნობიერი გზავნილის რეციპიენტს არ აქვს შეგნებულად გათვთიცნობიერებული გზავნილის მნიშვნელობა. თუმცა ეს მესიჯები ყოველთვის მნიშვნელოვანია. ქვეცნობიერი გზავნილები ხშირად შეიძლება გათვითცნობიერებულ არავერბალურ მესიჯებზე მნიშვნელოვანი იყოს კომუნიკაციის დროს.

- შინაგანი რეაქცია ხშირად დაფუძნებულია სუბლიმინალური (25 კადრი, ქვეცნობიერი) მესიჯის ქვეცნობიერ ამოკითხვაზე.
- სამხედრო და პოლიციის უნიფორმები სუბლიმინალურად მეტყველებენ მათი მატარებელი პიროვნების უფლებამოსილებაზე.
- კარგად ჩაცმული პირი თავისდაუნებურად გასცემს მისი ცხოვრებისეული წარმატების და სანდოობის მესიჯს.
- ცუდად ჩაცმული პირი გასცემს წარუმატებლობისა და უნდობლობის მესიჯს.

გ. გაუთვითცნობიერებელი არავერბალური გზავნილები - არავერბალურ მესიჯთა უმეტესობა გაუთვთიცნობიერებელია. სხეულის ენით განსაკუთრებით ადვილად გამოიხატება გაუთვითცნობიერებელი მესიჯები. ჩვენ, მათ როგორც წესი, გადმოვცემთ:

- სახის მიმიკებით;
- ჟესტებით;
- სხეულის პოზებით;
- სახეზე წამოწითლება ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია და ამის ხელოვნურად თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია.

დ. განზრახ არავერბალური გზავნილები - შესაძლებელია ადამიანის მიერ არავერბალური მესიჯების გაკონტროლება. როდესაც პირმა იცის რომ ტყუილის თქმისას ადამიანები ხშირად თვალს ახამხამებენ, იგი ეცდება, რომ ტყუილის თქმისას არ დაახამხამოს თვალები.

არავერბალური გზავნილების ინტერპრეტაცია. არავერბალური მესიჯები ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის განუყოფელი ნაწილია. ცალკეული არავერბალური

მესიჯის მნიშვნელობის განსაზღვრა შეიძლება ძალიან რთული აღმოჩნდეს, ვინაიდან თითოეულ მათგანს შესაძლებელია რამოდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

მაგალითად:

- მთქნარება შეიძლება მიუთითებდეს დაუინტერესებლობაზე, დაღლილობაზე ან ორივეზე ერთად.
- თვალის ხშირი ხამხამი შეიძლება მიუთითებდეს სიცრუეზე ან ეს შეიძლება მხოლოდ ლინზების ბრალი იყოს.

არავერბალური მესიჯის მნიშვნელობა ადვილი ამოსაცნობია, როდესაც იგი თან სდევს ვერბალურ კომუნიკაციას. მაგალითისათვის თქვენ ადვილად მიხვდებით, თუ რატომ ახამხამებს ხშირად ადამიანი თვალს მეორე პირთან საუბრის დროს.

ცალსახა არავერბალური მესიჯის მნიშვნელობის ამოცნობა ძალიან ძნელია.

3.2. ჟესტ მიმიკის ენა. ნეიტრალური, თავდაცვითი და აგრესიული ადამიანის ტიპის განსაზღვრება.

არსებობს ადამიანის ტიპის სამი კატეგორია:

- ნეიტრალური,
- თავდაცვითი,
- აგრესიული.

ა. ნეიტრალური - ნეიტრალური ტიპის ადამიანი არის დაახლოებით თავდაცვით და აგრესიულ ტიპის ადამიანს შორის. ისინი საკუთარ ემოციებს არ ამჟღავნებენ ან თითქმის არ აჩენენ. ნეიტრალური ტიპის ადამიანი თითქოს ყოველთვის ,,დასვენებულია''. ყურადღებით იყავით თითოეულ ცვლილებაზე! სხეულის მოძრაობების ცვლილებები ზოგჯერ ძნელი აღსაქმელია და შეიძლება აბსტრაქტულიც იყოს.

ბ. თავდაცვითი - თავდაცვითი ტიპის ადამიანებს ძლიერად აქვთ განვითარებული წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ეს შეიძლება გამომჟღავნდეს მათი მხრიდან თქვენი პიროვნების მიმართ გამოხატული რეაგირებით, ან იმაზე რეაგირებით, თუ რას ეტყვით, ან რის გაკეთებას სთხოვთ მათ. მათ შეიძლება წინააღმდეგობა გაგიწიონ

ძალზე უბრალო რამეზეც. ხშირად თავდაცვიდან უცებ ხდება აგრესიაზე გადასვლა. როდესაც საქმე გაქვთ ასეთი ტიპის ადამიანებთან, უნდა შეეცადოთ სიტუაციის განმუხტვას ისე, რომ აგრესიული ადამიანი გადაიქცეს ნეიტრალური ტიპის ადამიანად.

გ. აგრესიული - ასეთი ადამიანები მზად არინ სამოქმედოდ! არის შემთხვევები, როდესაც მათი ქმედება სახიფათო არ არის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი აჟიტირებულნი არიან და მზად არიან დაპირისპირებისთვის. ეს დაპირისპირება შეიძლება იყოს სიტყვიერი ან ფიზიკური. ფრთხილად იყავით მათთან ურთიერთობისას, რადგანაც მათი სიტყვიერი დაპირისპირება (კონფრონტაცია) ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ფიზიკურში. ასევე მნიშვნელოვანია, აკონტროლოთ საკუთარი თავი, თქვენი საუბარი და ჟესტ-მიმიკა, რომ არ იყოს ის აგრესიული. თუ ადამიანი მტრულად არის განწყობილი თქვენს მიმართ ან აგრესიულია, ისე წარმართეთ საუბარი და ისე იმოქმედეთ, როგორც თქვენ სწორად მიიჩნევთ.

ადამიანის სხეულის ძირითადი ნაწილები. რა ტიპის ადამიანისთვის არის უფრო მეტად დამახასიათებელი ამა თუ იმ სხეულის ნაწილის გამოყენება კომუნიკაციის დროს

ა. თვალები - თვალები ის ბილიკია, რომელსაც გონება მიჰყვება. რაზეც ჩერდება თვალი, გონებაც იმაზეა კონცენტრირებული. როდესაც ადამიანი ფართოდ გახელილი თვალებით გიყურებთ, ეს შეიძლება ჩაითვალოს ნეიტრალურ ჟესტად. როდესაც ადამიანი გაურბის თვალით კონტაქტს, ეს არის თავდაცვითი ჟესტი. როდესაც ადამიანი თვალებს ავიწროვებს (ჭუტავს) და ისე გიყურებთ, ეს აგრესიულ ჟესტად ჩაითვლება.

ბ. თავი - როდესაც ადამიანის თავი გაწონასწორებულია და არ მოძრაობს აქეთ-იქეთ, ეს ითვლება ნეიტრალურ ჟესტად. როდესაც ადამიანი თავს უკან სწევს, რომ გაზარდოს მანძილი თქვენსა და მას შორის, ეს უკვე ითვლება თავდაცვით ჟესტად. როდესაც ადამიანის თავი წინ არის წამოწეული, ეს ითვლება აგრესიულ ჟესტად.

გ. ხელები - ადამიანის მკლავების განლაგების მიხედვით ასევე შეიძლება განვსაზღვროთ მისი შესაძლო მოქმედება. სრულიად მოშვებული და ძირს

დაშვებული მკლავები მიუთითებს, რომ ადამიანი დასვენებულია გონებრივად. ჯდომის დროს მკლავები სკამის სახელურებზე უნდა იყოს ან მაგიდაზე უნდა ეწყოს. ეს ორივე მდგომარეობა ნეიტრალურ ჟესტად ითვლება. როდესაც ხელები მკერდზე გადაჯვარედინებულია, ეს გამოხატავს დაუცველობას, შიშს, უსაფრთხოებას - ეს ითვლება თავდაცვით ჟესტად. როდესაც მკლავები და იდაყვები მოხრილია და მკლავები წელს ზემოთ არის დაწყობილი. თუ ადამიანი ზის, ხელები ზემოთაა, მაგიდაზე აწყვია და ხელები დაჭიმულია ან მუშტებად არის შეკრული, ეს უკვე აგრესიულ ჟესტად ითვლება.

დ. მტევნები - როდესაც ადამიანს ხელები გაშლილი და მოშვებული აქვს, ხელები გვერდებზე აქვს ან მაგიდაზე უწყია, ითვლება ნეიტრალურ ჟესტად. როდესაც ადამიანი განუწყვეტლად ამოძრავებს თითებს ან ხელებს მაგიდიდან კალთაში იწყობს, მერე ისევ მაგიდაზე და ასე აგრძელებს, ეს უკვე ითვლება თავდაცვით ჟესტად. თუ ხელები მუშტებად არის შეკრული და მტევნებს შლის ან მუჭავს ხშირ-ხშირად, ეს უკვე აგრესიულ ჟესტად ითვლება.

ფრთხილად იყავით იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს ხელები ზურგს უკან აქვს დაწყობილი. ზურგს უკან დაწყობილი ხელები შეიძლება ორგვარად გავიგოთ. თუ ადამიანი სამხედრო პირია ან იყო, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მისი ჩვეული მანერაა და ეს ჟესტი მისთვის ბუნებრივიცაა, მაგრამ, ამავე დროს, ეს ეჭვსაც იწვევს, რომ ამ მანერით ადამიანი შეიძლება მალავდეს რაღაცას ზურგს უკან.

ე. ფეხები - დგომის თუ ჯდომის დროს ადამიანის ფეხების განლაგების მიხედვით შეგვიძლია გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ მისი დამოკიდებულების შესახებ. თუ ადამიანი დგას ორივე ფეხზე თანაბრად და სიმძიმის ცენტრი გადატანილი არა აქვს ერთ-ერთ ფეხზე ან თუ არც ერთი ფეხი წინ არა აქვს წამოწეული, ეს ითვლება ნეიტრალურ ჟესტად. თუ ადამიანი რაიმეს ეყუდება ზურგით და მთელი სიმძიმით ეყრდნობა ქუსლებს, ეს უკვე ითვლება თავდაცვით ჟესტად. სწრაფი თავდასხმისთვის ადამიანმა უნდა მომართოს ძალები და სიმძიმის ცენტრი ფეხის წვერებზე გადაიტანოს. ამგვარად, ისინი უფრო მოხერხებულად მოძრაობენ და ადვილად შეუძლიათ გაიქცნენ კიდეც და ადვილადაც შეუძლიათ დაგარტყან. როდესაც ადამიანი წინ იხრება და ფეხის წვერებზე დგება, ეს უკვე აგრესიულ ჟესტად ითვლება.

როდესაც ადამიანი ზის, ფეხების დაწყობის მანერა აქ ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დგომის დროს. როდესაც ტერფები მთლიანად იატაკს ეყრდნობა და წვივები სკამის ფეხების პერპენდიკულარულად მდებარეობს, ეს არის ნეიტრალური ჟესტი. თუ ადამიანი, რომელიც ზის, ფეხებს აწყობს სწორად თავისსა და მოსაუბრეს შორის და ფეხს ფეხზე დებს, ეს არის თავდაცვითი ჟესტი. როდესაც ადამიანი ფეხებს სკამის ქვეშ აწყობს, ფეხის წვერით იატაკს ეყრდნობა და თან წინ იწევა, ეს უკვე აგრესიულ ჟესტად ითვლება.

ფეხების დაწყობის მანერიდან შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, ადამიანი მემარჯვენეა თუ მემარცხენე. ჩვეულებრივ, ადამიანი ,,დომინანტ ფეხს'' (თუ მემარჯვენეა - მარჯვენას და თუ მემარცხენეა – მარცხენას) უკან წაიღებს ძალის მოსაკრებად. ეს ინსტინქტური რეაქციაა ასე, რომ ადამიანი ,,მოჩხუბარიც'' რომ არ იყოს, ასეთი გზით გამოხატავს თავის რეაქციას. ჯდომის დროს, თუ ვინმე უფრო აგრესიული ხდება საუბარსა თუ დამოკიდებულებაში, ისინი ფეხების განლაგების მანერას ცვლიან, დომინანტ ფეხს უკან სწევენ და მოქმედებისთვის ემზადებიან. ფრთხილად იყავით, თუ ადამიანი შეცვლის ფეხების განლაგების მანერას! ეს უკვე მოქმედების დაწყების მანიშნებელია.

უცაბედ შემოხედვაში თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ ადამიანის თვალებს, მტევნებს, ხელებსა და ფეხებს. მათი მოძრაობის მანერამ შესაძლოა გამოააშკარაოს ის, რისი გაგებაც თქვენ გსურდათ და რის მიხედვითაც დაგეგმავდით მომავალ მოქმედებებს. არ ივარაუდოთ ან წინასწარ არ განსაზღვროთ, რას გააკეთებს თქვენი ოპონენტი. კონცენტრირება არ გააკეთოთ მხოლოდ ნალაპარაკევზე. ისწავლეთ ჟესტ-მიმიკიდან უფრო რთული მესიჯის შეცნობა.

3.3. ჟესტ-მიმიკის ენის დეკოდირება. სხეული გარკვეულწილად წარმოადგენს გზავნილის (შეტყობინების) საშუალებას. ჩვენი სხეული ყოველთვის იძლევა სიგნალს და ეს ჩვენი შეგრძნებებისა და ემოციების მთავარ გასაღებს წარმოადგენს. წარმოიდგინეთ, რამდენად სასარგებლო იქნება, ამ სიგნალების სხვა ადამიანებში ამოკითხვაც რომ შეგვეძლოს. ჟესტ-მიმიკის ენის წაკითხვის ცოდნა ძალიან სასარგებლო საკომუნიკაციო უნარია. არ აქვს მნიშვნელობა, რა სიტყვებს წარმოვთქვამთ, ჟესტ-მიმიკის ენა ზუსტად ასახავს მოსაუბრის ნამდვილ ფიქრებსა და მოტივებს. ასევე პირიქით, თუ ვინმე გისმენთ, ჟესტ-მიმიკის ენა ასევე შეიძლება

გამოვიყენოთ იმის გამოსარკვევად, თუ რას ფიქრობს მოცემული პირი, რა ინფორმაცია მიაწოდეს მას და რა არა.

არსებობს **ჟესტ-მიმიკის ენის, ჟესტიკულაციის** ორი ძირითადი ჯგუფი:

ა. ღია/დახურული - ღია/დახურული ჟესტ-მიმიკა ყველაზე აშკარაა. თუ ადამიანს ხელები მოხრილი აქვს (გულზე დაკრეფილი) და ფეხები გადაჯვარედინებული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი უარყოფს გზავნილს (ინფორმაციას). თუ ადამიანს ხელები გაშლილი აქვს, სახით მთლიანად თქვენსკენ არის მობრუნებული და ორივე ფეხი მყარად უდგას მიწაზე, ინფორმაციას იღებს (ეთანხმება).

ბ. წინა/უკანა მიმართულების - წინა და უკანა მიმართულების ჟესტ-მიმიკა აღნიშნავს ადამიანი დადებითად რეაგირებს კომუნიკაციაზე თუ უარყოფითად. როდესაც წინ იხრებიან და თქვენი მიმართულებით მიუთითებენ, ისინი აქტიურად იღებენ ან უარყოფენ მესიჯს (მიწოდებულ ინფორმაციას). როცა უკან იხრებიან, უყურებენ ჭერს, ფეხით რაღაცას ხაზავენ ხალიჩაზე, სათვალეს წმენდენ, ისინი პასიურად იღებენ ან უარყოფენ ინფორმაციას.

არსებობს ჟესტ-მიმიკის ენის ოთხი ძირითადი ფორმა:

ა. საპასუხო ფორმა - საპასუხო ფორმაში ღია/წინა მიმართულების შემთხვევაში ადამიანი აქტიურად იღებს ინფორმაციას. ეს არის პერიოდი, როცა უნდა დასრულდეს ვაჭრობა, სთხოვოთ შეთანხმება და მოითხოვოთ დათმობაზე წასვლა.

ბ. უკუქცევითი ფორმა - უკუქცევით ფორმაში, ღია/უკანა მიმართულების შემთხვევაში ადამიანები დაინტერესებულნი არიან და იღებენ ინფორმაციას, მაგრამ არა აქტიურად. კამათის დასრულების მცდელობა ან თანხმობის თხოვნა შეიძლება ეფემერული ფორმის წინაპირობა გახდეს. ეს არის დრო მომავალი ფაქტებისა და სტიმულატორების წარმოსადგენად. ასევე შესაფერისი დროა ჩუმად ყოფნისა და მათთვის დაფიქრების საშუალების მისაცემად.

გ. ეფემერული ფორმა - ეფემერული ფორმა, დახურული/უკანა მიმართულების შემთხვევაში ადამიანები ცდილობენ კომუნიკაციას ფიზიკურად ან გონებრივად თავი დააღწიონ. ეს შესაფერისი მომენტია იმისთვის, რომ ნებისმიერი გზით გაუღვიძოთ ინტერესი, თუნდაც ამისთვის თემიდან გადახვევა დაგჭირდეთ.

დ. თავდაცვითი ფორმა - თავდაცვით ფორმაში, დახურული/წინა მიმართულების შემთხვევაში, ადგილი აქვს აქტიურ წინააღმდეგობას. ამ დროს უნდა ჩაახშოთ სიბრაზე, თავიდან აიცილოთ დაპირისპირება და შეუსაბამო არგუმენტები და გადაიყვანოთ ისინი უკუქცევით ფორმაში.

ამ ფორმათა ცვლილებები, ჟესტიკულაციით გამოხატვის საშუალებები განსხვავდება კულტურათა შორის. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჟესტ-მიმიკის ენის დეკოდირებისას.

2.4. ჟესტ-მიმიკის ენა კულტურაში. ჟესტ-მიმიკის ენა ყველა კულტურაში სხვადასხვაა. მაგ. თუ ინგლისელი იღიმება, შესაძლებელია იგი თქვენდამი მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავს, კარგ ხასიათზეა ან გეთანხმებათ რაიმეში. თუ იაპონელი იღიმება, შესაძლოა მას სურს დაფაროს დაბნეულობა ან ცუდი ხასიათი.

არაბ მოზარდ ბიჭებს თავიანთი ემოციის გამოხატვა შეუძლიათ ღიად ტირილით ან სიხარულისაგან ყვირილით. ევროპის ჩრდილო-დასავლეთში მოზრდილი მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო შეზღუდულები არიან ასეთი ემოციების გამოხატვაში გარდა განსაკუთრებული ადგილებისა (წვეულება ან სპორტი).

მხედველობითი კონტაქტი დასავლეთის კულტურაში ნდობისა და გახსნილი ურთიერთობის ყველაზე კარგი მაჩვენებელია. თუმცა აზიურ და აფრიკულ კულტურაში მხედველობითი კონტაქტი ითვლება თავხედობად, განსაკუთრებით სხვადასხვა სტატუსის მქონე პირებს შორის. კოსოვოში, განსაკუთრებით კი სოფლებში, მხედველობითი კონტაქტი გავრცელებული ფორმით არსებობს. კოსოვოში სხეულით კონტაქტის დამყარება მამაკაცებს შორის, მამაკაცების მიერ ერთმანეთზე შეხება საზოგადოებაში დასაშვებია, მაგალითად, სიარულის დროს ხელის მოკიდება ან მხარზე მკლავის გადახვევა..... მაგრამ ანგლო-საქსურ ან სკანდინავიურ კულტურაში იგივე სახის ქმედებამ შესაძლოა სერიოზული პრობლემა გამოიწვიოს.

ფრანგი ან ბელგიელი ხალხი ერთმანეთთან ყოველი შეხვედრისას ხელს ართმევს, ხოლო ანგლო-საქსური კულტურის წარმომადგენლები ამგვარად იქცევიან უფრო ფორმალურ შეხვედრებზე.

საფრანგეთში და ბელგიის იმ ნაწილში სადაც ფრანგები ცხოვრობენ, ბიჭები დილაობით სკოლაში შეხვედრისას კოცნიან ერთმანეთს, ეს ქცევის მიღებული ნორმაა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა: აფრიკელი პირი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას ეცდება დაჯდეს ხალხთან ახლოს, ისე რომ შეძლოს მათთან საუბარი, ხოლო დასავლეთევროპელი დაჯდება ისეთ ადგილას, რომ იყუროს სივრცეში და იყოს თავისთვის მარტო.

არსებობს სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება (შეხედულება) იმაზე, თუ რამდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან ადამიანები და განიცდიან თუ არა ისინი დისკომფორტს ერთმანეთთან შეხებისას. ზოგიერთი ადამიანი შეხვედრისას იკავებს ძალიან ახლო დისტანციას და ელაპარაკება მეორეს სახესთან ახლოს. ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში მამაკაცებს შორის შეხება ძალიან შეზღუდულია, თუმცა მდედრობითი სქესის მეგობრებს შორის ეს შეზღუდვა არ არის. ფიზიკური შეხება ხალხმრავალ ადგილას დაუშვებელია. ლათინურ ამერიკასა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნების წარმომადგენელთათვის კაცებს შორის შეხება უფრო დასაშვებია, ვიდრე მამაკაცსა და ქალს შორის.

არაბეთის ქვეყნებში ქალსა და მამაკაცს შორის მხედველობითი კონტაქტიც კი თავხედობად ითვლება. მაგალითად თუ ტუნისელს სურს პატივისცემა ან მორიდება გამოხატოს თქვენს მიმართ, იგი თავს აარიდებს თვალებში შემოხედვას.

პირებს შორის დისტანციის დაცვაც განსხვავდება კულტურის მიხედვით. სკანდინავიელები ლაპარაკისას უფრო შორს დგანან ერთმანეთისგან. არაბეთსა და ლათინო ამერიკის ქვეყნებში საუბრისას შედარებით მცირე დისტანციას ირჩევენ.

სოციალურ პატარ-პატარა ჯგუფების წევრებს შეუძლიათ თავად დაადგინონ საკუთარი ჟესტ-მიმიკის ენა, ჩაცმის ან დგომის მანერა.

სქესი მნიშვნელოვნად მოქმედებს ჟესტ-მიმიკის ენაზე. ამერიკისა და ჩრდილო-დასავლეთის წარმომადგენელი ქალები უფრო ხშირად მიმართავენ მხედველობით კონტაქტს, ვიდრე სხვები.

როდესაც ვსაუბრობთ ჟესტ-მიმიკის ენაზე, აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში კულტურული განსხვავებები. ერთი და იგივე ჟესტი სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა ემოციის გამომხატველია.

4. ფსიქოლოგთა დაკვირვებები.

4.1. ნეირო-ლინგვისტური პროგრამირება. იმის სურვილი, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ და საზოგადოებას თავი მოვაწონოთ, გვაიძულებს დავსვათ შეკითხვა ,,რა უნდა ჩავიცვათ?''. სხვადასხვა სეზონის შესაბამისად, ქალები ყიდულობენ ნაირ-ნაირ ქვედაბოლოებს, მამაკაცები შარვლებს თუ კოსტიუმებს, ახალგაზრდები (თინეიჯერები), მიუხედავად მათი ინდივიდურობისაკენ მისწრაფებისა, მაინც თვალისთვის უცხო მსგავს ფორმას ირჩევენ. თუ ამაში ეჭვი გეპარებათ, ეწვიეთ ნებისმიერ ბაზრობას და დარწმუნდებით.

ადამიანები მიისწრაფიან ჰარმონიისაკენ, რადგანაც ისინი თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ, როდესაც თანასწორებთან სინქრონიზაცია შეინიშნება. ისინი უამრავ დაბრკოლებას გადალახავენ, რათა ეფექტს მიაღწიონ. ამ მომენტის გაუთვალისწინებლობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ის, რომ იმ წრემ, რომელთანაც ისინი ურთიერთობენ, ეს უკანასკნელნი ექსცენტრულ და უცნაურ ადამიანებად გამოაცხადოს, რაც ბევრისათვის მიუღებელი იქნება.

ორი-სამი ათეული წლის უკან მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ურთიერთობა ადამიანებს შორის მით უფრო გაძლიერებულია, რაც მეტი მსგავსებაა მათ შორის ქცევის ნორმებში, ლაპარაკსა თუ აზრის გამოხატვის სხვადასხვა ფორმებში, რასაც ნეიროლინგვისტური პროგრამირება უწოდეს და ურთიერთ შორის ჰარმონიის მიღწევისათვის კონცენტრაცია გააკეთეს არა ჩაცმულობაზე, არამედ სიტყვებსა და ქცევებზე.

ფსიქოლოგები დაკვირვებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანები სხვადასხვანაირი მანერებისა და დინამიკის ხარისხს ავლენენ, როდესაც ბევრ ადამიანთან ურთიერთობენ. გარდა ამისა, ცოცხალი, სხარტი, სწრაფად მოლაპარაკე ადამიანები უკეთ ურთიერთობენ სხვა სწრაფად მოსაუბრეებთან და პირიქით, ნელი და დინჯი მოლაპარაკეები უკეთ ურთიერთობენ თავიანთ მსგავსებთან.

მათ ასევე შეამჩნიეს ის, რაც არც ისე იოლი დასაფიქსირებელია - ყველაზე წარმატებული კომუნიკატორები იმ ადამიანის დუბლირებას ახდენენ, ვისთანაც ურთიერთობენ.

შემდეგი ასპექტი, რომელზეც მეცნიერებმა გაამახვილეს ყურადღება, იყო ენის და გამოყენებული სიტყვების თავისებურება. მათ დაადგინეს, რომ ადამიანები თავიანთ სათქმელს სხვადასხვანაირად გამოხატავენ; ისინი იყენებენ განსხვავებულ სიტყვებს და ყველაფერს ამას გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით აკეთებენ. მაგალითად: ერთმა შეიძლება თქვას - ,,მე ვხედავ, თქვენ ამით რისი თქმაც გსურთ...'', მეორემ - ,,მე მესმის, თქვენ ამით რისი თქმაც გსურთ...'' ხოლო მესამემ - ,,მე ვგრძნობ, თქვენ ამით რისი თქმაც გსურთ...''

მართალია, სამივე შემთხვევაში პასუხი პოზიტიურია და იგულისხმება, რომ გაიგეს მოსაუბრის ნათქვამი, მაგრამ აღსანიშნავია სწორედ ის, რომ ყველა მათგანმა სხვადასხვაგვარად გამოხატა აზრი. პირველმა ვიზუალურად - ,,ვხედავ'', მეორემ სმენითად, აუდიტორულად - ,,მესმის'', მესამემ კი გრძნობით, კინესთეზურად - ,,ვგრძნობ''.

თუ ამის შემდეგ კიდევ რაიმეს შეეკითხებით პიროვნებას, ის იმავე ფორმით გიპასუხებთ, როგორც ეს პირველად გააკეთა. აღსანიშნავია, რომ ადამიანებს ახასიათებთ განსაზღვრული ფორმით აზრის გამოხატვის დომინანტი ანუ განმეორებითობა და იშვიათად გადადიან ვიზუალურიდან აუდიტორულზე, ამ უკანასკნელიდან კინესთეზურზე, მანამ, სანამ უშუალოდ არ შეიცვლება კონკრეტული სასაუბრო თემა.

მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ მოსაუბრის თვითგამოხატვის დომინირებული ფორმის შენიშვნა და მისი დუბლირება (გადმოღება) დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებასა და შენარჩუნებაში. მათ აღნიშნეს, რომ დომინირებული ფორმა ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მოვლენის გადმოცემაზე, ამ ფორმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სიტყვებით, არამედ ის არის გარკვეული ინდიკატორი და მაჩვენებელი ამ პიროვნების აზროვნების პროცესისა. თუ ადამიანი ამბობს, რომ ,,ხედავს, რისი თქმაც უნდათ'', ეს ნიშნავს, რომ ის თავის ფიქრებს ვიზუალურს ხდის და როგორც სურათს ისე უყურებს, ის ვისაც ,,ესმის, რისი

თქმაც უნდათ'' - ფიქრობს და ღებულობს აზრს სიტყვებით და ბგერებით, ხოლო ის ვინც ,,გრძნობს, რისი თქმაც უნდათ''- ფიქრობს თავის გრძნობებითა და განცდებით.

თუ სამივე პიროვნებას ვთხოვთ, აღწერონ ბუნების რაიმე მოვლენა, მაგალითად შემოდგომის სუსხიანი ქარი, ის პიროვნება, რომლის გადმოცემაშიც დომინირებს ვიზუალური ფორმა, იტყვის, რომ ის ,,ხედავს'' როგორ ირხევიან ხეები, ცვივა ყვითელი ფოთლები; აუდიტორულს ესმის ქარის ზუზუნი, ფოთლების შრიალი; კინესთეზური კი იტყვის, რომ ის გრძნობს როგორ უბერავს ცივი ქარი, როგორ ეყრება სახეში ფოთლები და ა.შ.

ამგვარად, იმ ადამიანს, რომლის გადმოცემაშიც აუდიტორული ფორმა დომინირებს, რომ შევეკითხოთ, თუ როგორ უყურებს კონკრეტულ პრობლემას და რაში ხედავს გამოსავალს, მის განმარტებებში გარკვეულ წინააღმდეგობას შევხვდებით, რადგან მას არ შესწევს უნარი ეს ,,დაინახოს'' და მით უმეტეს ,,შეიგრძნოს'', ამიტომაც მას თავდაპირველად შეკითხვა უნდა განვუმარტოთ, ,,ვუთარგმნოთ'', მისთვის გასაგები ფორმით, ე.ი. ,,თუ როგორ ესმის მოცემული პრობლემა''. ყოველთვის, როდესაც ასეთი განმარტებები, ,,თარგმანებია'' საჭირო, ურთიერთობას ხელი ეშლება, ამიტომ დამკითხავმა უნდა დაადგინოს დასაკითხის გადმოცემის დომინირებული ფორმა და ამ უკანასკნელს მისივე ენის სტილით ესაუბროს.

ისე ჩანს, თითქოს ადამიანის გადმოცემის დომინირებული ფორმის დადგენა დიდ დროს მოითხოვდეს. გამომძიებლისთვის კი დრო ძალზე ბევრს ნიშნავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, მცირე დროით ყურადღებით მოსმენაც კი საკმარისია, რომ გამომძიებელი დარწმუნდეს და სწორედ დაასკვნას, თუ რომელი ფორმა დომინირებს მოცემულ მომენტში. ამასთან, საბედნიეროდ, შემუშავებულმა გარკვეულმა ტექნიკამ საერთოდ გამორიცხა მოსმენის აუცილებლობა და საკმარისი გახადა მხოლოდ ცოტაოდენი ვიზუალური დაკვირვება.

ამ დაკვირვების არსი თვალების მოძრაობაშია. დედამიწაზე მოსახლე ადამიანების 90%-ს მარცხენა ნახევარსფერო აქვთ განვითარებული, ამიტომ როდესაც რაღაცას იგონებენ შემდეგი თვალის მოძრაობით ხასიათდებიან:

- ვიზუალური ფორმით გადმოცემის დომინანტის მქონენი იყურებიან მაღლა და მარცხნივ 45 გრადუსიანი კუთხით.

- აუდიტორული ფორმით გადმოცემის დომინანტის მქონენი იყურებიან პირდაპირ და მარცხნივ.
- კინესთეზური ფორმით გადმოცემის დომინანტის მქონენი იყურებიან დაბლა და მარჯვნივ 45 გრადუსიანი კუთხით.

ხოლო დედამიწაზე მოსახლე ადამიანების დანარჩენ 10% მარჯვენა ნახევარსფერო აქვთ განვითარებული ამიტომ, შესაბამისად საპირისპიროდ იქცევიან: ვიზუალურნი იყურებიან მაღლა და მარჯვნივ 45 გრადუსიანი კუთხით. აუდიტორულნი, იყურებიან პირდაპირ და მარჯვნივ, ხოლო კინესთეზური ფორმით გადმოცემის დომინანტის მქონენი იყურებიან დაბლა და მარცხნივ 45 გრადუსიანი კუთხით.

4.2. ხელოვნურობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც მეცნიერებმა დაადგინეს კავშირი თვალების მოძრაობასა და აზროვნების ფორმას შორის და მისი საშუალებით ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების შესაძლებლობა დაასაბუთეს, იმავდროულად დაინახეს, რომ ადამიანს შეუძლია სხვა პიროვნების თვალების მოძრაობაზე დაკვირვებით დაადგინოს, ეს უკანასკნელი იხსენებს კონკრეტულ ფაქტს თუ იგონებს, თხზავს მას.

დაკვირვებებმა ცხადყო (აჩვენა), რომ როდესაც ადამიანი რაიმეს იგონებს, მისი თვალები იმის საპირისპირო მოძრაობას აკეთებს, რასაც რეალური ფაქტის გახსენების დროს ამრიგად, ადამიანები, რომლებიც რაიმეს იხსენებენ და ამავე დროს, ზემოთ, მარცხნივ იყურებიან, ფაქტის მოგონების შემთხვევაში პირიქით მოქმედებენ - იყურებიან ზემოთ და მარჯვნივ. სხვა დანარჩენიც ანალოგიურად ხდება. ამიტომ დამკითხავი დააფიქსირებს რა დასაკითხის თვალების მოძრაობას, რომელსაც ეს უკანასკნელი ფაქტის გახსენების დროს იყენებს, ეძებს განსხვავებას ამ ფორმიდან, რაც გარკვეული ინდიკატორის როლს თამაშობს გამომძიებლისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამების შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თხზვის უნარი, დიდ როლს თამაშობს ხელოვნების სამყაროში, დაკითხვის საქმეში კი ის ცუდ და მიუღებელ კატეგორიადაა მიჩნეული. ამიტომ მას ტყუილს უწოდებენ. დამკითხავს შეუძლია გამოიყენოს დასაკითხის თვალების მოძრაობა და მისი საშუალებით აღმოაჩინოს სიცრუე. ამისათვის თავდაპირველად უნდა დადგინდეს თუ თვალების როგორი მოძრაობა ახასიათებს დასაკითხს. ეს შესაძლებელია დაკითხვის დაწყებისას უბრალო კითხვების დასმით, რომელზედაც პასუხის

გაცემისთვის მას ესაჭიროება გახსენება. კითხვები მარტივი უნდა იყოს, აქედან გამომდინარე, მათზე სწორი პასუხის გაცემა უნდა იყოს მოსალოდნელი. ამის შემდეგ, დამკითხავს მხოლოდ თვალის ჩამოყალიბებულ მოძრაობებს შორის განსხვავების აღმოჩენა ესაჭიროება, რათა მიხვდეს, დასაკითხი იხსენებს რეალურ ფაქტს თუ იგონებს, თხზავს მას. ყველა განსხვავება ტყუილის მანიშნებელია. ტყუილის აღმოჩენის სხვადასხვა ხერხებზე შემდგომ თავებშიც გვექნება საუბარი.

4.3. დაკითხვისას მონაყოლი ამბის დამახინჯება. ინფორმაციის ძირითადი ნაწილი თავისუფალი თხრობის შედეგად მიიღება, მაგრამ თავისთავად წარმოიშობა კითხვა: მაშინ რაღა ეფექტი და დატვირთვა აქვს კითხვების დასმას?. მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთმა კითხვამ შესაძლოა დაამახინჯოს არა მხოლოდ პასუხი, არამედ თვით ადამიანის მეხსიერებაში შენახული ინფორმაცია.

რამდენად შთამაგონებელი შეიძლება იყოს კითხვა და რამდენად შეიძლება მოექცეს ადამიანი მისი გავლენის ქვეშ ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ მოწმე თავისუფალი თხრობის საშუალებით გადმოსცემს ფაქტებს, მიღებული ინფორმაცია უფრო ზუსტი და სწორი იქნება. ბოლო 70 წლის მანძილზე ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დაკითხვის (ანუ კითხვების დასმის) საშუალებით მიღებული ინფორმაცია უფრო სრულია, მაგრამ თავისუფალი თხრობის ფორმით მიღებული ინფორმაცია უფრო ზუსტი და სწორია. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს კი შემდეგი გარემოება იძლევა: როდესაც ადამიანი იძულებულია დასმულ სპეციფიკურ შეკითხვებს უპასუხოს, მათი სიზუსტე ირღვევა, თანაც ზოგიერთი კითხვა არღვევს მათ სისწორეს.

თუ დამკითხავი თავდაპირველად მოისმენს მოწმისათვის ცნობილ სრულ ინფორმაციას, შემდეგ კი დაუსვამს სპეციფიკურ პასიურ კითხვებს, რომლითაც შეავსებს თავისუფალი თხრობის დროს მიღებულ ცნობებს, ის მიიღებს სრულ და სწორ ჩვენებას. ასეთ დროს მოსმენაც ისეთივე აუცილებელი და საჭირო ხდება, როგორც თავად კითხვების დასმა. ამიტომ უმთავრესია დამკითხავმა წინასწარ გამოავლინოს ის სპეციფიკური კითხვები, რომლებიც გაართულებენ დასაკითხთან ურთიერთობას და რთული გასაგები გახდება მისთვის. შესაბამისად, ასეთ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემაც უკვე სირთულეს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ კითხვები ემყარება ძირითადად დამკითხავის გაცნობიერებულობას მოვლენასთან დაკავშირებით და გარკვეულწილად შთაგონების ელემენტებით ხასიათდება, რადგან ეფუძნება დამკითხავის წარმოდგენას იმაზე, რაც მოხდა. აქედან გამომდინარე უნდა გაკეთდეს დასკვნა:

პირველი - დაკითხვა უნდა აღბეჭდავდეს მოწმის მოსაზრებას და არა დამკითხავისას. თუ ეს ასე არ არის, ის გარკვეულწილად სიძნელეებს შეუქმნის დამკითხავს, რადგანაც მოწმის ნამდვილი მოსაზრება ჯვარედინი დაკითხვის დროს გამოჩნდება სასამართლო პროცესზე.

მეორე - ასეთმა მიდგომამ შესაძლოა დაამახინჯოს მიღებული ინფორმაცია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შთამაგონებელია სპეციფიკური კითხვა.

მესამე - მოწმისაგან ამ გზით მიღებული ინფორმაცია შეზღუდულია.

ამავე დროს კითხვების გრძელმა სერიამ მოწმეს შესაძლოა აფიქრებინოს, რომ მხოლოდ განსაზღვრული ცნობებია საჭირო და არა თავისუფალი ინფორმაცია.

ასევე, თუ დამკითხავი მომზადებულ შეკითხვებზე გააკეთებს კონცენტრირებას, დამოუკიდებელი ინფორმაციიდან რაიმეს გაგება შეუძლებელი გახდება.

აქედან გამომდინარე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ნაკლები შთაგონების მქონე კითხვაა დასმული, მოწმე ისე გრძნობს თავს, თითქოს ყველაფერი, რასაც იტყვის, მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთი ინფორმაცია აქცევს დაკითხვას უფრო სრულ და ზუსტ კატეგორიად.

4.4. თავისუფალი თხრობისა და მოსმენის აუცილებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დაკითხვის დროს უფრო სრული და ზუსტი ინფორმაციის მიღება მხოლოდ მოსმენის გზითაა შესაძლებელი. გაცნობის, ანუ ფორმალობის შემდეგ, დამკითხავმა უნდა იკითხოს ,,რა მოხდა?''. რის შემდეგაც დასაკითხს ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა უსმინოს გულისყურით, რაც შესაძლებლობას აძლევს პიროვნებას, გადმოსცეს მთელი ისტორია იმგვარად, როგორც დაინახა, ანდა მოისმინა. თუ დამკითხავი ცოტაოდენი ინტერესით მაინც უსმენს დასაკითხს, ეს უკვე აისახება დაკითხვაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელი მოვლენა გადმოცემული იქნება თავისუფალი თხრობის პროცესის საშუალებით, შეჩერებების გარეშე, დასაშვები იქნება სპეციფიკური

კითხვების დასმაც. ეს კითხვები უნდა ავსებდნენ თავისუფალი თხრობის შედეგად გადმოცემულ ინფორმაციას და ბოლოს უნდა დაისვას ის კითხვები, რომლებიც დამკითხავს წინასწარ ექნება მომზადებული.

მოსმენისას ერთერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს დამკითხავის ქცევა. იმისათვის, რომ სრულად მივიღოთ ის ინფორმაცია, რომელსაც იხსენებს დასაკითხი პიროვნება, უნდა ვუსმინოთ აქტიურად და არა პასიურად.

კარგი მოსმენა საკმაოდ რთულია. მსმენელის ქცევა, როგორიცაა: სხეულის მოძრაობა, თვალებით კონტაქტი, სახის გამომეტყველება, უნდა აგრძნობინებდეს მოწმეს, რომ დამკითხავი დაინტერესებულია მისი მონათხრობით, ისევე, როგორც მისი პიროვნებით. მოსაუბრისაკენ გადახრა ატარებს დაინტერესებულობის არავერბალურ სიგნალს, იმ დროსაც კი თუ მოსმენილ ინფორმაციას საერთოდაც არ მოვყავართ აღტაცებაში. ხმის ტონის, სახის გამომეტყველებისა და სხეულის მოძრაობის საშუალებით, დამკითხავმა შეიძლება გასცეს ემოციები (ურწმუნოების, იმედგაცრუების) , რამაც შესაძლოა გაართულოს დასაკითხთან ურთიერთობა და მიუდგომელი გახადოს ის.

4.5. დესტრუქციის აცილება. ადამიანების უმრავლესობა წუთში 125 სიტყვას ამბობს. ეს გაცილებით უფრო დაბალი სიჩქარეა იმასთან შედარებით, ვიდრე ტვინს შეუძლია აღიქვას. ცუდი მსმენელები ოცნებობენ და სხვა რამეებზე ფიქრობენ, იმის მაგივრად, რომ დაუფიქრდნენ და გააანალიზონ ნათქვამი. მაშინ, როდესაც მსმენელი ფიქრობს ჩართო თუ არა დამცავი საშუალება ავტომობილზე, მოწმემ ან ეჭვმიტანილმა შესაძლოა რაიმე საინტერესო თქვას. ეს ფრაზა შესაძლოა მხოლოდ ერთხელ ითქვას იმ დროს, როდესაც მსმენელი სულ სხვა რამეზე ფიქრობს, ის შესაძლოა შეიცავდეს მნიშვნელოვან მტკიცებულებას, მაგრამ გამოუკვლეველი დარჩეს იმის გამო, რომ დამკითხავი თვლემს.

მოსმენის დროს კონცენტრაციის ხელშეწყობის მიზნით, მსმენელმა ფიქრისათვის უნდა გამოიყენოს დროის მცირე მონაკვეთი, რათა ფორმულირება გაუკეთოს მოსაუბრის იდეებს, მოსაზრებებს და ლოგიკურად მიუერთოს ინფორმაცია მანამდე თქმულს. მან ასევე თავი უნდა შეიკავოს გადმოცემულის (მტკიცებულებების) აწონ-დაწონვისაგან მანამ, სანამ სრული ინფორმაცია არ ექნება მიღებული დასაკითხი პირისაგან. გარკვეული ტენდენცია შეინიშნება იმისა, რომ გაანალიზებულ იქნეს

ნათქვამი მანამ, სანამ მიღებული (გაგებული) იქნება მონათხრობის სრული არსი. გულითად მოსმენას უნდა მოჰყვეს კითხვები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება სიცრუის გამიჯვნა სიმართლისაგან.

მაჯის საათზე ყურება, შესაძლოა, იყოს კარგი სმენის ჩვევების დამრღვევი. ,,მოდი, საქმეზე გადავიდეთ'', ,,თქვი ის, რაც მთავარია'', ,,მითხარი ის, რაც ბოლოს იყო'', ანდა მოუთმენლობის გამოხატვის სხვა ფორმებმა შესაძლოა გამორიცხოს უამრავი მნიშვნელოვანი დეტალი ნებისმიერი დაკითხვიდან. იმის ცოდნა ,,რაც ბოლოს იყო'' უადგილო იქნება, თუ მას წინ არ უსწრებს ახსნა იმისა, რაც ხდებოდა მანამ.

წინასწარ მომზადებულ შეკითხვებზე, ფიქრმა, შესაძლოა შეასუსტოს ყურადღების კონცენტრაცია. ამ დროს დამკითხავი ხშირად უფრო იმაზე ფიქრობს, თუ რა უნდა ჰკითხოს ამა თუ იმ კითხვის მერე, და არა იმაზე, რომ მოუსმინოს დასაკითხს და გააანალიზოს მისი ნათქვამი. ზოგიერთი კითხვა, რომელიც უფრო გასაგებს ხდის მოწმის მონათხრობს, შესაძლოა ჩამოყალიბდეს მხოლოდ შესაბამისი მოსმენის შედეგად.

4.6. ემოციების, იდეების, ფაქტების გაგება. ზოგიერთ დასაკითხ პიროვნებას სურს, რომ დამკითხავებმა გაიგონ მათი ემოციები, იდეები, პოზიცია თუ დამოკიდებულება სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ისინი ფაქტებს იყენებენ მხოლოდ თავიანთი იდეების მხარდასაჭერად. ვრთავთ რა მოწმის ნებას, თავისუფალი თხრობის მეშვეობით ჩამოაყალიბოს აზრი, საშუალება გვეძლევა გავიგოთ მისი მოსაზრება და შეხედულება უფრო სწორად და სრულად. მით უმეტეს, ასეთ დროს ის მოვლენებს ნაკლები დამახინჯებით (შელამაზების გარეშე) გადმოსცემს.

დაკითხვის დროს ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მოწმის ან სხვა სუბიექტის კითხვების მოსმენა. უკმაყოფილო მოწმეებს ხშირად სურთ იცოდნენ თუ სად აღმოაჩინეს, ან სად შეიძლება აღმოაჩინონ გატაცებული საქო-ნელი და სად ან როდის უნდა გამოცხადდნენ ჩვენების მისაცემად. დამკითხავი, რომელსაც არასაკმარისი მოთმინება გააჩნია, ასეთ დროს დაკითხვას არაპროდუქტიულს ხდის, რადგან მოწმეს ფაქტობრივად უფრო აჯიუტებს, უგულებელყოფს რა მის შეკითხვას.

§ 3. დაკითხვის მომზადების ზოგადი საკითხები

სრული და რეალური ჩვენების მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა დაკითხვის სათანადო მომზადება, რომელიც გულისხმობს ისეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას, როგორიცაა:

1. საქმის მასალების სრულად შესწავლა;
2. დაკითხვის საგნის განსაზღვრა ანუ იმ გარემოებების დადგენა, რის გარშემოც საჭიროა ინფორმაციის მიღება;
3. მტკიცებულებების შესწავლა და მომზადება მათი ეფექტური გამოყენების მიზნით;
4. დასაკითხი პირების დადგენა, მათი შესწავლა და მათზე მონაცემების მოპოვება;
5. იმ პირთა განსაზღვრა, რომლებმაც საჭიროებისამებრ პროცესუალურად უნდა მიიღონ მონაწილეობა დაკითხვაში;
6. დასაკითხი პირის გამოძახება და დაკითხვის გეგმის შედგენა;
7. დაკითხვის ნორმალური პირობების შექმნა;
8. საჭირო ტექნიკური საშუალებების მომზადება;

ამ საკითხების გადაწყვეტის გარეშე ვერ მივიღებთ იმ საჭირო ეფექტს, რაც დაგვეხმარება რეალური ჩვენების მიღებაში.

საქმის მასალების სრულად შესწავლა. პირველ რიგში აუცილებელ პირობას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის ფუნდამენტალური და ოპერატიულ-სამძებრო მონაცემების გულდასმით შესწავლა, რაც მოგვცემს იმ თემების განსაზღვრის საშუალებას, თუ რა გარემოებებზე გვჭირდება მივიღოთ ინფორმაცია დასაკითხისაგან და სისხლის სამართლის საქმის რომელ გვერდზეა მოცემული ეს გარემოებები, რა საბუთები და მტკიცებულებები გვაქვს ამ გარემოებების შესახებ.

დაკითხვის საგნის განსაზღვრა ანუ იმ გარემოებების დადგენა, რის გარშემოც საჭიროა ინფორმაციის მიღება. დასაკითხი საგნის განსაზღვრა გულისხმობს წინასწარ მის გარშემო მონაცემების დადგენას. დაკითხვის საგნის გარშემო ინფორმაცია შეიძლება ატარებდეს სპეციალურ ხასიათს და მოითხოვდეს სპეციალურ ცოდნას, სპეციალური ლიტერატურის შესწავლას, ტექნოლოგიური პროცესების გაცნობას და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში გამომძიებელს სრული უფლება აქვს კონსულტაციები

მიიღოს შესაბამისი სპეციალისტებისგან. დასაკითხი საგნის გარშემო ინფორმაცია შეიძლება მიღებული იქნას ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შედეგად, ამ შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური წესების დაცვით განისაზღვროს, თუ რომელი ინფორმაცია შეიცავს მტკიცებულებას და რომელი არის დაკითხვისას ორიენტაციის განმსაზღვრელი.

მტკიცებულებების შესწავლა და მომზადება მათი ეფექტური გამოყენების მიზნით. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს ის მტკიცებულებები (ნივთმტკიცებები, დოკუმენტები), რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა წარედგინოს დასაკითხ პირს მისგან ობიექტური ჩვენების მიღების ან გადავიწყებული ფაქტებისა და გარემოებებათა აღდგენის მიზნით. გარდა განსაზღვრისა, აუცილებელია ამ დოკუმენტებისა და ნივთმტკიცებების შესწავლა.

დასაკითხი პირების დადგენა, მათი შესწავლა და მათზე მონაცემების მოპოვება. სანამ დასაკითხი პირი გმოცხადდება გამომძიებელთან, პიროვნების შესწავლისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად, გამომძიებელმა უნდა შეისწავლოს დასაკითხი პირი ანუ რესპონდენტი. დაკითხვის ეფექტურად წარმართვისათვის რესპონდენტი უნდა აღიქვას, როგორც ინდივიდი. თითოეულ დაკითხვას ახლებურად უნდა მიუდგეს. იმოქმედოს მიუკერძოებლად და ყურადღებით ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში. ამისათვის უნდა ჰქონდეს ამომწურავი და გამოსადეგი ინფორმაცია.

აუცილებელია შემდეგ ფაქტორთა გათვალისწინებაც:

ასაკი, სქესი და ოჯახური მდგომარეობა - ეს არის დამხმარე ინფორმაცია დამკითხავსა და რესპონდენტს შორის ურთიერთობის დასამყარებლად. ასაკის ცოდნა დამკითხავს დაკითხვის შესაფერის დროის დანიშვნაში ეხმარება. გარკვეული ტიპის დანაშაულის გახსნისას მნიშვნელოვანია თანამოსაუბრის სქესის ცოდნა, რადგან კონკრეტულ შემთხვევებში დამკითხავი შესაძლებელია გასაუბრებისათვის შესაფერისი ადამიანი არ აღმოჩნდეს.

ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ - რესპონდენტის წარმომავლობა, თუ რა კულტურულ გარემოშია აღზრდილი, მიმართვის ფორმას განაპირობებს. უნდა გადაწყდეს, თუ რამდენად ფორმალური შეიძლება იყოს მიდგომა.

განათლება - რესპონდენტის განათლებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია მათი დაუცველობის ხარისხის დადგენაში დაგვეხმაროს. ინტელექტის დაბალი მაჩვენებლის რესპოდენტმა შეიძლება კითხვების მნიშვნელობა ვერ გაიგოს და ვერც საკუთარ პასუხთა აზრს ჩახვდეს.

ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა - ზოგიერთი რესპონდენტი დაუცველი შეიძლება იყოს ფიზიკური ან მენტალური ავადმყოფობის გამო. მზადების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია ავადმყოფობის ნიშნები და სიმპტომები. ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ბინის მისამართზე, რესპონდენტის საქციელიდან, ბიოგრაფიიდან გამომდინარე და ნაცნობებისაგან.

ადრე ჩადენილ დანაშაულთა ნუსხა და ადგილობრივი ოპერატიული სამსახურის მასალები - აღნიშნული ინფორმაცია დამკითხავს ეხმარება დანაშაულის ტიპისა და დამნაშავის მიერ გამოყენებული დანაშაულის ჩადენის მეთოდის დადგენაში. ნუსხა გამოადგება მაშინაც, როცა დაკითხვის საფუძველზე მიღებული მასალის ჭეშმარიტების გადამოწმებას შეეცდება. იმის ცოდნა, თუ ვინ მიაწოდა და რა სახის ინფორმაციაა დანაშაულის შესახებ, დამკითხავს დაეხმარება გაარკვიოს, რესპონდენტი რეალურად ეხმარება, თუ არაკეთილგანწყობილია მის მიმართ. სამართალდამცავებთან ურთიერთობის ისტორია შესაძლებლობას მისცემს გათვალოს, თუ რამდენად ითანამშრომლებს რესპონდენტი გამოძიებასთან.

უახლესი წარსული – დამკითხავმა უნდა გაითვალისწინოს რესპონდენტის არა მხოლოდ პიროვნული მახასიათებლები, არამედ ის გამოცდილება, რომელიც უახლოეს წარსულში შეიძინა. ეს გავლენას იქონიებს დაკითხვის დროს, რადგან რესპოდენტს შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებული მოპყრობა ან სოციალური თანადგომა.

იმ პირთა განსაზღვრა, რომლებმაც საჭიროებისამებრ პროცესუალურად უნდა მიიღონ მონაწილეობა დაკითხვაში. დაკითხვამდე საჭიროება მოითხოვს იმ პირთა განსაზღვრას, რომლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა დაკითხვის წარმოებაში, დაკითხვას ხელმძღვანელობს და წარმართავს გამომძიებელი (სასამართლო) და სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს საკითხი კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, თუ ვინ და ვის როლში უნდა დაესწროს საგამოძიებო მოქმედებას.

პროკურორი უფლებამოსილია ყველა შემთხვევაში დაესწროს დაკითხვის ჩატარებას, როგორც თავისი ინიციატივით, ასევე გამომძიებლის თხოვნით ან დასაკითხი პირის შუამდგომლობის საფუძველზე. ზოგიერთ შემთხვევაში პროკურორის დასწრება კანონით არის სავალდებულო.

დამცველის მოწვევის შესახებ საკითხი უნდა გადაწყდეს დაკითხვის დაწყებამდე იმ შემთხვევაში, როცა მისი მონაწილეობა დაკითხვის დროს კანონითაა სავალდებულო. სხვა შემთხვევაში ამ საკითხის გადაწყვეტა შედის, როგორც გამომძიებლის, ისე დასაკითხი მოწმის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის კომპეტენციაში.

არასრულწლოვანი პირის დაკითხვის დროს, კანონის შესაბამისად, მოწვეული უნდა იყოს სპეციალისტი. ამ მიზნით გამომძიებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის არასრულწლოვანის ფსიქოლოგია, იცნობს დასაკითხ პირს, სარგებლობს მის წინაშე გარკვეული ავტორიტეტით. ასეთი სპეციალისტების სახით, როგორც წესი, შერჩეული უნდა იყოს პედაგოგი. ამ დროს ასევე წყდება საკითხი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის დასწრების შესახებ (მშობელი, მეურვე, მზრუნველი).

თუ საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე გამომძიებელი მივა დასკვნამდე, რომ დასაკითხი პირი ცუდად ან ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას, უნდა გადაწყდეს საკითხი და მიღებული იყოს ზომები თარჯიმნის მოწვევის შესახებ. ყრუ-მუნჯის დაკითხვისათვის საჭიროა მოწვეული იყოს თარჯიმნის როლში ისეთი პირი, რომელიც კარგად ფლობს ამ პირთა სალაპარაკო ენას.

ზოგ შემთხვევაში მოწვეულ უნდა იყოს სპეციალისტის სახით ოპერატორი, რომელმაც უნდა გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები (ფოტო, ვიდეო გადაღებისას). თუ დასაკითხი პირი ავადაა ან იმყოფება საავადმყოფოში, მისი დაკითხვისას საჭიროა მკურნალი ექიმის ნებართვა და დაკითხვას უნდა დაესწროს ექიმი-სპეციალისტი.

დაკითხვის გეგმის შედგენა და დასაკითხი პირის გამოძახება. დაკითხვის მომზადება და მიზანსწრაფული ჩატარება შეუძლებელია ისე, თუ გამომძიებელი არ შეადგენს დაკითხვის გეგმას. გეგმის შედგენა წარმოადგენს დაკითხვის მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს. დიდ და რთულ საქმეებზე დაკითხვის გეგმა უნდა შედგეს წერილობით, მარტივ საქმეებზე იგი შეიძლება ატარებდეს ზეპირ ხასიათს.

დაკითხვის გეგმის შედგენა არ უნდა იყოს განხილული, როგორც დოგმა. იგი შეიძლება დაზუსტდეს და შეიცვალოს დაკითხვის პროცესში, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

დაკითხვის გეგმაში უნდა იყოს შეტანილი შემდეგი ძირითადი საკითხები: თუ ვინ უნდა დაიკითხოს და ვის როლში; როდის და სად ჩატარდეს დაკითხვა; რა ფაქტები და გარემოებები უნდა იყოს დადგენილი დაკითხვის შემდეგ; რა სახის მასალები მოიპოვება საქმეში დაკითხვის საგნის შესახებ (უნდა მიეთითოს საქმის ფურცლის ნომერი); რა საკითხები უნდა იყოს გარკვეული დაკითხვის დროს; რა შეკითხვები და რა თანმიმდევრობით უნდა დაესვას დასაკითხ პირს; რა სახის ნივთმტკიცებები და მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს დასაკითხ პირს იმ შემთხვევაში, თუ მას გადაავიწყდა ცალკეული ფაქტები და გარემოებები ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას; რა სახის ტაქტიკური ხერხები უნდა იყოს გამოყენებული დაკითხვის დროს (ეს საკითხი განისაზღვრება საქმის მასალებიდან გამომდინარე და დასაკითხი პიროვნების გათვალისწინებით).

დაკითხვისათვის მზადება გულისხმობს დასაკითხი პირის გამოძახებას. კანონის საფუძველზე (სსს კოდექსის 295 – ე მუხლი გამოძახება დაკითხვაზე). მოწმეს, დაზარალებულს, აგრეთვე თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს დასაკითხად იძახებენ უწყებით. საკითხს, თუ რომელი ხერხი ჯობია გამოძახებისათვის, წყვეტს გამომძიებელი, ირჩევს იმას, რომელიც მოცემულ სიტუაციაში ოპტიმალურად შეუწყობს ხელს დასაკითხთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებაში, გამოძახების ფაქტის უცხო პირებისაგან საიდუმლოდ დარჩენაც ერთ-ერთი პირობაა კონტაქტის დამყარებისათვის.

უწყება იგზავნება ფოსტით ან შიკრიკის ხელით. გამოძახება შეიძლება აგრეთვე ტელეფონოგრამით, დეპეშით, რადიოგრამით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით. გამოძახების შესახებ უწყებასა თუ სხვა შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს, ვინ და რისთვის, ვისთან და რა მისამართზე არის პირი გამოძახებული, გამოცხადების დღე და საათი, აგრეთვე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები.

უწყების (შეტყობინების) ხელზე მიღება გამოძახებულმა ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს. თუ გამოძახებული ადგილზე არ იმყოფება, უწყება (შეტყობინება)

მისთვის გადასაცემად ხელმოწერით უნდა ჩაბარდეს მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელს.

პირებს, რომლებიც საგამოძიებო ან დროებითი ყოფნის იზოლატორში, მიმღებგამანაწილებელში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ან აღმზრდელობით კოლონიაში იმყოფებიან, იძახებენ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ დასაკითხი პირი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება, გამომძიებელი ღებულობს ზომებს მისი იძულებითი წესით მოყვანის შესახებ.

დაკითხვის თანმიმდევრობის, ადგილისა და დროის შერჩევა. ნორმალური პირობების შექმნა. საქმის მასალებიდან გამომდინარე ჯერ უნდა შეირჩეს დასაკითხ პირთა თანმიმდევრობა, რათა არ დაიკარგოს ჩვენებებში მიზანმიმართულება. ეს ნიშნავს, რომ ერთი მხრივ აუცილებლად გაჩნდება რაღაც პრობლემები და მეორეს მხრივ, გვექნება არასაჭირო ინფორმაცია. საერთო წესების მიხედვით პირველ რიგში უნდა დაიკითხონ ის პირები, რომელთაც გააჩნიათ უფრო მეტი საჭირო ინფორმაცია მომხდარზე ანდა დროის გასვლის გამო შესაძლებელია მათ მიერ დავიწყებულ იქნას გარკვეული ფაქტები (ასაკის, ავადმყოფობის გამო). მაგრამ უპირველესად მაინც იკითხებიან პირები, რომლებიც რაიმე დამოკიდებულებაში არიან ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან, იმის გამო, რომ მათზე ვერ მოასწრონ ზემოქმედება ამ უკანასკნელებმა და მათმა ახლობლებმა. არ არის საჩქარო იმათი დაკითხვა, რომლებსაც შეუძლიათ გაახმაურონ ის ფაქტები, თუ ვისზე და რა გარემოებებზე ამახვილებს გამომძიებელი ყურადღებას.

რამოდენიმე ბრალდებულის შემთხვევაში პირველები იკითხებიან ისინი, რომლებიც მოისაზრებიან, რომ მოგვცემენ სრულ და მართალ ინფორმაციას (პირები, რომლებიც პირველად იღებენ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას, დანაშაულში მეორეხარისხოვანი მოქმედი პირები, ანდა პირები რომელზედაც გამომძიებელს აქვს უფრო მეტი დამაჯერებელი მამხილებელი მტკიცებულებები).

ამასთანავე უნდა განისაზღვროს დაკითხვის დრო, რომლის შერჩევა დამოკიდებულია მთელ რიგ კრიმინალისტურ სიტუაციებთან. დაკითხვა უნდა ჩატარდეს დღის საათებში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, როდესაც ამ საგამოძიებო

მოქმედების გადადებას შეუძლია ზიანი მოუტანოს ჭეშმარიტების დადგენას. დაკითხვის დროის განსაზღვრისას აუცილებელად გასათვალისწინებელია პროცესუალური მოთხოვნები. დაკითხვის დროის განსაზღვრასთან ერთად უნდა განისაზღვროს, თუ რა დროს მოანდომებ დაკითხვას და მონაცემთა ფიქსაციას, რათა დასაკითხები არ კარგავდნენ დროს ლოდინში სანამ ერთნი დაიკითხებიან, ან რათა თავიდან ავიცილოთ დასაკითხების ერთმანეთთთან შეხვედრა, მათ შორის არასასიამოვნო კონტაქტის გამო.

დაკითხვის მომზადება გულისხმობს აგრეთვე ნორმალური პირობების შექმნას ანუ ოთახი, ტერიტორია სადაც უნდა ჩატარდეს დაკითხვა, უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ დაკითხვის პროცესის მონაწილეების ყურადღებას არ ზღუდავდეს რაიმე ფაქტორები (ტელევიზორი, ტელეფონი, ხმაური, არასასიამოვნო გარემო ოთახში და სხვა). მაგრამ დაკითხვა, დამკითხავის ტაქტიკური მოსაზრებისა და საქმის მასალებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩატარდეს არა მარტო გამოძიების ადგილზე ან იზოლატორში არამედ ადგილზე, სადაც დასაკითხი პირი იმყოფება (საცხოვრებელი ადგილი, სამსახური, საავადმყოფო).

ტექნიკური მომზადება. ამ საკითხში შედის საჭირო ოქმის ბლანკების, საწერი ქაღალდის, საწერი საშუალებებისა და საჭიროების შემთხვევაში ტექნიკური საშუალებების მომზადება, როგორიცაა ხმის ჩამწერი და ვიდეო მოწყობილობები.

ყველა აღნიშნული საკითხის განხილვა-გადაწყვეტის შემდეგ დაკითხვის მომზადება ითვლება დამთავრებულად და გამომძიებელი ემზადება დაკითხვის უშუალო წარმოებისათვის.

თავი II.

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის მეთოდები და თავისებურებანი

შესავალი

გამოძიების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოწმეთა ჩვენებები ყოველთვის არ შეიძლება იყოს სანდო და არასაკამათო მტკიცებულება. ერთ-ერთ ძირითად პრობლემას, ცრუმოწმეობასთან ერთად, წარმოადგენს მისი მცდარობა. გამოკითხული გამომძიებლების 80% აღნიშნავენ, რომ პერიოდულად მოწმისა და დაზარალებულების ჩვენებებში აწყდებიან შეცდომებს, თუ არ ჩათვლიან ცრუ მოწმეობას. 13% აღნიშნავს ასეთ სიტუაციას, როგორც მუდმივ მოვლენას, 4% იშვიათად ხვდება ცდომილებებს ჩვენებებში, მხოლოდ 3% აცხადებს, რომ ისინი არ შეხვედრიან შეცდომებს მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებებში. რესპოდენტების ბოლო კატეგორიას წარმოადგენენ 2-დან 5 წლამდე, უმეტესად 3 წლის, სტაჟის მქონე გამომძიებლები.

მცდარი ჩვენებები, კანონის დარღვევის მიუხედავად, არ მიეთითება ოქმებში, მაგრამ თუ მიეთითება, რჩებიან უყურადღებოდ, ანალიზის გარეშე და არ აისახებიან დასკვნებში. ყველაზე ცუდ შემთხვევებში, დღევანდელი კანონმდებლობის მოქმედებისას, ეს ცდომილებები შეიძლება ჩაითვალონ ცრუ ჩვენებად და მოწმეცა და დაზარალებულიც მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - მუხლი 70, პუნქტი 3. დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად. სისხლის სამართლებრივი დევნა ამ საფუძვლით შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 370 - ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი; 1. მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა ან ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა გამოძიების დროს ან სასამართლოში).

პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე საგამოძიებო დანაყოფებში, მოწმეებისა და დაზარალებულების დაკითხვის ტაქტიკა, გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით, წარმოადგენს უფრო დიდ სირთულეს, ვიდრე ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების დაკითხვა. კონფლიქტურ სიტუაციაში, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისას, დამკითხავსა და ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს შორის წარმოიქმნება ღია ჭიდილი, თავიანთი ინტერესების დასაცავად (გამონაკლისს წარმოადგენს არაკონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც იშვიათია პრაქტიკაში). ამ პირობებში გამომძიებლის ამოცანაა გადახაროს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მართებული ჩვენების მიცემისაკენ, აღიარებისაკენ. ამავე დროს კი დასაკითხი ცდილობს გაუძლოს შეტევას, არ მოხვდეს გამომძიებლის მიერ დაგებული კითხვების მახეში. ასეთ დაპირისპირებას შეიძლება ვუწოდოთ ინტერესების გააზრებული, მდგრადი შეჯახება, რომლის დროსაც თითოეული მხარე აანალიზებს მიზნის მიღწევისათვის თავის ძალებს.

სულ სხვა სიტუაცია წარმოგვიდგება მოწმის ანდა პატიოსანი დაზარალებულის დაკითხვის დროს, რომლებიც განწყობილნი არიან სრულიად ჭეშმარიტი ჩვენების მოსაცემად. ასეთ დროს ყოველთვის არსებობს უარყოფითი საგამოძიებო სიტუაციის შექმნის შესაძლებლობა, დაკავშირებული აღქმული ინფორმაციის დამახინჯებასთან, რომლის გადაწყვეტაც შეუძლებელია მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე. ასეთ სიტუაციაში გამომძიებელი უმოქმედოდ რჩება მოწმისა და დაზარალებულის გაუაზრებელი პროცესების პირისპირ, რადგანაც ისინი ვერ ახერხებენ იმ გარემოებების გახსენებას, რომლის თვითმხილველებიც იყვნენ ან ამახინჯებენ ფაქტებს.

მოწმისა და დაზარალებულის ჩვენება შეიძლება გავაერთიანოთ ერთი ნიშნის ქვეშ, თუ ავიღებთ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებზე დამოწმების მსგავსებას. ანუ მოწმისა და დაზარალებულის ჩვენებას აქვს მსგავსი მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ამავე დროს ამ ჩვენებებს აქვს სხვადასხვა პროცესუალური ბუნება, შინაარსი და ფორმირების განსხვავებული პირობები.

დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს არა მარტო მტკიცებულების წყაროს, არამედ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინტერესების დაცვის საშუალებაცაა. ამავე დროს მოწმეს არ გააჩნია დამოუკიდებელი სრულყოფილი

სტატუსი, შესაბამისად არა აქვს განსაზღვრული უფლებების ფართო წრე, შემოფარგლულია მხოლოდ ჭეშმარიტი ჩვენების მიცემის მოვალეობით. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები. ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის 54-ე მუხლის თანახმად მოწმეა ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის 56-ე მუხლის ,,ვ'' პუნქტის თანახმად უფლება აქვს, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება.

დაზარალებულის მოვალეობაა გამოძახებისთანავე გამოცხადდეს დაკითხვაზე და მისცეს სრული და მართებული ჩვენება, მაგრამ რეალურად დაზარალებული ჩვენების მიცემით რეალიზებას უკეთებს თავის უფლებას, როცა მოწმე მხოლოდ წარმოადგენს მარტო მტკიცებულების წყაროს, მისი ინტერესებიდან დამოუკიდებლად.

დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი რეგლამენტირებულია საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68 მუხლით, და განისაზღვრება, როგორც პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზარალი. მოწმეს არ გააჩნია პროცესუალური სტატუსი, მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, შემოიფარგლება მხოლოდ უფლება-მოვალეობებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 94.) გარკვეული მცირე სტატუსი აქვს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით (მუხლი 54), მაგრამ აქაც იგი განიხილება მტკიცებულების წყაროდ, რომელმაც უნდა მისცეს ჩვენება საქმის გარშემო ყველა გარემოებაზე, რაც საჭიროებს დადგენას.

ზოგ შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია ჩვენების მიცემა, როგორც იმ გარემოებებზე, რომელიც წინ უსწრებდა დანაშაულს, ასევე შემდგომში გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგებზე. მისი მომხდარით გათვითცნობიერებულობა

საგრძნობლად ფართოა მოწმესთან შედარებით, რადგან მომხდარი დანაშაულის გარშემო შეიცავს ინფორმაციას (ცნობებს) არა მარტო დამდგარი მატერიალური შედეგების შესახებ, არამედ ინფორმაციას (ცნობებს) იმ გარემოებებისა და მოქმედებების გარშემო, რის გამოც დადგა ეს შედეგი. ძირითად კრიტერიუმზე დაყრდნობით, ანუ მიღებული გარკვეული ზიანისა და ამის შედეგად წარმოქმნილი გარკვეული უფლებების გამო მას უნდა ვუწოდოთ დაზარალებული.

დაზარალებულისაგან განსხვავებით მოწმის ჩვენება შემოიფარგლება ჩადენილი დანაშაულის მთლიანი სურათის გარკვეული ფრაგმენტების აღქმით. ეს გარემოება აისახება მისი ჩვენების ხარისხზე.

არსებობს გარკვეული განსხვავებები დაზარალებულის და მოწმის აღქმას, დამახსოვრებასა და გადმოცემას შორის. თუ შევადარებთ ორ პიროვნებას, რომელთაგან ერთი დაზარალებულია და მეორე მოწმე, არ არის გამორიცხული ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმეზე მოგვცენ სხვადასხვა ჩვენებები. ეს განსხვავება გამოიხატება მათი დამოკიდებულებით დანაშაულთან, ემოციური შეფერვით, ყურადღების მიმართულებით და სხვა პოზიციებით. ამიტომ არ შეიძლება შევადაროთ ეს ჩვენებები მისი სრული ჭეშმარიტებით. მოწმის ჩვენება ხშირად განსხვავდება დაზარალებულის ჩვენებიდან, ამ უკანასკნელის აღქმაზე მოქმედი ემოციის გამო, მაგრამ ეს განსხვავება ჩვენებებში კიდევ არ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი მათგანი არ არის გულახდილი.

ხშირია შეცდომების ალბათობა მაშინაც, როდესაც დაკითხვა წარმოებს თარჯიმნის მონაწილეობით. მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი ფსიქოლოგის ს. ლ. რუბინშტეინის ფრაზები, სადაც იგი მიუთითებს: იმისათვის, რომ სუბიექტის აზრმა, როგორც ცხოვრებისეულმა ფაქტმა, სწორად პოვოს თავისი გამოსახულება, აუცილებელია იგი აღქმულ იქნას არა მხოლოდ როგორც მეტყველების ფორმალური ტექსტი, არამედ უნდა მოხდეს ე.წ. ქვეტექსტის ზუსტი გაშიფვრა, რათა გაირკვეს არა მხოლოდ ის, ფორმალურად რაც ითქვა, არამედ რისი თქმაც სუბიექტს სურდა და რაც ჰქონდა მხედველობაში. ე.ი. განისაზღვროს მოტივი და მიზანი. [39. გვ.60].

§1. მოწმის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი

1. მოწმე როგორც დაკითხვის სუბიექტი. მოწმის ჩვენების შინაარსი განპირობებულია (დამოკიდებულია) გამოსაკვლევი მოვლენის ხასიათით, მისი დროის და სივრცული მახასიათებლებით, განუმეორებელი ინდივიდუალურობით, მაგრამ რაღაც შემთხვევითი თუ კანონზომიერი პროცესების შედეგად ეს მოვლენა გახდა მოწმის ცხოვრების ფაქტი, რომლითაც გადაიკვეთა მისი პირადი გარემოებები, ცხოვრებისეული ცალკეული მომენტები. ზუსტად მოწმის ამ ცხოვრებისეულ გარემოებებში იმყოფება დაკითხვაზე გამოსაძიებელი შემთხვევის გახსენების, აღდგენის საყრდენი წერტილი. ამიტომ მოწმის საკუთარი ცხოვრებისეული გარემოებებისა და შემთხვევის გახსენების ერთმანეთთან თანაფარდობა იძენს დიდ მნიშვნელობას გამოსაძიებელი საქმისათვის. ამ თანაფარდობაზე აკეთებს ორიენტაციას მოწმე ჩვენების მიცემისას, ეს თანაფარდობა გამოიყენება დაკითხვისას საყრდენ და მაკონტროლებელ პუნქტად. იმის განხილვისას, თუ რა აზრი ჰქონდა მომხდარ ფაქტს მოწმისათვის, მომხდარი ფაქტის მისი ცხოვრებისეულ კონტექსტში განხილვისას, დამკითხველებს შესაძლებლობა ეძლევათ გადალახონ მცდარი წარმოდგენები, გამორიცხონ მცდარი წარმოდგენები და უფრო ზუსტად გაერკვნენ საქმის არსებით გარემოებებში.

მოწმის პოზიციებიდან გამომდინარე, თავიანთ მოვალეობასთან დამოკიდებულებით, იურიდიული თეორია და პრაქტიკა განასხვავებს საქმეზე დაინტერესებულ და დაუინტერესებელ, კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მოწმეებად, ხოლო მათ მიერ მოცემული ჩვენება კვალიფიცირდება, როგორც მართებული და მცდარი.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ზოგჯერ ისეთი ურთიერთ გამომრიცხავი შეხედულებები, როცა საქმეზე დაინტერესებულ მოწმეებს წინასწარ უკვე თვლიან არაკეთილსინდისიერებად ან - პირიქით, მათ ჩვენებას კი - ტყუილად ან მართებულად. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ცნობილია, რომ დაზარალებულები ეკუთვნიან ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც დაინტერესებულები არიან საქმის შედეგებით, თუ დანაშაულის შედეგად მათ მიადგათ მატერიალური და მორალური ზიანი. ამავე დროს, იშვიათად ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც დაზარალებულები არაკეთილსინდისიერად უდგებიან თავიანთ მოვალეობებს და

იძლევიან მცდარ ჩვენებებს. ხდება ისეც, რომ მოწმეებიც, რომელთა ინტერესებსაც არ შეხებიან, რომლებიც თითქოს არ არიან დაინტერესებული საქმის გარშემო მცდარი ჩვენების მოცემით, რაღაც გარემოებების გამო მაინც მალავენ მომხდარზე საჭირო ფაქტებს, ამახინჯებენ საქმის რეალობას.

გამოძიების მსვლელობისას მოწმეების დაყოფა საქმეზე დაინტერესებულ და დაუინტერესებელ, მით უმეტეს კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მოწმეებად, უნდა ატარებდეს წინასწარ საორიენტაციო ხასიათს, რადგან საქმის მსვლელობისას ასეთი წარმოდგენების შექმნა იწვევს მოწმეებისა და მათი ჩვენებების მიმართ არაობიექტურ, ტენდენციურ მიდგომას, რაც უარყოფითად იმოქმედებს გამოძიების მსვლელობაზე. ამის გარკვევა უფრო ხდება საქმის დასრულებისას, რადგან გამომძიებლისთვის უფრო მთავარი უნდა იყოს რეალობის დადგენა და არა სასურველი თუ არასასურველი ჩვენებების მიღება, ამაში გამოიხატება მისი პროფესიონალიზმი. ამასთან ერთად მოწმეების წინასწარი საორიენტაციო შეფასება საჭიროა ყურადღების გამახვილებისათვის და სათანადო ორიენტაციისათვის, რათა შერჩეულ იქნას მოქნილი დაკითხვის ტაქტიკა.

კრიმინალისტიკაში და სასამართლო ფსიქოლოგიაში საორიენტაციო ხასიათის ნიშნების მიხედვით დამკითხავის და დასაკითხის ურთიერთობის პროცესში, განასხვავებენ ორი ტიპის ტაქტიკურ სიტუაციას: კონფლიქტურს და არაკონფლიქტურს.

არაკონფლიქტური სიტუაცია ხასიათდება გამოძიების გარკვეულ ეტაპზე ინტერესების დამთხვევით და არ მოდის წინააღმდეგობაში იმ მიზნებთან, რომლისკენაც არის მიმართული ამა თუ იმ მხარის ძალისხმევა. სხვადასხვა სირთულის და ხანგრძლივობის კონფლიქტური დამოკიდებულება ხასიათდება ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედების და დაპირისპირების ელემენტებით. ობიექტურად ათვითცნობიერებენ რა თავიანთ მდგომარეობას, გარკვეული სირთულეების და ხარვეზების შექმნით ორივე მხარე მიზანმიმართულად ცდილობს თავიანთი მიზნის მიღწევას.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ წინააღმდეგობების გადასალახავად მხოლოდ კონფლიქტურ სიტუაციებშია საჭირო დამკითხავების ტაქტიკური ხელოვნება და ტექნიკური ცოდნა. არაკონფლიქტურ სიტუაციებში დაკითხვასაც გააჩნია

განსაკუთრებული სირთულეები, რომელიც განპირობებულია ჩვენების ფორმირების კანონზომიერებებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში განვიხილოთ არაკონფლიქტური სიტუაცია, როცა საქმე გვაქვს მოწმეებთან, რომლებიც თანამშრომლობენ გამოძიებასთან. ასეთივე წესები და ტაქტიკური ხერხები გამოიყენება პატიოსანი დაზარალებულების შემთხვევაშიც ამიტომ არ მივიჩნიეთ აუცილებლად მათი ცალ ცალკე განხილვა.

2. წარმოდგენები და შეცდომები მოწმის ჩვენებებში. საქმეზე რეალობის დადგენა დამკითხავებისთვის ერთ-ერთი მოვალეობაა, რომლის საშუალებასაც მას გამოძიების პროცესის ერთ-ერთი მონაწილე, მოწმე აძლევს. არსებობს სიტუაციები, როცა იგი ამას ვერ ახერხებს ისეთი მოწმეებიდანაც, რომელსაც ნამდვილად სურვილი აქვს კეთილსინდისიერად მოუყვეს გამომძიებელს ყველაფერი, რაც მან დაინახა, რის გამოც დაკითხვა უშედეგოდ მთავრდება.

ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ ფაქტორებში, რაც ჩვენ წინა თავში განვიხილეთ. ეს არის ადამიანის უნარი სრულად და სწორად აღიქვას ის, რაც მან დაინახა, გაიგონა და განიცადა ან სულაც ვერ დაინახა, მარტო გაიგონა, მაგრამ თავისი წარმოდგენები აქვს, რომელსაც იგი მართებულად მიიჩნევს.

მართებული ჩვენება – ეს არის მონაყოლი ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება მოწმის სუბიექტურ წარმოდგენას აღქმულ მოვლენებზე. მოცემულ შემთხვევაში ,,სიმართლე'' შემოსაზღვრულია აღქმის სუბიექტური შესაძლებლობებით, მოწმის მეხსიერების თავისებურებებით, პირობებით, რომელშიაც მიმდინარეობდა ინფორმაციის დამახსოვრება და ასახვა პირებზე შემდგომი მისი გადაცემით (რეტრანსლიაციით). მოწმის მართებული ჩვენება გაიგივებულია მის გულახდილობასთან.

თუ რამოდენიმე მოწმის ჩვენება არ ემთხვევა ერთმანეთს, ეს არ არის ყოველთვის იმის მანიშნებელი, რომ ერთ-ერთი მათგანი ცრუობს. ყოველი მათგანი შეიძლება იყოს სუბიექტურად სწორი. ამ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს საკითხი არა იმ მხრივ, თუ, რომელი მათგანი იძლევა ცრუ ჩვენებას, არამედ იმ მიმართულებით, თუ, რომელი მოწმე იძლევა უფრო ზუსტ ჩვენებას. ამა თუ იმ ჩვენების შეფასება შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი და საორიენტაციო ანალიზით.

ასეთი ანალიზის ერთ-ერთ ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს არსებულ რეალობასთან ჩვენების შესაბამისობა. შეფასება ხდება გამომძიებლის ცოდნის, ცხოვრებისეული და პროფესიონალური გამოცდილების საფუძველზე. გარკვეულ შემთხვევებში, ჩვენების ცხოვრებისეულ პრაქტიკასთან შედარება გვაძლევს შეუსაბამობების გამოვლენის საშუალებას.

წინასწარი შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მოწმის კომპეტენტურობა, როცა მისი ჩვენების ხასიათი და პიროვნული თვისებები გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მას არ შეუძლია მოიგონოს აღწერილი შემთხვევა.

მოწმის ჩვენების სანდოობის განხილვისას საჭიროა განვასხვავოთ საკითხების ორი ჯგუფი, რომლებიც ძალიან იოლად ცვლიან და ერევიან ერთმანეთში; პირველი ეს არის მართებულობისა და სიცრუის საკითხი (მოწმე სიმართალეს ამბობს თუ ტყუილს); მეორე კი - რეალობისა და მცდარობის საკითხი (რეალობას ყვება თუ ცდება).

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მოწმის ჩვენების რეალური შეფასებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერთი მხრივ სიმართლისა და ტყუილის შეუსაბამობა და მეორე მხრივ რეალობისა და ცდომილების გათვალისწინება. მართებული ჩვენება შეიძლება წარმოადგენდეს რეალობას, გადმოცემულს ისე, როგორც მიმდინარეობდა მოვლენა ან შესაძლებელია შეიცავდეს მცდარ პოზიციებს, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს. ცრუ ჩვენებები კი ყოველთვის მთლიანად ან რაღაც ნაწილში არასწორად აშუქებენ გამოსაძიებელ შემთხვევას. მაგრამ ზოგჯერ ხდება ხოლმე, (რაც არ უნდა პარადოქსული იყოს), რომ რეალობის გაუკუღმართებული მომენტები ცრუ მოწმის ჩვენებაში გადმოცემულია მართებულად. ამიტომ ყოველთვის უნდა განვასხვავოთ მოწმის სუბიექტური კეთილსინდისიერება და მისი ჩვენების ობიექტური მართებულობა, რაც ერთი და იგივე არ არის.

რეალობის გადმოცემისას ხარვეზები გამომდინარეობს ორი წყაროდან. ერთი არის გათვითცნობიერებული ტყუილი, მეორე კეთილსინდისიერი ცდომილებები, დაბნეულობა. თითქოს იოლია ზედაპირულად მათ შორის განსხვავების აღმოჩენა, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. ამიტომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი მდგომარეობები: მათი ერთმანეთში გაერთიანების საფუძველია ის, რომ

როგორც ტყუილი, ისე კეთილსინდისიერი ცდომილებები არის სინამდვილის არაადეკვატური ანარეკლი, რეალობის დამახინჯება არასწორი ინფორმაციით; ორივე ურთიერთწინააღმდეგობა ტყუილიცა და ცდომილებაც წარმოიქმნება მოწმის ფსიქიკაში, რომლის დანახვა და ჩაწვდომა არ შეუძლია სხვა ადამიანის აღქმას; კეთილსინდისიერი ცდომილებისაგან განსხვავებით ტყუილი არის შეგნებული, ნებაყოფლობითი აქტი; ცრუ მოწმეს გააზრებული აქვს ის, რომ მისი ჩვენება არ ემთხვევა რეალობას და სურს ასე; კეთილსინდისიერი მოწმე გულახდილია, იღებს რა მცდარ აღქმას რეალობად.

პროცესუალურ-კრიმინალისტიკურ და სასამართლო-ფსიქოლოგიურ ნაშრომებში როცა ლაპარაკია მოწმეების ჩვენებების ცდომილებებზე, ისინი განიხილებიან ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებთან მიმართებაში, განასხვავებენ რა აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, სიტყვიერი გადმოცემის და სხვა ცდომილებებს. ასეთი კლასიფიკაცია მიუთითებს საქმეზე გარემოებების გაყალბების არათვითნებურ მექანიზმზე, ესე იგი შეცდომების მიზეზებზე. მაგრამ მათი წარმოქმნის ისტორია სრულიად არ ხსნის თავად შეცდომების არსს, რომელსაც ,,მზა ფორმით'' ხვდებიან დამკითხავები, გამომძიებლები ან მოსამართლეები.

ამავე დროს ერთი და იგივე ხასიათის შეცდომები შესაძლებელია წარმოქმნილი იყოს სხვადასხვა მიზეზებით: აღქმის ჩავარდნებით, დავიწყებით, შემდგომი წარმოდგენების ზედდებით და სხვა ფაქტორებით. ამიტომ პრაქტიკული თვალსაზრისით არანაკლებ ღირებულია შეცდომების შემცველობითი მხარე, ე.ი. ის, თუ რაში მდგომარეობს ეს შეცდომები. განზოგადებულად ფაქტების ყველა დამახინჯება თავს იყრის საერთო სახეებში, ფორმებში:

- მთლიანი მოვლენების, გარემოებების, მოქმედებების, ობიექტების დანაწევრება-დაყოფა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ და დაუკავშირებელ ნაწილებად;
- ცალკეული, ერთმანეთთან დამოუკიდებელი მოვლენების, გარემოებების, ფაქტების, ობიექტების ერთ მთლიანში გაერთიანება, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობდა.
- რაიმე რეალური ზომების, დროის ხანგრძლივობის, ძალის, სიკაშკაშის, მოვლენების ინტენსივობის გაზვიადება ან შემცირება, სხვადასხვა მოვლენების, მოქმედებების, ნიშან-თვისებებისა და ობიექტების აღწერისას;

- მოვლენების, მოქმედებების, საგნების აღწერისას, საეჭვო და მათთვის არადამახასიათებელი თვისებების დამატება და მიკუთვნება;
- მოვლენების, მოქმედებების, საგნების აღწერისას მათი ნიშან-თვისებების, ხასიათის, დეტალების, გამოვლინებების გამორიცხვა, ამოღება, გამოტოვება;
- ერთი რეალური ობიექტის, ნიშნის, თვისების, ან მოქმედების გადაადგილება, მეორეთი შეცვლა, დროში გადაადგილება ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა;
- ფორმის, სტრუქტურის, მოვლენის რეალური მიმდევრობის, მოქმედების, ხარვეზებით გადმოცემა;
- სხვადასხვა ობიექტების, საგნების პირების გაიგივება ან პირიქით;
- მცდარი გამონათქვამები და გამოსაძიებელ საქმეში მონაწილეთა საუბრისას ნათქვამის მცდარად გაგება, და ბოლოს იგივე დამკითხავსა და დასაკითხს შორის ურთიერთობისას.

შეცდომების ჩამოთვლილი სახეები, როგორც წესი, მთლიანად არ ახასიათებს მოწმეების ჩვენებებს, ისინი არ ატარებენ ტოტალურ ხასიათს, არამედ მიეკუთვნებიან გამოსაძიებელი საქმის რაიმე ცალკეულ ფაქტობრივ გარემოებებს, ცალკეულ დეტალებს და მომენტებს. მაგრამ ამ შეცდომებს ენიჭებათ განსაკუთრებული მნიშვნელობა, როცა ისინი ცვლიან საქმისათვის ძალზედ საჭირო რეალურ გარემოებებს.

გამომძიებლები ხშირად აწყდებიან ილუზორული აღქმის შემთხვევებს, განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი, რომელიც თვალნათლივ მიგვითითებს მოწმეების მიერ მოცემული ჩვენებების მცდარობაზე. სწორედ ასეთი სახის შეცდომები უნდა აღმოაჩინოს დამკითხავმა, რათა სრულად აღადგინოს დანაშაულის სურათი.

ავტო საგზაო შემთხვევის მოწმეებს ხშირად დაჯახების ხმა ესმით და ვერ ხედავენ უშუალოდ დაჯახებას (იხ. დანართი სურ. 20), მხოლოდ დაჯახების ხმის გაგონების შემდეგ შებრუნდებიან და მერე ხედავენ უშუალოდ მომხდარ შემთხვევას (იხ. დანართი სურ. 21), თუმცა ისინი დარწმუნებულები არიან, ამასთანავე ამტკიცებენ, რომ დაინახეს ავტო საგზაო შემთხვევა. (იხ. დანართი სურ. 22 და სურ. 23). [26]

იგივე ხდება ჩხუბის შემთხვევაში ადამიანებს ესმით ყვირილი და მერე ხედავენ, რომ ერთი (A) პიროვნება უკან იხევს მეორე (B) კი წინ მიიწევს, თუმცა მას პირველისთვის

არ დაურტყამს. ასეთ შემთხვევაში ხშირად იძლევიან ჩვენებას, რომ მეორემ (B-მ) სცემა პირველი (A). სინამდვილეში კი თავიდან პირველმა (A-მ) დაარტყა მეორეს (B-ს) და ამის შემდეგ დაიხია უკან. მოწმე მხოლოდ უკან დახევის მომენტიდან აკვირდება სიტუაციას, მაგრამ მზად არის დაიფიცოს, რომ დაინახა თუ როგორ დაარტყა მეორემ (B-მ) პირველს (A-ს). ასეთ შემთხვევებში გამომძიებელმა უნდა იცოდეს, რომ მოქალაქის სიტუაციის მისეული აღქმა არ შეესაბამება სინამდვილეს.

სქემატურად განვიხილოთ შემთხვევა, რათა თვალნათლივ დავინახოთ, თუ მოწმის მიერ აღქმულს, როგორ შეუძლია შეიყვანოს შეცდომაში გამოძიება. ამ შემთხვევას რეალურად ჰქონდა ადგილი, როცა პოლიციური ოპერაციის დროს საჭირო იყო ეჭვმიტანილის დაკავება.

ერთ-ერთი პოლიციელი მისდევს ეჭვმიტანილს, რომელიც გარბის მცირედ განათებულ დახურულ სივრცეში. პიროვნება, რომელიც გახდა ამ ფაქტის მოწმე დგას უკანა პლანზე (იხ. დანართი სურ. 24.1 და სურ. 24.2).

ამ დროს პოლიციელი აწარმოებს ერთ გასროლას, რომელიც სცდება ეჭვმიტანილს. (იხ. დანართი სურ. 25.1 და სურ. 25.2).

ეჭვმიტანილი შეუხვევს მარცხნივ და გააგრძელებს სირბილს, პოლიციელი მიჰყვება მას და აწარმოებს მეორე გასროლას, რომელიც ისევ სცდება ეჭვმიტანილს. (იხ. დანართი სურ. 26.1 და სურ. 26.2). სამაგიეროდ გასროლა საბედისწერო გახდა უბრალო გამვლელისთვის, რომელიც ცეცხლის ხაზზე შემთხვევით იდგა, ტყვია მოხვდა მას, რითაც შემდეგ იგი გარდაიცვალა (იხ. დანართი სურ. 27). ტყვია გამჭოლი აღმოჩნდა, ამიტომ მისი პოვნა ვერ მოხერხდა.

პოლიციელმა მხოლოდ ორჯერ გაისროლა, მაგრამ მოწმე, რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, დაკითხვისას ამტკიცებდა, რომ გაიგონა სამი გასროლის ხმა (იხ. დანართი სურ. 28).

სინამდვილეში მოხდა შემდეგი: პოლიციელმა მოახდინა პირველი გაისროლა და გააგრძელა დევნა, გასროლის ხმა მოესმა მოწმესაც (იხ. დანართი სურ. 29), მაგრამ რამოდენიმე წამის შემდეგ მოწმემ გაიგონა ამ გასროლის ექო (იხ. დანართი სურ. 30.1 და სურ. 30.2), რომელიც აღიქვა მან მეორე გასროლად. შემდეგ კი მოესმა მესამე გასროლა (იხ. დანართი სურ. 31).

ვინაიდან ტყვია გამჭოლი აღმოჩნდა და მისი პოვნა ვერ მოხერხდა, პოლიციელს საბედისწერო გასროლის ფაქტი ვერ უმტკიცდებოდა. იგი ამბობდა, რომ ორი გასროლა მოახდინა, მაგრამ მოწმე მიუთითებდა სამი გასროლის შესახებ. დადგინდა, ეჭვმიტანილის დაკავების ოპერაციაში მონაწილე სხვა პოლიციელებს გასროლა საერთოდ არ მოუხდენიათ. მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე, გამოძიებამ ვერ დაადასტურა, რომ სასიკვდილო გასროლა პოლიციელმა მოახდინა და მივიდა არასწორ დასკვნამდე. თეორიულად მესამე გასროლა შეიძლება ვინმე სხვას მოეხდინა, რომლის გარკვევაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ დამნაშავე პოლიციელი გამართლებული იქნა. (იხ. დანართი სურ. 32 და სურ. 33)

განვიხილოთ მეორე შემთხვევა, რომლის დროსაც მოწმე დარწმუნებულია თავის სიმართლეში, მაგრამ რეალურად საქმის ვითარება სხვანაირად იყო.

ქალბატონი სახლის სადარბაზოში პირდაპირ შეეჩეხა მძარცველს. მოწმე, რომელმაც დაინახა, როგორ გამორბოდა სადარბაზოდან კაცი (იხ. დანართი სურ. 34 და სურ. 35), იძლევა შემდეგ ჩვენებას: დავინახე, როგორ გამოვარდა კაცი სადარბაზოდან, მას ქალი მოსდევდა, ის კაცი სახლის კუთხისკენ გაიქცა, შეუხვია, ჩაჯდა მანქანაში და მანქანა წავიდა (იხ. დანართი სურ. 36 და სურ. 37). მოწმემ ნანახის და გაგონილის შეჯამებით ჩამოაყალიბა ერთიანი სურათი.[26]

მაგრამ სინამდვილეში მძარცველმა, რომელიც სადარბაზოდან გამოვარდა და ქალი მოსდევდა, შეუხვია სახლის კუთხეში და გაიქცა პირდაპირ, რასაც მოწმე ვერ ხედავს. ამავე დროს სხვა პიროვნება ჯდება მანქანაში, ხურავს კარებს (რაც ესმის მოწმეს) და დაძრავს მანქანას მოწმის მხედველობის არისაკენ (იხ. დანართი სურ. 38 და სურ. 39).

ეს მაგალითები ამტკიცებს, თუ რა მცდარი შეიძლება იყოს მოწმის მიერ მომხდარი ფაქტის აღქმა, დანახულის და გაგონილის შეჯამებით. ამიტომ უნდა მოხდეს მოწმეების ინფორმაციის გადამოწმება, სხვადასხვა ტაქტიკური ხერხების მეშვეობით, რომელსაც შემდეგში განვიხილავთ.

აქედან გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების ადეკვატურობა, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი, პირდაპირ დამოკიდებულებაშია როგორც მოწმის შემეცნებით აღქმასთან, ასევე, დამკითხავის შემეცნებით მოღვაწეობასთან. მოწმის ჩვენებაში ხარვეზები აიხსნება, როგორც მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობით, ასევე დამკითხავის ანალიზით. ამიტომ არ იქნება ნორმალური დაკითხვის პროცესის

განხილვა, როგორც ინფორმაციის მოძრაობა დასაკითხიდან დამკითხავისკენ. დაკითხვისას ინფორმაცია მარტო კი არ გადაიცემა, არამედ ფორმირდება ან დეფორმირდება კიდეც, ზუსტდება და ვითარდება. ამ პროცესებში მონაწილეობას იღებს ორივე მხარე.

3. წარმატებული დაკითხვა არაკონფლიქტურ სიტუაციებში.

არაკონფლიქტურ სიტუაციებში *მოქმედების გეგმის შედგენა* - დამკითხავმა უნდა განსაზღვროს დაკითხვის დრო და მოამზადოს კითხვები, რომლებიც დაეხმარება გამოძიებისათვის საინტერესო ფაქტების შესახებ სრული ინფორმაციის მიღებაში. გამომძიებელმა უნდა შეისწავლოს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება, რომლებიც მას დაკითხვის წარმართვისას დასჭირდება.

დამკითხავმა პირადად უნდა უხელმძღვანელოს დაკითხვას და აარიდოს მას ხელისშემშლელი ფაქტორები.

დასაკითხთან ურთიერთობის გაადვილება - ემოცია და სტრესი დიდ როლს თამაშობს დაკითხვაში და დამკითხავს გაუჭირდება ნევროზულ პიროვნებასთან ურთიერთობა. გამოკითხვა შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხითაც დაიწყოთ სიტუაციის განსამუხტად.

დასაკითხისათვის საუბრის უფლების მიცემა - ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, რომელიც, შესაძლოა გამომძიებელმა დაუშვას, ბევრი ლაპარაკია. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს სწორედ დასაკითხის საუბარი წარმოადგენს.

კითხვების სწორად დასმის ტექნიკა - ცოდნა, თუ როგორ უნდა დაისვას შეკითხვა, ისევე აუცილებელია, როგორც იმის ცოდნა, თუ რა უნდა ვკითხოთ. აუცილებელია, რომ კითხვები გასაგები იყოს. ეს შესაძლებლობას აძლევს დასაკითხს, რომ კონცენტრაცია გააკეთოს პასუხებზე და არა იმაზე, რომ გაშიფროს თუ რას ნიშნავენ ისინი.

კითხვების ფრთხილად შერჩევა - არ უნდა იქნას გამოყენებული კითხვები, რომლებზეც მოკლე პასუხების გაცემაა შესაძლებელი, როგორიცაა - **„დიახ“ ან „არა“.** საჭიროა ისეთი კითხვების დასმა, რომლებიც აიძულებს დასაკითხს გადმოსცეს ყველაფერი, რაც მოვლენის შესახებ იცის. მაგალითად: დანაშაულის თვითმხილველი მოწმის დაკითხვის დროს, გამომძიებელმა უნდა სთხოვოს დასაკითხს თავისი

სიტყვებით გადმოსცეს ის, რაც ნახა. ეს შესაძლებლობას აძლევს დამკითხავს უკეთ განსაზღვროს მიღებული ინფორმაციის საიმედოობა.

მისახვედრი კითხვები, რომლებიც თავის თავში პასუხს ატარებენ და ასევე შთამაგონებელი კითხვები, ისინი, რომლებიც აიძულებს დასაკითხს ორიდან ნაკლებად ცუდი პასუხი შეარჩიოს, საერთოდ არ უნდა დაისვას, ვინაიდან მოწმე ხშირ შემთხვევაში ხვდება, თუ როგორი პასუხის გაგონებას არჩევს გამომძიებელი.

კარგი მსმენელი - კარგი დამკითხავი არის კარგი მსმენელი. გამომძიებელი კონცენტრირებას უნდა აკეთებდეს არა მხოლოდ იმაზე, თუ რას ეკითხება დასაკითხს, არამედ იმაზეც, თუ როგორ ეკითხება. დამკითხავი არ უნდა გადავიდეს შემდეგ შეკითხვაზე, სანამ დასაკითხი არ დაასრულებს საუბარს. დაუშვებელია უკმაყოფილების ხმამაღლა გამოხატვა, როგორიც არ უნდა იყოს პასუხი.

მიღებული პასუხის პრობლემატურობა – დამკითხავმა არ უნდა გამოხატოს უკმაყოფილება, როგორიც არ უნდა იყოს პასუხი, აუცილებელია შეიკავოს თავი ემოციებისაგან და არ მისცეს თავს უფლება გამოამჟღავნონ ისინი, რითაც ხელს შეუშლიან დაკითხვის პროცესს.

დაკითხვის დროს ზოგიერთი ადამიანი ცდილობს თავი აარიდოს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას. კარგი მომზადება, ანუ ის, რაზეც ამ თემის დასაწყისში ვთქვით, შეიძლება ითქვას, რომ გასაღებს წარმოადგენს დაკითხვაზე კონტროლის შენარჩუნებისათვის და დასაკითხის დასარწმუნებლად, რომ იგი ვერაფერს გახდება.

მოკლე ჩანაწერების გაკეთება – ეს შესაძლებლობას აძლევს დამკითხავს გაიხსენოს მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც დაკითხვის დროს მიიღო. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჩანაწერების გაკეთების დროს თვალის კონტაქტი დასაკითხთან არ უნდა დაიკარგოს.

თავისუფალი თხრობის დამთავრებისთანავე დაკითხვის ფიქსაცია – ეს ეხმარება დამკითხავს გაიხსენოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი დასაკითხს დაესვას კითხვები, რომლებიც შეავსებენ თავისუფალი თხრობის შედეგად გადმოცემულ ინფორმაციას.

დაკითხვის დამთავრება - დამკითხავის მოვალეობათა ნუსხაში ასევე შედის დაკითხვის დამთავრების სიგნალის გაცემაც. ეს შეიძლება გამოიხატოს ფეხზე წამოდგომით, ან უბრალოდ იმის გამოცხადებით, რომ დაკითხვა დამთავრებულია.

გამოცდილებიდან სწავლა – კრიტიკა ყველაზე კარგი საშუალებაა დასახვეწი მხარეების აღმოსაჩენად.

ამ მარტივი წესების დამახსოვრება აუცილებელია დაკითხვის სწორად გაძღოლისა და ჩატარებისათვის. მართალია, მათ არ შეუძლიათ აღმოფხვრან ყველა ის პრობლემა, რომელიც დაკითხვის დროს წამოიჭრება, მაგრამ ისინი გარკვეულწილად განაპირობებენ წარმატებული დაკითხვის ჩატარებას.

4. დაკითხვისას შემთხვევის ადგილისა და დროის ფაქტორები. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, დაკითხვის დროს უფრო სრული და ზუსტი ინფორმაციის მიღება მხოლოდ მოსმენის გზითაა შესაძლებელი. გაცნობის, ანუ ფორმალობის შემდეგ, დამკითხავმა უნდა იკითხოს ,,რა მოხდა?'' რის შემდეგაც მოწმეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა უსმინოს გულისყურით, რაც შესაძლებლობას აძლევს პიროვნებას გადმოსცეს მთელი ისტორია იმგვარად, როგორც დაინახა, ანდა მოისმინა.

მოწმის მიერ თავისუფალი თხრობის პროცესში დამკითხავს თანდათან გონებაში უნდა ჩამოუყალიბდეს დროის ჩარჩოები (დანაშაულის ჩადენის პროცესის დრო), შემდეგ კი უნდა განამტკიცოს ის კითხვების დასმის საშუალებით.

შემთხვევის ადგილის რუქა ასევე საჭიროა, რომელზეც აღნიშნული უნდა იყოს ყველა მოწმის, ეჭვმიტანილის, იარაღის, მანქანების და ა.შ. მდებარეობა. ასევე უნდა აისახოს მათი გადაადგილების მიმართულებები ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თავად მოვლენისას. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტების დროს, ისინი, ვინც ამ გარემოებას უგულებელჰყოფენ, ხშირად კარგავენ ძალზე საჭირო ინფორმაციას. მოსმენა დროის ჩარჩოებისა და ადგილმდებარეობის კონტექსტის გათვალისწინებით შესანიშნავი საშუალებაა იმისათვის, რომ აწონ-დაიწონოს სისწორე და სიზუსტე, როგორც მოწმეების, ასევე ეჭვმიტანილების ჩვენებებიდან, რადგანაც დროისა და ადგილმდებარეობის შესახებ სიცრუის დადგენა ძალიან მარტივია. დროისა და

სივრცის შესახებ მოტყუება კიდევ უფრო რთულდება დამატებითი და განმეორებითი დაკითხვების დროს. ბევრ პიროვნებას ავიწყდება ნათქვამი ტყუილი.

5. ჩვენების გადამოწმება (პერეფრაზირება). საიდან შეიძლება გაიგოს დამკითხავმა, რომ მოწმის ჩვენება ზუსტად არის დაფიქსირებული? იმდენად, რამდენადაც გამომძიებელი შეჩვეულია ჩვენების ფიქსირების დროს შეამოკლოს სიტყვები, ხშირად დაფიქსირებული ინფორმაცია საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რაც ფაქტობრივად მოწმემ თქვა.

ყველა ჩვენგანი სხვადასხვა სიტყვებს ვიყენებთ ჩვენი სათქმელის გამოსახატად, გაგვაჩნია განსხვავებული შეხედულება სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით, ხშირად ჩვენი შეხედულებები ასახვას პოულობენ მოწმისაგან მიღებული ინფორმაციის ფიქსირებულ ფორმაში. არსებობს ერთადერთი გზა იმისათვის, რომ დამკითხავის შეხედულებები და ლექსიკა არ აღმოჩნდეს ჩვენების დაფიქსირებულ ვარიანტში. ეს არის ჩვენების ჩანაწერის დასაკითხისთვის წაკითხვა და გადამოწმება (პერეფრაზირება). პერეფრაზირება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ დასაკითხი სრულად არ დაეთანხმება იმას, რაც დაფიქსირებულია და არ აღნიშნავს, რომ სწორედ ისე წერია, როგორც ის ამბობდა და გულისხმობდა.

ამ მეთოდის გამოყენებით დამკითხავი იღებს ზუსტ ინფორმაციას და დასაკითხიც რწმუნდება იმაში, რომ მისი ინფორმაცია სწორად იქნა მიღებული, გაგებული და დაფიქსირებული. ამიტომაც, იცის რა დამკითხავმა, რომ მან აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს მოწმე მისივე აზრების გამეორების საშუალებით, საჭიროა და აუცილებელი კარგად უსმინოს მას.

პიროვნებას არ შესწევს ძალა სწორად გაუკეთოს პერეფრაზირება ნათქვამს, თუკი ის სრულად გასაგები არ იქნება. გადმოცემული აზრის სწორად გაგება და მისი ფიქსაცია გამორიცხავს ნათქვამის დამახინჯებას. როდესაც დამკითხავი იტყვის ,,მინდა დავრწმუნდე იმაში, რომ სწორად გავიგე ყველაფერი. თქვენ ამბობთ ან ამტკიცებთ, რომ...'', ორივენი, დამკითხავიც და დასაკითხიც დარწმუნებული იქნებიან იმაში, რომ მათი ნათქვამი სწორად და ზუსტად იქნა აღქმული. თუ ფაქტები არასწორად იყო დაფიქსირებული, ის შეიძლება გასწორდეს გადამოწმების, პერეფრაზირების პროცესში. ჩვენებაში უნდა აისახოს არა დამკითხავის, არამედ მოწმის შეხედულებები და ემოციები.

6. გზავნილების ფიქსაცია. როგორც უკვე ვიცით, ნებისმიერ ნათქვამს, გზავნილს გააჩნია ორი კომპონენტი – შინაარსი და ემოცია. ასევე აღვნიშნეთ, რომ ნათქვამის მნიშვნელობის მთლიანად გაგებისათვის ორივე საჭიროა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენება შეიცავს მხოლოდ შინაარსს ანუ წარმოთქმულ სიტყვებს და იგი სრულად ვერ გადმოსცემს ნათქვამის სრულ, ნამდვილ მნიშვნელობას, რადგან ემოციების გადმოცემა სიტყვების საშუალებით შეუძლებელია. მისი გადმოცემა ხომ სხეულის მოძრაობის, სახის გამომეტყველების და ხმის ტონის საშუალებით ხდება. ამიტომ ჩანაწერებში ასახული უნდა იყოს არა მხოლოდ წარმოთქმული სიტყვები, არამედ ემოციების გამომხატველი სიგნალებიც. ვფიქრობთ ცუდი არ იქნება ჩვენების ფიქსირებისას დამკითხავმა დაიმახსოვროს, რომ, მაგალითად, მოწმემ გაიღიმა ან წარბი შეკრა, როდესაც რაღაცას ამბობდა, ან თავდახრილი ყვებოდა რაიმე მნიშვნელოვან ფაქტს.

იმ დროს, როდესაც არავერბალური სიგნალების საშუალებით განსაზღვრული დასკვნის გაკეთება სარისკოა, მით უფრო აუცილებელი ხდება ემოციების არავერბალური გამოვლინების დაფიქსირება. ამის საშუალებით დაკითხვის ოქმი უფრო სრულად და ზუსტად ასახავს დაკითხვის პროცესს და გაცილებით ღირებულს ხდის მიღებულ ინფორმაციას. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ოქმი შეიცავს სხვა რაიმე მნიშვნელოვანს წარმოთქმული სიტყვების გარდა.

საგამოძიებო პრაქტიკაში დიდი ხანია დამკვიდრდა ე. წ. სტილისტური ოქმების ისეთი ფორმები, როგორიცაა: ,,საქმის ირგვლივ დასმულ კითხვებზე გიპასუხებთ'' ან ,,კითხვაზე გიპასუხებთ, რომ'' და სხვა. ყოველივე აღნიშნული, ტაქტიკური თვალსაზრისით, მიუღებლად მიგვაჩნია, იგი საგრძნობლად ამცირებს დაკითხვის მტკიცებით ღირებულებას.

ხშირად დამკითხავი შეიძლება უკმაყოფილო იყოს და ფიქრობდეს, რომ ვერ შეძლო სრული და ზუსტი ინფორმაციის მიღება. ამიტომ დაკითხვის რამდენიმე მარტივი წესის გათავისებამ შეიძლება მიიყვანოს დამკითხავი როგორც სრული, ასევე სწორი და ზუსტი ჩვენების მიღებამდე. ისინი, რომლებიც გაითავისებენ ამ ხერხებს, სულ მალე იგრძნობენ, რომ სხვებზე უკეთ უგებენ და ესმით ადამიანების და ასევე თავიანთი თავისაც, ამიტომ ამ საკითხებზე ჩვენ შემდგომშიც გავამახვილებთ ყურადღებას.

7. კოგნიტური ინტერვიუ ანუ შემეცნებითი დაკითხვა. მოწმეების დაკითხვას ზოგიერთი გამომძიებელი იწყებს შეკითხვით: რა სიმაღლის იყო სუბიექტი? რა ფერის თმა ჰქონდა? ნაიარევი ხომ არ ჰქონდა?. მაგრამ დროთა განმავლობაში გამოცდილებას გამომძიებლები მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ასეთი სპეციფიკური კითხვები ძალიან მცირე შანსს აძლევს დასაკითხს, რომ თქვას ის, რაც იცის.

თავისუფალი კითხვები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველთვის უფრო შედეგიანია. მაგალითად, კითხვა ,,როგორ გამოიყურებოდა სუბიექტი?'' გულისხმობს, რომ გამომძიებელს აინტერესებს ყველა დეტალი, რაც დასაკითხმა შეამჩნია. მას ყოველთვის შეუძლია დასაკითხს დაუსვას პირდაპირი, სპეციფიკური კითხვები, რათა შეავსოს და დააზუსტოს მიღებული ინფორმაცია. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ვერც თავისუფალი და ვერც პირდაპირი კითხვების საშუალებით ვერ ხერხდება მოწმისაგან ზოგიერთი დეტალის მიღება? სწორედ ასეთ დროს შემეცნებითი, დეტალური დაკითხვის მეთოდი (კოგნიტური ინტერვიუ) წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას, რომ დასაკითხისაგან მივიღოთ ის ინფორმაცია (დეტალები), რომელსაც მანამდე ვერ იხსენებდა. სწორედ ეს მეთოდი ეხმარება დასაკითხს გაიხსენოს და გადმოსცეს მივიწყებული მოვლენები.

განვიხილოთ შემთხვევა სადღეღამისო აფთიაქში ძარცვასთან დაკავშირებით. ოპერატიული სამსახურის პოლიციელმა, შემთხვევის ადგილზე გამომძიებლის მისვლამდე, წინასწარ დაკითხა პროვიზორი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დაკითხვის ოქმი, გამომძიებელი მაინც იმედოვნებდა დასაკითხისაგან დამატებითი ინფორმაციის მიღებას. იგი ეწვია აფთიაქს, გაეცნო პროვიზორს, რომელიც გამომძიებლის დანახვაზე განერვიულდა. მომკვლევმა აუხსნა, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდა და პროვიზორთან მხოლოდ იმისათვის მივიდა, რომ მისი დახმარება ესაჭიროებოდა. ამასთან აღნიშნა, რომ ამ საქმეში მხოლოდ ის თუ დაეხმარებოდა. გამომძიებელმა ასევე განუმარტა, რომ ესმოდა თუ რა მძიმე ტრავმა გადაიტანა და დაწყნარების საშუალება მისცა. იგი მოერიდა კითხვების დასმას მანამ, სანამ არ დარწმუნდა, რომ დასაკითხი დაწყნარდა. შემდეგ კი პროვიზორს სთხოვა, ყველაფერი, რაც მოხდა შეძლებისდაგვარად თავიდან მოეყოლა. დასაკითხმა უპასუხა:

,,მე ვიდექი დახლის უკან, როდესაც მოულოდნელად გავიგე ხმა, რომელიც მეუბნებოდა, მიმეცა მთელი ფული, რაც სალაროში იყო და არაფერი დამიშავდებოდა. მე თავი ავწიე და დავინახე ადამიანი ნიღაბში, ჩემსკენ იარაღი ჰქონდა მომარჯვებული. შიშისაგან გავშეშდი და მხოლოდ იარაღს ვუყურებდი. მან კი მითხრა დროზე მემოქმედა, თორემ პრობლემა შემექმნებოდა. მე გავხსენი სალარო და რაც ფული იყო მას მივეცი. ეს იყო დაახლოებით ასი ლარი. ნიღბიანმა მიბრძანა იატაკზე დაწოლა და გაუნძრევლად ყოფნა. მე ისე გავაკეთე, როგორც მან მითხრა და მხოლოდ მას შემდეგ ავდექი, როდესაც დავრწმუნდი, რომ მოძალადე ნამდვილად წასული იყო. მე მაშინვე დავურეკე აფთიაქის მეპატრონეს და შევატყობინე მომხდარი ფაქტი. მან მკითხა კარგად თუ ვიყავი და რამე ხომ არ დამიშავდა. როგორც შემდეგ მითხრა, მას გადაურეკავს პოლიციის განყოფილებაში. დაახლოებით 45 წუთში მოვიდნენ პოლიციიდან და მათაც სწორედ ის ვუამბე, რასაც თქვენ გიყვებით. მე არ ვიცი, ვინ იყო ის კაცი და საით წავიდა. მაპატიეთ, მაგრამ მეტს ვერაფერს დავამატებ, იმიტომ, რომ სულ ეს არის, რაც ვიცი.''

გამომძიებელი მთელი ამ დროის მანძილზე უსიტყვოდ უსმენდა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროვიზორმა დაამთავრა თხრობა, უთხრა, რომ იგი ძალიან დაეხმარა, მაგრამ სურდა, თუ წინააღმდეგი არ იქნებოდა, ხელახლა მოეყოლა ყველაფერი და თან გააფრთხილა, ხანდახან თხრობას შეაწყვეტინებდა ამა თუ იმ ფაქტის დასაზუსტებლად და შესაბამისად, კითხვებსაც დაუსვამდა. მართლაც თხრობის პროცესში გამომძიებელი უსვამდა შეკითხვებს, აზუსტებდა მომხდარის დროს, იარაღის სახეობას, რომელიც მძარცველს ეკავა, მის სიმაღლეს, აქცენტს, სხვა მოწმეების არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ ბევრ მნიშვნელოვან დეტალზე პროვიზორი ამბობდა, რომ არ ახსოვდა და რაც იცოდა, რისი გახსენებაც შეძლო, უკვე ყველაფერი მოყვა.

ამ ფაქტიდან გამომდინარე ჩნდება პრობლემა, რასაც პირობითად შეიძლება დავარქვათ დამახსოვრების შეუძლებლობა. ზემოთ მოყვანილი ფაქტი გვიჩვენებს შემთხვევას, რომელსაც ხშირად აწყდებიან ხოლმე გამომძიებლები. ეს პრობლემა გამოწვეულია არა იმით, რომ გამომძიებელი არ სვამს სწორ კითხვებს, არამედ იმით, რომ დასაკითხს უბრალოდ არ შეუძლია პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს. პასუხები, როგორებიცაა ,,მე არ მახსოვს'', ,,სულ ეს არის, რაც დავინახე'' ან ,,ვერ

ვიხსენებ'' გარკვეულწილად გამოუსადეგარს ხდის დაკითხვას, რადგან დასაკითხი სწორედ რომ უმნიშვნელოვანესი დეტალების გახსენებას ვერ ახერხებს.

სხვადასხვა ქვეყნების ისტორიიდან შეიძლება გავიხსენოთ ფაქტები, როდესაც ამ პრობლემის გადასაწყვეტად გამომძიებლებმა მიმართეს ჰიპნოზს, იმაზე დაყრდნობით, რომ ჰიპნოზი ააქტიურებდა დასაკითხის მეხსიერებასა და შესაძლებლობას იძლეოდა, დასაკითხისაგან მიეღოთ დავიწყებული ინფორმაცია, რომელიც მის მეხსიერებაში ინახებოდა. დროთა განმავლობაში ჰიპნოზის საშუალებით მიღებულმა მონაცემებმა გამომძიებლებს დაანახეს, რომ მთავარი პრობლემა აღქმის სისუსტეში კი არ მდგომარეობდა, არამედ დასაკითხის მიერ აღქმულის დამახსოვრების შეუძლებლობაში. გამომძიებლებს ამის თაობაზე ეჭვი თავიდანვე გააჩნდათ და მიღებულმა შედეგებმა, უბრალოდ, განამტკიცა მათი აზრი. აღსანიშნავია, რომ ჰიპნოზის გამოყენების მეშვეობით გარკვეულ მომენტებში დადებითი შედეგი მიიღეს, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ მისი გამოყენება ყოველთვის არ იყო გამართლებული, ანუ ხდებოდა ფაქტების დამახინჯება. სასამართლომ გონივრულად ცნო დამცველების (ადვოკატების) მტკიცება იმის შესახებ, რომ ჰიპნოზის საშუალებით მიღებული ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს შეცდომებს, და რომ ჰიპნოზის გამოყენება მეხსიერების გასააქტიურებლად მეცნიერულად არ არის დასაბუთებული. ამიტომაც გამომძიებლები ჰიპნოზს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. მათ იცოდნენ, რომ ჰიპნოზის გამოყენებით შესაძლებელი იყო, მოწმე ავტომატურად გამოთიშულიყო სასამართლო პროცესიდან იმის გამო, რომ სასამართლოს შეეძლო მოწმისაგან ჰიპნოზის საშუალებით მიღებული ინფორმაცია მტკიცებულებად არ მიეღო.

ამ პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს კოგნიტიურ ინტერვიუში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰიპნოზის გამოყენება გამომძიებლებს უამრავ პრობლემას უქმნიდა სასამართლო პროცესის დროს, ამიტომაც მოწმის მეხსიერების გასააქტიურებლად, იმისათვის, რომ ჰიპნოზისათვის გვერდი აევლოთ, ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორებმა: რონალდ პ.ფიშერმა და ედვარდ გეიზელმანმა შექმნეს სისტემა, რომელსაც უწოდეს კოგნიტური ინტერვიუ. [178. გვ.25] ეს სისტემა არ შეიცავდა რაიმე ახალ იდეებსა და მოსაზრებებს. მათ უბრალოდ სისტემატიზაცია გაუკეთეს იმ ტაქტიკურ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებსაც პერიოდულად და ნაწილ - ნაწილ იყენებდნენ პრაქტიკაში გამომძიებლები. კვლევებმა აჩვენა, რომ

კოგნიტური ინტერვიუს მეთოდი ზრდიდა მიღებული ინფორმაციის სიზუსტესა და მოცულობას. ამასთანავე, ჰიპნოზისაგან განსხვავებით, არ იქმნებოდა მოწმის შესაძლო გამოთიშვის საშიშროება სასამართლო პროცესის დროს. ამ მოსაზრების უკეთ გაცნობიერებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, ერთმანეთს შევადაროთ ჩვეულებრივი გამოკითხვა და კოგნიტური ინტერვიუ. ამისათვის საჭირო ხდება განვიხილოთ კოგნიტური ინტერვიუს ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც ხდება მოწმის მეხსიერების გააქტიურება.

ასეთებია:

ა. მოვლენის კონტექსტის აღდგენა;
ბ. მოვლენის გახსენება სხვადასხვა მიმდევრობით (ანუ ეპიზოდურად);
გ. მოვლენის დანახვა სხვადასხვა პერსპექტივაში;
დ. სპეციფიკური (შედარებითი) გახსენება.

ამასთანავე, აქვე განხილული იქნება განსაკუთრებული საკითხები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ დაკითხვაზე (დროის ფაქტორი და ა.შ.)

ა. მოვლენის კონტექსტის აღდგენა - მოწმეებისა და დაზარალებულების ტრადიციული გამოკითხვა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, ჩვეულებრივ იწყება იმით, რომ გამომძიებელი ეცნობა დასაკითხ პიროვნებას მანამ, სანამ დაიწყებს კითხვების დასმას: ,,რა მოხდა?'', ,,რა შეგიძლიათ მითხრათ ამის შესახებ?''. ამას მოყვება სპეციფიკური კითხვები, რომლებიც ავსებს მიღებულ ინფორმაციას და ასე შემდეგ. კოგნიტური ინტერვიუს მხარდამჭერები კი აცხადებენ, რომ ასეთი დაკითხვით ჩვეულებრივ ვერ ხერხდება ოპტიმალური შედეგების მიღება.

ადამიანებისათვის იმის თხოვნა, რომ გამოყონ ცალკეული ფაქტები დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენებისაგან და შემდეგ ისინი გადმოსცენ ზეპირად (ვერბალურად), გარკვეულ სირთულეებს უქმნის მათ. ლაპარაკია იმაზე, რომ გამომძიებლის შეკითხვა ,,რა მოხდა?'' გამოყოფს დანაშაულის შემთხვევას დღის სხვა მოვლენებისაგან და იზოლირებულ ეპიზოდად წარმოადგენს მას დასაკითხის მეხსიერებაში. ასევე სირთულეს წარმოადგენს სრულად გაიხსენონ მომხდარი, თუნდაც არ არსებობდეს ფსიქიკური ტრავმა, რომელსაც ხშირად იწვევს დანაშაულის მოვლენასთან კავშირი. ადამიანის მეხსიერება უკეთ ფუნქციონირებს მოვლენათა კონტექსტში და სწორედ ამას ითვალისწინებს კოგნიტური ინტერვიუც.

ყოველივე ზემოთქმულის გასაგებად საჭიროა განისაზღვროს თუ რა იგულისხმება მოვლენათა კონტექსტში და როგორ ქმნიან მას დამკითხავები. დამკითხავი ცდილობს აღადგინოს ის გარემო და განწყობა, რომელიც დასაკითხს გააჩნდა დანაშაულის მოხდენამდე, მის დროს და მის შემდეგ. დამკითხავი დასაკითხს ისეთ კითხვებს უსვამს, რომლებიც მას გონებრივად კიდევ ერთხელ განაცდევინებს ყველაფერს, რასაც განიცდიდა მოვლენის დროს, მანამდე და მას შემდეგ.

დავუბრუნდეთ აფთიაქის ძარცვის ფაქტს, სადაც გამომძიებელი უკვე გაეცნო დაზარალებულს და სთხოვა დახმარება. იმის მაგივრად, რომ ეკითხა თუ რა ხდებოდა დანაშაულის დროს, კოგნიტური ინტერვიუს პრინციპის თანახმად, მან დაკითხვა შემდეგნაირად დაიწყო: ,,მაშინ ჯერ მხოლოდ დილის 10 საათი იყო, თქვენთვის დღე საკმაოდ რთულად დაიწყო და დამთავრდა. რას იტყვით იმის შესახებ, რომ მომიყვეთ, საერთოდ, როგორ დაიწყო თქვენი დღე. მითხარით, რომელ საათზე ადექით, რას აკეთებდით გაღვიძების შემდეგ და ყველაფერი, რაც სამსახურში მისვლამდე მოხდა.''

იმ დროს, როდესაც დაზარალებული ყვებოდა, თუ რას აკეთებდა სამსახურში მისვლამდე, გამომძიებელი ერთვებოდა საუბარში და ცალკეულ მოვლენებს მასთან ერთად განიხილავდა. მათ შორის პრობლემებს, რომლებიც მოსამსახურე დედას გააჩნია, რა მოამზადა საუზმეზე და ყველა სხვა დეტალი. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნათელი სურათი დაიხატა და ყველა დეტალი განხილულ იქნა, გამომძიებელმა სთხოვა გადასულიყო შემდეგ ეპიზოდზე და მოეთხრო, თუ როგორ და რით იმგზავრა სამსახურამდე. მომკვლევმა აქაც ყველაფერი დაწვრილებით გამოიკითხა და არ დაუსვამს ისეთი შეკითხვა, რომელიც დააჩქარებდა დასაკითხს მისულიყო დანაშაულის მოვლენამდე. პირიქით, ის სთხოვდა, რომ დაწვრილებით მოეყოლა თუ რა ხდებოდა გზაზე, მგზავრობის დროს რა მოვლენებზე გაამახვილა ყურადღება და ბოლოს, რა შეამჩნია მაშინ, როდესაც მოუახლოვდა სამსახურს. ამით დამკითხავს სურდა არა მხოლოდ ის, რომ დასაკითხს ზოგადად აღეწერა დღე, არამედ ხელახლა წარმოედგინა ყველაფერი და გონებრივად განეცადა მომხდარი ფაქტი.

გამომძიებელმა გამოკითხვის იგივე ტექნიკა გამოიყენა სამსახურში მისვლის მოვლენების გადმოცემის დროსაც. ამით ისინი თანდათან მიუახლოვდნენ ძარცვის სცენას და ამასთან იგი ჩასვეს მოვლენათა კონტექსტში. მოვლენის კონტექსტში ჩასმას დაკითხვისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ დროს დასაკითხმა შესაძლოა

გაიხსენოს ისეთი დეტალები, რომლებსაც სხვაგვარად ვერ გაიხსენებდა. ასეთ დროს მეხსიერების კონცენტრაცია გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ხერხების გამოყენებით ჩატარებული დაკითხვისას, რომლებიც ემყარება მხოლოდ იზოლირებულ კითხვა პასუხს. მით უმეტეს პასუხი ,,არ მახსოვს'', გაცილებით იშვიათად გვხვდება.

ბ. მიმდევრობის შეცვლა - გამოკითხვის გაგრძელებისა და მოწმის მეხსიერების შემდგომი გააქტიურებისათვის არსებობს კოგნიტური ინტერვიუს მეორე ფაზა, რომელიც მდგომარეობს მოვლენის არა ქრონოლოგიურად, არამედ მისი ცალკეული ეპიზოდების ცალ - ცალკე გადმოცემაში. როდესაც ადამიანები გადმოსცემენ მოვლენებს, ისინი მათ ალამაზებენ და გარკვეულ წილად რედაქტირებას უკეთებენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ცალკეულ მომენტებზე მოწმე ფიქრობს, თვლის, რომ ისინი დიდი მნიშვნელობის მქონენი არიან, ხოლო ზოგიერთებს უმნიშვნელოდ მიიჩნევს და თავს იკავებს მათი გადმოცემისაგან. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მიუღებელი დარჩენილა იმის გამო, რომ მოწმემ თავი შეიკავა მათი გადმოცემისაგან, ჩათვალა რა ისინი ნაკლები მნიშვნელობის მქონედ.

მოვლენის არაქრონოლოგიური მიმდევრობით გახსენება ეხმარება მოწმეს, სხვადასხვა ეპიზოდს შეხედოს როგორც დამოუკიდებელ ობიექტს. მათთვის სირთულეს წარმოადგენს ამ მოვლენათა შელამაზება იმ დროს, როდესაც ისინი ცალკეულ ეპიზოდებს ცალ - ცალკე გადმოსცემენ, განსხვავებით იმისაგან, როცა ფაქტებს მოვლენათა ქრონოლოგიური მიმდევრობით ყვებიან.

დავუბრუნდეთ ჩვენს მოყვანილ მაგალითს. გამომძიებელი, კოგნიტური ინტერვიუს ტექნიკის თავისებურებიდან გამომდინარე, შემდეგნაირად გააგრძელებდა: ის გამოკითხავდა დაზარალებულს და განიხილავდა მასთან ერთად იმ საუბარს, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაზარალებულსა და ოპერატიულ თანამშრომელს შორის; ამავე დროს, შეეკითხებოდა თუ სად იყო და რას აკეთებდა, როდესაც ოპერატიული თანამშრომლი მოვიდა. ამით ის მიუახლოვდებოდა თავად ძარცვის სცენას, რომელსაც დაზარალებული უკვე სხვა მიმდევრობით მოუყვებოდა. ასეთ დროს მიღებული ინფორმაცია მთლიანი მოვლენის პატარ - პატარა ნაწილებს წარმოადგენს, რომლებსაც დასაკითხი არაქრონოლოგიური მიმდევრობით იხსენებს. მოვლენის სხვადასხვა ეპიზოდის გახსენებამ მოწმეს შესაძლოა "დაანახოს" ადრე შეუმჩნეველი ,,საგნები''.

გ. პერსპექტივის შეცვლა - მოწმის ან დაზარალებულის მეხსიერების შემდგომი გააქტიურებისა და აღდგენისათვის კოგნიტური ინტერვიუს მეთოდის გამოყენებისას მიზანშეწონილია პერსპექტივის შეცვლა, ანუ მოვლენისათვის სხვა კუთხით შეხედვა. ისინი მოვლენას ერთხელ აკვირდებიან, თუმცა მათ მომხდარი შეიძლება შეიცნონ (აღიქვან) სხვადასხვა კუთხით. ჩვეულებრივ ისინი გადმოსცემენ იმას, რაც დაინახეს და ნაკლებად აფიქსირებენ თავიანთ შეხედულებას მომხდარზე. დამკითხავი შთააგონებს რა დაზარალებულს მეხსიერებაში შეიცვალოს პოზიცია, ამით აძლევს მას შესაძლებლობას, მეტი გაიხსენოს აღქმულიდან. დამკითხავს შეუძლია შეცვალოს პერსპექტივა და დაზარალებულს სთხოვოს, განიხილოს და შეაფასოს მომხდარი სხვისი შეხედულებით, მაგალითად, ვითომდა სხვა მოწმის ან თუნდაც ფარული კამერის ,,ხედვით''.

მოწმის პერსპექტივის შეცვლის ტექნიკის გამოყენებით, გამომძიებელს ზემოთ მოყვანილ სცენარში შესაძლოა ეთქვა: ,,თქვენ იცით იმ ფარული კამერების შესახებ, რომლებიც ბანკებსა და ზოგიერთ სუპერმარკეტში აყენია?, როგორ ფიქრობთ, რას ჩაიწერდა აქაც ასეთი კამერა რომ ყოფილიყო? მას ნამდვილად სხვა კუთხით ექნებოდა დაფიქსირებული ყველაფერი, ვიდრე თქვენ გაქვთ დამახსოვრებული.'' ამ განცხადების შემდეგ გამომძიებელმა შეიძლება დაზარალებულთან ერთად იმსჯელოს იმაზე, თუ რის დაფიქსირებას შეძლებდა კამერა კედელზე რომ ყოფილიყო დამონტაჟებული. ეს ტექნიკა არა მარტო ეხმარება დაზარალებულს ხელახლა გაიხსენოს მომხდარი განსხვავებულ პერსპექტივაში, არამედ ის დიდად უწყობს ხელს მომხდარისა და შემდგომი სიტუაციის სისტემატიზაციაში. ფილმების დამახსოვრება და მოყოლა გაცილებით ადვილია, ვიდრე შეიარაღებული ძარცვის გახსენება.

დ. სპეციფიკური (შედარებითი) გახსენება - დამკითხავს შეუძლია, დანაშაულის ფაქტზე, მოწმის ან დაზარალებულის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიყენოს დამატებითი ტექნიკა იმისათვის, რომ დაეხმაროს მოწმეს მეხსიერების გააქტიურებასა და ფაქტების გახსენებაში. მას შემდეგ, რაც მოწმე ან დაზარალებული მოვლენას ქრონოლოგიურად გადმოსცემს, ცალკეულ ეპიზოდებს სხვადასხვა მიმდევრობითა და სხვადასხვა პერსპექტივაში, გამომძიებელს შეუძლია გაზარდოს სპეციფიკური გახსენების ხარისხი პირდაპირი კითხვების საშუალებით. სპეციფიკური გახსენების ტექნიკა მდგომარეობს გარეგნობის, ჩაცმულობისა და ხმის

ასოცირებულ გახსენებაში, დამკითხავისათვის ცნობილი კატეგორიების საშუალებით.

ამ ტექნიკაზე დაყრდნობით, გამომძიებელმა ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში შეიძლება შემდეგნაირად გააგრძელოს დაზარალებულის დაკითხვა: ,,თქვენ ამბობთ, რომ მას შეშინებული ხმა ჰქონდა, როგორ მიხვდით? გახსენებთ ის ვინმეს, ვისაც იცნობთ ან იქნებ ვინმეს, ვინც ფილმში გყავთ ნანახი? გინახავთ ადრე ისეთი ტიპის ქურთუკი, რომელიც მას ეცვა? სად? მოკლე იყო თუ გრძელი?''.

როდესაც ხდება პიროვნების აღწერა, გამომძიებლის შეკითხვა ,,გახსენებთ თუ არა ეს პიროვნება ვინმეს, ვისაც იცნობთ და რა მხრივ?'' სთავაზობს დასაკითხს კონტექსტს, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია შედარება გააკეთოს კონკრეტულ მაგალითსა და მის მეხსიერებაში არსებულ მსგავს კატეგორიებთან. ამასთანავე, უკეთ გაიხსენოს ის დეტალები, რის გამოც ეს უკანასკნელი აგონებს პირველს.

ე. დროის ფაქტორი - როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოგნიტური ინტერვიუ ეხმარება მოწმეს მეხსიერების გააქტიურებაში. ამასთანავე, დროის ფაქტორი ისეთივე დიდმნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ მოყვანილი ტექნიკა და ამიტომაც დამკითხავებმა უარი უნდა თქვან ისეთ ,,მავნე ჩვევებზე'', რომლებიც ახასიათებს დამწყებ ზოგიერთ გამომძიებელს. ასეთ ,,მავნე ჩვევებს'' წარმოადგენს მოწმის დაჩქარება, თავისუფალი თხრობის პროცესში მისი შეჩერება და კითხვების დასმა.

მოწმე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას აქვს საკმარისი დრო სასაუბროდ. ამაში დამკითხავებმა აუცილებლად უნდა დაარწმუნონ ისინი და მისცენ იმდენი დრო, რამდენიც მოწმეს სჭირდება და უნდა მოერიდონ თავისუფალი თხრობის დროს დასაკითხი პიროვნებების შეჩერებას. ხშირად დამკითხავი ამბობს ,,მომიყევით, რაც მოხდა'', მაგრამ 30 წუთიც არ გადის, რომ ის იწყებს მოწმისათვის სპეციფიკური კითხვების დასმას და აწყვეტინებს თავისუფალ თხრობას. სწორედ აქ უშვებს ის შეცდომას, რადგანაც სპეციფიკური კითხვების დასმა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც მოწმე დაასრულებს ამბის გადმოცემას. ამასთანავე, დასაკითხს სპეციფიკური კითხვების დასმის დროსაც უნდა მიეცეს საშუალება და დრო იმისათვის, რომ პასუხი გასცეს მათ. მოწმის დაჩქარება იწვევს გახსენების დაქვეითებას, ასევე აფიქრებინებს მას, რომ ინფორმაცია, რომელსაც ის ფლობს,

ტრივიალურია. თუ დამკითხავი არ აძლევს მოწმეს საკმარის დროს, ის ვერ ახდენს კონცენტრაციას და ვერ ახერხებს ფაქტების გახსენებას.

კოგნიტური ინტერვიუს ტექნიკა გამიზნულია არა მხოლოდ მეხსიერების გასააქტიურებლად, არამედ იმ არსებული პრობლემის გადასაწყვეტად, როგორიც არის დაკითხვის დროს ფსიქოლოგიური კონტაქტის შენარჩუნება. გამოუცდელი დამკითხავები ხშირად ფიქრობენ ,,მეტს ვერაფერს ვიგონებ, რომ შევეკითხო'', ანდა ამბობენ ,,არის კიდევ ისეთი რამ, რაც არ გითქვამთ?''. თუ მოწმე უარყოფითად უპასუხებს, ეს დაკითხვის დამთავრების მანიშნებელია, ამიტომაც კოგნიტური ინტერვიუს ტექნიკის გამოყენება შესაძლებლობას აძლევს დამკითხავებს, თავიდან აიცილონ ამ მომენტამდე მისვლა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოგნიტური ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარებული გამოკითხვა ყოველთვის გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ დროს შეუფერხებლად განვაახლოთ მოწმესთან ურთიერთობა და მოვლენის ან მისი ცალკეული მხარეების ხელახალი განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ მოწმესთან შემდგომში გაგრძელებული საუბარი, თუ ეს უკანასკნელი კონსტრუქციული და მიზანმიმართული იქნება, მოგვცემს დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას.

8. არაკონფლიქტურ სიტუაციაში დაკითხვის თავისებურება. კრიმინალისტიკაში დანერგილი უახლესი მეცნიერული მიღწევების მიუხედავად, დანაშაულთა უმრავლესობის გახსნა ადამიანისაგან მიღებული ინფორმაციის საშუალებით ხდება. გამოძიების პროცესში გამოკითხვა ინფორმაციის მიღების უმთავრეს წყაროდ რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ მოწმეებისა და დაზარალებულების უმრავლესობას სურს, ითანამშრომლონ და დაეხმარონ გამოძიებას, მათ ხშირად არ ძალუძთ გაიხსენონ მოვლენის არსებითი დეტალები და ამისათვის დახმარება სჭირდებათ. ეს დახმარება კი გამომძიებელმა უნდა გაუწიოს. უბრალოდ, სწორედ დასმულ შეკითხვას არ შეუძლია გააქტიუროს დასაკითხის მეხსიერება და გაახსენოს ის დეტალები, რომლებიც ესოდენ საჭიროა გამოძიებისათვის. შემეცნებითი დაკითხვის, ანუ კოგნიტური ინტერვიუს (როგორც მას დღეს უწოდებენ) ტექნიკით მიდგომამ კი დაამტკიცა, რომ ის არის ყველაზე ეფექტური საშუალება მოწმისა და დაზარალებულისაგან ინფორმაციის მიღებისათვის. მისი საშუალებით იზრდება

მიღებული ინფორმაციის სიზუსტე, ხარისხი და მოცულობა, მაგრამ ამ მეთოდს საქართველოში რატომღაც არ იყენებენ და ისევ მოძველებული მეთოდებით ხელმძღვანელობენ.

ყოველივე ზემო განხილულ საკითხებზე დაყრდნობით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ არაკონფლიქტურ სიტუაციებში დაკითხვის სტრუქტურა რჩევა-დარიგებებით, რომელიც დაეხმარება გამომძიებლებს უკეთ აითვისონ განხილული საკითხი.

1. დაკითხვის მომზადება:

ა) ფაქტებისა და საქმეში არსებული მასალების შესწავლა;

ბ) დაკითხვის დროის განსაზღვრა;

გ) დაკითხვის ადგილის განსაზღვრა და შერჩევა პრინციპებით:

შენი ,,მოედანი'' - უკეთესი კონტროლი.

მათი ,,მოედანი'' - დასაკითხები უფრო დამშვიდებული და გამჭრიახები ხდებიან, ეს კი ზოგჯერ სახიფათოა.

2. წარდგენა:

ა) სახელი, გვარი, უფლებამოსილება (თანამდებობა), მიზანი;

ბ) შესაძლებელია შეირჩეს ტონი მოსალოდნელი დაკითხვისათვის;

გ) ბუნებრივი სიტუაცია, დასაკითხის მიმართ პატივისცემის გამოვლინება;

დ) ხშირად სასარგებლოა გაცნობის გახანგრძლივება, დროში გაჭიმვა.

3. კითხვები:

ა) ვინ, რა, როდის, სად, რატომ, როგორ;

ბ) თავისუფალი კითხვები, რასაც თან ახლავს გულისყურით მოსმენა;

გ) შემეცნებითი გამოკითხვა. (კოგნიტური ინტერვიუ).

4. შემოწმება.

ა) განამტკიცებს ურთიერთგაგებას;

ბ) ჩვენების ფიქსირებისას ამაღლებს ინფორმაციის ხარისხს;

გ) ხელს უწყობს და ამაღლებს მოწმის მიერ დავიწყებულის გახსენებას.

5. შესამოწმებელი კითხვები.

ა) პოზიტიური შეხსენება - ,,რა დამავიწყდა რომ მეკითხა?''

ბ) ნეგატიური შეხსენება - ,,რა არ გითქვამთ ჩემთვის?''

6. განშორება.

ა) დასაკითხს უნდა ჩამოუყალიბდეს პოზიტიური შეხედულება;

ბ) დამკითხავმა უნდა შექმნას იმის პირობები, რომ საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეს დასაკითხს.

7. კრიტიკა. (შეფასება).

ა) ერთადეთრთი გზაა ისწავლოთ თქვენს შეცდომებზე;

ბ) შეაფასეთ თქვენს მიერ ჩატარებული დაკითხვა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საფეხურის კრიტიკული შეფასების საშუალებით.

§ 2. დაზარალებულის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი

1. არაკონფლიქტური და კონფლიქტური დაზარალებულები. აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს დაზარალებულთა დაკითხვა და მისი წარმოების ტაქტიკა. პრაქტიკაში ხშირად სათანადოდ არ არის განსაზღვრული დაზარალებულის როლი, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს გამოძიების ეფექტურობაზე. დაზარალებული, შეფასების კრიტერიუმებით, პროცესში მონაწილეებს შორის წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას, როგორც კრიმინალისტიკურად საჭირო ინფორმაციის მატარებელი. ასევე მათ აქვთ საქმის წარმოების მიმდინარეობის და შედეგებით დაინტერესების ობიექტური მიზეზი.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, კანონის თანახმად მოქალაქის დაზარალებულად მიჩნევის საფუძველია მისთვის ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ვნების მიყენება უშუალოდ დამნაშავის ან შეურაცხადი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად.

დაზარალებულისადმი მორალური ზიანი შეიძლება გამოიხატოს მწვავე წუხილის განცდაში, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სასურველი ადამიანის დაკარგვით, სამსახურიდან უკანონო განთავისუფლებით, ცილისწამებით, რაიმე შემარცხვენელი აზრის გავრცელების გამო, ოჯახის შეურაცხყოფით, სამკურნალო საიდუმლოების გამჟღავნებით, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით, რაიმე უფლების

უკანონო ჩამორთმევით, დასახიჩრებით, რითაც წაერთვა მომხიბვლელი იერი და ასე შემდეგ.

ფიზიკური ზიანი გამოიხატება ადამიანის სხეულის ქსოვილის ან აღნაგობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევაში, როცა დაზარალებულმა დაკარგა შრომის უნარი ან მიიღო სახის წარუხოცელი დამახინჯება.

ქონებრივი ზიანი გამოიხატება დაზარალებულის კუთვნილი ან მასზე მინდობილი ქონების განადგურებაში ან დაზიანებაში.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაზარალებულის დაკითხვა შედარებით განსხვავებული საგამოძიებო მოქმედებაა, რადგან დაზარალებულმა უშუალოდ განიცადა დამნაშავის უკანონო მოქმედება, როგორც ქონებრივი, ასევე ფიზიკური და მორალური ხელყოფის მხრივ. ამდენად მისი ჩვენება არა მარტო პროცესუალური მოვალეობაა, არამედ უფლებაცაა; მან შეიძლება სამოქალაქო სარჩელიც დააყენოს. ამიტომ გამომძიებელი ვალდებულია გაითვალისწინოს მისი კანონონიერი შუამდგომლობები. ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ნერვიული დაძაბულობა, შიში და სხვა მრავალი ფაქტორი. იგი გამოთქვამს საყვედურს, არის აფორიაქებული, ვერ გადმოსცემს დამნაშავეთა მოქმედებას წყობილად, ვერ ალაგებს თითოეული დამნაშავის როლსა და მოქმედებას და ასე შემდეგ. ამიტომ დაზარალებული დამშვიდებას, დაიმედებას, მხარდაჭერას საჭიროებს, რათა მან დახვეწოს, დაალაგოს, აღიდგინოს მეხსიერებაში მომხდარი ფაქტის ყოველი წვრილმანი და თანმიმდევრულად გადმოსცეს.

გამომძიებლის მიერ დაზარალებული პირის პირველი დაკითხვა და განსაკუთრებით მათი შეხვედრის პირველი წუთები ურთიერთ გაცნობასა და ურთიერთ ,,გაზომვას'' ემსახურება. დაზარალებული გაუბედავად, მაგრამ მაინც ფხიზელი თვალით ამოწმებს გამომძიებლის დამოკიდებულებას, თვით ოთახის განლაგებას, ნივთებს, სადაც მიმდინარეობს დაკითხვა. გამომძიებელი უფრო ინტენსიურად და გაბედულად უნდა ასრულებდეს ამ საქმიანობას. სწავლობდეს დაზარალებულ პირს ფსიქოლოგიურად, აძლევდეს მას საქმის გარშემო კითხვებს, ინტერესდებოდეს მისი პიროვნებით, ოჯახით, წარსულით, ავლენდეს სითბოს, მხარდაჭერას, არჩევდეს საჭიროების შემთხვევაში ოფიციალურ ტონს და ასე შემდეგ.

ეს მოქმედება საგამოძიებო ტაქტიკაა, რომლითაც გამომძიებელი ცდილობს დაუახლოვდეს დაზარალებულის მისადგომებს და ბოლოს იოლად შეაბიჯოს მის სამყაროში, საიდანაც აშკარად და შეპარვით იწყება პიროვნების ინტენსიური დაკითხვა შემდეგ უკვე იმ ტაქტიკური ხერხების გამოყენებით, რომლებიც განვიხილეთ მოწმის დაკითხვის შემთხვევაში.

მაგრამ გარდა ამისა, შეიძლება გამოვყოთ დაზარალებულების მეორე ჯგუფიც პირველი ისინი, რომლებიც მართლა შემთხვევით გახდნენ დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლნი, რაც ზოგადად განვიხილეთ და მეორე ისინი, რომელთა მოქმედებები და ქცევები წინ უსწრებდა დანაშაულს, ან უფრო მეტიც, პროვოცირებას უკეთებდა დამნაშავეს დანაშაულის ჩადენაში. ასეთი ტიპის დაზარალებულები იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ,,ვიქტიმური ქცევის'' მქონე დაზარალებულები.

რაც შეეხება დაზარალებულების პირველ ჯგუფს, ისინი წარმოადგენენ დასაკითხთა სპეციფიკურ სუბიექტებს, რაზედაც ბევრი ვილაპარაკეთ ზემოთ და რაც გამოიხატება თავისებური ფსიქიკური განცდებით, რომელიც გამოწვეულია დანაშაულით და მისი შედეგებით. დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული შიში, ტკივილი, ფიზიკური განცდები, მისი სურვილი, რომ განთავისუფლდეს დანაშაულებრივი ზემოქმედებისაგან, აგზნება და დაძაბულობა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ზემოქმედებებისაგან, დაზარალებულებში იწვევენ რთული, თავისებური ფსიქიკური მდგომარეობის წარმოქმნას. მართალია ამ ჯგუფის დაზარალებულების ჩვენება, ხშირად არის სრული, მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მათ ჩვენებებში რაღაც დეფექტების წარმოქმნის შესაძლებლობები.

როგორც ვთქვით, რთული ფსიქოლოგიური განცდების ზემოქმედების გამო, დაზარალებულებს ხშირად უჭირთ იმ გარემოებების გახსენება (განსაკუთრებით პირველი დაკითხვისას), რაც უსწრებდა დანაშაულებრივ ქმედებას, ან კიდევ რაც მოჰყვა ამ ქმედებას (მეხსიერების რეტროაქტიური და პროაქტიური დამუხრუჭება). ამასთანავე ძლიერმა ფსიქოლოგიურმა სტრესმა შესაძლებელია ზოგჯერ გამიწვიოს მეხსიერებაში განცდილის ნაწილობრივი წაშლა, ამნეზია.

უფრო მეტად დაზარალებულების ჩვენებაში გვხვდება:

1. გადატანილი მოვლენის რაღაც მომენტების სხვადასხვა სახის გაზვიადებები;

2. სხვადასხვა პირების დანაშაულში მონაწილეობის განზოგადება.
3. მომხდარის გარშემო მოვლენების აღწერისას, საჭირო მომენტების გამოტოვება;
4. დანაშაულის ქმედით განვითარების მიმდინარეობაში მოვლენების ერთმანეთში არევა, კონკრეტული დეტალების შეცვლა, მოქმედი პირების ქმედებების გადაადგილება და სხვა.

ამის საფუძველზე არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, დაზარალებულის ჩვენების გამოუყენებლობის შესახებ, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შეუძლებლობაში. ცდომილებები დაზარალებულის დაკითხვისას არ ატარებს მისი მეხსიერებისათვის ყოვლისმომცველ ხასიათს, ის ეხება მომხდარის მხოლოდ ცალკეულ გარემოებებს. ამიტომ აქედან გამომდინარე ასეთი ჯგუფის დაზარალებულების დაკითხვის ტაქტიკა არ განსხვავდება უკონფლიქტო სიტუაციაში მოწმის დაკითხვის ტაქტიკისაგან და შესაძლებელია მისი ყველა ელემენტის გამოყენება, რაც განხილული გვაქვს ზემოთ.

სულ სხვა პროცესს წარმოადგენს ე.წ. ,,ვიქტიმური ქცევის'' მქონე დაზარალებულების დაკითხვა. კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ,,ვიქტიმურობა'' განისაზღვრება, როგორც ადამიანის გაზრდილი შესაძლებლობა, რომ მისი სულიერი და ფიზიკური ფაქტორების, სოციალური როლის ან სტატუსის შედეგად, განსაზღვრული გარემოებების გამო აღმოჩნდნენ დანაშაულის მსხვერპლად.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ უშუალოდ დაზარალებულის ქმედება უბიძგებს დამნაშავეს დანაშაულის ჩადენისკენ, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ მოქმედებაში. ასეთი მოქმედებებია ზიანის მიმყენებლისადმი პირველადი თავდასხმა, უხეში მოპყრობა, მოტყუება, შეურაცხყოფა, პროვოკაცია, წაქეზება და სხვა ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელიც შემდგომში აიძულებს დამნაშავეს დანაშაულის ჩადენაში. ადამიანს, რომელსაც არა აქვს მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისკენ, ზოგჯერ გარემოების ზემოქმედების ინტენსივობა მსხვერპლის მიზეზით იმდენად მაღალია, რომ იძულებულს ხდის მას ჩაიდინოს დანაშაული.

დანაშაულის მექანიზმში დაზარალებულის როლი, შეიძლება გამოიხატებოდეს თვითდაზიანებაშიც, რომელიც გამოიხატება გაუფრთხილებლობაში, (მაგალითად, თუ აუფეთქდა თვითნაკეთი მოწყობილობა). ან განზრახ ქმედებაში (თვით დაზიანება სხვაზე გადაბრალების მიზნით) და სხვა. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ ზოგჯერ

კრიმინალური სიტუაცია წარმოიქმნება, არა მარტო დამნაშავის, არამედ დაზარალებულის მიზეზითაც.

ასეთი ტიპის დაზარალებულები, რომლებმაც მიიღეს მატერიალური, მორალური ან ფიზიკური ზიანი უმეტეს შემთხვევაში გვაძლევენ ინფორმაციას მათ მიერ ცნობილი ფაქტების შესახებ, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი მაინც მალავენ გარკვეული ფაქტების ნაწილს ან შეგნებულად ამახინჯებენ მას. ერთ-ერთი ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ დაზარალებულმა დამალოს თავისი როლი ჩადენილი დანაშაულის მსვლელობაში ან უფრო მეტიც, ხელი შეუშალოს მომხდარისათვის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭებას. აქედან გამომდინარე, ასეთი ქცევის მქონე დაზარალებულების დაკითხვა უნდა ჩატარდეს მისი დანაშაულში მონაწილეობის როლის განსაზღვრის შემდეგ და ამის შემდეგ უნდა გამოვიყენოთ ეს მონაცემები დაკითხვის ტაქტიკური ხერხის შერჩევაში, რათა დადგენილ იქნას საქმეზე რეალობა.

დაკითხვის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის ყოველმხრივ შესწავლას და მისი ქცევების დადგენას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შესწავლა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საქმის მასალებით. შესწავლილი უნდა იქნას მისი წარსული, კავშირები, სოციალური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ქცევის მანერები განათლება და სხვა; რაც გამოგვადგება მისი დაკითხვის მსვლელობისას.

ძირითადი ქმედება რაც შეიძლება განახორციელოს დამკითხავმა ასეთი ტიპის დაზარალებულებისადმი და თუნდაც მსგავსი ტიპის მოწმეებისადმი, არის მათი ტყუილში გამოჭერა.

საიდუმლო და ტყუილი დევს დანაშაულის ჩადენის თუ დამალვის ფესვებში. დამნაშავე დანაშაულის მზადებისას ცდილობს გადახაროს ადამიანები, ნდობის მოხვეჭით, თავის მხარეს. რის გამოც ხდება ხოლმე, რომ დანაშაულის გამჟღავნების შემდეგ იტყუებიან არა მარტო დამნაშავეები, არამედ მოწმეებიც. ასეთ შემთხვევაშიც, როგორც არაპატიოსანი დაზარალებულების შემთხვევაში, საჭირო ხდება მათი ტყუილში გამოჭერა.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დაკითხვისას გარემოებების გაუკუღმართება მიიღწევა შემდეგი ხერხებით:

- ჩვენების მიცემისას გარკვეულ გარემოებებში მათი ან სხვის ქმედებაში ცვლილებების შეტანით, ცალკეული ელემენტების გაუმხილებლობით, დამალვით, გამორიცხვით;
- გამოგონილი დეტალებით და ელემენტებით ჩვენების შევსება, დამატება, რისი მეშვეობითაც შემთხვევას აძლევენ სასურველ ხასიათს და ელფერს;
- ჩვენების მიცემისას მომხდარი ფაქტის ცალკეული ფრაგმენტების გადაადგილება, შეცვლა მისი ადგილის, დროის, თანმიმდევრობის, ურთიერთკავშირის მიხედვით;
- შემთხვევის ცალკეული ელემენტების გამოგონილი ფაქტებით და დეტალებით ჩანაცვლება.

2. სიცრუის აღმოჩენა დაკითხვის დროს. დაკითხვისას იმ მოწმეების ან დაზარალებულების ფსიქიკური მოღვაწეობა, რომლებიც იძლევიან რეალურ ან მცდარ ჩვენებებს განსხვავებულია. თუ კეთილსინდისიერ მოწმეებსა და დაზარალებულებისათვის ეს მოღვაწეობა ატარებს რეპროდუქციულ (გახსენებით) ხასიათს, მატყუარებისათვის ის წარმოადგენს ხელოვნურობის პროცესს. ამავე დროს, რეპროდუქციულობის ამოცანა კეთილსინდისიერი მოწმისა ან დაზარალებულისთვის მდგომარეობს ადრე აღქმული მოვლენების გახსენება - გადმოცემაში და არ ემსახურება სხვა მიზნებს. ცრუ მოწმეებისათვის ამოცანა გაცილებით რთულია. ეს ხელოვნურობის პროცესია, სადაც არის რეპროდუქციულობის ყველა ელემენტი, ამავე დროს მის პარალელურად მიმდინარეობს ნანახი მასალის გადამუშავება ისე, როგორც ეს აწყობს მატყუარას. მოცემულ შემთხვევებში მონაყოლი ემყარება განსაზღვრული, მისთვის სასურველი ვერსიის შემუშავებას.

ფსიქიკური თვალსაზრისით ტყუილის თქმა შედარებით რთულია, ვიდრე სიმართლის ლაპარაკი. კეთილსინდისიერი მოწმეებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართავენ მოვლენების გახსენების გონებრივ ერთადერთ მიმართულებას ანუ ერთ სახეს, ცრუ მოწმეების გონებაში ერთმანეთს კონკურენციას უწევს ორი მიმართულებით აზროვნება, სინამდვილეში აღქმული და რეალური სახე, რომლის დამალვასაც ის ცდილობს და მეორე გონებრივად გამოგონილი სახე, რითაც ცდილობს რეალობის შეცვლას.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩვენმა წინაპრებმა გენეტიკურად უამრავი რეფლექსი გადმოგვცეს. ერთ-ერთი ასეთი რეფლექსი თავის გადარჩენის პრინციპს გულისხმობს. ეს არის რეფლექსი, რომელიც ,,გაიქეცი ან შეებრძოლეს'' სახელით არის ცნობილი. ეს ფენომენი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში და ზრდის მისი სასიცოცხლო ორგანოების ფუნქციონირებას კრიზისულ სიტუაციაში. კრიტიკულ ვითარებაში ამოქმედდება ზემოთ დასახელებული რეფლექსი, რომელსაც თან ახლავს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ისინი ადამიანის შინაგან სამყაროში წარმოიქმნება და გარე სამყაროშიც ვლინდება. ეს ნიშნებია:

1. **ადრენალინისა და შაქრის მომატება სისხლში;**
2. **პულსისა და სუნთქვის აჩქარება;**
3. **თვალის გუგების გაფართოვება;**
4. **ნერწყვის გამომყოფი ჯირკვლების ფუნქციონირების შეჩერება (პირის სიმშრალე);**
5. **საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირების შეწყვეტა.**

დამკითხავებთან შეხვედრისას დასაკითხი საფრთხეს გრძნობს და მისი სისტემაც იმდაგვარად იქცევა, როგორც ნებისმიერი ადამიანისა, როდესაც სასიცოცხლო ფუნქციებს საშიშროება ემუქრება. შინაგანად ტყუილის მთქმელი მოწმის ან დაზარალებულის (ეჭვმიტანილიც, დამნაშავეც) სხეული ემზადება ,,გასაქცევად'' ან ,,საბრძოლველად''. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ გარესამყაროში ეს მზადება შენიღბულია. მათ არ შეუძლიათ გაქცევა, შებრძოლება ან თუნდაც იმის მცირეოდენი გამოხატვაც კი, რომ მათ ამის გაკეთება სურთ. ეს კონფლიქტი თავისთავად წარმოშობს სიმპტომებს, რომლებზე დაკვირვებაც გამომძიებლებს უამრავ სასარგებლო და მნიშვნელოვან ინფორმაციას მისცემს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან დაკითხვაზე მყოფი ადამიანები სხვადასხვა ნიშნებით გამოხატავენ აღელვებასა და აღგზნებულობას. მას შემდეგ, რაც გამომძიებელი დასაკითხთან დაამყარებს ფსიქოლოგიურ კონტაქტს, ის უნდა დააკვირდეს მის ქცევას და განსაზღვროს, თუ როგორი ნიშნები ახასიათებს უმნიშვნელო საკითხებზე საუბრის დროს, ანუ ისეთ საკითხებზე, რომელთა დაფარვასაც არ ცდილობს დასაკითხი. ასეთ დროს დაფიქსირებული ნიშნები გამომძიებელს დიდ დახმარებას გაუწევს დასაკითხთან კრიტიკულ საკითხებზე საუბრის დროს (რომლებზეც, სავარაუდოდ, დასაკითხი იცრუებს). დასაკითხის

ქცევასა და მის მიერ გამოვლენილ ნიშნებში მკვეთრი ცვლილება გამომძიებლისათვის გამაფრთხილებელი ნიშნის მიმცემი უნდა იყოს.

უამრავი მეცნიერული ნაშრომი არის დაწერილი იმ სპეციფიკური ქცევების შესახებ, რომლებიც ტყუილის აღმოჩენაში ეხმარებიან გამომძიებლებს. სპეციფიკურ ნიშნებს მიეკუთვნება: ნევროზული მანერა, მდგომარეობის ხშირი შეცვლა, მთქნარება. ყოველივე ეს სტრესის მაჩვენებელი რამოდენიმე ნიშანია. ამ ყველაფერს იწვევს დასაკითხის მიერ ,,გაქცევის'' ან ,,შებრძოლების'' უნარის შენიღბვის მცდელობა. მიუხედავად დასაკითხის სურვილისა, არ დაუშვას თავისი შინაგანი განცდების გარე სამყაროში გამოვლენა, ზოგიერთის შეჩერებას იგი მაინც ვერ ახერხებს და სწორედ ისინი ხდებიან ინდიკატორები გამომძიებლის მიერ ტყუილის აღმოჩენისა.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებლებს არ სჭირდებათ დაიმახსოვრონ გრძელი ნუსხა ქცევებისა, რომლებიც ტყუილის მაჩვენებელია (გამომხატველია). შეუძლებელია რაიმე კონკრეტული ქცევა სხვადასხვა ადამიანებში ერთსა და იმავეს გამოხატავდეს, ასევე დაუშვებელია ამ ქცევის სიცრუის ინდიკატორის ფორმულად გამოცხადება. ფაქტობრივად ასეთ ქცევებს მხოლოდ გამაფრთხილებელი სიგნალის ფუნქცია უნდა გააჩნდეთ. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, როგორ უნდა გამოიყენონ გამომძიებლებმა არავერბალური ქცევა ,,გაიქეცი/შეებრძოლე'' სინდრომის დროს, იმისათვის, რათა სიცრუე აღმოაჩინონ? ისინი ამას შეძლებენ მარტივი პროცედურის განხორციელების საშუალებით:

1. **უნდა დაამყარონ ფსიქოლოგიური კონტაქტი დასაკითხ პიროვნებასთან;**
2. **განსაზღვრონ დასაკითხის ნამდვილი ქცევა;**
3. **შეეცადონ, იპოვონ განსხვავება დასაკითხის ქცევაში იმ დროს, როდესაც განიხილება კრიტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხები;**
4. **დააფიქსირონ ქცევაში ცვლილებები უმნიშვნელო საკითხებიდან მნიშვნელოვანზე გადასვლის დროს;**
5. **დარწმუნდნენ, რომ ასეთ ქცევას ყოველთვის აქვს ადგილი კრიტიკული საკითხების განხილვისას;**
6. **გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია მხოლოდ ცალკეული მოქმედებების საფუძველზე.**

3. არავერბალური კომუნიკაცია სიცრუის დროს და მისი წარმოშობის საფუძვლები. როგორც აღვნიშნეთ დღესდღეობით ეფექტური დაკითხვის ჩატარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია არავერბალური კომუნიკაციის გაგება და მისი არსის ცოდნა. ნათქვამია, რომ ,,მეტყველების უნარი ადამიანებს იმისათვის მიეცათ, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ თავიანთი გრძნობების დაფარვისა''. ჩვენ ეს საკითხი განხილული გვაქვს წინა თავებში. ეს თავი კი ეძღვნება არავერბალური, ანუ რეფლექსური ქცევის სხვადასხვა ფორმებს და მათ დეტალურად განიხილავს, რათა დაკითხვის დროს გამომძიებლებმა ეფექტურად გამოიყენონ ისინი. რა თქმა უნდა, ზოგიერთი საკითხი და რჩევა მეორდება, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის; პირიქით, სწორი დასკვნების გამოტანაში დაგვეხმარება, რომლებიც შემდგომში ისევ ჩვენს სასარგებლოდ იმუშავებს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ არავერბალური ქცევის შესახებ ხალხს განსაზღვრული ცოდნა გააჩნდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდეც. ერთ - ერთმა დამკვირვებელმა სიცრუის მთქმელი შემდეგნაირად აღწერა პაპირუსის ქაღალდზე: ,,ის არ პასუხობს შეკითხვებზე, სისულელეს ლაპარაკობს, ცახცახებს, თმებს აწვალებს თითებით.''

თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები დიდად არ შეცვლილან 3000 წლის მანძილზე. 1948 წელს ***პოლიგრაფისტმა*** (სიცრუის დეტექტორის ოპერატორი. ეს საკითხი განიხილება შემდგომ თავში) ჯონ რეიდმა შეამჩნია, რომ სუბიექტები სხვადასხვაგვარად იქცევიან სწორი და ცრუ პასუხების გაცემის დროს. ამ დაკვირვებების შედეგები რეიდმა დაკითხვების დროს გამოიყენა. იგი აკვირდებოდა კითხვების დასმისას დამნაშავეთა ვერბალურ და არავერბალურ ქცევას. მან დაასკვნა, რომ დასაკითხის არავერბალური ქცევა, შესაძლოა, მისივე ნათქვამის სიმართლის, ან სიცრუის მაჩვენებელი იყოს. [144. გვ.264]

ა. არავერბალური ქცევა. ჩვეულებრივ, ადამიანები სპონტანურად და უნებურად იქცევიან, როდესაც გამომძიებელთან იმყოფებიან დაკითხვაზე. ეს გამოწვეულია იმ სტრესული მდგომარეობით, რომელიც თან ახლავს დაკითხვას. სხეულის მოძრაობა, სხეულის მდგომარეობა, სახის გამომეტყველება და ფიზიოლოგიური სიმპტომები არავერბალურ კომუნიკაციას წარმოადგენენ. სუბიექტის არავერბალური ქცევის სწორმა ინტერპრეტირებამ, შესაძლოა, გამომძიებელს ზუსტი დასკვნების გაკეთების

საშუალება მისცეს, რაც გამოსაძიებელი საქმის წარმატებით და სწორად გადაწყვეტის პირობას წარმოადგენს.

ბ. სხეულის მოძრაობა. ადამიანის სხეული არავერბალური კომუნიკაციის ერთ - ერთი საუკეთესო წყაროა იმიტომ, რომ ის ყველაზე ნაკლებად კონტროლირებადი არავერბალური არხია. წყნარი, უემოციო სახე და ამ დროს ხელებისა და ფეხების აქტიური მოძრაობა, ტყუილის მაჩვენებელია. მაგალითად: როდესაც მოწმეები ან ეჭვმიტანილები ცრუობენ, ისინი საუბრის დროს ნაკლებად იხრებიან წინ და უფრო აქტიურად ამოძრავებენ ხელ - ფეხს, ვიდრე სიმართლის თქმის დროს. არავერბალური ნიშნები ხშირად თავად სიტყვებსაც კი ცვლიან ხოლმე. მაგალითად: როდესაც ადამიანი პასუხად თავს ზევით - ქვევით აქნევს, ეს იგივე ,,დიახ'' –ის შემცვლელია.

ხელები და ხელის მტევნები ასევე ერთ - ერთი საუკეთესო გამომხატველები არიან ადამიანის შინაგანი ემოციური მდგომარეობისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გადაჯვარედინებული ხელები. თუ ვინმეს ,,მსუბუქად'' აქვს გადაჯვარედინებული ხელები, ეს შესაძლოა, მოდუნებისა და სიმშვიდის მაჩვენებელი იყოს, მაგრამ, როდესაც ხელები მჭიდროდ არის გადაჯვარედინებული - ეს უკმაყოფილების, უარყოფის ან კამათში გამოწვევის ნიშანია.

მართალი ადამიანები ჟესტებს თავიანთი სხეულის გარეთ აკეთებენ, ხოლო მატყუარები კი პირიქით. შემჩნეულია, რომ ტანსაცმლის (ღილების, ჰალსტუხის) წვალებას ხშირად მიმართავენ ისინი, ვინც ტყუილს ამბობენ, რადგანაც ეს ეხმარება ადამიანს დაფაროს მომატებული აღელვება, რასაც ტყუილის თქმის, ან მისი მოფიქრების დროს განიცდის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტენდენციების შემჩნევა, მართალია ძალიან ადვილია, მაგრამ ისინი უნდა შევაფასოთ, როგორც სუბიექტის ქცევის მთლიანი განმსაზღვრელის მხოლოდ ნაწილი.

გ. სახის გამომეტყველება. ადამიანებმა დიდი ხნის წინ შეამჩნიეს, რომ სახის ნახევრები ერთმანეთის იდენტური არ არის. ერთი თვალი შესაძლოა ცოტათი უფრო გადახრილი იყოს, ან უფრო ფართო იყოს, ვიდრე მეორე. სახის ასეთი ასიმეტრია უფრო მეტად მჟღავნდება, როდესაც პიროვნება სახის გამომეტყველებას იცვლის. თითქმის ყოველთვის სახის ერთ ნახევარზე ორგანოები სხვაგვარად მოძრაობს, ვიდრე მეორეზე. ერთი თვალი შეიძლება უფრო მეტად მოდუნდეს, ვიდრე მეორე.

როდესაც სახის გამომეტყველება სპონტანურია, მისი კუნთების მოძრაობა და მდგომარეობა ორივე ნაწილზე ერთნაირი უნდა იყოს, მაგრამ, თუკი სახის კუნთების მოძრაობა წინასწარ მოფიქრებულია, მაგალითად, იმ დროს, როდესაც პიროვნება იტყუება, კუნთები მარცხენა ნაწილში უფრო მეტს მოძრაობენ, ვიდრე მარჯვენაში. კარგ დამკვირვებელს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს სახის ეს ასიმეტრია იმისათვის, რომ მიხვდეს პიროვნება სიმართლეს ამბობს თუ არა.

ეს განსხვავება სახის სპონტანურ და მოფიქრებულ გამომეტყველებაში გამოწვეულია თავის ტვინის თავისებურებით, რომელიც არეგულირებს სახის კუნთებს. სახის სპონტანური მოძრაობა გაივლის ტვინის შემეცნებით ცენტრებს, მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები განზრახ ამოძრავებენ სახის ნაწილებს. სახის კუნთების მამოძრავებელი სიგნალები გამოდიან თავის ტვინის ქერქიდან, ანუ ტვინის იმ ნაწილიდან, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ცნობიერი გადაწყვეტილებების მიღება. სწორედ ეს ნაწილი, რომელიც ამ პროცესშია ჩართული, სახის მარცხენა ნაწილზე უფრო მეტ გავლენას ახდენს; ამიტომაა, რომ სახის მარცხენა მხარის ნაწილები უფრო მეტად მოძრაობენ.

სახის ასიმეტრიაზე, როგორც გარკვეულ ინდიკატორზე, შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ის სხვა არავერბალურ ქცევებთან კომბინაციაში ტყუილის საუკეთესო მაჩვენებელია. მაგალითად: როდესაც ინდივიდი ცრუობს, შინაგანი სტრესი გამოიწვევს თვალის დახამხამების მაჩვენებლის შეცვლას; კერძოდ, ერთი დახამხამებიდან რამდენიმე წამში ერთხელ, დახამხამება გაიზრდება ერთ ან ორ დახამხამებამდე წამში. შინაგანმა სტრესმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს თვალების ნორმალურზე უფრო მეტად გაფართოვება. პირდაპირი თვალის კონტაქტისათვის თავის არიდება და სხვაგან ყურება ასევე შესაძლებელია, რომ ტყუილის მანიშნებელი იყოს.

დ. ფსიქოლოგიური სიმპტომები. როდესაც ადამიანი ტყუილს ამბობს, მის სხეულში უამრავი ფსიქოლოგიური ცვლილება ხდება. ეს ცვლილება მოიცავს: ოფლიანობას, სახის კანის სიწითლეს ან სიფერმკრთალეს, პულსის აჩქარებას, ვენების გამოჩენას თავზე, კისერსა და ყელზე. გარდა ამისა, მშრალი პირი და ენა, აჩქარებული სუნთქვა, ტუჩების კანკალიც ტყუილის მაჩვენებელია. დაკითხვის დროს ყველა ეს ინდიკატორი დაფიქსირებული უნდა იყოს.

ე. გადახრები მეტყველებაში. დაკითხვის დროს არის მომენტები, როდესაც ის, რაც დასაკითხმა თქვა, ნაკლებადმნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ როგორ თქვა. გადახრები მეტყველებაში მოიცავს ყველა იმ მახასიათებლებს, რაც ხმას გააჩნია, სიტყვების გარდა. როდესაც კარგად არის გაანალიზებული ვარიაციები, მომდევნო მახასიათებლებს შეუძლიათ ტყუილის მაჩვენებლის როლი ითამაშონ:

1. **ხმის სიმაღლე;**
2. **მეტყველების სიჩქარე;**
3. **ხმის ჟღერადობის ხარისხი;**
4. **სპეციალური ვოკალიზაცია - ანუ ტირილი, სიცილი, ასევე ისეთი მომენტები, როგორიც არის ხმის კანკალი, ენის დაბმა;**
5. **სივრცის შემვსებები - „უჰ", „ოჰ", „აჰ".და სხვა.**

ყოველივე ამას კი იწვევს თვითკონტროლის დაკარგვა. როდესაც დასაკითხები ცრუობენ, ისინი ნაკლებად მჭევრმეტყველებენ. მათი პასუხები ნაკლებადსარწმუნოა, უფრო ვრცელია და სივრცის მეტ შემვსებებს საჭიროებენ. ასევე ხშირია გამეორებული ფრაზებიც.

მოფიქრებული ტყუილი ასევე იწვევს სუბიექტის მომატებულ ნევროზულობას. ეს ნევროზულობა კი განაპირობებს საუბრის მაღალ ტონს, მეტყველების დაბალ სიჩქარეს, მეტ დაყოვნებას კითხვასა და პასუხს შორის, ასევე თავისუფალი ინფორმაციის ნაკლებობას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. პროფესიონალი დამნაშავეები შესაძლოა არ გამოხატავდნენ ნორმალურ (ჩვეულებრივ) არავერბალურ ქცევას.

ვ. დაკითხვის ხელმძღვანელობა. წლების მანძილზე შეიქმნა არაერთი ტაქტიკა და წესი იმისათვის, რომ დამკითხავები წარმატებით გაძღოლოდნენ საქმეს და ჩაეტარებინათ დაკითხვა. მთავარი კი მაინც ისაა, რომ იგი კარგად უნდა იცნობდეს საქმეს, რომლის მონაწილესაც დაკითხავს და სანამ სუბიექტი მეგობრულად არ განეწყობა დაკითხვა უნდა ჩატარდეს მისთვის უჩვეულო გარემოში. მიზანშეწონილია ეს იყოს პატარა ოთახი ფანჯრებით. ასევე აუცილებელია, რომ ოთახიდან გატანილი იყოს ყველა ის საგანი, რომელმაც, შესაძლოა, ყურადღება გაუფანტოს დასაკითხს (მაგალითად, სურათები). დასაკითხისა და დამკითხავის

სკამები პირისპირ უნდა იდგეს. დაკითხვა 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. დაშვებულია დღის განმავლობაში პირის რამდენჯერმე დაკითხვა, დასასვენებლად არანაკლებ ერთსაათიანი პაუზებით. ამასთან, დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა დღის განმავლობაში 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს (სსსკ მუხლი 302).

დაკითხვის არავერბალურ კომუნიკაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, დამკითხავი იწყებს უბრალო საუბარს. ეს ეხმარება მას ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებასა და პიროვნების მართალი ,,სხეულის ენის'' გაგებაში. შემდეგ დამკითხავმა კონცენტრაცია პირის ვერბალურ ქცევაზე უნდა გადაიტანოს. დააკვირდეს ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, სხეულის პოზას და იმავდროულად დასაკითხის სიტყვებს უნდა უსმინოს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს დაკვირვებები ზოგადი ხასიათისაა. სანამ დამკითხავი გადაწყვეტს პასუხი სიმართლეა, თუ სიცრუე, მან უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდეს იმ არავერბალური ქცევის თავისებურებების შესახებ, რომელიც დასაკითხის ჭეშმარიტად მართალ პასუხებს ახლავს. ეს შესაძლებლობას აძლევს დამკითხავს, რომ დასაკითხის ყველა პასუხი სწორად შეაფასოს.

ზ. ბოლო თქმა. საერთოდ, ადამიანები სიმართლის თქმისას ნაკლებად ღელავენ. მაგრამ, როდესაც ცრუობენ მათი გონება და სხეული გამოსცემენ უნებურ სიგნალებს, რომელთა აღმოჩენისა და სწორი ინტერპრეტაციის საფუძველზეც შეგვიძლია ტყუილის განსაზღვრა. არავერბალური ქცევის ,,ენა'' რთული და დინამიკურია. მართალია დიდი დრო, მონდომება და ძალისხმევა სჭირდება იმას, რომ პროფესიულ დონეზე იქნას აყვანილი არავერბალური ქცევის ,,კითხვის'' ტექნიკა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამისათვის გაწეული ხარჯები ნამდვილად კეთილგონივრული და ღირებულია. ამავე დროს აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა მოთხოვნის გათვალისწინება.

თავი III.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის მეთოდები და თავისებურებანი

§1. მონაცემები მსოფლიო პრაქტიკიდან (აშშ)

1. ,,მირანდას'' გაფრთხილება. ამერიკის შეერთებულ შტატებში არის კარგად ცნობილი ე.წ. ,,მირანდას'' გაფრთხილება, რომელიც იცავს ბრალდებულებისა და ეჭვმიტანილების უფლებებს. აშშ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა სამართლის ნორმა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაპატიმრებულთა დაკითხვის ფორმაზე. კერძოდ, სასამართლომ სამართალდამცავებს შეუზღუდა შესაძლებლობა განეგრძოთ დაპატიმრებულის დაკითხვა მას შემდეგ, რაც ის დამცველის დასწრებას მოითხოვდა. ასევე განვიხილავთ ე.წ. ,,მინნიკის'' გადაწყვეტილებას და მისი გავლენის განსაზღვრას, რაც დამკითხავებს სთავაზობს ლეგიტიმურ საფეხურებს, რათა შეძლონ შეზღუდონ გარკვეული უარყოფითი ეფექტი დანაშაულთა გამოძიებისას. ეს ყოველივე მოგვცემს საშუალებას გავეცნოთ მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებულ, კანონით გათვალისწინებულ, გარკვეულ ქმედებებს, რათა შემდგომში გავითვალისწინოთ იგი ჩვენს თეორიასა და პრაქტიკაში.

აშშ კონსტიტუციის მეხუთე შესწორების ნაწილში ვკითხულობთ: ,,არც ერთი ადამიანი... არ შეიძლება ვაიძულოთ, რომ იყოს მოწმე საკუთარი თავის წინააღმდეგ, ნებისმიერი დანაშაულის საქმის დროს...''. პოლიციის მიერ დაპატიმრებულის დაკითხვის დროს, იქმნება ისეთი ფსიქოლოგიური იძულებითი ატმოსფერო, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მეხუთე შესწორებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაკავებული პიროვნება, რომელსაც პოლიცია ჰკითხავს, თავს ვალდებულად გრძნობს, ანუ ვარდება იძულებით გარემოში, რათა უპასუხოს დამკითხავის შეკითხვებს. ეს ვალდებულება, რომელიც დაპატიმრებულის დაკითხვის შედეგია, ეწინააღმდეგება აშშ კონსტიტუციის მეხუთე შესწორებას ინკრიმინირების საკითხში. ამიტომ 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ შექმნა ,,მირანდას'' გაფრთხილება იმისათვის, რომ დაპატიმრებულთა დაკითხვის დროს შეამციროს ვალდებულების ხარისხი და მოითხოვოს, რომ ეს გაფრთხილება მიეცეს

ყველა დაპატიმრებულ დასაკითხს. ამ გაფრთხილებას აქვს კავშირი გარკვეულ ისტორიასთან და მოვლენებთან, რასაც გზადაგზა განვიხილავთ.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთავრობამ არ უნდა აიძულოს პიროვნება ჩადენილი დანაშაულის აღიარებაში, წარმოიშვა ინგლისში XVII საუკუნეში. იმ დროისათვის, ხალხმა დაიწყო 1487 წელს ჩამოყალიბებული ბრიტანული სასამართლოს (Star Chamber) წინააღმდეგ გამოსვლა. სასამართლოს უფლება ჰქონდა აღიარების მისაღებად ეჭვმიტანილების წამებისა, ისინი იძლეოდნენ ფიცს, რომ უპასუხებდნენ ყველა კითხვას, ამასთან ისეთსაც, რომელებიც მათ დამნაშავეობას გამოაშკარავებდა. 1641 წელს ამ სასამართლოს გაუქმების შემდეგ, ინგლისის კანონი ითვალისწინებდა პრივილეგირებულ უფლებას თვითაღიარების წინააღმდეგ, რაც შემდგომში გადაიღო ამერიკის კოლონიებმა და შეტანილ იქნა (Bill of right) კონსტიტუციის პირველ ათ შესწორებაში. კერძოდ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მეხუთე შესწორება იძლევა ინფორმაციას, რომ არც ერთ კრიმინალურ საქმეში პიროვნება არ შეიძლება იყოს მოწმე საკუთარი თავის წინააღმდეგ. [48. გვ.109].

მიუხედავად ასეთი გარანტიებისა, 1930 წელს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეჭვმიტანილებისგან ინფორმაციის მისაღებად პოლიციაში ხშირად იყენებდნენ ძალას, მუქარას. ცრუ დაპირებებს - უფრო ნაკლებად. ასევე 1960-იანი წლებში გამოიყენებოდა ფსიქოლოგიური იძულებები ოჯახთან და ახლობლებთან ურთიერთობების საკითხებზე, ასევე ეჭვმიტანილის შეუსვენებლივ დაკითხვის ტაქტიკა და მათი ასეთი გზით დაღლა, მოტყუება და ა.შ. ყოველივე ამას მოჰყვა ეჭვმიტანილების უფლებების დასაცავად შექმნილი გადაწყვეტილებები, კერძოდ 1963 წელს უზენაესმა სასამართლომ მიიღო მეექვსე შესწორება, რომელიც გულისხმობს ფინანსურად გაჭირვებული ეჭვმიტანილისათვის, მთავრობის მიერ, ადვოკატით უზრუნველყოფას. მომდევნო 1964 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ ეჭვმიტანილს უფლება აქვს ადვოკატი ჰყავდეს პოლიციაში დაკითხვისას. და ბოლოს, 1966 წელს უმაღლესმა სასამართლომ მოახდინა ეჭვმიტანილის დასაცავი საჭირო გაფრთხილებების ფორმულირება და მოითხოვა, რომ ეს გაფრთხილება მისცემოდა ყველა პიროვნებას, რომელიც ,,დაკავებული ან სხვაგვარად შეზღუდული იყო თავისუფალ მოქმედებაში''.

ნებისმიერი დაკითხვისას, დამკითხავმა, ეჭვმიტანილი უნდა გააფრთხილოს:

1. თქვენ გაქვთ დუმილის შენარჩუნებისა და კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის თქმის უფლება.
2. ყოველივე, რასაც თქვენ იტყვით შეიძლება გამოყენებული იქნას თქვენს წინააღმდეგ სასამართლოში.
3. თქვენ გაქვთ უფლება შეხვდეთ ადვოკატს, ვიდრე იტყოდეთ რამეს და დაასწროთ იგი ყველა დაკითხვას ახლაც და მომავალშიც.
4. თუ თქვენ არ გაქვთ ადვოკატის აყვანის საშუალება, თქვენი სურვილით იგი შეიძლება დაგენიშნოთ სახელმწიფოს ხარჯზე.
5. თუკი ახლა გადაწყვეტთ, უპასუხოთ კითხვებს დამცველის გარეშე, თქვენ მაინც ინარჩუნებთ უფლებას მომავალში უარი თქვათ თქვენს მიერ გაცემულ პასუხებზე.
6. თუ თქვენ არ გესმით სახელმწიფო ენა, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ უფასო თარჯიმანი.

ეჭვმიტანილებმა შეიძლება უარი თქვან, ან თავი შეიკავონ ამ უფლებების გამოყენებაზე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იციან ამ უფლებების შესახებ გააზრებულად. იმ შემთხევაში, თუ პოლიციამ ან დამკითხავმა ეჭვმიტანილს არ მისცა სათანადო გაფრთხილება მისი უფლებების შესახებ, პროკურატურას არა აქვს უფლება, ასეთი ჩვენება გამოიყენოს ეჭვმიტანილის წინააღმდეგ.

ამ გაფრთხილებას ,,მირანდას'' გართხილება დაერქვა. გარემოება, რომელმაც მას სახელი მისცა, ეხებოდა 23 წლის სატვირთო მანქანის მძღოლს, ვინმე ერნესტო მირანდას, რომელიც დაკავებული იყო გატაცებისა და გაუპატიურების ბრალდებით. 1963 წელს მისი ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ, ერნესტო მირანდამ აღიარა დანაშაული. ამ შემთხვევამდე, პოლიციაში მიღებული ყველა ჩვენება ითვლებოდა ნებაყოფლობითად და გამოიყენებოდა სასამართლოში. პოლიციაში იგი არ გაუფრთხილებიათ მისი უფლებების შესახებ. ერნესტო მირანდა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 20-დან 30-წლამდე პატიმრობა. მაგრამ მოგვიანებით, მისმა ადვოკატებმა მოითხოვეს აპელაცია, გააპროტესტეს განაჩენი იმის გამო, რომ კონსტიტუციის მეხუთე დამატება, რომელიც იცავდა ეჭვმიტანილს დანაშაულის თვითაღიარებისაგან, გაერთიანებული იყო მეექვსე შესწორებასთან, რომელიც უზრუნველყოფდა მას ადვოკატით. 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ ერნესტო

მირანდას დაუნიშნა ახალი მოსმენა და მოსამართლე ერლ უორენმა ეს შესწორება პირველმა გამოიყენა, რაც ცნობილი გახდა, როგორც ,,მირანდას უფლებები''. სასამართლომ შეცვალა განაჩენი, უორენმა დაწერა სასამართლოს უმრავლესობის აზრი, რომ ერნესტო მირანდას ჩვენებები არ იყო ,,ნებაყოფლობითი''. დამრთგუნველი გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლიციაში დაკითხვისას, ქმნიდა დანაშაულის აღიარების პირობას, აქედან გამომდინარე უორენმა დაასკვნა, რომ: ,,თუ არ შეიქმნება ეჭვმიტანილის ადეკვატური დამცავი პირობები, არც ერთი აღიარება არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალი ნების პროდუქტად''. ამის შემდეგ, სასამართლომ მოახდინა ,,მირანდას'' გაფრთილების ფორმულირება, რაც ზემოთ იყო განხილული.

თუ ,,მირანდას'' გაფრთხილების შემდეგ დასაკითხი გამოიყენებს მინიჭებულ უფლებას (დუმილის უფლება, დამცველის უფლება), ეს უკვე კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ დაკითხვა უმალვე უნდა შეწყდეს.

როდესაც დასაკითხი დუმილის უფლებას იყენებს, დაკითხვის ხელახლა გაგრძელდება დასაშვებად ითვლება თუ: 1. დროის გარკვეულმა პერიოდმა განვლო (გააზრების, მოფიქრების) ან 2. დაკითხვის განახლება ხდება ეჭვმიტანილის ინიციატივით. ამ ორივე შემთხვევაში დასაკითხს კვლავ უნდა წარუდგინონ ,,მირანდას'' გაფრთხილება და ჰკითხონ აცხადებს თუ არა მასზე უარს. მაგრამ, როდესაც დასაკითხი უბრალოდ დროს კი არა დამცველის დახმარებას ითხოვს, ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს და დაკითხვა უნდა გადაიდოს მანამ, სანამ დასაკითხი დამცველისაგან არ მიიღებს კონსულტაციას, ან არ დაასწრებს მას დაკითხვაზე. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა იმას, ადრე ჰქონდა თუ არა კონსულტაციები დამცველთან. ეს ეხება როგორც ეჭვმიტანილებს ასევე დაპატიმრებულებს.

2. ,,მინნიკის'' გადაწყვეტილება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ სასამართლო ხელისუფლებაში მოხდა არსებითი გარდატეხა, რაც ,,მირანდას'' გაფრთხილებით არის ცნობილი. ეს თავი ეხება ბრალდებულის დაკითხვის ე.წ. ,,მინნიკის'' გადაწყვეტილებას, მის გავლენას სამართალდამცავ სისტემაზე და ასევე დამკითხავებს სთავაზობს ლეგიტიმურ საფეხურებს, რათა შეზღუდონ დაკითხვის ზოგიერთი უარყოფითი ეფექტი დანაშაულთა გამოძიებისას. ეს ყოველივე მსოფლიო

პრაქტიკაში გავრცელებული, კანონით გათვალისწინებული გარკვეული ქმედებების გაცნობის საშუალებას იძლევა, რათა შემდგომში გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკაში.

მოვიყვანოთ მაგალითი:

რობერტ მინნიკი და ჯეიმს დიაზი გაიქცნენ მისისიპის შტატის კლარკ ქაუნთის ციხიდან და დაიწყეს მოსახლეობის ძარცვა. ციხიდან გაქცეულებმა ისარგებლეს ერთ-ერთ სახლში ნაპოვნი იარაღით, მოკლეს სახლის ორი მობინადრე და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ მოპარული მანქანით. მინნიკი ოთხი თვის შემდეგ დააპატიმრეს კალიფორნიაში.

მისი დაკავების შემდეგ გამოძიების ფედერალური ბიუროს ორმა აგენტმა გამოკითხა იგი, განუმარტა მისთვის მინიჭებული უფლებების არსი, რომელსაც აშშ-ში ,,მირანდას'' გაფრთხილება ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლებების გამოყენებაზე უარის წერილობით მიცემა უარყო, მინნიკი მაინც დათანხმდა ეპასუხა ზოგიერთი შეკითხვისათვის. გამოკითხვის პროცესში მან რამოდენიმე მაინკრიმინირებელი განცხადება გააკეთა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ სრულ ჩვენებას მხოლოდ დამცველთან კონსულტაციის შემდეგ მიცემდა. იმის გამო, რომ მინნიკმა გამოიყენა თავისი უფლება აეყვანა დამცველი, აგენტებმა უმალვე შეწყვიტეს დაკითხვა.

გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებთან დაკითხვის შემდეგ, მინნიკი შეხვდა დამცველს. სამი დღის შემდეგ, მისისიპიდან ჩამოვიდა კლარკ ქაუნთის შერიფი ჯ.ს. დენჰამი, რომელსაც სურდა გამოეკითხა მინნიკი. მიუხედავად იმისა, რომ მინიკმა კვლავ უარი განაცხადა წერილობით უარეყო ,,მირანდით'' მინიჭებული უფლებები, ის მაინც დაეთანხმა ესაუბრა შერიფთან. გამოკითხვის დროს მინნიკის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა საფუძველი დაუდო მის პასუხისგებაში, მკვლელობაში ბრალდებულად მიცემის საკითხს.

სასამართლო პროცესზე მინიკმა უარყო დენჰამისათვის მიცემული ჩვენება, მაგრამ სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა და სიკვდილით დასჯა შეუფარდა მას შემდეგ, რაც ბრალდებულად იქნა ცნობილი ორი ადამიანის განზრახ მკვლელობაში. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა მისისიპის შტატის უმაღლეს სასამართლოში და იგი უცვლელად დარჩა. თუმცა შემდგომ აშშ უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ეს გადაწყვეტილება.

მინნიკის მცდელობას, უარეყო დენჰამისათვის მიცემული ჩვენება, საფუძვლად ედო აშშ კონსტიტუციის მეხუთე დამატება. გამოიყენა მან დამცველის აყვანის უფლება გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ-ს) აგენტებთან საუბრისას, დენჰამმა მას ხელახლა არ განუმარტა ამ უფლებების არსი და ის დამცველის გარეშე დაკითხა. სწორედ ამიტომ უზენაესმა სასამართლომ ეს დასაკითხისათვის ,,მირანდათი'' მინიჭებული უფლებების დარღვევად აღიარა და მისი ჩვენებაც მტკიცებულობის არ მქონედ ჩათვალა.

აქედან გამომდინარე, სამართალდამცავები არაუფლებამოსილნი არიან დაკითხონ დაპატიმრებული, ბრალდებული პირი, რომელმაც დამცველი მოითხოვა მანამდე, სანამ ეჭვმიტანილის დამცველი არ გამოცხადდება ან ეჭვმიტანილი აზრს არ შეიცვლის და თავისი ინიციატივით გააგრძელებს დაკითხვას. იმის გამო, რომ პირველი ალტერნატივა უსიამოვნოა, ხოლო მეორე უმეტესად არარეალური, დაპატიმრებულის დაკითხვის სწრაფად განახლება იშვიათად ხდება.

მართალია ,,მინნიკის'' საქმესთან დაკავშირებით აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში პირდაპირ არ იყო მითითებული აღნიშნული წესის ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებისას გამოყენების შესახებ, მაგრამ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ის ყველა შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ხელახალი დაკითხვისას. თუკი დაპატიმრებული ერთხელ მაინც მოითხოვს დამცველს, მისი ეს მოთხოვნა ძალაში რჩება მთელი პატიმრობის მანძილზე. როგორც ვნახეთ, აშშ სამართალდამცავი სისტემა ძირითადად აგებულია ,,მირანდასა'' და ,,მინნიკის'' საქმეებზე, რომლებმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, როგორც მოქალაქეებს, ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს.

უნდა აღინიშნოს სისხლისსამართალწარმოებაზე საერთაშორისო შეთანხმებების გავლენის როლი, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული შეთანხმებების უმეტესობამ დიდი როლი შეასრულა დემოკრატიული ქვეყნების პროცესუალურ კანონმდებლობაზე. ამიტომ დაკავებული პირების, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვის მეთოდების და ტაქტიკური ხერხების შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო ხასიათის საყოველთაო აღიარებულ პრინციპულ დებულებებს.

კერძოდ:

გაერთიანებული ერების (გაეროს) გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'', მიღებულს 1948 წელის 10 დეკემბერს, [6] სადაც ხაზგასმულია, რომ: ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი მე-3); არავის მიმართ არ უნდა იყოს გამოყენებული წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და მისი ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი (მუხლი მე-5); არავის არ აქვს ადამიანის თვითნებური დაპატიმრების ან განდევნის უფლება (მუხლი მე-9).

ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებლობას, დაკავებულისა და დაკავებულ პირთა უფლებების დაცვას, რომელიც ასახულია ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციაში'', მიღებულს რომში 1950 წელი 4 ნოემბერს. აღნიშნულ კონვენციაში აღიარებულია: წამების აკრძალვა (მუხლი მე-3); პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებლობა; პიროვნების დაკავებისა და დაპატიმრების პირობები; სასამართლოდან ბრძანების მიღება დაპატიმრებისა და დაკავების შემთხვევაში; უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების დროს კომპენსაციის მიღება (მუხლი მე-5); სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის უფლება (მუხლი მე-6). [4]

დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა უფლებების დაცვის საკითხს ,,საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ'' მიღებულს 1966 წლის 16 დეკემბერს. [9] აღნიშნულ პაქტში ხაზგასმულია წამების დაუშვებლობა (მუხლი მე-7); პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება; დაკავებულისა და დაპატიმრებულისათვის უფლებების განმარტება (მუხლი მე9); თავისუფალაღკვეთილი პირისადმი ჰუმანური მოპყრობა (მუხლი მა-10); თანასწორუფლებიანობა კანონისა და სასამართლოს წინაშე; განსასჯელის უფლებების შესახებ სასამართლოში საქმის განხილვის დროს (მუხლი მე-14) და უდანაშაულობის პრეზუმციის შესახებ (მუხლი მე-15).

დაკავებულისა და დაპატიმრებულის მოპყრობის საკითხს, ჩამოყალიბებულს, ,,კონვენცია წამების, სხვა არაადამიანურ და ღირსების დამამცირებელი ქცევისა და დასჯის წინააღმდეგ'', მიღებულს 1984 წლის 10 დეკემბერს. [10]

დაკავებულთა და დაპატიმრებულ პირთა უფლებების დაცვა ჩამოყალიბებულია კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტში ,,კონფერენცია ადამიანის განზომილების შესახებ ევროპის უსაფრთხოება და თანამშრომლობის შესახებ'', (კოპენჰაგენი 1990

წლის 29 ივნისი). ამ დოკუმენტში მითითებულია ადამიანის თავისუფლების დაცვაზე (5,7); კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანობაზე (5,9); დაცვის უფლების შესახებ (5,10); მოსამართლეთა დამოუკიდებლობის თაობაზე (5,12); დამცველის დამოუკიდებლობაზე (5,13); დაკავებულისა და დაპატიმრებულის უფლებათა შესახებ (5,15); საქმის სასამართლოში ღია სხდომაზე განხილვის თაობაზე (5,16); უდანაშაულობის პრეზუმციის შესახებ (5,16). [2]

აღნიშვნას იმსახურებს აგრეთვე ,,პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის'' მიღებული პარიზში 1990 წელს. ამ დოკუმენტში მითითებულია ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობაზე; უკანონო დაპატიმრების, წამების, მკაცრი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის თაობაზე. [8]

ადამიანის თავისუფლებათა და ხელშეუხებლობის უფლებათა და სასამართლო დამოუკიდებლობის დაცვის სფეროში გარკვეული როლი ენიჭება მოსკოვის თათბირის დოკუმენტს ,,კონფერენციას ადამიანის განზომილებათა შესახებ ევროპის უსაფრთხოება და თანამშრომლობის შესახებ'', (მოსკოვი 1991წლი) არნიშნული დაკუმენტი აწესრიგებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას; მოსამართლეზე ზეგავლენის მოხდენის დაუშვებლობას; მოსამართლის ხელშეუხებლობას; პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვას; დაკავებულისა და დაპატიმრებული პირისადმი უფლებების განმარტებას მათთვის გასაგებ ენაზე; დაკავებაზე და დაპატიმრებაზე სასამართლო კონტროლს; დაცვის უფლების რეალურ განხორციელებას; ბრალის აღიარების მიზნით იძულების დაუშვებლობას; წამებისა და მკაცრი მოპყრობის აკრძალვას; დაცვის უფლებებისა და კონპენსაციის მიღებას. [3]

§ 2. ეჭვმიტანილის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი

მოწმეების და დაზარალებულების დაკითხვის ტაქტიკისაგან განსხვავებით ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ეფექტურობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია მის კარგად მომზადებაზე. თუ დაკითხვა წარმოებს მომზადების გარეშე, ის უმრავლეს შემთხვევაში არ იძლევა მოსალოდნელ შედეგს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთ შემთხვევებში დასაკითხი პირებიც ემზადებიან ჩვენების მიცემისათვის. ბრალდებულების შემთხვევაში, ისინი არაერთხელ განიხილავენ მომავალ დაკითხვას სხვა პატიმრებთან ერთად. ხანდახან

კი მათთან ერთად აკეთებენ მის ინიცირებას. ამიტომ მით უფრო მნიშვნელოვანია დამკითხავის ყოველმხრივი მომზადება ჩვენების მიღებისათვის.

პირველ რიგში, აუცილებელ პირობას დაკითხვისთვის, (როგორც ყველა სახის დაკითხვის წარმოებისას), წარმოადგენს საქმის მასალების ძირფესვიანი შესწავლა, დაკითხვის გეგმის შედგენა, შესაბამისი დროის, ადგილის პირობების გამონახვა, უნდა განისაზღვროს, ვინ უნდა დაიკითხოს და ვის როლში (ეჭვმიტანილის სახით თუ ბრალდებულის სახით) და რა ფაქტორების და გარემოებების დადგენა არის მოსალოდნელი დაკითხვის შედეგად.

საქმის მასალების შესწავლა აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს დაკითხვის პროცესს. თუ იგი მიმდინარეობს დაკითხვის მსვლელობისას, ეს არ გამოეპარება ეჭვმიტანილს და ბრალდებულს. მათ ექმნებათ შთაბეჭდილება საქმის გარშემო გამომძიებლის გაუთვითცნობიერებაზე, რაც აუცილებლად იმოქმედებს საქმის მსვლელობაზე და მის შედეგებზე, განსაკუთრებით კი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის პროცესზე.

დამკითხავმა უნდა გააანალიზოს არსებული მტკიცებულებანი, რომელზე დაყრდნობითაც აპირებს დაკითხვის წარმართვას და დასაკითხი პირებისთვის მათ წარდგენას.

საქმის მასალების შესწავლისას გამომძიებელი ვალდებულია მოიძიოს ყველა ის მონაცემი, რომლებიც მეტყველებენ ბრალდებულის დანაშაულზე - ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულება. მის წინააღმდეგ შეაგროვოს ის მასალები, რომლებიც, თუმცა სრულყოფილად ჯერ არ არის მისაღები, მაგრამ თვითონ ბრალდებულის დაკითხვის შემდეგ უნდა გამოირკვეს. ამის გარდა უნდა აღნიშნოს ის მონაცემებიც, რომლებიც ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებს. საქმის მასალების გარდა შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას სხვა მონაცემებიც, რომელთა გამოყენებაშიც დაკითხვა გახადოს უფრო შედეგიანი.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვამდე აუცილებლობას წარმოადგენს მათზე ყოველგვარი ინფორმაციის შეგროვება, რისი გაგებაც შესაძლებელია ოპერატიული მასალებიდან, მათი მეზობლებისგან, ნათესავებისგან, მეგობრებისგან, მასთან დაპირისპირებული პირებიდან. ასეთი სახის ინფორმაციის ქონა, მდგომარეობს მისი ბიოგრაფიული ცნობების მოგროვებაში (მათ შორის პროფესია,

ნასამართლეობა): ცხოვრების წესი, თვისებები, განათლების დონე, მის მიერ ჩადენილი (უმნიშვნელო, მნიშვნელოვანი თუ ასეთი არსებობს) დანაშაულის მოტივები, და ყველაფერი ის, რაც შემდგომში დაეხმარება დამკითხავს, რათა სწორი შეხედულება ჩამოუყალიბდეს ადამიანზე, რომელიც მან უნდა დაკითხოს, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, შინაგანი დაპირისპირებით, ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობებით, ან პირიქით გატეხილობით და სიცარიელით.

დაკითხვისთვის მზადება გულისხმობს აგრეთვე დაკითხვის ადგილისა და დროის განსაზღვრას, ეს საკითხები განხილული გვაქვს პირველ თავში, დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ ეჭვმიტანილი უნდა დაიკითხოს არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა, ბრალდებული კი მისთვის ბრალის წაყენების შემდეგ. თუ დაკითხვა ვერ მოხერხდა, ასეთი დაყოვნების მიზეზის შესახებ უნდა შედგეს ოქმი.

საკითხის მეორე ჯგუფი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ, განეკუთვნება იმ პირების განსაზღვრას, რომლებმაც უშუალოდ მონაწილეობა უნდა მიიღონ დაკითხვის წარმოებაში. გარკვეულ წილად ეს საკითხებიც განხილული გვაქვს პირველ თავში. ამიტომ აღარ შევაჩერებთ მასზე ყურადღებას და დავამატებთ იმ შემთხვევას, როცა პროკურორი მონაწილეობს დაკითხვაში.

დაკითხვაში, რომელსაც აწარმოებს გამომძიებელი, პროკურორის აქტიური ჩართვა ითვალისწინებს მის მიერ საქმის მასალების კარგ ცოდნასა და ყველაფერ იმას, რაზედაც ვილაპარაკეთ ზემოთ, მაგრამ წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული მისი როლი დაკითხვისას, უნდა განისაზღვროს მონაწილეობის ხასიათი და მოქმედების საზღვრები, საჭიროა შეთანხმება: ვინ როდის და როგორ კითხვებს დაუსვამს; ვინ დაიწყებს დაკითხვას; როგორ მტკიცებულებებს და ვინ როდის გამოიყენებს და ასე შემდეგ. გამომძიებელი და პროკურორი უნდა მონაწილეობდნენ შეთანხმებულად, მაშინ დასაკითხი აღმოჩნდება ორი დამკითხავის წინაშე, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან. ეს შეუქმნის დასაკითხს უფრო რთულ ფსიქოლოგიურ პირობებს, რა დროსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტაქტიკური ხერხების სწორად გამოყენებას, მაგრამ არ უნდა დაუშვათ დასაკითხის პროცესუალური გარანტიების დარღვევა. (ამ შემთხვევაში შესაძლებელია განსაკუთრებული სიფრთხილით იქნას გამოყენებული ტაქტიკური ხერხი, რომელიც

,,კეთილი და ბოროტი დამკითხველის'' სახელითაა ცნობილი და რის განხილვასაც შეგნებულად აუარეთ გვერდი) .

1. ეჭვმიტანილის დაკითხვის თავისებურებანი კონფლიქტურ სიტუაციებში. კონფლიქტურ სიტუაციად შეიძლება მივიჩნიოთ ის მომენტი, როდესაც სუბიექტს უმტკიცდება დანაშაული, მაგრამ არ სურს მისი აღიარება და ნებისმიერი ხერხით ცდილობს თავის გამართლებას.

როგორც უკვე ბევრჯერ აღვნიშნეთ, დაკითხვა წარმოადგენს იმ პიროვნებისათვის კითხვების დასმის პროცესს, რომელიც გარკვეულწილად არის დაკავშირებული ჩადენილ დანაშაულთან. ამ დროს ხდება გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაციის შედარება დასაკითხის ჩვენებასთან.

ეჭვმიტანილის დაკითხვის მიზანს წარმოადგენს:

1. **დადგინდეს სიმართლე, თუ როგორ მოხდა დანაშაული;**
2. **ეჭვმიტანილისგან ბრალის აღიარება;**
3. **გამოვლინდეს ფაქტი ჩადენილი დანაშაულის შესახებ (მეთოდები, გარემოებები);**
4. **შეგროვდეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს შესაძლებლობას მისცემს, მივიდეს კონკრეტულ დასკვნამდე;**
5. **შეგროვდეს ყველა ინფორმაცია, რომელიც სასამართლო პროცესისათვის იქნება საჭირო.**

დაკითხვის განმარტებიდან და ადრე განხილული საკითხებიდან შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ დაკითხვის ელემენტები კონფლიქტურ სიტუაციებში, რაც დაგვეხმარება შემდგომში ეჭვმიტანილებისაგან სრული ინფორმაციის მიღებაში.

ა. ეჭვმიტანილის დამაჯერებლად დადანაშაულება, დანაშაულში მხილება

1. უნდა ეთქვას ეჭვმიტანილს, რომ ის დაკავშირებულია დანაშაულთან;
2. უნდა წარუდგეს ეჭვმიტანილს საქმის მასალები, ფაქტები, პირდაპირი და ირიბი მტკიცებულობები, იმისათვის, რომ დარწმუნდეს წინააღმდეგობის გაწევის უაზრობაში;

3. ყურადღება უნდა მიექცეს ეჭვმიტანილის რეაქციას. თუ ის უარყოფს დანაშაულთან კავშირს, კვლავ განუცხადდეს, რომ ის მხილებულია, კვლავ დაადანაშაულეთ. თუ ეჭვმიტანილი აღარ უარყოფს, ეს უკვე მაჩვენებელია იმისა, რომ ის დამნაშავეა.

ბ. ეჭვმიტანილის მხრიდან უარყოფის აღკვეთა

1. საჭიროა შეწყდეს და აღკვეთოს ნებისმიერი დამატებითი უარყოფა, რომელსაც აპირებს ეჭვმიტანილი;
2. დამნაშავის უარყოფა ასეთ დროს თანდათან შესუსტდება, ხოლო უდანაშაულოსი კი უფრო გაძლიერდება და მეტი გაბრაზებაც დაეტყობა;
3. უნდა განუცხადდეს ეჭვმიტანილს, რომ ახლა მისი მოსმენის დროა.

გ. აღიარებისათვის მიზეზების წარდგენა

1. საჭიროა დაესვას ეჭვმიტანილს შეკითხვა, თუ რატომ ჩაიდინა დანაშაული;
2. საჭიროა მიეცეს მისაღები მიზეზები, რათა აღიაროს სიმართლე;
3. მიზეზის წარდგენა რაც მეტად ჰგავს მონოლოგს, უკეთესია;
4. მოცემულ შემთხვევაში მოთმინება, მდგრადობა და მჭერმეტყველება წარმატების გასაღებია.

დ. პროტესტის აღკვეთა

1. პროტესტი არის ეჭვმიტანილის მიერ უდანაშაულობის გამოხატვის გამოყენებული ფორმა;
2. პროტესტის ფორმას ჩვეულებრივ დამნაშავეები მიმართავენ, ვინაიდან უარყოფა შედეგს არ იძლევა;
3. ჩვეულებრივ პროტესტის ფორმას გააჩნია ფაქტიური საფუძველი და ამიტომაც შესაძლებელია, რომ იგი გამოყენებულ იქნას ეჭვმიტანილის მიერ თავის დასაცავად. ასე რომ, არ ეცადოთ მათ იგნორირებას;
4. პროტესტები უნდა გაერთიანდეს ჩამოყალიბებულ შესაძლო დანაშაულებრივ მიზეზებთან, რათა ადვილი გახდეს ეჭვმიტანილისაგან დანაშაულის აღიარება.

ე. ეჭვმიტანილის გონებრივად უკანდახევის აღკვეთა

1. უკანდახევა ხშირად გამოწვეულია უშედეგო უარყოფითა და პროტესტით;

2. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ეჭვმიტანილთან მიახლოვება და სახელით მიმართვა;
3. აუცილებელია გულახდილობის გამოხატვა.

ვ. აღქმის ნიშნებზე ყურადღების მიქცევა

1. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღქმის არავერბალურ ნიშნებს, როგორებიცაა: თავის ქნევა, სხეულის მოძრაობა, ცრემლების გამოჩენა თვალებზე;
2. ბრალის აღიარების მიზეზები, ანუ მოტივაცია დაიყვანება მოკლე, ეჭვმიტანილისათვის გასაგებ იდეებამდე (ცნებებამდე);

ზ. კარგი და ცუდი არჩევანი

1. ზოგი ეჭვმიტანილი ეთანხმება და მისაღებად მიაჩნია ის მიზეზები, რომლებიც წარუდგინეს მას იმისათვის, რომ ეღიარებინა დანაშაული;
2. ზოგი კი ბუნებით ეჭვიანია;
3. დავუშვათ, რომ ეჭვმიტანილის ქმედებას უფრო კარგი არჩევანი ედო საფუძვლად, ვიდრე ცუდი და ეს ცუდი შემთხვევითია;
4. უნდა ეთხოვოს ეჭვმიტანილს, რომ მანაც დაადასტუროს ეს.
5. თუ დაადასტურებს, იწყება ჩვენების მიღება. თუ უარყოფს, მაშინ უფრო მეტი დრო დაეთმობა დანაშაულის რაციონალიზაციას, გადაბრალებასა და შემცირებას (**RMP** - ს) ანუ ,,გამართლების'' მექანიზმს და საუბარი უნდა გაგრძელდეს აღიარების მოტივაციაზე. (ამ საკითხს შემდგომში განვიხილავთ)

2. წარმატებული დაკითხვის ხერხები. იმ ინფორმაციის მიღება, რომლის გაცემაც არ სურს დასაკითხს, დაკითხვის მთავარ მიზანს წარმოადგენს. წარმატებით ჩატარებულ დაკითხვას შედეგად მოსდევს ეჭვმიტანილის ბრალის აღიარება, ან მისგან იმის აღნიშვნა, რომ გარკვეულწილად მონაწილეობდა უკანონო ქმედებაში. თუმცა გამომძიებლები ხშირ შემთხვევაში არ ფლობენ ამ კრიტიკულ ინფორმაციას, რომელსაც საქმის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს. ხშირად დამნაშავე ეჭვმიტანილები გამომძიებლის ოთახს ისე ტოვებენ, რომ უმცირეს აღიარებასაც კი არ აკეთებენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც დაკითხვის შემდეგ გამომძიებლები ხვდებიან, რომ ეჭვმიტანილმა მოატყუა. როდესაც ასეთ სიტუაციას აქვს ადგილი,

დამნაშავეები დაუსჯელები რჩებიან და კვლავ ეძლევათ საშუალება ჩაიდინონ დანაშაული და ამით ავნონ საზოგადოებას.

დაკითხვის ასეთი ჩავარდნა მრავალმა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს. ზოგიერთი მიზეზის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია, ზოგიერთის კი - არა. თუმცა დამკითხავებს თავიანთი წარმატებულობის ხარისხის ამაღლება შეუძლიათ ,,ჩავარდნის" არსებითი მახასიათებლებისა და გამოვლენილი ნიშნების შემცირების (მინიმუმამდე დაყვანის) გზით. დაკითხვის წარმატებით გაძღოლისა და დასრულებისათვის მთავარ კომპონენტებს წარმოადგენს: დაკითხვის მომზადება, დამაჯერებელი არგუმენტების მოფიქრება, დაკითხვის გეგმის შედგენა, დასაკითხთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, დაკითხვისათვის საკმარისი დროის გამოყოფა, დაკითხვის ადგილის შერჩევა და, რაც მთავარია, იმის შეგნება, რომ ერთი შეცდომის დაშვების გამო შესაძლებელი იქნება დაკითხვის ჩავარდნა, მიუხედავად მასში ჩადებული ძალისხმევისა. მართალია ეს ჩამონათვალი სრული და ამომწურავი არ არის, მაგრამ ამ ფაქტორების დახვეწას დამკითხავი წარმატებული დაკითხვისაკენ მიჰყავს.

3. დაკითხვის მომზადება, ადგილი და გარემო. დაკითხვის წარმატებით ჩატარებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს დაკითხვის მომზადება. მსგავსი საკითხები განხილული იქნა არაკონფლიქტურ სიტუაციებში დაკითხვის დროს, ხოლო კონფლიქტურ სიტუაციებში დაკითხვის მომზადება და გაძღოლა გარკვეულ საკითხებში შედარებით განსხვავებული ხასიათის მატარებელია. მაშასადამე, მისი განხილვაც მეტნაკლებად განსხვავებული იქნება. როგორც უკვე ვთქვით, ყველაზე ხშირად დაკითხვის ჩავარდნას იწვევს მისი მოუმზადებლად ჩატარება. დაკითხვის მომზადების ელემენტებს შეადგენს დაკითხვის ადგილისა და დროის განსაზღვრა, საქმის მასალების საფუძვლიანი ცოდნა, დასაკითხი პიროვნებისა და პროცესუალური დოკუმენტების შევსების ცოდნა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებლებმა წინასწარ უნდა მოაგვარონ ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ჩვენების ფიქსირებას ეხება. დაკითხვის პროცესში, დამკითხავი არ უნდა იყოს დაკავებული გარეშე მოქმედებებით, ისეთებით, როგორებიცაა აუდიო ან ვიდეო კასეტების შეცვლა, ქაღალდებისა და სხვა საწერი საშუალებების ძებნა. ასეთი მოქმედებები აღიზიანებს

სუბიექტს, მათ უჩნდებათ იმის გრძნობა, რომ ისინი ნაკლებად მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე დაკითხვის პროცესი, რაც დიდად ამცირებს დაკითხვის წარმატებით დამთავრების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ დამკითხავები დაკითხვის პროცესს დღესდღეობით აღბეჭდავენ ვიდეო თუ აუდიო ფირებზე, მათ ასევე აუცილებლად უნდა მიიღონ ეჭვმიტანილისაგან ხელმოწერილი წერილობითი ჩვენება, რომელიც სრულად აღწერს ძირითად ფაქტებს. უფრო მეტიც, თუ აუდიო ან ვიდეო ფირზე ჩაწერილი პროცესი მოულოდნელად უვარგისი გახდება, დაგვრჩება დაწერილი ჩვენება, რომელიც სასამართლოში მტკიცებულების სახით განიხილება.

წარმატებული დაკითხვა გულისხმობს, რომ გამომძიებლები აკონტროლებენ როგორც განსახილველ საკითხებს, ასევე ფიზიკურ გარემოსაც. გამომძიებლები არ უნდა წარუძღვნენ დაკითხვას მანამ, სანამ არ ექნებათ სიმყუდროვისა და გარემოზე კონტროლის გარანტია. ყველაზე კარგი ასეთ დროს არის პატარა, მყუდრო ოთახი, რომელიც დაცული იქნება ხმაურისაგან. დამკითხავები უნდა მოერიდონ ოთახებს დიდი ფანჯრებით, ტელეფონით, სურათებით, საათითა და სხვა ტექნიკური თუ ზოგადი მოხმარების საგნებით. ოთახი, რომელშიც ყურადღების გამფანტველი საგნები არ არის, დასაკითხს აიძულებს უპასუხოს დასმულ შეკითხვებს და არ მოხდეს ყურადღების გადატანა სხვა საგნებზე. ასეთ გარემოში მომკვლევისათვის უფრო მოსახერხებელია დასაკითხის ვერბალურ და არავერბალურ ქცევაზე დაკვირვება. აქედან გამომდინარე, დამკითხავებმა ზუსტად იციან, რომ დასაკითხის მხრიდან გამოვლენილი ნიშნები გამოწვეული არ არის რაიმე სხვა გარეშე ფაქტორების ზეგავლენის გამო. დაკითხვის შემდგომი სიტუაცია დამოკიდებულია შექმნილი გარემოს კონტროლზე, რომელიც ასევე დიდ გავლენას ახდენს დაკითხვის წარმატებით ჩატარებაზე. თუ დამკითხავს არ შეუძლია ასეთი გარემოს შექმნა, მან დაკითხვა სხვა დროისათვის უნდა გადადოს. ხშირად დაკითხვის წარმატებით ჩატარების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა არსებობს. ასეთი შესაძლებლობის რისკის ქვეშ დაყენება გამომძიებლის სისუსტეზე მიუთითებს.

4. საქმის მასალებისა და დასაკითხი პიროვნების ცოდნა. საქმის მასალების საფუძვლიანი ცოდნა ერთერთ უმთავრეს ფაქტორად რჩება დაკითხვის დროს, თუმცა ზოგიერთი ფაქტის ცოდნა სხვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია და მით უმეტეს იმის ცოდნა, თუ როგორ მოხდა დანაშაული. თუ გამომძიებელს შეუძლია ეჭვმიტანილს უთხრას, როგორ და რანაირად მოხდა დანაშაული, სუბიექტმა

შესაძლოა დაასახელოს ის მიზეზები, თუ რატომ მიიღო მონაწილეობა ინციდენტში და რა აკავშირებს მასთან. თუმცა გამომძიებლებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ამ ტაქტიკის გამოყენების დროს. როდესაც სუბიექტს დანაშაულის ფაქტებს უსახელებენ, დამკითხავები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ეს ფაქტები სწორია, ისინი რისკავენ და წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დასაკითხის თვალში დაკარგონ ის დამაჯერებლობა, რომლითაც აქამდე გამოირჩეოდნენ, რადგან ასეთ შემთხვევაში დასაკითხი ხვდება, რომ დამკითხავმა ფაქტები სრულად და ზუსტად არ იცის, რაც მას დაუსჯელობის იმედს გაუძლიერებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასაკითხი პიროვნების უცოდინრობა დაკითხვის ჩავარდნისა და მისი წარუმატებლად დამთავრების გარკვეულ მიზეზს წარმოადგენს.

დასაკითხის გრძნობები, მიზნები და პიროვნული ღირებულებები პირდაპირ ზემოქმედებს დაკითხვის წარმატებით ჩატარებაზე. ინდივიდები ხშირად აღიარების გადაწყვეტილებას იღებენ მათი ემოციური მდგომარეობის საფუძველზე, ხოლო შემდეგ თავიანთი პოზიციით და ლოგიკური არჩევანის საშუალებით. ამიტომ რაც უფრო მეტი იციან დამკითხავებმა დასაკითხი პიროვნების შესახებ, ისინი უფრო მეტად ზრდიან დაკითხვის წარმატებით დამთავრების შესაძლებლობას. როდესაც დამკითხავებმა იციან და ესმით დასაკითხის მიზნები, მისწრაფებები, პრობლემები, მათ უკეთ შეუძლიათ დაარწმუნონ ის იმაში, რომ დანაშაულის აღიარება მათ ინტერესებში შედის.

5. განსხვავება დაკითხვასა და გამოკითხვას შორის. გამომძიებლებმა აუცილებლად უნდა გააცნობიერონ ამ ორ პროცესს შორის არსებული სხვაობა. გამოკითხვა ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს დაკითხვას. გამოკითხვის დროს გამომძიებელმა უნდა გამოიკვლიოს ეჭვმიტანილი პიროვნება, შეიტყოს მისი მიზნების, განცდების, გრძნობების, შიშებისა და ა.შ. შესახებ. ამას ისინი შემდგომ გამოიყენებენ დაკითხვის მომზადებისა და მისი ჩატარების დროს. გამოკითხვა არ არის იძულებითი პროცესი, იგი თავისუფალ საუბარს ჰგავს, რომლის დროსაც გამომძიებელი აკვირდება ეჭვმიტანილის ვერბალურ და არავერბალურ ქცევას, ამყარებს მასთან ფსიქოლოგიურ კონტაქტს და წყვეტს, თუ როგორი მეთოდით უნდა დაკითხოს კონკრეტული პიროვნება (თუ ეჭვი გაუჩნდებათ, რომ სუბიექტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან), ან მიიღონ ინფორმაცია ახალ ფაქტებზე საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.

დაკითხვის დროს გამომძიებლები იყენებენ სხვადასხვა აპრობირებულ ხერხებს არა მხოლოდ იმისათვის, რომ მიიღონ ინფორმაცია, არამედ იმისთვის, რომ ეჭვმიტანილები ფაქტების წინაშე დააყენონ. გამოკითხვაში ლიდერობს დამკითხავი, ხოლო ეჭვმიტანილი მას უბრალოდ მიჰყვება. გამომძიებლები ამ დროს არ აკეთებენ ჩანაწერებს, მათ მხოლოდ სურთ, რომ მიიღონ მართალი ჩვენებები და აღიარებები. გამოკითხვისას მოგონილი ინფორმაციის მოსმენა და იმავდროულად სწორი ჩვენების მიღების ცდა გამომძიებლებს აკარგვინებს ეჭვმიტანილზე ზემოქმედების უპირატესობას, რასაც ნაკლებად შეუძლია სარგებლობის მოტანა შემდგომი დაკითხვის დროს.

გამოკითხვისას აუცილებელია დამაჯერებელი თემებისა და არგუმენტების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დავარწმუნოთ დასაკითხი, რომ სიმართლის თქმა აუცილებელია. გამოკითხვისას ასეთი თემებისა და არგუმენტების შემუშავების უგულებელყოფა მომავალში დაკითხვის ჩავარდნის ერთ – ერთ პირობას წარმოადგენს.

ამის დასაძლევად და თავიდან ასაცილებლად სამი მთავარი საშუალება არსებობს.

პირველი არის გამოცდილება, რომელიც გამომძიებელს საკმაო რაოდენობით არგუმენტს აძლევს. რაც უფრო მეტ გამოკითხვას გასძღოლია გამომძიებელი, მით მეტი იდეების, არგუმენტებისა და თემების წამოჭრის შესაძლებლობა აქვს.

მეორე არის დაკითხვისათვის მომზადება, რომელიც პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ხერხია. მომზადება საშუალებას აძლევს გამომძიებელს დაგეგმოს და წინასწარ განსაზღვროს ის არგუმენტები და თემები, რომლითაც იმუშავებს სუბიექტთან გამოკითხვისას. ჭეშმარიტი არგუმენტები და თემები შეუფასებელ როლს თამაშობენ დაკითხვის წარმატებით ჩატარებაში. ყოველივე ეს კი შეიცავს დანაშაულის საშიშროების შემცირებას, დაზარალებულის დადანაშაულებას, ქცევის სამარცხვინოობის ხარისხის შემცირებას, ჩადენილი დანაშაულის გრძნობის ამაღლებასა და ეჭვმიტანილში მისთვის უკეთესი შედეგის იმედის ჩასახვას. თუმცა, ეს უკანასკნელი გამომძიებელმა ისე არ უნდა გააკეთოს, რომ ეჭვმიტანილს პასუხისმგებლობის შემსუბუქების იმედი გაუჩნდეს. ეს ეწინააღმდეგება კანონს და შესაძლოა დადგეს შემდგომში მიღებული ჩვენებისა თუ აღიარების ბათილად ცნობის საბაბი. სხვა ბევრი დანაშაული მოითხოვს ასეთი ან ამის მსგავსი თემების გამოყენებას. ყოველი კონკრეტული დანაშაულისათვის უნდა შეირჩეს მისი

შესაფერისი თემა და ეს ეჭვმიტანილის გამოკითხვისას უნდა მოხდეს. მაგალითად, ქურდობის დროს შესაძლოა გამოვიყენოთ ისეთი თემა, როგორიცაა ბრძოლა არსებობის შენარჩუნებისათვის, დაზარალებულთა დადანაშაულება, პროფესიულად ჩადენილი დანაშაულისათვის ეჭვმიტანილის ქება და ა. შ.

მესამე, კარგი გამოკითხვის ჩატარება დაკითხვამდე და გამოკითხულის ძირითადი პასუხების ჩანიშვნა უკვე დაკითხვისას, შესაძლებლობას აძლევს გამომძიებელს, შეურიოს ისინი გამოკითხვის შემდეგ შემუშავებულ დასარწმუნებელ თემებსა და არგუმენტებს და ეს ყოველივე დაკითხვის დროსვე გააკეთოს. იცის რა გამომძიებელმა თუ რა არის დასაკითხისათვის მთავარი, მას შეუძლია ეს ყოველივე შემდგომში თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ამ საფეხურების გაუვლელად მათ ყოველივე ზემოთქმულის გაკეთება დაკითხვის დროს მოუწევთ, რასაც დიდი დრო მიაქვს და დაკითხვა ჩავარდნისკენ მიჰყავს.

გამომძიებლებს თემები და არგუმენტები მზად უნდა ჰქონდეთ და უნდა შეეძლოთ საქმის ფაქტებს დაუკავშირონ ისინი. თუ ყველა არგუმენტი და თემა ამომწურავად იქნა გამოყენებული, მაშინ, საჭიროების შემთხვევაში, მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვა სიტყვებითა და მიმდევრობით. ეს პროცესი შესაძლოა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს. უფრო სწორად, უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ არ მივიღებთ აღიარებას. უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტი წარმატების მომტანია თემებისა და არგუმენტების მოხერხებულად წარმოჩენა, ასევე თუ ისინი შეიცავენ დაკითხვის მოცემულ ეტაპზე არსებულ სპეციფიკური ნიშნებით აღჭურვილ ახალ თემებსა და არგუმენტებს.

6. დაკითხვის გეგმის შედგენა. დაკითხვის უფრო ეფექტურად ჩატარებას განაპირობებს მარტივი, ოთხ ნაწილიანი გეგმა.

<u>პირველი</u> - გამომძიებლები სუბიექტებს იძულებით ან შეგნებულად აყენებენ იმ ფაქტების წინაშე, რომლებიც დანაშაულს ეხება და ჩვეულებრივ ბრალს სდებენ მათ მასში მონაწილეობისათვის. საერთოდ სუბიექტები ამას უარყოფენ. შემდეგ გამომძიებელი იწყებს დასაკითხის შეჩერებას მაშინ, როდესაც იგი იწყებს უარყოფას. ამით ხელი უნდა შეუშალონ სუბიექტებს სიმართლის დამახინჯების ცდაში და ეს უნდა განმეორდეს ყოველთვის, როდესაც დასაკითხები დაიწყებენ ამბის

დამახინჯებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დასაკითხმა შეძლოს თავი აარიდოს დანაშაულში მონაწილეობის აღიარებას.

<u>მეორე</u> - დასაკითხის უარყოფის შესაწყვეტად მეტად ეფექტური მეთოდია, როდესაც გამომძიებელი შეგნებულად უმეორებს დასაკითხს, რომ იგი დაკავშირებულია დანაშაულთან და მხოლოდ მისი ქცევის მოტივს ეკითხება. დასაკითხის დანაშაულთან კავშირზე ყურადღების გამახვილება შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მეტი კონტროლი ვიქონიოთ დაკითხვის პროცესზე. ასეთ დროს შესაძლოა დასაკითხმა შეწყვიტოს უარყოფა და გადავიდეს თავისი ქცევის ,,გამართლებაზე". ქცევაში ასეთმა ცვლილებამ გამომძიებელს სტიმული უნდა მისცეს, რადგან ასეთი ქცევა იმის მაჩვენებელია, რომ დაკითხვის პროცესი სწორად მიდის და ის პროგრესულია.

<u>მესამე</u> საფეხურის დროს გამომძიებლები დასაკითხს წარუდგენენ თავიანთ თემებსა და არგუმენტებს. თუ დასაკითხი იწყებს უარყოფას, გამომძიებელმა უნდა აღკვეთოს ეს და გააგრძელოს არგუმენტების ჩამოყალიბება. ეს არგუმენტები და თემები, მათი დახვეწილობა და დამაჯერებლობა დამოკიდებულია გამომძიებლის გამოცდილებაზე, დაკვირვებულობაზე და პიროვნულ ცოდნაზე. ზოგიერთი თემა უნივერსალურია, ზოგი კი მხოლოდ ცალკეული დანაშაულისათვისაა განკუთვნილი. ნებისმიერ სწორად შერჩეულ თემას შეუძლია დასაკითხზე მოახდინოს ემოციური ზეგავლენა. თემები არწმუნებენ დასაკითხს თქვას სიმართლე, მიუხედავად შედეგებისა. თემებისა და არგუმენტების საფუძვლიანად მომზადების გარეშე დაკითხვები, როგორც წესი, წარუმატებლად მთავრდება.

და ბოლოს, <u>მეოთხე</u> - როგორც კი დასაკითხი გამომძიებლის მხარეზე გადავა, მაგრამ მაინც საჭიროებს ,,პროვოცირებას" იმისათვის, რომ სიმართლე თქვას, გამომძიებლებს შეუძლიათ დაუსვან მათ ალტერნატიული ან ღია კითხვები. ეს კითხვები შესაძლებლობას აძლევენ დასაკითხს აღიაროს ჩადენილი და თან არ დაკარგოს თავისი ღირსების გრძნობა. ალტერნატიულ კითხვაში იგულისხმება, როდესაც გამომძიებელი ეკითხება დასაკითხს მათ წინასწარ დაგეგმეს დანაშაული, თუ იმპულსურად ჩაიდინეს იგი, ანდა ნარკოტიკების შესაძენად ვინმე გაქურდეს თუ ოჯახის წევრები დაეხმარნენ. პოზიტიური პასუხი ასეთ კითხვაზე დასაკითხის მხრიდან უკვე აღიარებაა.

ასეთი გეგმის გამოყენება შესაძლებლობას აძლევს გამომძიებელს მართოს დაკითხვის პროცესი და აკონტროლოს სიტუაცია. მას ასევე დაკითხვის დროს აღიარებისა და დაკითხვის პროცესის წარმატებით დასრულებისაკენ მივყავართ.

7. დაკითხვის დროს კარგი ურთიერთობის დამყარება და საკმარისი დროის დათმობა. გამომძიებლებს შესაძლებლობა აქვთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიონ დაკითხვის დროს, თუ გააცნობიერებენ, რომ დასაკითხები მაინც რჩებიან ცენტრალურ ფიგურებად დაკითხვაში და ისინი თავისი მნიშვნელობით აჭარბებენ თავად დაკითხვის გეგმას, თემებს, არგუმენტებსა და სხვა კომპონენტებს. ინდივიდები ხშირად აღიარებენ დანაშაულს, მხოლოდ დამკითხავის პატივისცემისა და მათი ნდობის საფუძველზე და არა სხვა მიზეზების გამო. სწორედ ამიტომ დამკითხავი უნდა შეეცადოს დასაკითხთან კარგი ურთიერთობა დაამყაროს. ყველაფერი, რაც დასაკითხზე და მასთან ურთიერთობაზე მნიშვნელოვანი ჩანს, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დაკითხვის პროცესისათვის საზიანოა. უფრო მეტიც, გამომძიებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ზოგიერთი პიროვნული სპეციფიკური, კრიტიკული ელემენტი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამომძიებელი სიმპათიით განეწყოს დასაკითხის მიმართ. იგი უნდა შეეცადოს საკითხებს დასაკითხის თვალთახედვის მიხედვით მიუდგეს, იმსჯელოს მასთან და მოისმინოს მისი შეხედულებები სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით. შემდეგ უნდა დაადგინოს, თუ რა თავისებურებები განაპირობებს ამა თუ იმ შეხედულებების არსებობას. ეს შეიძლება იყოს სქესი, კულტურა, ეკონომიური მდგომარეობა და თავად პიროვნების მიზნები და მოთხოვნილებები. როდესაც გამომძიებელი გააცნობიერებს და გაიაზრებს ამ სხვაობას, დაკითხვა უფრო ეფექტური გახდება.

გამომძიებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ დაკითხვის წარმატებით დასრულებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ზოგიერთი ჩვენებისა თუ აღიარების მიღება მალე ხერხდება, მაგრამ უმეტესობის - არა. საერთოდ, დაკითხვის დროს სწორი ჩვენების მიღების შანსი 25% -ით იზრდება ყოველ ერთ საათში. გამომძიებლები თავდაპირველად ერთ საათს უთმობენ დასაკითხის შესწავლას, მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას, დანაშაულზე მსჯელობას (დანაშაულის განხილვას), ვერბალური და არავერბალური ნიშნების აღმოჩენას. ნახევარი ან ერთი საათის შემდეგ დაკითხვის შეჩერება, დაკითხვების 75% - ის ჩავარდნის, წარუმატებელად დამთავრების მიზეზი ხდება. სიმართლის თქმაზე, აღიარებაზე

დიდ გავლენას ახდენს დასაკითხების ცხოვრებისეული წესებისა და კავშირების ცოდნა. ეს პიროვნებები კრიტიკულ გადაწყვეტილებებს იღებენ თავიანთი მიზნების, მოთხოვნილებების, გრძნობების საფუძველზე და იმის მიხედვით, თუ რა არგუმენტები და ფაქტები წარუდგინეს მათ გამომძიებლებმა. ასეთი რთული პროცესის წარმატებით დასრულებისათვის საკმაოდ დიდი დროა საჭირო.

დაკითხვებზე ვარჯიში დიდად ზრდის დაკითხვის წარმატებით დამთავრების შესაძლებლობის ხარისხს. ფორმალური გამოკითხვისა და დაკითხვის ცოდნა უძვირფასეს მასალას იძლევა დაკითხვის ტექნიკის დაუფლებისა და დახელოვნებისათვის. არც ერთ გამომძიებელს არ შესწევს უნარი წარმატებას მიაღწიოს ყველა დაკითხვაში. მიუხედავად გამომძიებლის მონდომებისა დასაკითხთა 80% არ აღიარებს ჩადენილს. პროფესიონალი დამნაშავეები სწორედ ასეთ კატეგორიაში შედიან. მათი მონაწილეობით დაკითხვების უმრავლესობა გამომძიებლებისათვის საჭირო შედეგს ვერ იღებს. ეს დასაკითხები ხშირად რეციდივისტები არიან და კარგად იცნობენ სამართალწარმოების სისტემას. ისინი განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენენ საზოგადოებისათვის და დაკითხვის დროსაც ანტისოციალურ ქცევას მიმართავენ. ამიტომაც ასეთი სუბიექტების დაკითხვის დროს, რასაც შედეგი არ მოსდევს გამომძიებლების ძალისხმევის მიუხედავად, უნდა გვახსოვდეს, რომ გული არ გავიტეხოთ და საკუთარ კომპეტენტურობაში ეჭვი არ შევიტანოთ, რადგან პროფესიონალ დამნაშავეთა დაკითხვა ყველაზე ხშირად ასეთი შედეგით სრულდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაკითხვები წარუმატებლად მთავრდება უამრავი მიზეზის გამო. გამოვლენილი მიზეზების აღმოფხვრა და თავიდან აცილება შეამცირებს მათი ჩავარდნის რაოდენობას. დაკითხვებისათვის ადეკვატური მომზადება ამისათვის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებულ ცოდნასა და დაგროვილ გამოცდილებას. ყოველი დაკითხვის შემდეგ გამომძიებელმა უნდა დახვეწოს თავისი ხელოვნება, რაც დაშვებული შეცდომების გაცნობიერებისა და აღმოფხვრის საშუალებით უნდა მოხდეს. შეადგინეთ კარგად გააზრებული გეგმა და დაუთმეთ დაკითხვას საკმარისი დრო, რათა მიიღოთ პოზიტიური შედეგი.

ყველა ზემო ჩამოთვლილ ელემენტს გამომძიებელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან ეს ყველაფერი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს დაკითხვის

წარმატებით დასრულებაში. ამ ფაქტორების სწორად გამოყენება დამნაშავეებისაგან მიღებული აღიარების რიცხვს ზრდის. იმის გამო, რომ დაკითხვის წარუმატებლად დასრულება გავლენას ახდენს სამართალდამცავ სისტემაზე, გამომძიებლები ყველანაირად უნდა ეცადონ, არ დაუშვან დაკითხვის ჩავარდნა. ადეკვატური ცოდნით, გაძლიერებული ყურადღებით, სიფრთხილითა და კარგად მოფიქრებული გეგმით აღჭურვილი გამომძიებელი შეიძლება იყოს წარმატებული დამკითხავი, რომელიც ეფექტურად გამოიძიებს საქმეებს და შეამცირებს გაუხსნელ დანაშაულთა რიცხვს, რომელიც მხოლოდ სამართალდამცავ სისტემას კი არ აზიანებს, არამედ, იმ საზოგადოებასაც, რომელიც კანონებს იცავს.

8. ჩვენების ანალიზი. ამ ნაწილში განხილვა დავიწყოთ კერძო მაგალითით, რომელიც საგამოძიებო პრაქტიკაში საშინელი და იშვიათი დანაშაულის პრეცედენტს წარმოადგენს.

,,ერთი ქალბატონი ტბის პირას იდგა და ტიროდა. ტბაში მანქანა იყო ჩაძირული, რომელშიც სავარძელზე უსაფრთხოების ქამრით მიმაგრებული მისი მცირეწლოვანი შვილები იმყოფებოდნენ. ქალბატონმა პოლიციაში განაცხადა თითქოსდა ბავშვები გაიტაცეს, რის გამოც, გამოცხადდა არასრულწლოვნებისა და მათი გამტაცებლების ძებნა”.

გამოძიების პროცესში ცრემლმორეული დედა იმეორებდა ,,მე ვუნდოდი ჩემს არასრულწლოვნებს, მათ მე ვჭირდებოდი, ახლა კი მე არ შემიძლია მათი დახმარება.‘‘ ბავშვების მამა კი, რომელსაც სჯეროდა მეუღლის მონაყოლის, ცდილობდა გაემხნევებინა და დაერწმუნებინა ცოლი შემდეგი სიტყვებით: ,,ისინი კარგად არიან, ისინი მალე სახლში იქნებიან.‘‘

ცოტა ხანში პოლიციამ ეს ქალბატონი დააპატიმრა, თავისი შვილების მკვლელობის ბრალდებით. ის გაასამართლეს და დამნაშავედ სცნეს.

ბევრი გამომძიებელი იყენებს ტექნიკას, რომელსაც ეწოდება ჩვენების ანალიზი იმისათვის, რომ დაადგინონ რა არის მართალი და რა არა, ისე, როგორც ეს მოხდა ქალბატონისა და მისი მეუღლის მონათხრობის ანალიზის დროს.

ჩვენების ანალიზისას გამომძიებლები ამოწმებენ სიტყვებს საქმის ფაქტებისაგან დამოუკიდებლად, რათა აღმოაჩინონ სიცრუე. ისინი ამავე დროს დიდ ყურადღებას

აქცევენ იმ ინფორმაციას, რომელიც არ თქმულა (რომელიც გამოტოვა დასაკითხმა) და უსვამენ თავს შეკითხვას, თუ რატომ გააკეთა ეს ეჭვმიტანილმა.

ზემოთ განხილულ საქმეში, იმ ჩვენებების ანალიზიდან, რომლებიც დაზარალებულის მშობლებმა მისცეს, შესაძლებელი ხდება დავასკვნათ: მამას სჯეროდა, რომ ბავშვები ცოცხლები იყვნენ, ხოლო დედამ იცოდა, რომ ისინი აღარ არსებობდნენ. დედუქციის ეს გასაღები გრამატიკაშია, კერძოდ კი - ზმნის დროში. მამა არასრულწლოვნებს აწმყო დროში მოიხსენიებს, დედა კი წარსულ დროს იყენებდა ,,მე ვუნდოდი ჩემს არასრულწლოვნებს, მათ მე ვჭირდებოდი, ახლა კი მე არ შემიძლია მათი დახმარება", მაგრამ არასრულწლოვნებს ის აღარ სჭირდებოდათ, რადგან ისინი იმ დროისათვის უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ.

ჩვენების ანუ მონათხრობის ანალიზი ძირითადად შეიცავს ოთხ კომპონენტს - მეტყველების ნაწილებს (ნაცვალსახელები, არსებითი სახელები, ზმნები), შინაგან ინფორმაციას, სარწმუნოების ნაკლებობასა და ჩვენების ბალანსს.

ჩვენების ანალიზზე ძალიან ბევრი რამ არის დაწერილი. სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენ აქ არ ვეხებით ანალიზის ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა გამოტოვებული მეტყველების ნაწილები და გამოტოვებული ინფორმაციის აღმოჩენის უამრავი ხერხი. ჩვენ მხოლოდ ძირითად კომპონენტებს განვიხილავთ.

ამასთანავე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადი ტექნიკის ცოდნაც კი საკმარისია იმისათვის, რომ უკეთ წარვუძღვეთ დაკითხვას, მივხვდეთ, დასაკითხი მართალს ამბობს თუ არა. გარდა ამისა, უფრო მეტი შანსი გვექნება გამოვააშკარაოთ დამნაშავე და მივაღწიოთ იმას, რომ მისგან სწორი ჩვენება მივიღოთ.

ჩვენების ანალიზს გააჩნია ორსაფეხურიანი პროცესი: პირველი – გამომძიებლები ადგენენ რა არის ტიპობრივი მართალი ჩვენებისათვის, რომელიც ნორმას წარმოადგენს, ხოლო შემდეგ ისინი ეძებენ ნებისმიერ გადახრას ამ ნორმიდან. მართალი ჩვენება მოგონილისაგან განსხვავდება ხარისხითაც და მოცულობითაც.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საუბრის დროსაც არის შესაძლებელი წარმოთქმული სიტყვების ანალიზი, მაგრამ გამომძიებლებს, რომლებიც გამოცდილნი არ არიან ჩვენების ანალიზში, დასაწყისისათვის გაუადვილდებათ, თუ ანლიზსს დაფიქსირებული ჩვენებიდან გააკეთებენ. ამისათვის გამომძიებელმა უნდა ჩაიწეროს დასაკითხის მონათხრობი, ან უფრო უკეთესია თუ დასაკითხს ვთხოვთ თავისი

ხელით დაწეროს ყველაფერი დაწვრილებით. ეს გაცილებით ზრდის ანალიზის კანონიერებასა და სარწმუნოებას.

ჩვენების ანალიზი არის საშუალება, რომელიც გვეხმარება მივიღოთ დასაკითხისაგან სწორი ჩვენება ანუ აღიარება. ეს რა თქმა უნდა არ არის ერთადერთი გზა, მაგრამ მიზანშეწონილია, დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა ანალიზი გაუკეთოს დასაკითხის მონათხრობს.

9. გამოსადეგი მეტყველების ნაწილები მეტყველების ნაწილები, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენების ანალიზის საფუძველთა საფუძველია. მონათხრობის ანალიზისათვის, გამომძიებლებს პირველ რიგში ესაჭიროებათ ინდივიდუალური მეტყველების ნაწილების შემოწმება. კერძოდ კი ნაცვალსახელების, არსებითი სახელების, ზმნების და უნდა დაადგინონ ნორმა ყოველი მათგანისათვის. თუკი გამოჩნდება ნორმისაგან განსხვავებული მეტყველების ნაწილი, მაშინ გამომძიებელმა აუცილებლად უნდა იკითხოს ,,რატომ?''.

ა. ნაცვალსახელები. ნაცვალსახელი მეტყველების ის ნაწილია, რომელიც არსებითი სახელის ადგილს იკავებს. ყველასათვის ცნობილია, რომ პირველი პირის ნაცვალსახელებია: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი. ჩვენების ანალიზის დროს ყურადღება უნდა გავამახვილოთ პირველი პირის ნაცვალსახელებზე ,,მე'' და ,,ჩვენ'', ასევე ყველა კუთვნილებით ნაცვალსახელზე, როგორიცაა ,,ჩემი'', ,,ჩვენი'', ,,შენი'' და ა. შ.

გამომძიებლისათვის შეუმჩნეველი არ არის, რომ მართალი ადამიანი ჩვენებას იძლევა ნაცვალსახელი ,,მე''-ს გამოყენებით, რომელიც არის პირველი პირის, მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი. როცა პიროვნება პერსონალური დაკავშირებულობით იძლევა ჩვენებას, ანუ ხშირად იყენებს ნაცვალსახელ ,,მე''- ს, ნებისმიერი გადახვევა ამ ნორმიდან იმსახურებს ეჭვის თვალით შევხედოთ ნათქვამს, რადგანაც ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ დასაკითხი მთლიანად არ არის დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომელსაც ის აყალიბებს ჩვენებაში (მონათხრობში) და ამრიგად ის არ ამბობს სრულ სიმართლეს, რასაც მოყვანილი მაგალითი ნათლად დაგვანახებს: ,,მე ავდექი 7 საათზე, მე ,,პახმელიაზე'' ვიყავი და გადავწყვიტე ლუდის დასალევად წავსულიყავი. მე წავედი ლუდის ბარში. შევხვდი კაცს, რომელიც იქვე ცხოვრობს, ველაპარაკე მას რამოდენიმე წუთი. მე დავლიე ლუდი და წავედი საქმეზე.''

პირველ ოთხ წინადადებაში ნაცვალსახელ ,,მე''- ს ხმარება პირველი პირის მხოლობითისათვის დადგენილ ნორმას შეესაბამება, ხოლო შემდეგ ორ წინადადებაში განსხვავებაა, რადგანაც ეს ნაცვალსახელი გაქრა ის აღარ ამბობს ,,მე შევხვდი კაცს'' და ,,მე ველაპარაკე მას''. რამ აიძულა დასაკითხი შეეწყვიტა ნაცვალსახელი ,,მე''- ს ხმარება?

ნაცვალსახელების ხმარების დროს ყველა ცვლილება ყურადსაღებია, გამომძიებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენება რჩება პერსონალური დაკავშირებულობის გარეშე. შესაძლებელია რაიმე დაძაბულობა ყოფილიყო დასაკითხსა და დასახელებულ პირს შორის? ამიტომ დაკითხვის დროს გამომძიებელმა უნდა გამოარკვიოს ის სპეციფიკურობები, რაც ამ ორი ადამიანის ურთიერთობას ეხება, იმისათვის, რომ გადაწყვიტოს ჩვენება სინამდვილეს შეესაბამება, თუ დასაკითხი მალავს რაიმეს.

ბ. ,,მე'' ,,ჩვენ'' - ის წინააღმდეგ. იმის გამო, რომ პირველი პირის, მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ხმარება ნორმაა, გამომძიებლებმა უნდა მოძებნონ ნაცვალსახელი ,,მე''-ს არარსებობა და პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი ,,ჩვენ''-ის გადაჭარბებული ხმარება. მაგალითი, რომელსაც ახლა მოვიყვანთ, ერთ-ერთი ადამიანის ჩვენებიდან არის და ნორმას შეესაბამება:

,,მე შევხვდი ოთხ მეგობარს კინოთეატრში, ვუყურე ფილმს, შემდეგ შევჩერდი მათთან ერთად სავახშმოდ. ჩვენ ცოტა დავლიეთ ბარში, სანამ სახლში წამოვიდოდი. მე დავრჩი ღამის 12 საათამდე და შემდეგ წავედი სახლში''.

ახლა გთავაზობთ იმავე ისტორიას, ოღონდ ისე ჩამოყალიბებულს, რომელიც ნორმისაგან განსხვავებულია:

,,ჩვენ ყველა ერთმანეთს კინოთეატრში შევხვდით. ვუყურეთ ფილმს, შემდეგ შევჩერდით სავახშმოდ. ცოტა დავლიეთ, სანამ სახლში წავიდოდით. ჩვენ დავრჩით ღამის 12 საათამდე და შემდეგ ჩვენ ყველა წავედით სახლებში''.

იმის გამო, რომ მეორე ჩვენება შეიცავს მხოლოდ მრავლობითი პირის ნაცვალსახელებს, მოსალოდნელი ნორმის მაგივრად, რომელშიც უმეტესად ,,მე'' იხმარება, გამომძიებელი უნდა დაინტერესდეს, თუ რატომ არ არის მასში პერსონალური (ინდივიდუალური) დაკავშირებულობა. შესაძლოა დასაკითხი

იმედოვნებს, რომ დაფარავს რაიმეს, ან საქმის გაუარესების შემთხვევაში თავიდან აიცილებს პერსონალურ პასუხისმგელობას, ამიტომაც ყველაზე მიუთითებს ,,ჩვენ''.

გ. ნაცვალსახელი ,,ჩვენ''. მეტყველებაში და წერის დროს, მოსაუბრეები ირჩევენ კომუნიკაციისათვის ყველაზე უმოკლესსა და მარტივ გზას. ნაცვალსახელი ,,ჩვენ'' არის ყველაზე უმოკლესი და გასაგები სიტყვა, რომელიც გამოხატავს ერთი ადამიანის კავშირს მეორესთან იმ დროს, როდესაც მათ შორის ამისათვის შესაფერისი ურთიერთობა არსებობს. ,,ჩვენ'' ასევე გამოხატავს ერთობლიობას, სიახლოვესა და ადამიანთა შორის რაღაც კავშირს.

ნაცვალსახელი ,,ჩვენ''- ის გამოტოვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც პირები მეუღლეები არიან. შემდგომ მაგალითებში განხილულია ქმრის ჩვენება, რომელიც აღწერს მოვლენას. ამათგან პირველი ნორმას შეესაბამება, ხოლო მეორე მისგან გადახრაა:

,,მე და ჩემი მეუღლე დაპატიჟებული ვიყავით ჩვენი მეზობლის დაბადების დღეზე. ჩვენ იქ ცოტა გვიან მივედით. ჯერ კიდევ შუა ქეიფი იყო, როცა ჩვენ სახლში წამოვედით.''

,,მე და ჩემი მეუღლე დაპატიჟებული ვიყავით მეზობლის დაბადების დღეზე. მე და ჩემი ცოლი იქ ცოტა გვიან მივედით. ჯერ კიდევ შუა ქეიფი იყო, როცა მე და ჩემი მეუღლე სახლში წამოვედით.''

მეორე ვარიანტში ცოლ-ქმარს შორის დისტანცია იგრძნობა. ქმარმა ერთხელ უკვე დაასახელა თავისი მეუღლე წინადადებაში, ამიტომ შემდგომში კომუნიკაციისათვის ყველაზე უფრო ადვილი და გასაგები სიტყვაა ,,ჩვენ''. თუმცა ქმარი ერიდება ამ სიტყვას, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ მათ ურთიერთობაში სიახლოვე ნაკლებ შესამჩნევია.

თუ მოგვიანებით, იმ ღამეს ცოლი მოკლულია, ქმარი კი მთელი დღის მოვლენებს იხსენებს და გადმოსცემს მათ, რომლის დროსაც ერიდება ნაცვალსახელი ,,ჩვენ''-ს ხმარებას, გამომძიებელმა გულისყურით უნდა გამოჰკითხოს ქმარს მათი ურთიერთობის შესახებ. თუ ქმარი აღნიშნავს, რომ მათ ჰქონდათ გარკვეული ოჯახური პრობლემები და მტკიცედ უარყოფს ნებისმიერ კავშირს მეუღლის სიკვდილთან, გამომძიებელს შეუძლია გამორიცხოს ის ეჭვმიტანილთა სიიდან, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო ჩვენება. ხოლო თუ ქმარი აცხადებს,

რომ მათ ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, გამომძიებელი ფხიზლად, ყურადღებით უნდა იყოს, რადგან ,,ჩვენების ანალიზი'' სხვა რამეს გვიჩვენებს.

ყურადღება გასამახვილებელია ასევე ნაცვალსახელების ცვლაზე ჩვენების აღებისას. მაგალითად: ნაცვალსახელი ,,ჩვენ''-იდან, იგი პერსონალურ დაკავშირებულობას გამოხატავს, ანუ ის პიროვნება, რომელიც ამ ნაცვალსახელს ხმარობს, სხვებთან ერთად რაიმე მოვლენასთან კავშირს უსვამს ხაზს, ხოლო ,,მათ'', ,,მან'' და ა.შ. ნაცვალსახელების გამოყენება პერსონალურ კავშირზე აღარ მიუთითებს.

ნაცვალსახელების ასეთი ცვლა ხშირია ცრუ გაუპატიურების დროს ,,დაზარალებულებისაგან'' მიღებულ ჩვენებებში. ყურადღება აქ გასამახვილებელია ნაცვალსახელ ,,ჩვენ''-ზე. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენებიდან ასეთი ფრაზა:

,,მან მე მაიძულა შევსულიყავი ტყეში'' და ,,ჩვენ შევედით ტყეში''.

პირველი მაგალითი წარმოადგენს ნორმას, ხოლო მეორე, რომელიც ნაცვალსახელ ,,ჩვენ''-ს შეიცავს, ნორმისაგან განსხვავებულია.

გამოცდილი გამომძიებლები გაუპატიურების საქმეების გამოძიებისას, ყურადღებით აკვირდებიან დაზარალებულის ჩვენებაში ნაცვალსახელი ,,ჩვენ"-ის მოულოდნელ გამოჩენას. ასეთ საქმეებში დაზარალებულთა დაკითხვები გვიჩვენებს, რომ დაზარალებულები იყენებენ ნაცვალსახელ ,,მან''-ს და ,,მეს'' და არა ,,ჩვენ''-ს იმისათვის, რომ აღწერონ მოძალადე და თავისი თავი.

იმის გამო, რომ ნაცვალსახელი ,,ჩვენ'' სიახლოვეს აღნიშნავს, გამომძიებელმა, რომელიც დაზარალებულის ჩვენებაში ზემოხსენებულ ნაცვალსახელს აღმოაჩენს, აუცილებლად უნდა გამოარკვიოს, იცნობდნენ თუ არა ადრე ერთმანეთს დაზარალებული და ეჭვმიტანილი, და ჰქონდათ თუ არა რაიმე სერიოზული ურთიერთობა გაუპატიურებამდე. თუ დაზარალებული ამას კატეგორიულად უარყოფს, ჩნდება საბაბი იმისათვის, რომ ვიფიქროთ - ჩვენება მოგონილია.

გატაცების საქმეების ჩვენებებში ნაცვალსახელი ,,ჩვენ''-ის ხმარება გვაფიქრებინებს, რომ დაზარალებული სრულ სიმართლეს არ ამბობს. ავიღოთ მაგალითი: ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც განაცხადა, რომ გაიტაცეს შემდეგი სახის ჩვენება მისცა: ,,მე გავაჩერე მანქანა და ის იყო გადმოსვლა დავაპირე, რომ მომიახლოვდა მამაკაცი, დაახლოებით 180 სმ სიმაღლის, რომელმაც მითხრა ჩავმჯდარიყავი ისევ

მანქანაში, თორემ რაიმეს დამიშავებდა. შემდეგ ის უკან ჩაჯდა. მე დავძარი მანქანა. მან მითხრა მე წავსულიყავი გზატკეცილის დასავლეთით. მან მკითხა ფული მქონდა თუ არა. მე ვუპასუხე - არა. ჩვენ დაახლოებით ერთი საათი ვიარეთ. ამ ხნის მანძილზე იგი ხმას არ იღებდა. როდესაც ჩვენ ქალაქის გასასვლელთან მივედით, მე მას ვუთხარი, რომ ბენზინი არ მქონდა. ის გადაირია და მითხრა გავსულიყავი გასასვლელში. ჩვენ გზა გავაგრძელეთ. მან მითხრა, რომ მარცხენა მხარეს პირველივე ჩასახვევში ჩამეხვია. ჩვენ დაახლოებით სამასი მეტრი გავიარეთ. მან მითხრა გავჩერებულიყავი. გააღო კარები, კისერში ჩამარტყა და გადავიდა.''

გამომძიებლები, რომლებიც დახელოვნებულები არიან ჩვენების ანალიზში, კითხვის ქვეშ აყენებენ ასეთი მონაყოლის ჭეშმარიტებას. ნამდვილი გატაცებების დროს, დაზარალებული აცხადებს: ,,მან მაიძულა დამეძრა მანქანა'', ან ,,მან მაიძულა ქალაქის გასასვლელში გავსულიყავი'', და ა.შ. ტრავმირებული დაზარალებულები, რომლებიც სიმართლეს ამბობენ, არ იყენებენ ნაცვალსახელს ,,ჩვენ'', რათა გამიჯნონ მოძალადე და თავიანთი თავი.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ჩვენება ცრუ იყო. დაკითხვის დროს დასაკითხმა აღიარა, რომ არანაირ გატაცებას ადგილი არ ჰქონია. სინამდვილეში ის იმ ადამიანთან იმყოფებოდა, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა.

დ. კუთვნილებით ნაცვალსახელები. კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ისეთები, როგორიცაა: ჩემი, შენი, ჩვენი, მისი, მათი, თქვენი გამოხატავენ, რომ მოსაუბრეს კუთვნილებითი დამოკიდებულება აქვს საგანთან ან პიროვნებასთან. ეჭვმიტანილი შეცვლის ან საერთოდ გამოტოვებს ნაცვალსახელს, როდესაც სურს, რომ არ აჩვენოს კუთვნილება (მფლობელობა) ან დაუშვას ასოციაციური დამოკიდებულება განსაზღვრულ საგანთან ან პიროვნებასთან. მაგალითად: ,,მე ვწმენდდი ჩემს იარაღს, მე ჩემი იარაღის შენახვას ვაპირებდი. იარაღი გავარდა.'' ამ პიროვნებას უნდოდა რა, რომ ,,უარეყო'' იმ იარაღის მფლობელობა, რომელიც გავარდა (არ აქვს მნიშვნელობა უბედური შემთხვევა იყო ეს, თუ განზრახ ჩადენილი ქმედება), შეწყვიტა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ხმარება, აღარ ახსენა ,,ჩემი იარაღი გავარდა''. ის უკვე გახდა უბრალოდ იარაღი.

მეორე მაგალითად მოვიყვანთ იმ პიროვნების ჩვენებას, რომლის სახლიც დაიწვა: ,,ჩემი სახლიდან მე ზუსტად საუზმის შემდეგ გამოვედი, რათა შევხვედროდი ჩემს მეგობარს... უკან დავბრუნდი ჩემს სახლში, ... გავაკეთე რამდენიმე სატელეფონო

ზარი და წავედი ნათესავთან სტუმრად... ღამე იქ უნდა გამეთია. დაახლოებით შუაღამე იყო, როდესაც სახანძრო მანქანების ხმა შემომესმა. ჩვენ ავდექით, რომ გაგვეგო, თუ რა ხდებოდა''.

ამ შემთხვევაში, როდესაც მოსაუბრე გამუდმებით ხმარობდა ნაცვალსახელს ,,ჩემი'', იმისათვის, რომ თავისი სახლი დაესახელებინა, თავს ანებებს კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენებას, მისი ბოლო დასახელების დროს. ისმის კითხვა: ეს იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ სახლი მისი აღარ იყო მას შემდეგ, რაც ის დაიწვა?. თუ ასეა, მაშინ ეს ცვლილება ცოტა მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, შუაღამისას, როდესაც მან გაიგო, რომ მისი სახლი იწვოდა.

ჩვენებაზე დაყრდნობით, გამომძიებელს კითხვა უნდა დაებადოს, თუ რატომ ხდება ცვლილება იმ დროს, ანუ აღარ ახსენებს ,,ჩემს'', მას შემდეგ, რაც პიროვნება ბოლოჯერ იმყოფებოდა სახლში. იმიტომ ხომ არ მოხდა ასე, რომ პიროვნებამ ბენზინი მოასხა იატაკზე? იქნებ იმიტომ დათმო მფლობელობა, რომ თვითონ დაწვა სახლი? ამის შემდეგ გამომძიებლები ცდილობენ დაადგინონ, სახლის დაწვამდე სახლიდან ძვირფასეულობა და რაიმე ღირებული ხომ არ იყო გატანილი, რათა დაადგინონ განზრახ დაწვეს თუ თავად დაიწვა სახლი. პროფესიონალი გამომძიებლები, უპირველეს ყოვლისა არკვევენ და ეძებენ იმ ზუსტ მანიშნებელს, რომლის დროსაც მფლობელი წყვეტს მფლობელობას, კუთვნილებითი ნაცვალსახელის ,,ჩემი''- ს გამოტოვების გზით.

ე. არსებითი სახელები. არსებითი სახელები, როგორც ვიცით აღნიშნავენ პიროვნებებს, ადგილებსა და საგნებს. თუმცა არსებითი სახელები სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობას იძენენ, რაც ინდივიდზეა დამოკიდებული, თუ როგორ საუბრობს იგი. დაკითხვის დროს მიღებული ინფორმაციის შემოწმებისას, გამომძიებელმა უნდა ჩაინიშნოს ყველა ცვლილება, რომელიც პიროვნებაში მოხდა, იმიტომ, რომ ,,საუბარში სიტყვების ცვლა, რეალობაში ცვლილებების მაჩვენებელია''. თუ ეჭვმიტანილი ცვლის იმ სიტყვას, რომელსაც ის გარკვეული დროის მანძილზე გამუდმებით ხმარობდა, იმის მანიშნებელია, რომ რაღაც მის ცხოვრებაში შეიცვალა. ასეთი ცვლილებები სხვა მეტყველების ნაწილებსაც ეხება, მაგრამ ეს უფრო ხშირად გვხვდება არსებით სახელებთან მიმართებაში.

ერთ-ერთი საქმის დროს, მკვლელობაში ეჭვმიტანილის ჩვენებაში აღინიშნებოდა არსებითი სახელის ჩანაცვლება საკუთარი სახელით. ახალგაზრდა კაცმა ცოლს

სახეში თოფი ესროლა. ქალი ადგილზევე გარდაიცვალა, მისი ქმარი კი ამტკიცებდა, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო. გამომძიებელმა სთხოვა მამაკაცს დაეწერა ჩვენება და მოეთხრო იმ მოვლენების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასროლის დღეს. ქმარმა მისცა დეტალური ჩვენება, სადაც შვიდჯერ გამოიყენა არსებითი სახელი ,,ცოლი'', იმისათვის, რომ თავისი მეუღლე დაესახელებინა. შემდეგ მან დაწერა: ,,მე დავკარგე კონტროლი თოფზე, მე მივხვდი, რომ ლულა მიმართული იყო ლელასკენ (ანუ აქ უკვე ცოლის სახელი ახსენა) და მე უცბად ვცადე ხელი მეტაცა თოფისათვის. როდესაც ეს გავაკეთე, თოფი გავარდა. ეს მოხდა წამებში, რომ გავიხედე ლელას (აქ მან ცოლის სახელი ისევ ახსენა) სისხლიანი სახე დავინახე.''

რამ გამოიწვია, რომ ქმარმა დაიწყო ცოლის სახელის ხმარება? ჩვენების განსაკუთრებულ ნაწილში მოხდა თუ არა ეს ცვლილება?

გამომძიებლებს ამასთან დაკავშირებით დადგენილი აქვთ ნორმა, რომ ქმრები, თავიანთი მეუღლეების დასახელების დროს იყენებენ არსებით სახელს ,,ცოლი''. როდესაც მეუღლე ბაზარში წავიდა, ის ,,ჩემი ცოლი'' იყო, როდესაც მან ცოტა ხნის შემდეგ დაურეკა ქმარს, ,,ჩემი ცოლი'' იყო, მაგრამ როდესაც თოფის ლულა ცოლისაკენ იყო მიმართული და მის სახეზე სისხლი დაინახა, ჩვენების კრიტიკულ ნაწილში, ის აღარ არის ,,ჩემი ცოლი'', ის გახდა ლელა.

გამომძიებლებმა დაადგინეს: დამნაშავეებს უჭირთ დაუშვან, რომ თავისი ოჯახის წევრი დააზიანეს. ამ შემთხვევაშიც ქმარს უჭირს თქვას, რომ მან თავისი მეუღლე მოკლა, ამიტომაც მან შეცვალა ოჯახური კავშირის აღმნიშვნელი არსებითი სახელი ,,ცოლი'' მისი სახელით ,,ლელა''.

ასევე ქმარმა გამომძიებელს თავიდან არ წარუდგინა თავის ცოლი, როგორც ,,ლელა''. არსებითი სახელის ,,ცოლი''- ს შვიდჯერ გამეორების შემდეგ, სახელი ,,ლელა'' მოულოდნელად ჩნდება. მსმენელმა დანამდვილებით არ იცის, თუ ვინ არის ,,ლელა''. შესაძლებელია მხოლოდ მივხვდეთ, რომ ლელა არის ცოლი, მაგრამ ქმარმა არ წარადგინა ის საჭირო გზით, ,,ჩემი ცოლი, ლელა''.

ჯანსაღი ურთიერთობის დროს ნორმად ითვლება, რომ წარდგენა მოხდეს სათანადოდ და გასაგებად, ხოლო როდესაც ურთიერთობა არც თუ ისე ჯანსაღია, წარდგენა ზერელედ ხდება ან საერთოდ არ ხდება. ასეთი წარდგენის არსებობა

ცოლქმრული ურთიერთობის ,,სიღარიბეზე'' მეტყველებს. ამის ცოდნა დიდად დაეხმარებათ გამომძიებლებს სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენაში.

3. ზმნები. ზმნები აღნიშნავენ მოქმედებას როგორც წარსულში, ასევე აწმყოსა და მომავალშიც. ჩვენების ანალიზში ზმნის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ანალიზს უკეთებთ ნათქვამს, გამომძიებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ზმნის დროზე. მართალ ჩვენებაში წარსული დროის გამოყენება ნორმაა, რადგან მომხდარი მოვლენები, რომელსაც ჩვენებაში იძლევიან, წარსულში მოხდა.

ნორმის ამსახველია შემდეგი ჩვენება:

,,ეს მოხდა შაბათ ღამეს. მე გავედი ბაღში ხეხილის მოსარწყავად. უკვე ბნელოდა. კაცი გამოვარდა ბუჩქებიდან. ის შემოვარდა ბაღში, მტაცა ხელი და წამაქცია...''

ეს კი ნორმისაგან განსხვავებულია:

,,ეს მოხდა შაბათ ღამეს. მე გავედი ბაღში ხეხილის მოსარწყავად. უკვე ბნელოდა. კაცი გამორბის ბუჩქებიდან. ის შემოდის ბაღში, მტაცებს ხელს და მაქცევს...''

წარსულის გახსენება და მისი გადმოცემა წარსულ დროში უნდა მოხდეს, აწმყო დროზე გადასვლა, საყურადღებოა. ეს შეცვლა შესაძლოა ტყუილის მაჩვენებელი იყოს.

აწმყო და წარსული დროის ასეთი ცვლილებები ასევე მნიშვნელოვანია დაკარგული ადამიანების მოხსენიების დროს. ამ შემთხვევაში ნორმად ითვლება მათი აწმყო დროით მოხსენიება, ,,მჯერა, რომ ხვიჩა კარგად არის''.

როდესაც ბავშვები იკარგებიან, მშობლების გულსა და გონებაში ისინი კვლავაც ცოცხლები რჩებიან, ხშირად მაშინაც კი, როდესაც საკმაოდ დიდი დროა გასული. ზემოაღნიშნულ მაგალითში ნახსენები ქალბატონის საქმეში კი, ადგილი ჰქონდა წარსული დროის გამოყენებას, რაც ამ შემთხვევაში ნორმიდან განსხვავებულია.

10. შინაგანი ინფორმაციის გათვალისწინება. შინაგანი ინფორმაცია მონათხრობში შეიძლება შეიცავდეს ტყუილის მანიშნებლებს. მართალი პიროვნება, რომელსაც არაფერი აქვს დასამალი, კითხვაზე ,,რა მოხდა?'' - მოვლენებს მოყვება ქრონოლოგიურად. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ პასუხობს ამ კითხვას, არის შინაგანი.

ადამიანები, რომლებიც დანაშაულთან არიან დაკავშირებულები, შასაძლოა გრძნობდნენ თავიანთი ქცევის გამართლების საჭიროებას. ასეთ შემთხვევაში მონაყოლი არ არის თანმიმდევრული და ლოგიკური. ის, რაც სინამდვილეში მოხდა, შელამაზებული იქნება. ის ასევე შესაძლოა შეიცავდეს უფრო მეტ ინფორმაციას, ვიდრე ისტორიის მოყოლას სჭირდება. ასეთ შემთხვევაში, გამომძიებელმა უნდა შეაჯამოს ინფორმაცია და დასვას კითხვა: რატომ დასჭირდა დასაკითხს ამ ინფორმაციის ჩართვა მონაყოლში. მაგალითად: მკვლელობის საქმის გამოძიებისას, რომელშიც ქმარმა ესროლა ცოლს, ქმარმა პოლიციას განუცხადა, ,,მე იარაღს ვწმენდდი და ამ დროს ის მოულოდნელად გავარდა''. ამის შემდეგ გამომძიებელმა სთხოვა კაცს ყველაფერი დაეწერა, რაც გასროლის დრომდე მოხდა. მან დეტალურად დაწერა და საკმოდ სქელტანიანი მონათხრობი გამოუვიდა, წინა ღამის ნადირობის შესახებ, ასევე თოფის დაჟანგვის შესახებაც აღნიშნა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა თავისი მოქმედებების კონკრეტულად აღწერა იმ დროს, როცა თოფს წმენდდა. შინაგანი ინფორმაციის რაოდენობაში სხვაობამ, გამომძიებლს აფიქრებინა, ქმარი ეჭვმიტანილად მიეჩნია.

11. დამაჯერებლობის (დარწმუნების) აუცილებლობის გათვალისწინება.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ჩვენების მიღებისას, არის პიროვნების დამაჯერებლობის ნაკლებობა. როდესაც ანალიზს ვუკეთებთ მონათხრობს, გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, ხომ არ სიმულირებს დასაკითხი და ხომ არ ჩივის მეხსიერების სისუსტეზე შემდეგი გამონათქვამების საშუალებით: ,,მე არ მახსოვს'' ან ,,მე ვერ ვიხსენებ''.

მათ ასევე უნდა შენიშნონ, ხომ არ იყენებს დასაკითხი თხრობის დროს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: ,,მე მჯერა'', ,,მე როგორც მახსოვს'', ,,რაღაც ამის მსგავსი''. ასეთ დროს პირი, რომელიც საუბრობს, ცდილობს თავიდან აირიდოს გარკვეული ვალდებულება და ეს ფრაზები გამომძიებლისათვის გამაფრთხილებელი ზარის ფუნქციას უნდა ასრულებდეს.

შემდეგი მაგალითია ერთ - ერთი ქალბატონის მონაყოლი იმის შესახებ, თუ როგორ შეუვარდა შუაღამისას საკუთარ სახლში უცხო მამაკაცი და გააუპატიურა იგი. ასეთი ტრავმული შემთხვევის შესახებ მონათხრობი სავსე უნდა იყოს დამაჯერებლობით, რომელიც მას ამ შემთხვევაში, საერთოდ არ გააჩნია:

,,მან ხელი მტაცა და ყელზე დანა მომადო. და მე, როცა გამომეღვიძა და მე ვგულისხმობ, რომ ღრმად მეძინა და არ ვიცოდი რომ კარები ღია დამრჩენოდა, და მე, იცით, შემეშინდასავით, როცა გამოვიღვიძე და იცით,მე შემეშინდა და, ისა, მან გამარტყა და მითხრა, ის მეუბნებოდა გავჩუმებულიყავი და მან მე მკითხა თუ ვგრძნობდი კისერზე დანას''.

საჭიროა გააანალიზდეს ფრაზა ,,მე შემეშინდასავით, როცა გამოვიღვიძე'' სიმართლე, რომ ითქვას, ეს არ არის ნორმალური რეაქცია იმ ქალისა, რომელიც იღვიძებს შუაღამისას და თავის საწოლთან უცხო კაცს ხედავს, მით უმეტეს, დანას გრძნობს თავის ყელზე. ამ შემთხვევაში სიტყვა ,,თავზარი დამეცა'' გონებასთან უფრო ახლოს მოდის ვიდრე ,,შემეშინდასავით'', რადგან ამ სიტყვის ხმარება ასეთი ტერორისას რადიკალურად განსხვავებულია იმ ნორმალური რეაქციიდან, რომელიც მას უნდა მოჰყოლოდა.

დამაჯერებლობის ნაკლებობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ასევე იმ ქალბატონის მონაყოლიც, რომლის დედამთილიც უცნაურ ვითარებაში გაუჩინარდა. გამომძიებელმა სთხოვა მას მოეთხრო, თუ რას აკეთებდა იგი იმ დღეს, როცა მისი დედამთილი გაუჩინარდა. რძალი ჩიოდა მეხსიერებაში ლაფსუსების არსებობაზე და ამტკიცებდა, რომ ზუსტად არ ახსოვს იმ დღის დეტალები. ბოლოს კი ასე დაასრულა თხრობა: ,,ეს იყო და ეს ამის თაობაზე. ასეთი იყო ჩემი მოქმედებები, რომლებიც ყველაზე უკეთ გავიხსენე.''

ნებისმიერმა გამომძიებელმა, ზემოთ მოყვანილის წაკითხვის შემდეგ, საკუთარ თავს უნდა დაუსვას სერიოზული კითხვა, იყო თუ არა მოვლენები სრულად და ზუსტად აღწერილი.

12. ჩვენების ბალანსი და შემოწმება. ჩვენება, რომელსაც ეჭვმიტანილი ან ცრუ მოწმე იძლევა, გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს მის სრულ მოცულობაში ბალანსის არსებობის თვალსაზრისით.

მართალი ჩვენება სამნაწილიანია:

პირველი ნაწილი - აღწერს იმ მოქმედებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გამოსაძიებელ მოვლენამდე;

მეორე ნაწილი - უშუალოდ მოვლენის დროს არსებულ მოქმედებებს აღწერს, ანუ იმას, რაც მოხდა ქურდობის, მკვლელობის, გაუპატიურების დროს და ა.შ.

მესამე ნაწილი - კი აღწერს იმას, რაც ხდებოდა მოვლენის შემდეგ, აქ მოცემულია ის მოქმედებები და ემოციები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კონკრეტულად მომხდარი მოვლენის შემდეგ, და ის მოცულობით პირველი ნაწილის ტოლი უნდა იყოს.

რაც უფრო მეტად არის დაბალანსებული მონათხრობის სამივე ნაწილი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ის სწორია.

დადგენილია, რომ საშუალოდ ჩვენებაში, რომლის თითოეულ ნაწილში თანაბარი რაოდენობის წინადადებებია მოცემული (შევსებული სტრიქონები), მაგალითად, ჩვენების სრული მოცულობა თუ არის 33 ხაზი და თითოეული ნაწილი მთლიანის 1/3-ს, ანუ მეტნაკლებად 11 სტრიქონს შეადგენს, სიმართლის მაჩვენებელია. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს გამონაკლისებიც, რომლებიც გარკვეულწილად არ ჯდება ამ ჩარჩოში.

თუ რომელიმე ნაწილი არ არის სრულყოფილი ან საერთოდ არ არის, ეს სიცრუის მაჩვენებელია. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ იმ კაცის ჩვენების ბალანსის სქემას, რომლის სახლიც დაიწვა. მამაკაცმა 56 სტრიქონში გადმოსცა ყველაფერი, რაც იმ დღეს ხდებოდა. ჩვენი ფორმულის მიხედვით მონათხრობის დაყოფის შემდეგ მივიღეთ ასეთი შედეგი:

პირველი ნაწილი - (მოვლენამდე, ე.ი. ცეცხლის გაჩენამდე) 33 ხაზი–59,0%;

მეორე ნაწილი - (მოვლენის დროს ე.ი. ცეცხლის გაჩენის დროს) 16 ხაზი-28,5%;

მესამე ნაწილი - (მოვლენის შემდეგ ე.ი. ცეცხლის გაჩენის შემდეგ) 7 ხაზი-12,5%;

გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ზემოთ მოყვანილი ჩვენება ცრუ იყო, რადგან მასში სრულიად დარღვეული აღმოჩნდა ბალანსი. პირველი ნაწილი ძალიან ვრცელი იყო, ხოლო მესამე კი მოკლე.

პირველი ნაწილის შემოწმებისას გამომძიებლებმა აღმოაჩინეს, მონათხრობში ძალზე დიდი ინფორმაცია, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა გამოსაძიებელ მოვლენასთან (ხანძართან). ამან აფიქრებინა მომკვლევებს, რომ დასაკითხი ცდილობდა გაემართლებინა თავისი მოქმედებები.

გარდა ამისა, ჩვენება შეიცავდა ძალზე მწირ ინფორმაციას იმის შესახებ, რაც ხანძრის შემდეგ მოხდა. ასევე, არ შეიმჩნეოდა ემოციები, არ იყო გაბრაზების, შოკის და ა.შ. ნიშნები. დასაკითხმა, რომელიც არ დარდობდა ხანძრის შედეგებზე, ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ ცეცხლი მან გააჩინა.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა:

მონათხრობი (ჩვენება) შეიცავს უმდიდრეს ინფორმაციას, იმის გარდა, რაც ეჭვმიტანილს და ცრუ მოწმეს სურს გადმოსცეს. საბედნიეროდ, გამომძიებლებს შეუძლიათ ეს ინფორმაცია თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ.

ჩვენების ანალიზი გამომძიებლებს დიდად უმაგრებს ზურგს, იმისათვის, რომ სწორად წარმართონ დაკითხვის პროცესი. მისი ცოდნა შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს მონათხრობი სიმართლეა თუ სიცრუე. ასეთი ცოდნით შეიარაღებული გამომძიებელი უფრო თავდაჯერებული შედის ოთახში დასაკითხისაგან ჩვენების მისაღებად და მეტი შესაძლებლობა აქვს გამოავლინოს დამნაშავე.

13. ეჭვმიტანილების მიერ ჩადენილ ქმედების აღიარება. მრავალი საქმე, თუნდაც ისეთი, რომელსაც გამოცდილი გამომძიებელი იძიებს, იხსნება უშუალოდ იმ აღიარების საშუალებებით, რომელსაც დანაშაულის ჩამდენი აკეთებს. ხშირად გამომძიებლები მოიპოვებენ ძალიან ცოტა მტკიცებულებებს და ამასთან, ხშირ შემთხვევაში ისინი საკმარისი არა არის ეჭვმიტანილი პირისათვის ბრალის წასაყენებლად. ასეთ დროს ეჭვმიტანილთა დაკითხვა და, შესაბამისად, მათგან აღიარების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია.

ეს პარაგრაფი ეძღვნება იმას, თუ რატომ საუბრობენ ეჭვმიტანილები თავისუფლად და იძლევიან სრულ აღიარებას. განხილულია აღიარების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები და მათი კავშირი წარმატებულ დაკითხვასთან. განხილულია ,,გარდატეხის წერტილი'', ანუ ის მომენტი, როდესაც ეჭვმიტანილი აღიარებას იწყებს, ასევე განხილულია ,,გამართლების'' მექანიზმი, რომელიც გვეხმარება აღიარების მიღებაში და, რაღა თქმა უნდა, განხილულია აღიარების ნებაყოფლობით მიღების პრობლემები, რომელიც ძალზე მტკივნეულად დგას დღევანდელი სამართალდამცავი ორგანოების წინაშე.

ვიცით რა დაკითხვის განმარტება და მისი მიზნები, იბადება შეკითხვა: ,,რატომ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს ეჭვმიტანილი?''. თვითდასჯა, თვითგათქმა არ არის ნორმალური ადამიანის მახასიათებელი ნიშანი. ადამიანები ჩვეულებრივ არ აღიარებენ ჩადენილს სპონტანურად. ამიტომაც ლოგიკურია დავასკვნათ, რომ როდესაც ეჭვმიტანილები მიჰყავთ პოლიციის განყოფილებებში დასაკითხად (დანაშაულთან მათი შესაძლო კავშირის დადგენისათვის), მათი პირველი რეაქცია იქნება კითხვების გაცემაზე უარის თქმა. ამის ფონზე ვიღაცამ შეიძლება დაასკვნას, რომ არავინ გასცემს ინკრიმინირებულ ინფორმაციას, როდესაც დანაშაულთან დაკავშირებით ეკითხებიან და მით უმეტეს, არავინ გააკეთებს სრულ აღიარებას. თუმცა სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიზეზების გამო ეჭვმიტანილები მაინც აგრძელებენ გამომძიებლებთან საუბარს.

14. ეჭვმიტანილის პარანოია. საინფორმაციო წყაროები ხშირად გადმოსცემენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახის დანაშაულები ხდება ჩვენს გარშემო, მათ ხშირად ეჭვმიტანილები უფრო ადევნებენ თვალს, ვიდრე რიგითი მოქალაქეები. მასმედიის საშუალებებით გადმოცემული ცნობები დანაშაულის შესახებ ხშირად ამომწურავი ინფორმაციის შემცველიც კი არის და თვით გამოძიების მსვლელობასაც უკავშირდება. ჩვენი აზრით, ასეთი ინფორმაციის გადაცემა მედიის საშუალებით გამოძიებისათვის ხშირად საზიანოა.

ეჭვმიტანილებმა არასდროს იციან ბოლომდე, თუ რა ინფორმაცია გააჩნიათ გამომძიებლებს. მათ იციან, რომ პოლიცია იძიებს საქმეს და ადევნებენ თვალყურს მედიას, რათა გაიგონ, თუ რა იცის პოლიციამ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ გაარკვიონ რა ინფორმაციას ფლობს გამოძიება და ამის გაგება პირველწყაროდან სურთ.

ასეთი ,,პარანოიით'' ეჭვმიტანილები მოტივირებულნი არიან, რათა ნებაყოფლობით გაყვნენ პოლიციელს დაკითხვაზე. ამ პარანოიით შეპყრობილი ეჭვმიტანილები ხშირ შემთხვევაში ნებაყოფლობით ცხადდებიან პოლიციის განყოფილებებში და აცხადებენ, რომ გააჩნიათ ინფორმაცია კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, ასევე ამბობენ, რომ მათი ,,მოქალაქეობრივი'' ვალია ყველაფერი პოლიციაში განაცხადონ. ამით შესაძლოა ეჭვმიტანილები ცდილობენ ცრუ (ყალბი) ჩვენებების მიცემას, რათა გამოძიება არასწორი გზით წარმართონ, დააბნიონ გამომძიებლები, მიიღონ დანაშაულის შესახებ ინფორმაცია პირველწყაროდან და აიცილონ ეჭვი,

რადგან ისინი იძლევიან ინფორმაციას და გამომძიებელმა, შესაძლოა, არ იფიქროს მათ კავშირზე დანაშაულთან.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ საქმეს. შენობის სარდაფში აღმოაჩინეს 22 წლის გარდაცვლილი ქალის გვამი. ქალი გაუპატიურებული და სასტიკად ნაცემი იყო. გამომძიებლებმა უამრავი ადამიანი დაკითხეს მომდევნო დღეების განმავლობაში, მაგრამ ეჭვმიტანილი ვერ გამოავლინეს. მედია ფართოდ აშუქებდა ამ მოვლენას.

გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე დღეში, პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა 33 წლის კაცი და განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია იმაში, რომ გააჩნია ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ დანაშაულს შეეხება. კაცმა განაცხადა, რომ როდესაც ერთ საღამოს სახლისაკენ მიდიოდა, გაიარა ის ტერიტორია, სადაც ქალი იქნა აღმოჩენილი. მან გაიხსენა, რომ იქ შენიშნა ,,უცხო პიროვნება'', რომელიც იქვე, ავტოფარეხებთან ტრიალებდა. კაცმა ასევე განაცხადა, რომ მას შეეშინდა უცნობის, მოერიდა მას და სახლში წავიდა. მას შემდეგ, რაც ტელევიზიის საშუალებით შეიტყო გოგონას გარდაცვალების შესახებ, საჭიროდ ჩათვალა მოეყოლა პოლიციისათვის, რაც შენიშნა.

კაცმა პოლიციელს აღუწერა ,,უცნობის'' გარეგნობა და დაეხმარა ფოტორობოტის შექმნაში. მისი წასვლის შემდეგ გამომძიებლებმა აღმოაჩინეს, რომ ,,მოწმე'' ძალიან ჰგავდა მისივე აღწერით შექმნილ ფოტორობოტს.

ეს პიროვნება კვლავ იქნა დაბარებული პოლიციაში, რათა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე, რაზეც იგი დიდი სიამოვნებით დათანხმდა. ინტენსიური დაკითხვის დროს მან აღიარა, რომ ერთ-ერთმა მისმა ,,გაორებულმა'' პიროვნებამ მოკლა ქალი, რომელსაც ის არ იცნობდა და უბრალოდ იმიტომ მოკლა, რომ ის ქალი იყო, რაც ეჭვმიტანილს ყოველთვის უნდოდა, რომ ყოფილიყო.

ეს საქმე ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ სჭირდება ზოგიერთ ეჭვმიტანილს იცოდეს, რა ხდება გამოძიებაში. მათ ჭეშმარიტად სწამთ, რომ ,,პატიოსანი ადამიანის'' ნიღბით შენიღბულებს, ,,დახმარების'' მოტივით გამსჭვალულებს, ინკრიმინირებული ინფორმაციის გაუცემლად შეუძლია თავად გამომძიებლებისგან შეიტყონ ინფორმაცია გამოძიების შესახებ.

§ 3. ეჭვმიტანილების აღიარების ფსიქოლოგიური ფაქტორები

1. ეჭვმიტანილისაგან აღიარების მიღებისათვის გასათვალისწინებელი ქმედებები. დაკითხვაზე საუბრის დროს აუცილებელია შევეხოთ ეჭვმიტანილის დაკითხვის ადგილს (გარემოს). უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხვის ადგილი განსხვავებული უნდა იყოს იმ გარემოდან, რომელსაც ეჭვმიტანილი შეჩვეულია.

უმთავრესი ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც დაკითხვის წარმატებით ჩატარებას უწყობს ხელს არის პირადულობა - გამომძიებელი ეჭვმიტანილთან დაკითხვის დროს მარტო უნდა იმყოფებოდეს. დაკითხვის ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ეჭვმიტანილი მხოლოდ გამომძიებელს ხედავდეს, აზრები და პასუხები გარეშე ფაქტორებისაგან არ უნდა იყოს სტიმულირებული. ადგილზე არსებულმა სიტუაციამ უნდა შეამციროს დასაკითხის შიში და მიიყვანოს იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მოყვეს დანაშაულის შესახებ. შიში ადამიანის თავდაცვის მექანიზმს ყველაზე უფრო მეტად აძლიერებს, საჭიროა ამ შიშის შეძლებისდაგვარად შემცირება. ამიტომაც დაკითხვის ადგილზე უნდა არსებობდეს სამუშაო ატმოსფერო, რომელიც უნდა განსხვავდებოდეს ,,პოლიციის მსგავსი'' ატმოსფეროსაგან. პირქუში, მოსაწყენი დაკითხვის ადგილები ეჭვმიტანილებში იწვევენ შიშს, ხოლო ,,შენ არაფრის არ უნდა გეშინოდეს'' ამცირებს ასეთ შიშს, რაც თავისთავად ბარიერის გადალახვის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. გამომძიებლებმა ფსიქოლოგიურად უნდა განმუხტონ (გაანეიტრალონ) ეჭვმიტანილები მათი ისეთ გარემოში მოთავსებით, რომელშიც არ იქნება შიშის წარმომქმნელი ფაქტორები.

ეჭვმიტანილები ცხადდებიან დაკითხვაზე, როგორც უწყების საფუძველზე, რათა უპასუხონ დასმულ კითხვებს, ასევე იმ განზრახვით, რომ მეტი ინფორმაცია შეიტყონ მიმდინარე გამოძიების შესახებ. მას შემდეგ, რაც ისინი დასაკითხ ოთახში მოხვდებიან, გამომძიებელი მათ ცივილიზებული ფორმით უნდა მოეპყროს, არა აქვს მნიშვნელობა რამდენად სერიოზული დანაშაული აქვთ ჩადენილი. შესაძლოა, ეჭვმიტანილის მიმართ დამკითხავებს უარყოფითი გრძნობებიც გაუჩნდეთ, მაგრამ მთავარი მიზანი, აღიარების მიღება, მოითხოვს პირადი ემოციების მოთოკვას.

როგორც საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, უმეტეს შემთხვევაში ეჭვმიტანილები დანაშაულს იმიტომ სჩადიან, რომ სჯერათ, იმ მომენტისათვის ეს მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებაა. გამომძიებელმა

ფსიქოლოგიური კონტაქტი უნდა დაამყაროს ეჭვმიტანილებთან. ორი წესი, რაც უნდა იქნას დამახსოვრებული, არის: 1. ეჭვმიტანილის დასაკითხად და სიმართლის დასადგენად კეთილგონიერებას მოვუხმობთ და 2. აუცილებელია ეჭვმიტანილთან ურთიერთობის დონის მიღწევა. ეს წესები აუცილებელია ეჭვმიტანილთა დასარწმუნებლად და მათი ნდობის მოსაპოვებლად, რათა მათ სიმართლე თქვან. ეჭვმიტანილები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ წინ ზის არა მხოლოდ პოლიციელი ან უხეში გამომძიებელი, არამედ პროფესიონალი ადამიანი, რომელიც მათ კრიტიკის გარეშე უსმენს. თუ გამომძიებლები შეძლებენ დაარწმუნონ ეჭვმიტანილები, რომ მთავარი თვით დანაშაული კი არა, არამედ ამ დანაშაულის ჩადენის მოტივაციას გარკვევაა, ისინი დაიწყებენ თავიანთი მოტივირებული ფაქტორების ახსნას ან რაციონალიზაციას. (განვიხილავთ შემდეგში)

დაკითხვის ამ ეტაპზე გამომძიებლები ცდილობენ, გადაალახვინონ ეჭვმიტანილს თავდაცვითი ბარიერი და მიიყვანონ იმ მდგომარეობამდე, რომ მათ აღიარონ თავიანთი კავშირი დანაშაულთან. ეს არის დაკითხვის კრიტიკული (მთავარი) სტადია, რომელსაც გარდატეხის წერტილს უწოდებენ.

გარდატეხის წერტილი არის დაკითხვის ის მომენტი, როდესაც ეჭვმიტანილი აკეთებს აღიარებას და არა აქვს მნიშვნელობა ეს სრული აღიარებაა თუ არა. მთავარია მან აღიაროს ისეთი რამ, რასაც ადრე უარყოფდა და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად მცირე და უმნიშვნელო ფაქტს შეეხება ის. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დამცავი მექანიზმი შესუსტებულია და გამომძიებელს მხოლოდ დრო სჭირდება, რათა აღიარების დანარჩენი ელემენტები მიიღოს.

გარდატეხის მომენტის წარმატებით დაძლევა გამომძიებლებს შეუძლიათ დასაკითხი პიროვნებისა და მისი განვლილი ცხოვრების კარგი ცოდნის საშუალებით. ხშირად დამნაშავეთა ფსიქოლოგიური პრობლემები გამოწვეულია მათ ოჯახებში არსებული გამუდმებული კონფლიქტებით და სხვა მსგავსი ფაქტორებით. საჭიროა გამომძიებელმა, როდესაც მის წინ მჯდომ ეჭვმიტანილს უყურებს, გაითვალისწინოს, რომ წარსულმა განცდებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის ახლანდელ ქცევაზე. მას შემდეგ, რაც გამომძიებელი გააცნობიერებს, რომ აღიარების გაკეთებასთან დაკავშირებით, შესაძლო დასჯის ანდა სიამაყის დაკარგვის შიში ეჭვმიტანილის უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორებია, ის უმალვე შეძლებს ჩამოაყალიბოს

კითხვები და გააანალიზოს პასუხები, რომლებიც გარდატეხას შეიტანენ ასეთ წინააღმდეგობაში.

გამომძიებლები ყველა დაკითხვას უნდა წარუძღვნენ იმ რწმენით, რომ თუ ეჭვმიტანილს საჭირო ფსიქოლოგიურ გარემოში ჩააყენებენ, ისინი აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს. მეცნიერულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა უმეტესობა, რომლებიც ჩადენილს აღიარებენ, თავიდანვე ეძებენ საჭირო მომენტს, რათა ჩადენილის შესახებ მოუთხრონ გამომძიებელს.

ეჭვმიტანილები დანაშაულს აღიარებენ მაშინ, როდესაც მათ შინაგან მღელვარებას, რომელსაც ტყუილი იწვევს, გადასწონის დანაშაულის შედეგების აღქმა (გაცნობიერება). ხშირ შემთხვევაში ეჭვმიტანილები თავიანთ გონებაში ზრდიან, როგორც დანაშაულის საშიშროების ხარისხს ასევე ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ხარისხს. გამომძიებელმა უნდა გაანეიტრალოს ეჭვმიტანილის მღელვარება ამ შიშის პერსპექტივაში გამოყენების (მოქცევის) საშუალებით.

ეჭვმიტანილები ასევე აღიარებენ ჩადენილს, როდესაც სჯერათ (სწამთ), რომ დახმარების გაწევა (თანამშრომლობა) ალტერნატიულ ქცევათაგან ყველაზე სწორი არჩევანია. თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ გამომძიებელი მზად არის მოისმინოს დანაშაულის ყველა გარემოება, ისინი დაიწყებენ ლაპარაკს. ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დაძაბულობა, რომელიც დანაშაულის ჩამდენში ჩნდება, ყველაზე უკეთ საუბრის დროს ნელდება, მცირდება. იმისათვის, რომ ეს დაძაბულობა განმუხტონ, ეჭვმიტანილები იწყებენ დანაშაულის გარემოებების ახსნას, ანდა იწყებენ ჩადენილის აღიარებას.

და ბოლოს, ეჭვმიტანილები აღიარებენ ჩადენილს იმ დროს, როდესაც გამომძიებლები სწორედ ვარირებენ იმ მოტივებით, რომელთა გამოც დასაკითხს შეეძლო ჩაედინა დანაშაული. ეჭვმიტანილებს წინასწარ სურთ დარწმუნდნენ, რომ გამომძიებლები დაიჯერებენ იმას, რაც მათ უნდა თქვან და გაიგებენ თუ რამ გაუკეთა მათ მოტივაცია დანაშაულის ჩასადენად.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა.

ბუნებრივია, რომ ეჭვმიტანილებს სურთ დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებები და თავისუფლება, ასევე ბუნებრივია, რომ ეჭვმიტანილები წინააღმდეგობას უწევენ გამომძიებლებს და არ საუბრობენ ჩადენილ დანაშაულზე. თუმცა, ამ მიზეზების

მიუხედავად, გამომძიებლებს დაკითხვის დროს უნდა შეეძლოთ გაანეიტრალონ მათი ფსიქოლოგიური თავდაცვითი მექანიზმი. სანამ ეჭვმიტანილები დანაშაულის აღიარებას დაიწყებენ, ისინი თავს კომფორტულად უნდა გრძნობდნენ იმ გარემოში, სადაც დაკითხვა მიმდინარეობს და ასევე უნდა სჯეროდეთ თავიანთი გამომძიებლის, რისი მიღწევაც შესაძლებელია მათი გულდასმით მოსმენის საშუალებით ანუ მათთვის შესაძლებლობის მიცემით, ვერბალურად გადმოსცენ ჩადენილი დანაშაულის გარემოებები.

გამომძიებლებს, რომლებიც გაიგებენ თუ რა უბიძგებს ეჭვმიტანილს აღიაროს ჩადენილი დანაშაული, უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ ჩამოაყალიბონ, დასვან ეფექტური კითხვები და გააანალიზონ პასუხები. უნდა აღვნიშნოთ, რომ აღიარების მისაღებად უფრო მეტი ფაქტორები არსებობს, რომლებიც ამ თავში არ არის განხილული. რაც მთავარია, უნდა ვიცოდეთ, თუ გამომძიებელი ვერ შეძლებს გაიგოს ეჭვმიტანილის მოტივაცია, მაშინ სხვა ფაქტორები, რომლებიც აღიარების მოპოვებაში გვეხმარება, ნაკლებეფექტურია.

2. მაგიური (საჭირო) სიტყვები აღიარების მიღებისათვის. გამომძიებლები ხშირად სვამენ კითხვას, ,,არსებობს რაიმე ისეთი სიტყვები, რომლითაც აღიარების მიღებაა შესაძლებელი?''. რა თქმა უნდა, არსებობს. ისეთი ჩვეულებრივი სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა ,,უბედური შემთხვევები ხდება ხოლმე...'', ,,ყველას მოსვლია შეცდომა...'', ,,ამ სიტუაციაში ყველას შეეძლო...'', შესაძლებლობას აძლევენ დამნაშავეს თავისი ღირსებისა და თავმოყვარეობის შელახვის გარეშე აღიარონ თავიანთი კავშირი დანაშაულთან, ხოლო გამომძიებლებს უადვილებენ აღიარების მიღებას. საჭირო სიტყვების განსაზღვრის შემდეგ გამომძიებლებს შეუძლიათ (გაითავისონ) გააანალიზონ და გამოიყენონ ისინი დაკითხვის დროს. დასავლეთის ქვეყნებში ასეთ სიტყვებს ,,მაგიურ სიტყვებს'' უწოდებენ.

მაინც რას წარმოადგენენ და საიდან მოდიან ეს სიტყვები. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სანამ გამომძიებლები ეჭვმიტანილების დაკითხვაზე გადავლენ, მანამდე აწარმოებენ მათ გამოკითხვას, რაც შესაძლებლობას იძლევა ჩაწვდნენ და გაიგონ დასაკითხის გრძნობები, აზრები, მისწრაფებები და ა.შ. გამოცდილმა გამომძიებლებმა იციან, რომ ბუნებაში ყველა ადამიანი განიცდის ისეთ მენტალურ პროცესებს (ხშირად ეს

არაცნობიერად ხდება), რომელთა საშუალებითაც ცდილობენ გაამართლონ თავიანთი ქცევები.

დამნაშავეები ხშირად იყენებენ ამ დაცვის მექანიზმს იმისათვის, რომ რაციონალიზაცია გაუკეთონ თავიანთ ქცევებს ან ბრალი დასდონ სხვა ვინმეს, რაიმეს, ანდა შეამცირონ თავიანთი დანაშაული. უმეტესად დამნაშავეები აშკარად არ გამოხატავენ ამ მექანიზმს, მაგრამ ისინი იძლევიან გასაღებს ისეთ დროს, როდესაც გამომძიებელი გამოკითხვისას ეკითხება მათ თავიანთი წარსულის, მიზნების, შეხედულებების შესახებ. ეჭვმიტანილების ყურადღებით მოსმენა გამომძიებელს საშუალებას აძლევს, აღმოაჩინოს ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც განაპირობებს ისეთი საჭირო (მაგიური) სიტყვების მოძებნას, რომლებიც მან დაკითხვის დროს უნდა გამოიყენოს აღიარების მისაღებად.

საჭირო სიტყვები მომდინარეობენ ზემოხსენებული იმ სამი თავდაცვის მექანიზმიდან, რომლებიც ჩვეულებრივ ყველაზე ხშირად გამოიყენება. როგორც აღვნიშნეთ ესენია: დანაშაულის რაციონალიზაცია, გადაბრალება და შემცირება. ვუწოდოთ მას ,,გამართლების'' მექანიზმი, საზღვარგარეთ გამომძიებლები მას RMP-ს (racionalizacion, projection, minimizacition) უწოდებენ. ეს მექანიზმი ეხმარება დასაკითხს, ახსნას და გაამართლოს თავისი საქციელი და ამავე დროს, შეინარჩუნოს თავმოყვარეობა, ღირსების გრძნობა. თუ ის იყენებს ასეთ მექანიზმს, გამომძიებელმაც უნდა შეძლოს მისი გამოყენება და თავად დაეხმაროს მას დანაშაულის აღიარებაში. ეს ხერხდება გამოკითხვის დროს. დასაკითხის ყურადღებით მოსმენა გამომძიებელს აძლევს იმ მასალას, საიდანაც იბადება საჭირო მაგიური სიტყვები ,,გამართლების'' მექანიზმის შემუშავებისთვის.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ,,გამართლების'' ტექნიკა ახდენს დანაშაულის მორალურ და ფსიქოლოგიურ გამართლებას და არავითარ შემთხვევაში კანონიერს, ამიტომაც დამნაშავეები პასუხს აგებენ თავიანთ ქცევებზე.

შემდეგ მაგალითად მოყვანილი მკვლელობის საქმე ილუსტრირებას უკეთებს მაგიური სიტყვების გამოვლენის ოთხ ტექნიკას და მათი ეფექტურად გამოყენების სტილს. ამ მაგალითში გამომძიებელი იყენებს იმ ინფორმაციას, რომელიც უშუალოდ გამოკითხვის დროს მიიღო, იმისათვის, რომ გამოავლინოს (განავითაროს) ,,გამართლების'' მექანიზმი და მიიღოს აღიარება.

განვიხილოთ მაგალითი:

თექვსმეტი წლის ნათელას დედამ და მამინაცვალმა პოლიციას შეატყობინეს, რომ არასრულწლოვანი დაიკარგა. იმის გამო, რომ გოგონა ადრე ორჯერ იყო გაქცეული სახლიდან, გამომძიებლებმა შეცდომა დაუშვეს და თავდაპირველად არ იფიქრეს უშუალოდ დანაშაულზე. თანდათან გამომძიებლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დანაშაულია ჩადენილი. ჯერ ერთი გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ნათელას დედა და მამინაცვალი მის გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე დაცილდნენ ერთმანეთს და ეს მათი დაქორწინებიდან მეექვსე თვეს მოხდა. მეორეც, გამომძიებლებმა აღმოაჩინეს, რომ ნათელა და მისი მამინაცვალი მარტო იყვნენ სახლში ზუსტად მის გაუჩინარებამდე. მალე მამინაცვალი შალვა გახდა უმთავრესი ეჭვმიტანილი. თუ კი ნათელას რაიმე ზიანი ჰქონდა მიყენებული, საქმის სწორად გადაწყვეტა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო გამომძიებლის მოხერხებაზე და მიეღო შალვასაგან აღიარება.

გამომძიებელთან პირისპირ მჯდომი შალვა გამუდმებით უარყოფდა რაიმე კავშირს ნათელას გაუჩინარებასთან. თუმცა კი ისე ჩანდა, რომ არ სჯეროდა თავისი უსაფრთხოების. ტრაილერის მძღოლი ენაწყლიანი, თვითკმაყოფილი შალვა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ მას სიამოვნებდა ოპონენტების ,,გაცურება'' (ეშმაკურად მოტყუება). გამომძიებლებმა უმალვე გააცნობიერეს, რომ ასეთი სურვილებით შეპყრობილი ადამიანი დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა ჩვენების მიცემისას. იმისათვის, რომ აღიარება მიეღო, გამომძიებელს უნდა გამოეყენებინა მაგიური სიტყვები, რათა რაციონალიზაცია გაეკეთებინა შალვას ქცევისთვის (,,მე მესმის, თუ როგორ შეგეძლოთ…...''), ბრალი სხვაზე დაედო (,,ახალგაზრდებთან ძალზე ძნელია ურთიერთობა....''), შეემცირებინა დანაშაული (,,ასეთი შემთხვევები ხდება ხოლმე....''), და მიეცა მიზეზები იმისათვის, რომ აღიარება გაეკეთებინა (,,მხოლოდ შენ შეგიძლია ამ შემთხვევის შენებური ვერსია მოყვე....'').

ა. ეჭვმიტანილის ქცევის რაციონალიზაცია. რაციონალიზაცია გვთავაზობს ეჭვმიტანილთა ქცევების შესაძლო ახსნას, რაც უშუალოდ დადებითად აისახება დასაკითხზე, რადგან მათ თავიანთი ქცევის უფრო პოზიტიური კუთხით დანახვა შეუძლიათ. ბევრი ინდივიდი რაციონალიზაციას უკეთებს თავის ქცევას იმისათვის, რომ ,,გამოასწოროს'' ნებისმიერი სახისა და ხარისხის შეცდომა. გამოცდილი გამომძიებლები იყენებენ ამ ფსიქოლოგიურ პროცესს, რითაც დასაკითხს

აგრძნობინებენ, რომ საკმაოდ კარგად ესმით მათი. როდესაც ამის გამოყენება ფაქიზად და გულახდილად ხდება, ეჭვმიტანილთან მიდგომა იმგვარი უნდა იყოს, რომ ის გამოჩნდეს ,,კარგი'' ადამიანი, ის ადამიანი, რომელმაც დამაქცეველი მოვლენები განიცადა.

გამოკითხვის დროს გამომძიებელი შალვას უსვამდა თავისუფალ კითხვებს, რომელთა საშუალებითაც დაადგინა, რომ შალვა განიცდიდა ძლიერ სურვილს გაეკონტროლებინა ცოლი და მისი ქალიშვილი. მისმა ასეთმა სურვილმა გამოიწვია ის, რომ ცოლმა უთხრა დაეტოვებინა სახლი. დაკითხვაში, რომელიც უშუალოდ გამოკითხვას მოჰყვა, გამომძიებელმა რაციონალიზაცია გაუკეთა შალვას ქცევებს.

,,შალვა, უეცრად სიტუაცია, რომ შეიცვალე და ცოლისა და ახალგაზრდა გოგონას გარემოცვაში მოხვდი, ალბათ, ამან სტრესულ მდგომარეობაში ჩაგაგდო. ყველა ადამიანი ასეთ სიტუაციაში იგრძნობდა იმის საჭიროებას, რომ წესები განესაზღვრა ახალგაზრდისათვის, მაგალითად საღამოს სახლში შემოსვლის დროის განსაზღვრა, მანქანის გამოყენების წესების დადგენა. სახლში მუდმივი დაძაბულობა არსებობდა, რაც იმით დასრულდა, რომ მეუღლემ ქალიშვილის მხარე დაიჭირა და შენ გაიძულა მოვლენებს გარეთ დარჩენილიყავი.''

რაციონალიზაციის დამაჯერებელი აქტი გავლენას ახდენს ეჭვმიტანილის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას გააჩნია უდიდესი სურვილი რამენაირად გაამართლოს (ახსნას) თავისი ქცევა. გამომძიებლები აღწევენ ეჭვმიტანილთა გონებაში და ეუბნებიან მათ, თუ რატომ იქცევიან ისე, როგორც მოიქცნენ და ამით შესაძლებლობას აძლევენ რომ გაიგონ.

ბ. სხვაზე გადაბრალება. გადაბრალება ,,ამართლებს'' ქმედებას ბრალის ვინმეზე ან რაიმეზე გადატანის მეშვეობით. შალვას დაკითხვის დროს გამომძიებელმა ბრალი დასდო ნათელას დედას, რომ მას არ შეეძლო კომპრომისის მოძებნა, ,,თანამშრომლობა'' შალვასთან, ნათელას გამომწვევი და თავდაჯერებული ხასიათის გამო, ამან გამოიწვია დაძაბულობა სახლში:

,,შალვა, ნათელას დედას თავის დროზე რომ განესაზღვრა მისთვის ქცევის წესები, ის არ იქნებოდა ასეთი თავნება გოგონა. დედამისს რომ ზურგი გაემაგრებინა თქვენს მიერ დადგენილი მიზანშეწონილი წესებისათვის, იქნებ ნათელას შეესმინა კიდეც ისინი. ნათელა ასე აშკარად დამცინავად რომ არ მოქცეულიყო, თქვენ, ალბათ, თავს

შეიკავებდით, ისე როგორც ამას ადრე აკეთებდით. ნათელა იყო, ვინც ეს ყველაფერი დაიწყო.''

გ. დანაშაულის შემცირება. დანაშაულის საშიშროების ხარისხის შემცირება ეჭვმიტანილს უზრდის ფსიქოლოგიური დაკმაყოფილების გრძნობას, რადგან ის ამცირებს მათი როლის ხარისხსა და დანაშაულის ხასიათის სერიოზულობას. ისეთი სიტყვების ფრთხილი ხმარება, როგორიცაა ,,შეცდომა'' და ,,შემთხვევა'', ამცირებენ სიტუაციის სერიოზულობას (მნიშვნელობას), რაც საშუალებას აძლევს გამომძიებელს მინიმუმამდე დაიყვანოს ეჭვმიტანილის წინააღმდეგობა და მისდამი ნდობით აღავსოს იგი. ფრთხილი, მსგავსი სიტყვების გამოყენება ეჭვმიტანილთა გონებაში ამცირებენ დანაშაულის უარყოფითი შედეგის ხარისხს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთმა ემოციურმა განსაცდელმა, უხეშმა სიტყვებმა, როგორიცაა ,,გაუპატიურება'' და ,,მკვლელობა'' შესაძლოა ეჭვმიტანილს ყურადღება გაამახვილებინოს გამომძიებლის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე და არ იფიქროს აღიარებაზე. უხეშმა სიტყვებმა შესაძლოა დასაკითხს თავისი ქმედების ზოგიერთ ასპექტზე სირცხვილის გრძნობა გაუჩინოს და ამიტომ უნდა მოვერიდოთ მათ ხმარებას. დაკითხვის დროს, გამომძიებელმა ეჭვმიტანილის ორჭოფობა (აღიაროს თუ არა ჩადენილი) უნდა შეასუსტოს დანაშაულის შემცირების საშუალებით. თუ გამომძიებლები ამას არ აკეთებენ, გამოდის, რომ ისინი არ უქმნიან ეჭვმიტანილს პირობას, რომ ჩადენილი საქციელი აღიაროს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, როდესაც გამომძიებლები დანაშაულის სერიოზულობას გარკვეულწილად ,,დაბლა წევენ'', ისინი არასოდეს ამცირებენ დანაშაულებრივი ქმედების უარყოფითი შედეგების ხარისხს, რაც დამნაშავეს საზოგადოებისათვის მოაქვს.

შალვას დაკითხვის დროს, გამომძიებელმა ნათელას სიცოცხლის ხელყოფას უბედური შემთხვევა უწოდა, ისეთი რაღაც, რასაც შალვა ჩვეულებრივ არასოდეს გააკეთებდა.

,,მე საქმეს ძალიან კარგად გავეცანი, შალვა, ეს ალბათ უფრო უბედური შემთხვევა იყო. შენ არ აპირებდი ამის გაკეთებას. შენ, ალბათ, ნატრობ, რომ შეგეძლოს ამის შეცვლა და კიდევაც შეცვლიდი, შესაძლებელი რომ იყოს. ეს არ იყო დაგეგმილი, წინასწარ განზრახული ქმედება, ეს უბრალოდ ასე მოხდა. შენ ჩვეულებრივ ასე არ მოიქცეოდი.''

დ. აღიარებისათვის მიზეზის წარდგენა. გამომძიებლებმა, იმისათვის, რომ განამტკიცონ აღიარების მიღების შესაძლებლობა, ჩვენს მიერ განხილული ტექნიკის გამოყენების შემდეგ, უნდა წარუდგინონ ეჭვმიტანილებს მიზეზები იმისათვის, რომ აღიარონ ჩადენილი. აქ იგულისხმება ეჭვმიტანილისათვის ისეთი ,,საფუძვლიანი'' მიზეზების წარდგენა, რისი საშუალებითაც ის დარწმუნდება, რომ ჩადენილი დანაშაულის აღიარება მის ინტერესში შედის და მისთვისავეა სასარგებლო. გამოკითხვისას გამომძიებლებს შეუძლიათ ეფექტური მიზეზების პოვნა, რასაც მოგვიანებით დაკითხვის დროს გამოიყენებენ, რათა ეჭვმიტანილისაგან აღიარება მიიღონ. ეჭვმიტანილის სიტუაციის, მოტივაციისა და მის ცხოვრებაში არსებული პრობლემის ცოდნამ, შესაძლებელია, გამომძიებელს მიაწოდოს დანაშაულის ჩადენის შესაძლო მიზეზები (გადაწყვეტილებები).

რატომ უნდა აღიარონ ჩადენილი დამნაშავეებმა? ჩვენი შემთხვევის გარდა, ზოგადად, დედის, რომელიც თავისი ბავშვების თანდასწრებით გარყვნილ ქმედებას სჩადიოდა, ფსიქოლოგიური მკურნალობის დანიშვნამ და ამ ქმედებისათვის ბოლოს მოღებამ, შესაძლოა მისცეს მიზეზი იმისათვის, რომ აღიაროს ჩადენილი. ქალისათვის, რომელმაც თავისი მეუღლე მოკლა, ,,მეუღლესთან გატარებული წლების განმავლობაში მიღებული დამცირება'' შესაძლოა, აღიარების გაკეთებისათვის ერთ - ერთი უმთავრესი მიზეზი გახდეს. ასევე მძარცველისათვის იმის გაცნობიერება, რომ ერთ დღეს ის შეიძლება შეიარაღებულმა სახლის პატრონმა მოკლას, შესაძლოა, ასევე აღიარების საფუძველი გახდეს. ჩვენ შემთხვევაში გამომძიებელმა გამოიყენა სხვადასხვა მარტივი მიზეზი იმისათვის, რომ შალვას სიმართლე ეთქვა ნათელასთან დაკავშირებით.

,,შალვა, რაც მსგავს სიტუაციებში მინახავს, ის არის, რომ ადამიანები საკუთარ თავს შემდგომ ეკითხებიან: სად ვიქნებოდი ახლა მე თავის დროზე ჩემი ქმედების ახსნის შესაძლებლობა რომ გამომეყენებინა და მეთქვა ჩემი ვერსია? დღეს შენ გაქვს ამის შესაძლებლობა, არ გაუშვა ის ხელიდან. შენი მონათხრობი იმაზე უკეთ ვერასოდეს გარგებს, ვიდრე დღეს, ზუსტად ამ მომენტში. თუ შენ დაიგვიანებ, ამ ამბავზე ყველა სხვადასხვანაირად იმსჯელებს და ეს არ იქნება შენი ახსნა - განმარტებიდან გამომდინარე. შალვა, მე მზად ვარ ჩავიწერო შენი ჩვენება. პროკურორი ნამდვილად მკითხავს ამ დაკითხვის შესახებ. მკითხავს, როგორ იქცეოდი დაკითხვაზე, ნანობდი თუ არა ჩადენილს და მეხმარებოდი თუ არა ჭეშმარიტების დადგენაში, რადგან შენ იცი ყველა ფაქტი, იცი, როგორ და რატომ მოხდა ყველაფერი. მე გაძლევ

შესაძლებლობას შენი ბედი თავად გადაწყვიტო. შენ შეგიძლია დამეხმარო დავასრულოთ დაკითხვა და ჩვენების ბოლო ნაწილი დავწეროთ.''

იმ დროს, როდესაც გამომძიებლები ეჭვმიტანილებს ,,აგულიანებენ'', აღიარონ ჩადენილი, დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ დაპირების დროს. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ ეჭვმიტანილის მიმართ ,,რბილი'' მოპყრობის დაპირება დაუშვებელია და მისი საშუალებით მიღებული აღიარება დაკარგავს მტკიცებულების ძალას სასამართლო განხილვის დროს.

3. გამართლების მექანიზმის ეფექტურად გამოყენება. მას შემდეგ, რაც გამომძიებლები ჩამოაყალიბებენ ,,საჭირო'' სიტყვებსა და აღიარების მიზეზებს, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი წარდგენა ეფექტურად ხდება. მხოლოდ ,,საჭირო'' სიტყვები საკმარისი არა არის იმისათვის, რომ დასაკითხმა ჩადენილი აღიაროს. მათ (სიტყვებმა) შეიძლება დაკარგონ თავიანთი მნიშვნელობა, თუ არაეფექტურად, მოუხერხებლად, უადგილოდ იქნებიან გამოყენებულნი.

გამომძიებლები უნდა მოერიდონ დასაკითხთან დაძაბულ საუბარს. ,,გამართლების'' მექანიზმის სწრაფი, მექანიკური გამოყენება დასაკითხზე სიყალბის შთაბეჭდილებას ტოვებს. უხეში, ,,მკაცრი'' მიდგომის ნაცვლად გამომძიებლებმა უნდა მიმართონ ლმობიერ, ,,რბილ'' მიდგომას, რომელშიც ისინი ეჭვმიტანილის პრობლემისადმი დიდ ყურადღებას და თანაგრძნობას გამოიჩენენ. იმის გამო, რომ თანაგრძნობა ნდობის ჩამოყალიბების ერთ - ერთი მთავარი ასპექტია, გამომძიებელმა უნდა შეძლოს დაანახოს ეს დასაკითხს, რაც შესაძლებელია ხმის დაწევისა და მეტყველების შენელების საშუალებით. გამომძიებელი ეჭვმიტანილთან უნდა ხელმძღვანელობდეს ,,რბილი'' მიდგომით, რადგან მხოლოდ ამის საშუალებითაა შესაძლებელი ჩავწვდეთ დასაკითხის გონებას და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. შემდეგ მაგალითში მოყვანილია შედარება შალვას დაკითხვისას ,,მკაცრ'' და ,,რბილ'' მიდგომებს შორის.

მკაცრი: - *,,შალვა, შენ თავიდანვე მატყუებდი. შენ ვერ გამასულელებ მაგ ისტორიით და ყველაფერს უკან ჩაგთხრი პირში. ნახავ, როგორ ინანებ''.*

რბილი: - *,,შალვა, მე რაღაც კარგად არ მესმის შენი ისტორია. მე ეს ადრეც მინახავს და ვხვდები, რომ არ მეუბნები სიმართლეს. ეს ბუნებრივია, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი თუ როგორ მოხვდი შენ ამ გაუგებრობაში. მოდი, ეს გავითვალისწინოთ და*

ერთმანეთთან გულწრფელები ვიყოთ. მოდი საქმე იმაზე უარესი არ გავხადოთ, ვიდრე ის არის''.

მკაცრი: - *,,შენ გაგუდე ნათელა. რატომ არ აღიარებ შენ ამას?''.*

რბილი: - *,,შალვა, გამოცდილებამ მასწავლა და ვიცი, რომ ასეთ დროს კაცს, რომელიც ჩემს წინ სკამზე ზის, თავში უამრავი აზრი უტრიალებს. ის თავის თავს ეკითხება ,,რა მელის? ვის უნდა გაიგოს, რომ მე ეს გავაკეთე? უკეთესი იქნება, რომ მოყვე შენი ვერსია, თუ რატომ მოხდა ასე და როგორ დაიწყო ყველაფერი, მოდი, ამ კითხვებს ერთად გავცეთ პასუხი. შევხედოთ მათ სხვადასხვა კუთხით (პერსპექტივაში)''.*

გამომძიებლების უნარი, გამოამჟღავნონ სითბო, გულწრფელობა, ეჭვმიტანილისაგან აღიარების მიღების მთავარი ასპექტია. იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებლები ამის გამოხატვას ვერ ახერხებენ, ნებისმიერი ცდა, მოიპოვონ ეჭვმიტანილთა ნდობა, მარცხით სრულდება და, რაღა თქმა უნდა, აღიარების მიღების შესაძლებლობაც იკარგება.

დაკითხვა რთული პროცესია და მოიხსენიება, როგორც ხელოვნების გამოხატულება. ის გამოძიების სასიცოცხლო ღერძია და ხშირად მას ,,დანაშაულთა გამოძიების ნერვულ კვანძს'' (ცენტრს) უწოდებენ. იმის გამო, რომ ,,გამართლების'' მექანიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაკითხვის პროცესში, გამომძიებლებს, შესაძლოა, მათი ხშირი გამეორება მოუწიოთ, რადგან ეჭვმიტანილები, თუნდაც შოკის გამო, მათი პირველივე გამოყენების შემთხვევაში არ იქცევიან ისე, როგორც ამას გამომძიებლები იმედოვნებენ, ამიტომ მომკვლევმა მრავალგზის უნდა გამოიყენოს ,,გამართლების'' მექანიზმი სხვადასხვა კომბინაციით და გადაწყვიტონ თუ რომელი ახდენს დასაკითხზე უფრო მეტ გავლენას. შალვას დაკითხვის საბოლოო ფაზა გვანახვებს გამომძიებლის მიერ სწორად გამოყენებული ,,გამართლების'' მექანიზმის მნიშვნელობას და მის ფასს საერთოდ დაკითხვისათვის.

მას შემდეგ, რაც გამომძიებელმა გამოიყენა რაციონალიზაციის, გადაბრალებისა და შემცირების ტექნიკა, მან წარუდგინა შალვას სხვადასხვა მიზეზები იმისათვის, რომ ჩადენილი ეღიარებინა. მთელი ამ დროის მანძილზე გამომძიებელი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ბოლოს შალვა ალაპარაკდა. მან თავისი ცოლი დაადანაშაულა იმაში, რომ მან ხელი შეუწყო ნათელასთან მისი ურთიერთობის გამწვავებას. მან დაადანაშაულა ნათელა იმაში, რომ ის შეურაცხყოფას აყენებდა მამინაცვალს და

არაფრით თმობდა თავის პოზიციას. მან თქვა, რომ ის ეჩხუბებოდა მას, რაც იმით დამთავრდა, რომ ხელებით ყელში სწვდა გოგონას და სანამ მიხვდებოდა ამას, ის უკვე მკვდარი იყო. მან თავისი მანქანა ხიდთან მიაყენა, რომელზეც ტრანსპორტი ნაკლებად მოძრაობდა. გადმოიღო ნათელას სხეული მანქანიდან და ხიდიდან მღვრიე მდინარეში გადააგდო. შემდეგ მან თავიდან მოიცილა გოგონას პირადი ნივთები, რათა სახლიდან გაქცევის შთაბეჭდილება შეექმნა. თვეების შემდეგ სხეული წყალმა ნაპირზე გამორიყა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ის ნათელა იყო.

დასასრულს შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: - შალვამ იმიტომ აღიარა ჩადენილი, რომ გამომძიებელმა მას შესაძლებლობა მისცა თავმოყვარეობა შეენარჩუნებინა. მოცემულ შემთხვევაში გამომძიებელმა შესანიშნავად გამოიყენა ,,გამართლების'' მექანიზმი და შალვას საშუალება მისცა თავისუფლად მოეთხრო მომხდარი. მან რაციონალიზაცია გაუკეთა შალვას ქცევას და ყურადღება გაამახვილა სტრესსა და დაძაბულობაზე მის სახლში. ბრალი დასდო ნათელას დედას და თავად ნათელას, შეამცირა დანაშაული და მკვლელობას უწოდა არა წინასწარ განზრახული, არამედ შესთავაზა სხვადასხვა მიზეზები, რათა აღიარება გაეკეთებინა. მან უთხრა შალვას, რომ არჩევანის გაკეთება და მისი ბედის გადაწყვეტა მხოლოდ მის ხელთ იყო. ,,რბილი'' და ,,მკაცრი'' მიდგომის საშუალებით გამომძიებელმა შეძლო შალვას ნდობის მოპოვება და ამით მან შეძლო დაერწმუნებინა, რომ სიმართლე ეთქვა. გამომძიებლის მაგიურმა სიტყვებმა და მათი გამოყენების ეფექტურმა სტილმა აღიარებამდე მიიყვანა ის.

ეჭვმიტანილები თავიანთ საიდუმლოებებს ადვილად არ ამხელენ. მათი დარწმუნება, რომ აღიარონ თავიანთი კავშირი დანაშაულთან, სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებას მოითხოვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამომძიებლები, რომლებსაც შეუძლიათ რაციონალიზაცია გაუკეთონ ეჭვმიტანილის ქცევას, ბრალი დასდონ სხვას ან სხვა მოვლენას, შეამცირონ დანაშაული და წარუდგინონ მათ მიზეზები, რათა აღიარონ ჩადენილი, აღიარების მისაღებად უკვე სწორ გზაზე დგანან.

4. აღიარების მიღების თავისუფლება (სიცრუე, დაპირებები ან მუქარა).

აღიარება ისეთი მტკიცებულებაა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე ეფექტურად გამოიყენება განსასჯელის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ აღიარება დასაშვები იყოს, ის კანონის მოთხოვნათა დაცვით უნდა იქნეს მიღებული და ნებაყოფლობით გაკეთებული. ამასთანავე დაცული უნდა იყოს დანაშაულში

მხილებული პირის კონსტიტუციური უფლებები. თუ აღიარება მიღებულია დანაშაულში მხილებული პირის ნების (უფლებების) დარღვევის გზით, მას, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად დაეკარგება მტკიცებულების ძალა.

ზოგიერთი ქვეყნის სასამართლომ შესაძლოა დაუშვას (დასაშვებად ჩათვალოს) პოლიციის ან გამომძიებლის მიერ ტყუილის, დაპირების ან მუქარის ლიმიტირებული გამოყენება. თუმცა ჩვენი კანონმდებლობა ამას საპროცესო კანონმდებლობის დარღვევად თვლის. ამ თავში განვიხილავთ თუ ტყუილის, დაპირების ან მუქარის რა ხარისხმა შეიძლება გავლენა მოახდინოს აღიარების თავისუფლებაზე (ნებაყოფლობაზე).

ეჭვმიტანილის ,,ალაპარაკება'' (აღიარების მიღება) დაკითხვის დროს, გამოყენებულ ტაქტიკაზეა დამოკიდებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოყენებული ტაქტიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ზღუდავდეს დასაკითხის ნებას. სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ყველა ეჭვმიტანილი ერთნაირად არ აღიქვამს მუქარის შემცველ დაკითხვის ტაქტიკას. თუმცა, ზოგ შემთხვევაში დაკითხვის ადრინდელმა ჩვეულმა ტაქტიკამ შესაძლოა, მართლაც შეზღუდოს ეჭვმიტანილის ნება. გამოცდილმა გამომძიებლებმა შესაძლოა გამოიყენონ ტაქტიკის ისეთი სახეები, რომლებიც მათი დაკითხვის არსენალში არსებობს, ასევე შეარჩიონ და გამოიყენონ ისეთები, რომლებიც უკეთესი შედეგის მომტანია (რა თქმა უნდა ეჭვმიტანილისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით).

იმ პოტენციურად საშიში დაკითხვის ტაქტიკის გამოყენებამდე, როგორიცაა ტყუილები, დაპირებები და მუქარა, დამკითხველმა უნდა შეისწავლოს პიროვნების მახასიათებელი ნიშნები (ასაკი, განათლება, გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონე), რადგანაც სწორედ ისინი ახდენენ გავლენას იმაზე, იმოქმედებს თუ არა ეჭვმიტანილზე ასეთი ტაქტიკა და ,,აალაპარაკებს'' თუ არა მას. აღსანიშნავია, რომ გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებმა შესაძლოა შეალამაზონ აღიარება. გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ეს და არ უნდა გამოიყენოს მათი ნაკლი იმისათვის, რათა დაძლიონ მათი თავისუფალი ნება.

სანამ დამკითხავებს არ გააჩნიათ კონტროლი პიროვნების მახასიათებელ ნიშნებზე (პიროვნულ თავისებურებებზე), მათ შესაბამისად არ გააჩნიათ კონტროლი იმ გარემოზე, სადაც დაკითხვა მიმდინარეობს და ასევე დაკითხვის დროს გამოყენებულ

ტაქტიკაზე. ამიტომაც ეჭვმიტანილების დაკითხვის დროს, გამომძიებლებმა მათი პიროვნების შესახებ იმდენი რამ უნდა შეიტყონ, რამდენიც შესაძლებელია და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეარჩიონ დაკითხვის დროს გამოსაყენებელი ტაქტიკური ხერხები, რომელთა საშუალებით, ისინი შეძლებენ დასაკითხის დარწმუნებას, აღიარონ ჩადენილი და თანაც ისე, რომ არ შეზღუდონ ეჭვმიტანილის თავისუფალი ნება.

ტყუილებისა და ხრიკების გამოყენება ყოველთვის არ ითვლება დაუშვებლად. თუმცა დაკითხვის დროს გამოყენებულ ტაქტიკურ ხერხებს, შემდგომში, უკვე სასამართლო საქმის ყველა გარემოებების გათვალისწინებით ადვოკატები გულდასმით ამოწმებენ. მართალია, კონკრეტულ შემთხვევებში ტყუილი შესაძლოა კანონიერადაც იყოს გამოყენებული, თუ იგი მთლიანად გავლენას არ მოახდენს ჩადენილის აღიარების თავისუფლებაზე. ასევე გამომძიებელი უნდა მოერიდოს ისეთ ხრიკებს, რომლებიც ეჭვმიტანილს უარს ათქმევინებს საპროცესო კოდექსით მინიჭებულ უფლებებზე, ნებაყოფლობაზე.

გავლენის მიხედვით ტყუილი შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: ა. ტყუილი, რომელიც ეჭვმიტანილს აკავშირებს დანაშაულთან, რომელიც გარკვეულწილად დასაშვებია და ბ. ტყუილები და გარკვეული ხრიკები, რომლებიც წარმოადგენენ სიყალბეს.

ა. ტყუილი, რომელიც ეჭვმიტანილს აკავშირებს დანაშაულთან. სასამართლოთა უმეტესობა დასაშვებად მიიჩნევს გამომძიებლის მიერ გამოყენებულ ისეთ ტყუილს, როგორიცაა ეჭვმიტანილის წინააღმდეგ გამოსაყენებელი მტკიცებულებების უბრალოდ გაზრდა, რადგანაც ისინი ზეგავლენას არ ახდენენ მთლიანად დასაკითხის ნებაზე (ანუ მის არჩევანზე აღიაროს თუ არა ჩადენილი). ტყუილებს, რომლებიც ეჭვმიტანილებს აკავშირებს დანაშაულთან, არ მიჰყავს ისინი საკუთარი ნების წინააღმდეგ, რათა აღიარონ დანაშაული. ანუ ეჭვმიტანილისათვის იმის გაცხადება, რომ პოლიციას საკმარისი მტკიცებულებები აქვს შეგროვილი, რომლებიც მის დანაშაულში მონაწილეობას ადასტურებს, არ ჩაითვლება უკანონოდ, თუნდაც პოლიციას, სინამდვილეში, არ გააჩნდეს საკმაო რაოდენობის მტკიცებულება.

ასევე უკანონოდ არ ჩაითვლება, თუ გამომძიებელმა ეჭვმიტანილს განუცხადა, რომ აქვს დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დასაკითხის მანქანა შენიშნეს

იმ ადგილზე, სადაც მკვლელობა მოხდა და ამიტომ მან აუცილებლად უნდა ახსნას, რატომ იყო მისი მანქანა იქ. ამის მსგავსად ეჭვმიტანილისათვის იმის გაცხადება, რომ ის დაზარალებულმა ამოიცნო, ან ვითომდა მისი თითის ანაბეჭდები შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინეს, არ იწვევს მიღებული აღიარების უკანონოდ ცნობას. ასე რომ ტყუილები, რომლებიც ეჭვმიტანილს დანაშაულთან აკავშირებს და მათი საშუალებით მიღებული აღიარება, არ ნიშნავს იმას, რომ კანონი დაირღვა.

ბ. სიყალბის შემცველი, უსაფუძვლო ტყუილები. სიყალბის შემცველი, უსაფუძვლო ტყუილებით მიღებული აღიარება, შესაძლებელია, სასამართლომ უკანონოდ სცნოს და არ მიანიჭოს მტკიცებულების ძალა.

მაგალითად; საქმის მსვლელობისას გამომძიებელმა უთხრა ეჭვმიტანილ ქალს, რომ მას მშობლის უფლებებს ჩამოართმევდნენ, თუკი დანაშაულს არ აღიარებდა. სამაგიეროდ შესთავაზა, რომ აღიარების გაკეთების შემთხვევაში დაეხმარებოდა მას და ამ საშიშროებას თავიდან ააცილებდა. ამით გამომძიებელმა შეზღუდა ქალის თავისუფალი არჩევანი, რადგან მან გამოიყენა ისეთი ტყუილი, რომელიც შეიცავს მართალია უსაფუძვლო, ფუჭ, მაგრამ მაინც მუქარას. მან გვერდი აუარა ისეთ ტყუილს, რომელიც აკავშირებდა ეჭვმიტანილს დანაშაულთან (იმის თქმა, რომ საკმაო მტკიცებულებები გააჩნია გამოძიებას მის დანაშაულში სამხილებლად).

დაკითხვისას გამომძიებელმა რამოდენიმეჯერ გაუმეორა ეჭვმიტანილს, რომ მას შეუძლია დაკითხვის დროს დაისწროს დამცველი ან ითანამშრომლოს გამოძიებასთან და არა ორივე ერთად. ასევე უთხრა, რომ თუ კი ის დაკითხვაზე დამცველის დასწრებას მოითხოვდა, ეს პერმანენტულად ხელს შეუშლიდა თანამშრომლობას. ამ განცხადებამ ეჭვმიტანილის გონებაში დაბადა აზრი, რომ აუცილებლად იმ მომენტში უნდა ეღიარებინა დანაშაული და სხვა დროს თანამშრომლობას უკვე აღარ ექნებოდა საჭირო ეფექტი. ამ დროს, შეიძლება ითქვას, რომ დასაკითხის მიერ ჩადენილის აღიარება შედეგი იყო იმ უსაფუძვლო ტყუილისა, რომელმაც შეზღუდა მისი თავისუფალი ნება და ამდენად აღიარება არ იყო ნებაყოფლობითი.

ასევე არ არის მიზანშეწონილი ტყუილი, როცა გამომძიებელი ეუბნება ეჭვმიტანილს, რომ თუ ის ჩადენილს არ აღიარებს, ეს უარყოფით შედეგს მოუტანს სხვებს. მაგალითად, ერთი საქმის დროს გამომძიებელმა ეჭვმიტანილს უთხრა, რომ მისი

მეგობარი, რომელიც პოლიციის აკადემიაში მუშაობდა დაკარგავდა სამუშაოს, თუ ის ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებდა.

ასეთი სიყალბის შემცველი, უსაფუძვლო ტყუილებით მიღებული აღიარება, შესაძლებელია სასამართლომ არა ნებაყოფლობითად ჩათვალოს და საქმის განხილვის დროს მას მტკიცებულობის ძალა არ მიანიჭოს.

სასამართლომ, საქმის განხილვის დროს, ყველა გარემოების გათვალისწინებით არანებაყოფლობითად ჩათვალა ეჭვმიტანილის მიერ აღიარებული დანაშაული, რადგან მას საფუძვლად ედო გამომძიებლის დაპირება, რომ მას თავისუფლების აღკვეთის ადგილას სხვა ტუსაღებისაგან განცალკევებით მოათავსებდნენ. სასამართლომ ჩათვალა, რომ დაპირება ქვეშინაარსში შესაძლო ფიზიკური ძალადობის მუქარას შეიცავდა, სწორედ ამიტომ სცნო სასამართლომ აღიარება არანებაყოფლობითად. შესაძლოა, ზოგიერთმა სასამართლომ დასაშვებად ჩათვალოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დაპირება და პირიქით, შესაძლოა მიუღებლად ჩათვალოს ისეთი დაპირება, რომლებიც შემდეგ ფაქტორებს ეხება:

1. თუ გამომძიებლის დაპირება აღიარების ძირითადი მიზეზია;
2. თუ დასაკითხს სჯერა დაპირებისა აღიარების გაკეთების დროს;
3. თუ დაპირება შესრულებულია;
4. თუ დაპირება ეჭვმიტანილისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებების გაცნობის შემდეგ მოდის;
5. თუ პასუხისგებაში მიცემული პირი მოითხოვს დაპირებას;
6. თუ პასუხისგებაში მიცემულ პირს სჯერა, რომ დამპირებელს აქვს საჭირო ძალაუფლება და ავტორიტეტი იმისათვის, რომ დანაპირები შეასრულოს.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებლის ნათქვამი ყოველთვის არ არის ,,დაპირება''. იმის გადასაწყვეტად, ნებაყოფლობითია თუ არა აღიარება, საჭიროა ვიცოდეთ, რომ დაპირება არის მომავალში რაიმე მოქმედების შესრულების, ან მისგან თავის შეკავების შეთავაზება, რომელიც განსაზღვრულ გავლენას მოახდენს დასაკითხზე.

გამომძიებელს შეუძლია თანაუგრძნოს დასაკითხს ან აუხსნას მას, რომ სიმართლის თქმა, შესაძლოა, ყველაზე უკეთესი პოლიტიკა იყოს დამნაშავისათვის. ასეთ ნათქვამს შეუძლია გარკვეული როლი ითამაშოს დანაშაულის აღიარების გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ იმდენად, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება მთლიანობაში

მაინც დასაკითხზეა დამოკიდებული, გაკეთებული აღიარება ნებაყოფლობითად შეიძლება ჩაითვალოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ის გარემოება, როდესაც გვინდა გადავწყვიტოთ, არღვევს თუ არა საპროცესო ნორმებს გამომძიებელი, რომელიც ეჭვმიტანილს ლმობიერებას ჰპირდება, განსხვავებით დაპირებისაგან, რომელიც უბრალოდ დასაკითხში იმედის გაჩენას იწვევს. საერთოდ შინაგანად წარმოშობილი რწმენა და იმედები არ მოქმედებენ მიღებული აღიარების კანონიერებაზე, მაგრამ როდესაც აღიარება კეთდება გამომძიებლის მიერ ლმობიერების დაპირების საფუძველზე, გაკეთებული აღიარების ნებაყოფლობითობაზე ლაპარაკი უკვე აღარ არის. ამიტომ გამომძიებლები უნდა მოერიდონ დაპირებებს სასჯელის შემცირების თაობაზე. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეჭვმიტანილში უბრალოდ იმედის ჩასახვა ლმობიერების, ანუ პასუხისმგებლობის შემცირების დაუპირებლად, საკმარისად არ არის მიჩნეული იმისათვის, რომ ამან აღიარების ნებაყოფლობითობაზე ზეგავლენა მოახდინოს.

ამავე დროს გამომძიებლის დაპირება, ეცნობოს თანამშრომლობის შესახებ ,,ხელისუფლებას'', საჭიროებს შემოწმებას და იმის დადგენას აღნიშნული დაპირების საშუალებით მიღებული აღიარება ნებაყოფლობითია თუ არა. მაგალითად, თუ გამომძიებელი განუცხადებს ეჭვმიტანილს, რომ მისი გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ ეცნობება პროკურორს, სასამართლოს, მაგრამ სასჯელის დაკლების გარანტიას არ მისცემს და ასევე განუცხადებს, რომ ის ეჭვმიტანილები, რომლებიც გამოძიებასთან თანამშრომლობენ ,,უკეთეს სასჯელს'' იღებენ, ასეთი ნათქვამი კანონსაწინააღმდეგო არ არის. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ გამომძიებელმა ეს იმგვარად არ უნდა გააკეთოს, რომ დასაკითხს შთაბეჭდილება დარჩეს თითქოს თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამომძიებელი უფლებას იტოვებს ესეც შეატყობინოს პროკურორს. ეს უკვე მუქარის შინაარსს ატარებს და მიუღებლად ითვლება.

უმეტესი სასამართლოები ერთმანეთისაგან ასხვავებენ ეჭვმიტანილისათვის პასუხისმგებლობის შემცირების (ლმობიერების) დაპირებას და ისეთ დაპირებას, რომელიც პარალელურ, მეორეხარისხოვან დახმარებას გულისხმობს, რაც ნაკლებად ახდენს გავლენას აღიარების ნებაყოფლობითობაზე. მაგ:

1. დაპირება, რომ გაათავისუფლებენ დასაკითხის მეგობარ გოგონას, ძმას და ა.შ. თუ ისინი უდანაშაულონი არიან.
2. დაპირება, რომ პასუხისგებაში არ მისცემენ დასაკითხის შვილს, თუ მის მიერ აღიარებული ფაქტები შვილის უდანაშაულობაზე ლაპარაკობს (თუმცაღა ეს უკანასკნელი დანაშაულის შესახებ საქმის კურსში იყო).
3. დაპირება, რომ დაუნიშნავენ მკურნალობას ნარკომანიისაგან განსაკურნავად ან ალკოჰოლიზმისაგან გასათავისუფლებად.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ დაპირებებს სასამართლო დასაშვებად ცნობს, ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა შემთხვევაში. აღიარების ნებაყოფლობითობა განსაკუთრებული საკითხია და ამას სასამართლოები ყველა კონკრეტული საქმის დროს გულდასმით ამოწმებენ, მხედველობაში იღებენ საქმის ყველა გარემოებას. უმეტესი სასამართლოები არანებაყოფლობითად მიიჩნევენ შემდეგნაირი დაპირებებით მიღებული აღიარებებს: დაპირება, რომ დაიცავენ პასუხისგებაში მიცემულ პირს, დაპირება, რომ დაიცავენ პასუხისგებაში მიცემული პირის ოჯახს და ოჯახის წევრებს, დაპირება, რომ არ დააპატიმრებენ დასაკითხს და ა.შ.

საერთოდ დაუშვებელია მუქარის გზით აღიარების მიღება. ამ შემთხვევაში ლაპარაკიც კი ზედმეტია მის ნებაყოფლობითობაზე, მაგრამ ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ გამომძიებლის მუქარას არავითარი კავშირი არა აქვს დასაკითხის მიერ აღიარების გაკეთების გადაწყვეტილების მიღებასთან, მაშინ აღიარება დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს.

უმეტესი სასამართლოები თვლიან, რომ მუქარა შესაძლო ფიზიკური ძალადობის შესახებ და მისი საშუალებით მიღებული აღიარება არანებაყოფლობითია. ერთ-ერთმა სასამართლომ არანებაყოფლობითად ჩათვალა დასაკითხისაგან მიღებული აღიარება, რადგანაც დამკითხავმა ფიზიკური ძალადობა გამოიყენა დაპატიმრებულ პირთან მიმართებაში, ხოლო დასაკითხს საფუძვლიანი შიში გაუჩნდა, რომ მის მიმართაც იგივე განხორციელდებოდა, თუ არ აღიარებდა ჩადენილს. მუქარა იმის შესახებ, რომ დასაკითხი დამატებით ან უფრო მკაცრ სასჯელს დაიმსახურებს (და ასე მიღებული აღიარება) ყოველთვის არ შეიძლება ცნოს სასამართლომ დაუშვებლად.

ჩვეულებრივ მიუღებლად ითვლება ისეთი აღიარება, რომელიც დასაკითხმა გააკეთა იმის გამო, რომ მას გამომძიებელი დაემუქრა: თუ არ აღიარებდა დანაშაულს, მას დააპატიმრებდა და პასუხისგებაში მისცემდა მის ნათესავს ან მეგობარს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ფაქტები, როდესაც დასაკითხს ახლობლის დახმარების სურვილი უჩნდება და ეს უკეთებს მოტივაციას მას, რომ აღიაროს ჩადენილი. მსგავსი შემთხვევა თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომლის საფუძველზეც სასამართლომ აღიარება შესაძლოა არანებაყოფლობითად ჩათვალოს .

და ბოლოს, მუქარა, რომელიც ნორმალური ოჯახური ურთიერთობის გაფუჭებას ეხება სასამართლოების მიერ, ძლიერ საშიშად ითვლება და ჩვენების გამოძალვად კვალიფიცირდება. მაგალითად: არანებაყოფლობითად ჩაითვლება აღიარება, თუ დამკითხავი დასაკითხ ქალბატონს განუცხადებს, რომ თუ ის უარს იტყვის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, შვილებს ჩამოაშორებენ და მათ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ გადაიყვანენ. ანდა გამოტეხვის მიზნით თუ განუცხადებს, რომ ის ვერ ნახავს თავის მცირეწლოვან შვილს დიდი ხნის მანძილზე, რადგანაც მას გარკვეული დროის გატარება ციხეში მოუწევს. ამ შემთხვევაში გამომძიებელი იყენებს დედის ინსტინქტს, რის საშუალებითაც იღებს აღიარებას. რა თქმა უნდა, ასეთი ხერხით მიღებული აღიარება არანებაყოფლობითია.

დასასრულს შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა: კანონმდებლობა აცხადებს, რომ ,,დანაშაულის ჩამდენის მიერ ბრალის აღიარება დიდმნიშვნელოვანი და სასურველია, თუ ისინი დასაშვები და არა საშიში გზითაა მიღებული''. საერთოდ, არარეალური იქნება დავასკვნათ, რომ ეჭვმიტანილების უმრავლესობა, უბრალოდ, გამოგვეცხადება ბრალის აღიარებით, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც ვხედავთ, გამომძიებელს უამრავი შესაძლებლობა გააჩნია, რათა განსაზღვროს და აირჩიოს სტრატეგია ეჭვმიტანილის დაკითხვისათვის.

იმდენად, რამდენადაც კანონმდებლობა მისაღებად თვლის მხოლოდ იმ ტაქტიკურ ხერხებს, საგამოძიებო ეშმაკობებს, რომლებიც არ ზღუდავენ ეჭვმიტანილის თავისუფალ ნებას, გამომძიებლებმა ფრთხილად უნდა შეარჩიონ ისინი, დასაკითხი პიროვნების თავისებურებების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებლის მიერ გამოყენებული ხერხები, რომლებიც კანონმდებლობის მიერ დაუშვებლადაა ცნობილი, არ თამაშობენ ძირითად როლს აღიარებისას, მიღებული

ჩვენება სასამართლოს მიერ შესაძლებელია ნებაყოფლობითად იქნას მიჩნეული, რა თქმა უნდა, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

მაგრამ მაინც უკეთესი იქნება გამომძიებლებმა დაკითხვის მომზადებისას რჩევები მიიღონ თავიანთი მეგობარი გამოცდილი კოლეგებისაგან იმის თაობაზე, ხომ არ გამოიწვევს მათ მიერ გამოყენებული გარკვეულწილად ,,საშიში'' დაკითხვის ტაქტიკა, (რომელიც მოიცავს ტყუილს, დაპირებას და მუქარას), მიღებული აღიარების არანებაყოფლობითად ცნობას სასამართლოს მიერ.

ტყუილის მოსმენა და მისი გაშიფვრა, განსაკუთრებით ეჭვმიტანილისაგან, გარკვეულ ხელოვნებას მოითხოვს, ამიტომ დამწყები გამომძიებლებისათვის და არა მარტო მათთვის, ამერიკელმა მეცნიერმა უორენ ჰოლმსმა შეიმუშავა მატყუარებთან ურთიერთობის გარკვეული სქემა, რომელის ცოდნაც სასარგებლო იქნებოდა გამომძიებლებისათვის.

ა. კითხვები, რომლებიც საკუთარ თავს უნდა დაუსვას დამკითხავმა, როდესაც ეჭვმიტანილის მონათხრობს უსმენს:

1. სუბიექტი ლეგალურ უდანაშაულობას ამტკიცებს, მაგალითად, ,,მათ არ ჰქონდათ უფლება ჩემს სახლში ყოფილიყვნენ'', იმის მაგივრად, რომ ამტკიცოს აბსოლუტური უდანაშაულობა, ,,მე არ გამიკეთებია ეს''. ასე იმიტომ იქცევა, რომ რაღაც არგუმენტით თავს უფრო კომფორტულად გრძნობს;
2. მონათხრობი შეესაბამება თუ არა შესაძლებლობის ანუ ალბათობის კანონებს? მაგალითი: დაცვის თანამშრომელს ბრალად ედება ფირმაში მომუშავე ქალბატონის შეწუხება სექსუალურ ნიადაგზე. თავის მხრივ, ის ბრალს სდებს ამ ქალბატონს უკანონო ქმედებაში (დავუშვათ, ნარკოტიკების შენახვაში). უთხრა კი ამის შესახებ დაცვის თანამშრომელმა თავის კოლეგებს, სანამ თვით მას დასდებდნენ ბრალს ზემოხსენებულ ქმედებაში? თუ არა, მაშინ ის ცრუობს. მას აუცილებლად მოუნდებოდა თავის გამოჩენა და სამსახურეობრივ ასპარეზზე წინ წაწევა;
3. რაზეა მონათხრობში ყურადღება გამახვილებული? ინციდენტის პერიფერიაზე თუ მის შუაგულზე? თუ ეჭვმიტანილის აქტივობა დეტალურად არის გადმოცემული დანაშაულის ჩადენამდე და მისი ჩადენის შემდეგ, ხოლო თავად

დანაშაულის მომენტზე ინფორმაცია მწირია - ფრთხილად იყავით, ეს უკვე სიცრუეზე მიუთითებს;

4. მონათხრობი მწირია თუ მრავლისმომცველი? მატყუარა დაცვისათვის მცირე დეტალებს იძლევა, მართალი პიროვნება კი დეტალურად აანალიზებს ინციდენტს, გრძნობებით გადმოსცემს მას და ხელახლა განიცდის მომხდარ ფაქტს;
5. იყენებს თუ არა ეჭვმიტანილი დასარწმუნებლად შემდეგნაირ ფორმულირებებს: ,,მე ისედაც ბევრი ფული მაქვს, რატომ გავაკეთებდი ამას?'', ,,მე არ გავაუპატიურებდი იმ ქალს, ოჯახის პატრონი ვარ. სახლში ბევრი საქმე მაქვს''. უფრთხილდით იმათ, ვინც გადამეტებულად ხმარობს ასეთ ფორმულირებებს, იმისათვის, რომ თავის უდანაშაულობაში დაგვარწმუნოს;
6. იძლევა თუ არა დასაკითხი ინციდენტის დეტალებს, რომლებიც მის მონათხრობს დამაჯერებლობას მატებს? მაგალითი: მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოწმე ამბობს, რომ მან დაინახა მკვლელი, რომელიც ნიღბით იყო და მეტი არაფერი, - ეს ტყუილის შემთხვევაში. მართალი კი დეტალურად აღწერდა სავარაუდო მკვლელის ჩაცმულობასაც;
7. გადმოსცემს თუ არა ეჭვმიტანილი გრძნობებს, როდესაც ყვება ისტორიას? მაგალითი: უდანაშაულო ამბობს: ,,მე მთელი ღამე ვერ დავიძინე და ჩემს მეუღლესთან ვსაუბრობდი ამის შესახებ''. დამნაშავე კი კითხვაზე: ,,როგორ ფიქრობ, რა მოხდა?'' - პასუხობს ,,არ ვიცი''. უდანაშაულო ჰიპოთეზებს (ვერსიებს) წამოაყენებს, დამნაშავე კი - არა;
8. ერიდება პიროვნება უსიამოვნო სიტყვებს? მაგალითი: სეიფიდან დაიკარგა ფული, უფროსი ახსნა-განმარტებას ითხოვს მომსახურე პერსონალისაგან. ყურადღებით დააკვირდით იმათ, ვინც ერიდება ისეთი სიტყვების თქმას, როგორიც არის ,,ქურდობა'', ,,მოპარული'', და ა.შ. მათ მაგივრად ამბობს ,,დაკარგული'', ,,დაიკარგა'', ,,გაქრა'' და ა.შ.
9. უმატებს თუ არა ეჭვმიტანილი თავის მონათხრობს რაიმე ალიბს?. მაგალითი: ,,სხვათა შორის, მე მთელი ღამე სახლში ვიყავი'', ,,მე ადრე წამოვედი იქედან'' - სავარაუდოდ იგი ცრუობს;
10. გამოტოვა თუ არა ეჭვმიტანილმა რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ადრე ვინმესთან დაასახელა? ამ შემთხვევაში, მან შესაძლოა, ნაკლი შენიშნა და მის დაფარვას ცდილობს;

11. გეუბნებათ ეჭვმიტანილი თუ რატომ არ ჩაიდენდა დანაშაულს? ,,ეს რომ ჩამედინა, შევრცხვებოდი'', ,,საზოგადოებაში თავს ვერ გამოვყოფდი'' და ა.შ. - თქვენ ეს ინტუიციის საშუალებით უნდა გაიგოთ. შესაძლოა იგი ცრუობდეს;
12. ცვლის ეჭვმიტანილი მონაყოლის მნიშვნელოვან ნაწილს? თუ იგი თხრობისას ნაწილობრივ იტყუება, ან ცვლის ჩვენებას და ამას თქვენს მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამო აკეთებს, მაშინ ის მთლიანობაშიც ტყუილს ამბობს;
13. აბრალებს ეჭვმიტანილი დანაშაულს მთელ სამყაროს? მაგალითი: ,,მე სეიფი ღია დავტოვე'' - ე. ი. მთელ მომუშავე პერსონალს ეჭვის ქვეშ აყენებს;
14. აცხადებს ეჭვმიტანილი ისეთ რამეს, რითაც სურს თავიდან აიცილოს დამნაშავედ ყოფნის შესაძლებლობა? მაგალითი: ,,მე ვერ ჩავიდენდი ამას, მე იმ ადგილს ახლოსაც არ გავკარებივარ''. თუმცა კი მისი სამსახური იმ ტერიტორიასთან ახლოს არის;
15. რაც არ თქმულა, ზოგჯერ ის უფრო მნიშვნელოვანია? მაგალითი: მკვლელობაში ეჭვმიტანილი იკითხებოდა უგზო - უკვლოდ დაკარგული კაცის თაობაზე, მაგრამ ეჭვმიტანილს დაკითხვის დროს არასოდეს დაუშვია მკვლელობის შესაძლებლობა - სავარაუდოდ, ის რაღაცას მალავს;
16. აყენებს თუ არა ეჭვმიტანილი დანაშაულის შესახებ რაიმე თეორიებს? თუ არა - ყურადღებით იყავით! დამნაშავეს არ სურს სპეკულაცია, იგი უარს აცხადებს მოსაზრების გამოთქმაზე - მან იცის რაც მოხდა;
17. როგორ ყვება პიროვნება მომხდარ ფაქტს? უდანაშაულოები გულახდილები არიან, არ ერიდებიან პირდაპირ თვალის კონტაქტს, იყენებენ აშკარა აღწერილობით ფრაზებს და ცდილობენ გამოავლინონ შეუსაბამობები.

ბ. დაცვის მექანიზმი

1. მტრობა - იგი ყველაზე მეტად გამოიყენება. შესაძლებელია თვით უდანაშაულომაც კი გამოავლინოს მტრული დამოკიდებულება დაკითხვის დასაწყისში, მაგრამ ეს მალევე ქრება (განუმარტავენ დაკითხვის აუცილებლობას, მისი ჩვენების მნიშვნელობას და ა.შ.). დამნაშავე კი მთელი დაკითხვის მანძილზე ამით თავის დაცვას განაგრძობს;
2. თავგზის აბნევა - ბრალს სდებს ყველას;
3. რაციონალიზაცია - ,,მოხარული ვარ, რომ ვიღაცამ ფული მოიპარა, მას ასე მოუხდება'', ,,ზოგიერთი ადამიანი იმსახურებს სიკვდილს'', და ა. შ.

გ. მატყუარების დამახასიათებელი ნიშნები

1. მატყუარები მესამე პირში საუბრობენ, ,,მე თქვენ გეუბნებით, ნოდარი პატიოსანი ადამიანია''';
2. მატყუარები ახლოს მიდიან სიმართლესთან (შიშის არარსებობა რომ დაგანახონ);
3. დახელოვნებული მატყუარები აღნიშნავენ ყველაფერს, რისი დამტკიცებაც შეგიძლიათ და მეტს არაფერს;
4. მატყუარები ცდილობენ გამომძიებლებში აღძრან დამნაშავის გრძნობა და აფიქრებინონ, რომ ის ცდება - ,,თქვენ არ იცით რას ნიშნავს, როდესაც ტყუილად ბრალს დაგდებენ'';
5. დააკვირდით ხასიათის ცვლილებებს, დამნაშავე განწყობის შკალაზე ხან ზევით ავა, ხან ქვევით ჩამოვა - გამომძიებლის გადაწყვეტილებაზე, რომ გადაამოწმოს მისი ჩვენება, მან შეიძლება იყვიროს (იტიროს), ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ისე მოიქცეს თითქოს არაფერი გაეგოს და არაფერი მომხდარა.
6. მატყუარა შეეცდება ინფორმაციის მისაღებად დამკითხავს სხვა წყაროზე მიუთითოს: - ,,შეამოწმეთ პოლიციის ჩანაწერები, მე მათ ეს ინფორმაცია გუშინ მივეცი.''
7. მატყუარები გამოიყენებენ ,,გზის აბნევის'' ტექნიკას იმისათვის, რომ ყურადღება გადაიტანონ სხვა რამეზე, როგორიცაა, მაგალითად, საქმის წარმოების კანონიერ მხარეებზე საუბარი და არსებით მხარეებზე მოყრუება.
8. მატყუარები შეეცდებიან მოწმის დისკრეტიზაციას მაგ: ,,ის მსუბუქი ყოფაქცევის ქალია და თან ნარკომანიც, რატომ უჯერებთ მას?'' ის ცდილობს დაგარწმუნოთ მოწმის უვარგისობაში;
9. მატყუარები მოკლედ გიცხადებენ ,,ოჰ, თქვენ ვერ გამიგებთ'';
10. დადანაშაულებისას მატყუარები ცდილობენ დაგარწმუნონ უდანაშაულობაში, ,,უდანაშაულო'' ცოტა ხანში გაბრაზდება; თქვენ დამნაშავეს ვერ გაანაწყენებთ, მან იცის, რომ თქვენ სიმართლეს ამბობთ.

დ. საქციელის სტილის შემოწმება, ისევე როგორც შინაარსის

1. ამბობს თუ არა ის ყველაფერს? - ,,ეს არ მახსოვს'', ,,ამას არ დავკვირვებივარ'' და ა.შ.

2. ცდილობს თუ არა დროის გაყვანას? - ,,ვერ გავიგე.'', ,,თუ შეიძლება კითხვა გამიმეორეთ.'', ,,ვიყავი თუ არა მე იქ.'' და ა.შ.
3. აკეთებს თუ არა შემოტევით ფორმულირებებს იმისათვის, რომ თქვენ თავდაცვაზე გადაგიყვანოთ? - ,,მე რატომ უნდა ვყოფილიყავი?'', ,,თქვენ გინდათ რომ მოვიტყუო?''
4. არბილებს თუ არა ის თავის ნათქვამს? - ,,პატიოსნად გეუბნებით'', ,,დედას გეფიცებით'', და ა.შ.

ე. ბოლო თქმა

მას შემდეგ, რაც დამკითხავი მოისმინეს ეჭვმიტანილის მონათხრობს და დარწმუნდება, რომ ის იტყუება (თუმცა ბოლომდე არა არის დარწმუნებული) არ უნდა იჩქაროს საბრალდებო საფეხურზე გადასვლაზე. დაკითხვის წარმატების საიდუმლოება თვით კითხვებშია - უნდა დასვას მეტი შეკითხვა და მიიღებს მეტ პასუხს. ზედაპირული კითხვები ვერ აღმოაჩენენ სიცრუეს, მხოლოდ უწვრილმანესი დეტალები ავლენენ მას. მაგალითად: ,,თქვენ გააღეთ კარები? რომელი ხელით?'' ამ ტიპის შეკითხვები შთაბეჭდილებას მოახდენს უდანაშაულოზე და დარწმუნდება დამკითხავის კომპეტენტურობაში იმდენად, რამდენადაც დაინახავს, რომ მას უმცირესი დეტალიც კი აინტერესებს, ხოლო დამნაშავე ამით დაიბნევა და ხშირ შემთხვევაში რადიკალურად შეცვლის იმ ქცევას, რომელსაც ის მთელი დაკითხვის მანძილზე მიმართავდა. პრობლემები შეიძლება მაშინაც წამოიჭრას, როდესაც კითხვები უკიდურესად მამხილებელია - ეჭვმიტანილმა შეიძლება შეწყვიტოს დაკითხვის პროცესი და უარი განაცხადოს მის გაგრძელებაზე. ამიტომაც არ თქვათ ,,ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ სისულელეს დაგიჯერებ?'' ამის მაგივრად იკითხეთ, ,,რატომ?'', ,,როგორ შეიძლება, რომ ასე ყოფილიყო?'' და ა.შ.

§ 4. ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი

1. ბრალდებული, როგორც დაკითხვის პროცესუალური სუბიექტი. ბრალდებულის ჩვენების არსი და მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფაქტორით, რომ იგი წარმოადგენს პროცესუალური მოქმედების ერთ-ერთ მთავარ სუბიექტს. მოწმე ჩვენებას აძლევს არა თავისი, არამედ სხვისი საქმის ირგვლივ. იგი საქმის საბოლოო

შედეგით არ არის დაინტერესებული, მაშინ როდესაც ბრალდებული გამოძიების დაწყების პირველი წუთიდანვე დაინტერესებულია საქმის ყველა დეტალით, ჩვენებებით და იმ მტკიცებულებების არსებობით, რომელიც დამკითხავს ხელთ აქვს.

ბრალდებულს შეუძლია იმოქმედოს გამოძიების მიმდინარეობაზე, რადგან იგი აღჭურვილია მთელი რიგი პროცესუალური უფლებებით, რომლებიც წარმოადგენს რეალურ გარანტიას - დუმილის უფლება, დაცვის ფუნქციაც, რაც წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საშუალებას წარდგენილი ბრალდების უარსაყოფად, რისთვისაც მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ემუქრება.

ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებულია მისი დაკითხვა. თუ შევადარებთ მოწმის ინფორმაციასთან, რომელმაც იშვიათ შემთხვევებში იცის საქმის ყველა გარემოება და დეტალი, ბრალდებული ეს ის პირია, რომელმაც იცის თუ არა საქმის ყველა გარემოება, მაინც მისი დაკითხვა ხდება საქმის ყველა გარემოების შესახებ. ასეთი დამოკიდებულება ბრალდებულის დაკითხვისადმი აიხსნება იმით, რომ უპირველესად, მას ეძლევა შესაძლებლობა გამოთქვას თავისი შეხედულება, აზრი, წინადადებანი, მომხდარი ქმედების შესახებ და მისცეს ახსნა, საქმის ყველა გარემოებას და ამით სრულად განახორციელოს მისდამი წაყენებული ბრალდებისაგან თავის დაცვა.

მაგრამ ბრალდებულის ჩვენება წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს, რადგან იგი ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. ამიტომ საჭიროა უფრო პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ბრალდებულის დაკითხვას, რათა დავადგინოთ საქმეზე რეალობა.

ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის მომზადების და წარმოების ტაქტიკური ხერხების ძირითადი საკითხები თითქმის ერთი და იგივე ხასიათს ატარებს. მაგრამ მათ შორის არის ერთი განსხვავებული მდგომარეობა. ეს განსხვავება ძირითადად ეხება ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს მისი დაკავების და თავისუფლების აღკვეთის შემდეგ.

ამის მიზეზი ძირითადად არის მისი პატიმრობაში ყოფნა, როცა ბუნებრივია იგი მოკლებულია მრავალ მატერიალურ და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ასეთი მდგომარეობა კი გარდაუვალად იწვევს როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ ტანჯვას. ამას კი შედეგად მოსდევს მძიმე

ფსიქიკური მდგომარეობა, რაც რასაკვირველია დაკითხვის პერიოდშიდაც გამოიხატება ბრალდებულის ქცევებში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ფსიქიკური მდგომარეობანი:

1. ყურადღების გამახვილება, საკუთარი ბედით დაინტერესება, გაკვირვება, გაოცება, შეცბუნება, დაბნეულობა და სხვა;
2. დაძაბულობა, გულმავიწყობა, მოწყენილობა, იმედიანობა და უიმედობა, დაღვრემილობა, დაუცველობა, სასოწარკვეთა და განწირულობა;
3. აქტივობა, მხნეობა, სიმშვიდე, დაჩაგრულობა, დამძიმება, შიში, შეძრწუნება;
4. დაღლილობა, უძლურობა, აპათიურობა, ან პირიქით, აგზნებადობა, აგრესიულობა და ასე შემდეგ;
5. მერყეობა, დაურწმუნებლობა, შეცბუნება, დაბნეულობა, დაძაბულობა და ა.შ.

თითოეულ ფსიქიკურ მდგომარეობას შეესაბამება საწინააღმდეგო მდგომარეობა, რომლის ცვალებადობა ხშირია ბრალდებულებში და მკაფიოდ ვლინდება დაკითხვების წარმოებისას: აქტიურობას უპირისპირდება პასიურობა, რწმენას-დაურწმუნებლობა, გაბედულებას-გაუბედავობა და ა.შ.

უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა ბევრად არის დამოკიდებული მის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანებზე. ზოგიერთი გამომძიებელი, დაკითხვისას ცდილობს შექმნას გაურკვევლობის სიტუაცია ბრალდებულისათვის. ასეთ სიტუაციას, როგორც წესი ვერ უძლებენ მელანქოლური ტემპერამენტის ადამიანები. ისინი ცდილობენ მისცენ სწორი ჩვენება და თუ გამომძიებელი მაინც არ ენდობა მათ ჩვენებებს, მაშინ ისინი მიმართავენ ცრუ აღიარებას, ოღონდაც კი ბოლო მოუღონ გაურკვევლობის მდგომარეობას, ძიების დამთავრებასა და საქმის სასამართლოში გადაცემას, ვინაიდან ამით ბოლო ეღება გაურკვეველ მდგომარეობას, რასაც ასე ძლიერად განიცდიან ისინი. იგივე გაურკვეველი სიტუაცია ასე ძლიერ ზეგავლენას ვერ ახდენს სანგვინიკურ ტიპებზე. ისინი ამ დროს ჩვეულებრივ სიმშვიდეს მაქსიმალურად ინარჩუნებენ, რათა არც ჟესტ-მიმიკით და არც სიტყვით არ გასცენ თავიანთი თავი.

დაკითხვის მიმდინარეობის პერიოდში შესაძლებელია ხასიათობრივი ცვლილებები. არსებულ ფსიქიკურ მდგომარეობასა და წინამორბედ ფსიქიკურ მდგომარეობას

შორის ცვლილება შეიძლება ორგვარი იყოს. ერთ შემთხვევაში არსებული მდგომარეობა იცვლება საპირისპირო მდგომარეობით: ასე მაგალითად, დაძაბულობის მდგომარეობა, რასაც ბრალდებული განიცდის დაკითხვისას, შეიძლება შეიცვალოს განმუხტვით. მეორე შემთხვევაში არსებული ფსიქიკური მდგომარეობა კი არ იცვლება, არამედ ძლიერდება, მაგალითად დროებითი გაბრაზება, რაც წარმოიშვება ბრალდებულსა და გამომძიებელს შორის. თუ დაკითხვისას ბრალდებულის იმედები რაღაცით არ გამართლდა დროებითი გაბრაზება შეიძლება გადაიზარდოს გლობალურ გაბოროტებაში. ბრალდებული ყველაფერზე იწყებს რეაგირებას პრინციპის მიხედვით; ,,სულ ერთია სიმართლეს მაინც ვერ იპოვი, ქვეყნად სამართალი არ არსებობს'' და ა.შ.

ამიტომ თუ ავიღებთ აგზნებადობის საერთო მდგომარეობას დაკითხვის პროცესში, დამკითხავმა უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომელიც გამორიცხავს შემაფერხებელ ანდა დამამუხრუჭებელ პროცესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებული კარგავს თვითკონტროლის უნარს. განსაკუთრებით საშიშია, როცა აგზნებული მდგომარეობა ყველაზე მეტად თვალში საცემია ბრალდებულის დაკითხვის დაწყებამდე. ეს ყველაფერი აიხსნება გამაღიზიანებლების არსებობით, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა, ბრალის დადება, საკანში მდგომარეობა, დროის ნელა გასვლა და ფიქრისათვის დათმობილი ბევრი დრო და სხვა.

იმ ბრალდებულის საერთო ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც პირველად არის ბრალდებულად, განსხვავდება იმათგან, რომელთაც არაერთხელ მოუხდიათ სასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ანუ რეციდივისტისაგან. თუ პირველ შემთხვევაში ფსიქიკური მდგომარეობის ცვალებადობას და აგზნებადობას, გამღიზიანებლის სიახლე და უჩვეულობა იწვევს, მეორეში მდგომარეობის ცვალებადობას და აგზნებადობას არა მარტო გამღიზიანებლის გამეორებითი ზემოქმედება იწვევს, არამედ მას სურვილიც არა აქვს შეაჩეროს თავისი საქციელი. ამის შემდეგ ვითარდება პროცესი, რომელიც არღვევს პიროვნების თვითრეგულაციის პროცესს.

ყველაზე ტიპური ფსიქიკური მდგომარეობა, რაც ყველა ბრალდებულს ერთნაირად ახასიათებს, არის მოლოდინის, იმედის ან უიმედობის, სევდის, მოწყენილობისა და

აპათიის-სასოწარკვეთილების მდგომარეობა. ასევე სუბიექტური დაუცველობის შეგრძნება, რომლის დროსაც იგი მიმართავს თავდაცვით ღონისძიებას - უხეშობას.

უარყოფითი ფსიქიკური მდგომარეობის მოხსნა და დადებითი ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნება დამკითხავებს ხელს შეუწყობს ბრალდებულებთან ურთიერთობაში, მათ დარწმუნებაში, რათა ილაპარაკონ იმ ფაქტებზე, რასაც რეალურად ჰქონდა ადგილი.

2. ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური ხერხები.

ა. ბრალის წაყენება.

ბრალდებულის დაკითხვას ყოველთვის წინ უძღვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა და ბრალის წაყენება. ბრალდებულს ასევე უნდა განემარტოს თავისი უფლება - მოვალეობები და ჩაჰბარდეს მისი უფლება – მოვალეობათა წერილობითი ნუსხა. ბრალდებულის პირველ დაკითხვას ესწრება პროკურორი.

ბრალდებულის დაკითხვა უნდა დაიწყოს იმით, რომ მიეცეს მას საშუალება თავისუფალი თხრობით გადმოსცეს ყველაფერი, მისთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, რის შემდეგაც მისგან მიღებული ჩვენების შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ და გამოვიყენოთ დაკითხვის ის ტაქტიკური ხერხები, როგორც აღწერილი გვაქვს ეჭვმიტანილის დაკითხვის შემთხვევაში.

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილების გაცნობა ბრალდებულში იწვევს მთელ რიგ ემოციურ განცდებს და თავს იჩენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადებით და უარყოფით ემოციებს. დადებითად შეიძლება მიჩნეული იქნეს ის, რომ დაკითხვის მოლოდინში ბრალდებულში წამოიჭრება სურვილი, აღიაროს ჩადენილი დანაშაული და გამოძიებას მისცეს სწორი ჩვენება, თუკი მას ნამდვილად აქვს ჩადენილი იგი. უარყოფითი მხარე გამოიხატება თავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამალვაში, რადგან სჯერა, რომ გამოძიება ვერ დაადგენს ფაქტებს მის მიერ ვითომდა შენიღბულ დანაშაულის მექანიზმის გამო და ამჯობინებს თავის მართლების მიზნით გამოძიებას მისცეს არასწორი ჩვენება და ამ მიმართულებით იგი ქმნის თავის ჩვენების სხვადასხვა მოდელს.

დაკითხვის პირველ ეტაპზე უფრო არის რეალური საშუალება, მიღებულ იქნას ბრალდებულისაგან სწორი ჩვენება რამოდენიმე ეპიზოდში ბრალის წაყენების მეშვეობით, ვიდრე მთელი მოცულობით მის დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალის წაყენებით. ბრალდებულისათვის, რომელიც იძლევა ობიექტურ ჩვენებას თუნდაც რამოდენიმე ეპიზოდში მისი ბრალეულობის შესახებ, შემდეგში უკვე ძნელი იქნება მისგან ამ ჩვენებების უარყოფა გამოძიების მიერ ახალი ფაქტების მოპოვების შემთხვევაში.

ამის მაგალითად, შესაძლებელია აღვწეროთ პრაქტიკიდან შემთხვევა, როცა საქმე ეხებოდა ქრთამის აღებას. ეჭვმიტანილებზე ბრალის წაყენება მოხდა მხოლოდ დადგენილი რამოდენიმე ეპიზოდის გარშემო. შემდგომისთვის უკვე ბრალდებულები იკითხებოდნენ სხვა ახალი დადგენილი ფაქტებისა და გარემოებების გარშემო. როცა გამოძიების ბოლოს გააცნეს ბრალში ცვლილებები და დამატებები, მათ განაცხადეს, რომ თუ ეს ბრალდება თავიდანვე წარდგენილი იქნებოდა სრულად, ისინი ნამდვილად არ აღიარებდნენ და სცნობდნენ თავს დამნაშავედ საწყის ეტაპზე არსებული ფაქტების გარშემო. ახლა კი, როცა პირველი ჩვენებები სრული მოცულობით იყო გადამოწმებული და დადასტურებული, მათ არაფერი აქვთ დარჩენილი, გარდა იმისა, რომ ილაპარაკონ სიმართლე.

გამომძიებელი ვალდებულია ბრალდებული დაკითხოს ბრალის წაყენებისთანავე, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია გარკვეული შემთხვევების გამო, უნდა შედგეს ოქმი, თუ რატომ ვერ მოხერხდა დაკითხვის ჩატარება.

ჩვენების მიცემა არის ბრალდებულის უფლება და არა მოვალეობა, ამიტომ იგი არ აგებს პასუხს ჩვენების მიუცემლობის ან ცრუ ჩვენების მიცემის გამო.

ბ. ბრალდებულების დაკითხვის თანმიმდევრობის განსაზღვრა.

იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მტკიცებულობების საკმაო რაოდენობა, რათა წარედგინოს ბრალი რამოდენიმე პიროვნებას, გამოძიების წინაშე ისმება კითხვა, თუ რომელს წარუდგეს იგი პირველად. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტას აქვს მთავარი ტაქტიკური მნიშვნელობა დაკითხვების შემდგომი წარმოებისათვის. პირველი, სწორად შერჩეული ბრალდებულის დაკითხვამ შესაძლებელია მოგვცეს ახალი მტკიცებულებები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია დანარჩენი ბრალდებულების

დაკითხვისას. ამიტომ დაკითხვა უნდა დაიწყოს იმ ბრალდებულისაგან, რომლისგანაც შესაძლებელია მიღებულ იქნას ჭეშმარიტი ჩვენება.

ამ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

1. გამოსარკვევი გარემოებების მნიშვნელობა, რომლის გაგებაც საჭიროა თითოეული დასაკითხი ბრალდებულისაგან, რათა შემდგომში გამოყენებულ იქნას სხვა ბრალდებულების დაკითხვისას;
2. თითოეული დასაკითხი ბრალდებულის ინდივიდუალური თავისებურებები, პირველად ჩაიდინა მან დანაშაული თუ ადრეც იყო ნასამართლევი;
3. თითოეული ბრალდებულის მიმართ, ჩადენილი დანაშაულის გარშემო არსებული მტკიცებულებების რაოდენობა და ხასიათი;
4. თითოეული ბრალდებულის დანაშაულში მონაწილეობის ხარისხი;
5. დანაშაულში მონაწილეების ერთმანეთთან დამოკიდებულება.

აქედან გამომდინარე შესაძლებელია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ ბრალდებული, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, იძლევა უფრო მართებულ ჩვენებას, ვიდრე რეციდივისტი; ასევე, უფრო იოლია მართებული ჩვენების მიღება იმ ბრალდებულისაგან, რომლის შესახებაც მოგროვილია უფრო მეტი მტკიცებულება. სწორედ მისგან არის საჭირო დაკითხვის დაწყება, რადგან არსებული მტკიცებულებების სიმრავლემ შეიძლება დაარწმუნოს დასაკითხი, რომ გამომძიებელს გააჩნია საკმარისად სრული ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის გარშემო ანუ იცის ყველაფერი დანაშაულის შესახებ, რის გამოც შემდგომი გაჩუმება უშედეგოა; მეორე ხარისხოვანი როლის მქონე დამნაშავე უფრო აღიარებს დანაშაულს.

გ. წაყენებული ბრალის არსის ახსნა და ბრალდებულის სახით დაკითხვის საგანი.

როგორც აღვნიშნეთ, ბრალდებულის დაკითხვას წინ უნდა უძღვოდეს წაყენებული ბრალის განმარტება, მაგრამ დამკითხავმა უნდა აუხსნას არა მარტო ბრალის შინაარსი, არამედ განუმარტოს იურიდიული კვალიფიკაცია, რიგ შემთხვევებში - სასჯელის ხასიათი და ზომა. ხშირად დამკითხავები გვერდს უვლიან სასჯელის გარშემო საუბარს, რაც ყოველთვის არ არის გამართლებული, რადგან ბრალდებული მაინც გაიგებს, თუ რა სასჯელი ელის მას. ამიტომ სასჯელის შესახებ ტაქტიკურად სწორად ახსნილი, განმარტებული ინფორმაცია გვაძლევს დადებით შედეგს.

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ გამოკითხული ბრალდებულების 8%-მა არ აღიარა დანაშაული, რადგან არ იცოდნენ, თუ რა სასჯელი ელოდათ მათ.

აქედან გამომდინარე შესაძლებელია გავითვალისწინოთ, რომ მიზანშეწონილია ბრალდებულს აეხსნას და განემარტოს არა მარტო დისპოზიცია, არამედ სისხლის სამართლის სანქციის ნორმებიც, რის მიხედვითაც წარედგინათ ბრალდება.

ბრალდებულის სახით პირველი დაკითხვის საგანი უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება წაყენებული ბრალის შინაარსიდან. მიღებულ უნდა იქნას განმარტება თითოეული ინკრიმინირებული ფაქტის გარშემო, ასევე ბრალდებულის მიერ თავის დამნაშავედ ცნობის ან უარყოფის შესახებ. თუ ის არ ცნობს თავს დამნაშავედ აუცილებლად უნდა გაირკვეს გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ მისი ჩვენება.

ბრალდებულის დაკითხვის საგანი უფრო ფართო ფორმულირებისაა, ვიდრე თვით წაყენებული ბრალი. ბრალდებულად ცნობის დადგენილებაში ჩამოყალიბდება და ფიქსირდება მხოლოდ გამოძიების ორგანოს ვერსია. ბრალდებული არ არის კავშირში ამ ვერსიის ფორმულირებასთან. წარდგენილი ბრალის განმარტების შემდეგ მას შეუძლია ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, მომხდარი დანაშაულის გარშემო. იგი უფლებამოსილია, აგრეთვე, მოგაწოდოთ ყველა გარემოება, რომელიც მისი აზრით არსებითია სხვა მტკიცებულებების მოგროვებისა და შეფასებისთვის. ბრალდებულის დაკითხვის საგანს წარმოადგენს არა მარტო მისი მამხილებელი ფაქტები, არამედ მისი გამამართლებელი და ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებებიც.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბრალდებული თავს ცნობს დამნაშავედ, არ არის მიზანშეწონილი შემოვიფარგლოთ ბრალში აღწერილი ფაქტების ფორმულირებით. აუცილებლობას წარმოადგენს ახსნა - განმარტების მიღება იმ მტკიცებულებებზე, რომელზეც დაფუძნებულია წაყენებული ბრალი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დამკითხველმა არ გამოიყენოს ტაქტიკური უპირატესობა. დამკითხველი აუცილებელია, აგრეთვე შეეცადოს, დაადგინოს სხვა გარემოებებიც, როგორიცაა მაგალითად დაუდგენელ თანამონაწილეთა ვინაობა, დანაშაულებრივი ქმედების ობიექტებისა და კვალთა დამალვის ადგილები და სხვა.

ბრალდებულისათვის ბრალის გაცნობისას დამკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მას არ ეკრძალება განმეორებითი დაკითხვების წარმოება და აქედან გამომდინარე, მან თავისი მოსაზრებით უნდა განსაზღვროს პირველი დაკითხვის დროს წარსადგენად გამოსაყენებელი მტკიცებულების შემცველი საჭირო მასალების რაოდენობა.

დაკითხვის დასაწყისში აუცილებელია გამოირკვეს ბრალდებულის დამოკიდებულება წაყენებული ბრალის მიმართ და იგივე მიმართული უნდა იყოს არა იმისკენ, ადასტურებს თუ არა ბრალდებული ადრე მოწმედ ან ეჭვმიტანილად ყოფნისას მიცემულ ჩვენებებს, არამედ მიმართული უნდა იყოს გარემოებების ახალი განმარტების მიღებისაკენ. ბოლოს მისი პასუხებიდან გამომდინარე მითითებული უნდა იყოს, ცნობს თუ არა იგი თავს ბრალეულად, თუ ცნობს - სრულად თუ ნაწილობრივ.

დ. ბრალდებულის დაკითხვა, თავის ბრალეულად ცნობის და არ ცნობის შემთხვევებში.

იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებული სრულად ცნობს თავს დამნაშავედ წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტში, დაკითხვა უნდა ატარებდეს არა - ნაკლებ დეტალურ ხასიათს, ვიდრე იმ შემთხვევისა, როცა თავს არ სცნობს დამნაშავედ. ნაწილობრივი აღიარებისას საჭიროა დადგინდეს, თუ ბრალდების რომელ კონკრეტულ ეპიზოდში გრძნობს თავს დამნაშავედ და რომელში არა.

დამკითხველი არ უნდა დაკმაყოფილდეს ბრალდებულის საერთო ხასიათის განცხადებით თავის დამნაშავედ ცნობის შესახებ, მთავარია მან უფრო მეტი ფაქტი და დეტალი გამოარკვიოს მისგან, რომლებიც შემდგომი გადამოწმების შედეგად შეიძლება საქმეზე ღირებულ მტკიცებულებადაც გამოდგეს. ეს აუცილებელია უპირველეს ყოვლისა იმის გასარკვევადაც, თუ ბრალდებულის აღიარება რამდენად შეესაბამება სინამდვილეს.

ბრალდებული არ არის ვალდებული წარმოადგინოს მტკიცებულებების თავის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მას არ ავალდებულებს ამას. ეს მოვალეობა სრულად ეკისრება გამომძიებელს და პროკურორს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დამკითხველმა არ

გამოარკვიოს ბრალდებულისაგან, თუ რა ფაქტები ადასტურებს მის ბრალეულობას, ხსნის მის ბრალდებას ან ამსუბუქებს მას.

ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებულები მართებულად თვლიან წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ რეალურია, რომ ისინი უმეტესად ცდილობენ შეამცირონ თავიანთი ბრალეულობა. ასეთ შემთხვევებში არ არის მიზანშეწონილი სიჩქარე, რათა ბრალდებულები დავადანაშაულოთ, რომ ისინი არასაკმარისად მართებულად აღწერენ გარემოებებს და გადმოგვცემენ ფაქტებს. წინასწარმა გამოხატულმა უნდობლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს ბრალდებულების მხრიდან საერთოდ ჩვენების მოცემაზე უარი.

ბრალდებულს, რომელიც აღიარებს დანაშაულს და სურს თანმიმდევრობით გადმოსცეს მომხდარის შესახებ, შესაძლებელია დაუშვას შეცდომები, აღქმისას, გადმოცემისას, ჩვენების ფორმირებისას. ამიტომ ამ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს არაკონფლიქტურ სიტუაციაში დაკითხვის ტაქტიკური ხერხები, რომლებიც განვიხილეთ მოწმისა და დაზარალებულის შემთხვევებში. ამიტომ მისი ხელმეორედ განხილვა აღარ არის მიზანშეწონილი.

თუ ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს, ის რა თქმა უნდა, უმეტესად უარს ამბობს ჩვენების მიცემაზეც. ასეთ შემთხვევებში უნდა აეხსნას მას, რომ ჩვენების მიუცემლობა ვერ შეაჩერებს გამოძიების შემდგომ მსვლელობას; ის კი ამით იკლებს ბრალდებიდან თავის დაცვის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ დაკითხვის ტაქტიკის ის ხერხები, რასაც ვიყენებთ ეჭვმიტანილების დაკითხვისას.

არის შემთხვევები, როცა ბრალდებული არა მარტო არ გრძნობს თავს დამნაშავედ, არამედ გთავაზობს კიდეც თავის ვერსიებს მომხდარის გარშემო, დანაშაულში მონაწილე სხვა პირების შესახებ. აუცილებელია გაწონასწორებულ ფარგლებში ყურადღებით მოვეკიდოთ ამ განცხადებებს. უმეტეს შემთხვევებში დამკითხველი ყურადღებას მიმართავს მხოლოდ ბრალდების სუბიექტისაკენ, ბრალდების გარემოებებისაკენ და მის მიმართ მოგროვილი მტკიცებულებებისაკენ, რის გამოც სათანადო ყურადღებას არ უთმობს მისი ასეთი სახის განცხადებებს, ფიქრობენ რა, რომ ეს მისი ხრიკებია. ამიტომ, როცა შემდგომში ისინი ცდილობენ დანაშაულის ჩადენამდე მონაცემების გადამოწმებას, აწყდებიან მასალების უკმარისობას, რაც

შემდგომში იწვევს ფაქტების ერთმანეთთან შეუსაბამობას და ვერ ახერხებენ სხვა დანაშაულის ჩამდენი პირების დროულ დაკავებას.

მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევის ერთი მაგალითი: ერთ-ერთ პიროვნებას ,,გ.მ.''-ს წაუყენეს ბრალდება ,,ო.პ''-ს მკვლელობის შესახებ, რომლის გვამიც ნაპოვნი იქნა ტყეში. ამ პერიოდშივე იმავე ტყეში სანადიროდ იმყოფებოდა ,,გ.მ.''-ც; მის გარშემო შეგროვილი იქნა, ვითომდა, ,,გ.მ.''-ს ბრალეულობის უტყუარი მტკიცებულობები. ,,გ.მ'' კი ამტკიცებდა, რომ ,,ო.პ.'' შეიძლება მოეკლათ ტყის გვერდზე მცხოვრები დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებს, რადგან ისინი თვითნებურად კრძალავდნენ ამ ტყეში კანონიერად ნადირობას. ამის შესახებ ,,გ.მ.'' ამტკიცებდა მაშინაც კი, როცა იგი ეჭვმიტანილის სტატუსით იქნა დაკითხული და ყველა მტკიცებულება მის წინააღმდეგ იყო მიმართული.

შემდგომში ,,გ.მ.'' დეტალურად იქნა დაკითხული იმის შესახებ, თუ ვის შეიძლებოდა დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ დასახლებული პუნქტის მცხოვრებნი თვითნებურად კრძალავდნენ ნადირობას. გამომძიებელი ამ ვერსიის კონკრეტიზაციის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ასეთი რამ მართლაც შესაძლებელი იქნებოდა. გადაუდებელი გადამოწმების შემდეგ მართლაც დადგენილი იქნა ნამდვილი მკვლელი.

ბოლოს დასკვნის სახით შესაძლებელია ვთქვათ ის, რომ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხები გვანან ერთმანეთს და საკმაოდ განსხვავებული წარმატებითაა შესაძლებელი მათი გამოყენება ორივე შემთხვევაში, როგორც ბრალდებულის, ასევე ეჭვმიტანილის მიმართ. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოწმისა და დაზარალებულის მიმართ გამოყენებულ დაკითხვის ტაქტიკურ ხერხებს ვერ გამოვიყენებთ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ. ნაშრომში აღწერილი დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევებისთვის, საგამოძიებო სიტუაციებიდან გამომდინარე.

თავი IV.

არასრულწლოვანთა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე, დაზარალებული) დაკითხვის მეთოდები და თავისებურებანი ძალადობის შემთხვევებში

შესავალი.

არასრულწლოვანთა დაცვა, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, არ წარმოადგენს მხოლოდ სოცუზრუნველყოფის, საზოგადოებრივი შრომის ცენტრის და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ცენტრის ზრუნვის ობიექტს. ეს საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობაა, მათ შორის კი, უმთავრესად სამართალდამცავების.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განასხვავებს და ადგენს იმ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების წარმოების დროს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 639-659). კერძოდ, ყურადღება ექცევა არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამოკვლევას (მუხლი 643). არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას საქმეში (მუხლი 643, 647). არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის წარმოებაში არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პირველი დაკითხვისთანავე მონაწილეობს არასრულწლოვნის პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი და სავალდებულოა აუცილებლად დამცველის მონაწილეობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მიხედვით კი (მუხლი 302) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი, რომელსაც აქვს არასრულწლოვანთა აღზრდის გამოცდილება ან გავლილი აქვს სპეციალური სწავლება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

არასრულწლოვანთა დაცვის პროფესიული გამოცდილება მოითხოვს შემდეგი ძირითადი პრინციპების ცოდნასა და დაცვას:

- ძალადობის კატეგორიები;
- ძალადობის ნიშნები;
- მრავალდისციპლინარული სამუშაო გამოცდილება;
- დაკითხვა და გამოძიება;

- არასრულწლოვანის, როგორც ეჭვმიტანილის განცდები;
- სხვადასხვა ასაკი გულისხმობს განსხვავებულ ცოდნას და ქცევას;
- არასრულწლოვანის, როგორც მოწმის ქცევა.

არასრულწლოვანთა დაცვის პირველი და უმთავრესი ამოცანაა არასრულწლოვანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებმა კარგად უნდა გააანალიზონ თითოეული მათი ქმედება და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. როდესაც არასრულწლოვანი ეჭვმიტანილია, მხედველობაში უნდა მიიღოთ ის მიზეზები, რომელთა გამოც იქნა დანაშაული ჩადენილი, და ასევე ის ფაქტორები, რომელთა გამოც არასრულწლოვანი თავს არიდებს ლაპარაკს. მოტივი ასეთ დროს ძალზედ მნიშვნელოვანი ასპექტია.

არასრულწლოვანზე განხორციელებული ძალადობა დანაშაულს წარმოადგენს. არასრულწლოვანთა ძალადობის ფაქტზე შემოტანილ ნებისმიერ განცხადებაზე რეაგირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და ყოველივე ეს უნდა მოხდეს კარგად დაგეგმილი და შეთანხმებული გზით, არასრულწლოვანის და მისი ოჯახის უფლებების გათვალისწინებით.

მსგავს შემთხვევებში მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი, პირადი ინფორმაციის დაცვას ყოველთვის დიდი გულისხმიერებით უნდა მოეკიდონ. სპეციალისტებმა, რომლებიც ოჯახთან არიან დაკავშირებული, უნდა განაცხადონ ამ მოთხოვნის შესახებ და საქმეში ჩართული გამომძიებლისგან მოითხოვონ კონკრეტული ინფორმაციის გასაიდუმლოება. ეს ასევე ეხება საქმეში ჩართულ პოლიციელებს, სოციალური სამსახურის თანამშრომლებს, მასწავლებლებს და სამედიცინო პერსონალს.

გამომძიებლებს არასრულწლოვანებთან სხვადასხვა სახის ურთიერთობის დამყარება უხდებათ. ურთიერთობა არასრულწლოვანებთან ზოგჯერ ძალიან ადვილია. მაგალითად, როდესაც არასრულწლოვანები თამაშობენ და გადარბიან ქუჩაზე. სხვა შემთხვევაა, როდესაც ადგილი აქვს დანაშაულის ფაქტზე განცხადების შემოტანას და სამართალდამცავებმა უნდა აწარმოონ გამოძიება. მსგავს შემთხვევებში მათ უწევთ გადამწყვეტი ზომების მიღება და სპეციალისტების დახმარება იურიდიულ, სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებიდან. არასრულწლოვანი შეიძლება გახდეს დანაშაულის მსხვერპლი, დამნაშავე, მოწმე ან უბრალოდ ის, ვინც დაუცველია და დახმარებას ან ზედამხედველობას საჭიროებს. დაიმახსოვრეთ, რომ

არასრულწლოვანი პოლიციელს აღიქვამს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს და ცდილობს გაერკვეს, თუ რას აპირებს ეს უკანასკნელი მასთან დაკავშირებით.

§ 1. არასრულწლოვან პირთა დაცვის ღონისძიებები ძალადობის შემთხვევაში

1. **არასრულწლოვანთა უფლებები.** არასრულწლოვანთა დაცვა აღიარებულია არასრულწლოვანთა უფლებების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით. ეს პრინციპებია:

- ყოველ არასრულწლოვანს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანის სიცოცხლის გადარჩენა და ჯანსაღი განვითარება;
- ყოველ არასრულწლოვანს აქვს თავისი უფლებები და მას უნდა მოექცნენ როგორც სრულყოფილ პიროვნებას;
- არასრულწლოვანს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი;
- მშობლები პასუხისმგებლები არიან არასრულწლოვანის ნორმალურ განვითარებაზე და ეს პასუხისმგებლობა ორმხრივი უნდა იყოს;
- ყოველ არასრულწლოვანს აქვს უფლება დაცული იყოს ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან, დამცირებისა და ექსპლუატაციისგან, მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციისგან;
- ყოველ არასრულწლოვანს აქვს უფლება დაცული იყოს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისგან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა უფლების თანაბრად დაცვა;
- ვინაიდან სახელმწიფო პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის დაცვაზე, მან უნდა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს არასრულწლოვანის ოჯახში გაზრდას;
- სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვანის ცხოვრებაში ნებისმიერი ჩარევა დასაბუთებული უნდა იყოს და მას მხარი უნდა დაუჭიროს ყველა შესაბამისმა სამსახურმა.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა უფლებების მტკიცე და განუხრელ დაცვას წინასასამართლო გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს ეხება ე.წ.

,,პეკინური წესები'' გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ''. აღნიშნული აქტი ავალდებულებს სამართალდამცავ ორგანოებს არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს დაადგინოს არასრულწლოვანთა აღზრდის პირობები; დაკავებისა და დაპატიმრების დროს მშობლებისა და მეურვეებისადმი აუცილებელი და სასწრაფო შეტყობინება; ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და უფასო დაცვის უფლებით სარგებლობა; მოწმეებთან პირისპირ შეხვედრა; დაპატიმრების შეცვლა სხვა ალტერნატიული ზომით; დაპატიმრებულ არასრულწლოვანის მოთავსება მოზრდილებისაგან განცალკევებით; მათი უფლებების სასწრაფო განმარტება.

2. არასრულწლოვნებზე ძალადობის კატეგორიები. ზოგჯერ ძალადობის ყველა გამოვლინება არ ჯდება ზოგადად დაყოფილი ძალადობის კატეგორიების ფარგლებში. მაგალითად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც მიტოვებული არასრულწლოვანი ხდება ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ვინაიდან თითოეულ არასრულწლოვანთან დაკავშირებული სიტუაცია ინდივიდუალურია, არასრულწლოვნებზე ძალადობის ფორმალურ კატეგორიებად დაყოფა უფრო თვალსაჩინო იქნება იმ პარამეტრების ჩამოთვლის შედეგად, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი გახდება არასრულწლოვანისათვის მიყენებული ზიანის და საჭირო დახმარების განსაზღვრა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე ის გარემოება, რომ ძალადობა არასრულწლოვანზე, როგორც წესი, არ ატარებს ერთჯერად ხასიათს, იგი მეტწილად განმეორებადია.

ა. ფიზიკური ძალადობა არასრულწლოვანზე სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სრულწლოვანი პირის მიერ ძალის გამოყენებით არასრულწლოვანისათვის სხეულის დაზიანებების მიყენებას.
ბ. მიტოვება გულისხობს სრულწლოვანი პირის მიერ არასრულწლოვანისადმი დაუდევარ მოპყრობას, რაც ასახვას ჰპოვებს არასრულწლოვანის ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებაზე.
გ. სექსუალური ძალადობა გულისხმობს ნებისმიერი ხასიათის სქესობრივ კავშირს სრულწლოვან პირსა და არასრულწლოვანს შორის.

დ. როდესაც არასრულწლოვანზე მუდმივად მიმდინარეობს მავნე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ან მას მუდმივად ცუდად ეპყრობიან, ეს საბოლოოდ ტოვებს ემოციურ კვალს არასრულწლოვნის ფსიქიკაში.

არასრულწლოვანზე ძალადობას ადგილი აქვს ასევე მაშინ, როდესაც ხდება მათი ექსპლუატაცია მათთვის შეუსაბამო შრომაში, დანაშაულებრივ ქმედებაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში.

ზემოთ მოყვანილი კატეგორიები ასევე ეხება ინვალიდ არასრულწლოვნებს, მაგრამ მათ შემთხვევაში არსებობს ასევე დამატებითი კატეგორიები, რომლებიც დაკავშირებული იქნება მათ ამა თუ იმ ნაკლოვანებასთან; მაგალითად, ნერვიული არასრულწლოვნებისათვის დამაწყნარებლების გაუფრთხილებელი მიცემა ან დიდი დოზით მიცემა, ინვალიდის ეტლზე ძალით მიბმა ან საწოლში ძალით ჩაწვენა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

§ 2. არასრულწლოვანთა საქმეთა სამართალწარმოების თავისებურებები

გადაწყვეტილების მიღება არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში და, ხშირ შემთხვევაში, სარისკო პირობებზე წასვლა არ არის ადვილი და მოწესრიგებული პროცესი, რომელიც მხოლოდ ერთხელ ხდება და როდესაც შესაძლებელია კონკრეტული, გარკვეული დასკვნების გამოტანა. პირიქით, იგი მერყეობს ადამიანური ურთიერთობების, ორგანიზაციული, სამართლებრივი, საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და შიშის ფონზე.

პროფესიული თვალსაზრისით ურთიერთობის დამყარების მცდელობისას მნიშვნელოვანია, რომ სისტემატურად ხდებოდეს კონკრეტული საქმის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაფიქსირება და მათ მაგალითზე მომავალში სასურველი შედეგების მიღება. გადაწყვეტილების მიმღები პირები, როგორც წესი, ქმნიან გარკვეულ ჩარჩოებს, რომლებშიც აუცილებლად უნდა ჯდებოდეს ყველა სახის გადაწყვეტილება, მაგრამ ამ ჩარჩოს ფარგლებს გარეთ მათ რჩებათ სწორედ ის, რაც უმთავრესად იყო მხედველობაში მისაღები. ისინი ქვეცნობიერად სწავლობენ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე და ავიწყდებათ უმთავრესი, რომ ორი

განსხვავებული საქმე არ შეიძლება იყოს სრულიად იდენტური. ისინი იღვწიან, რომ მიაღწიონ ,,დამაკმაყოფილებელ'' გადაწყვეტილებას და არა ,,საუკეთესოს''.

სასურველი გამოძიების არსი არ გულისხმობს თავის მოჩვენებას, თითქოს არ არსებობს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი. კარგი გამოძიების არსი იმის მტკიცებაში მდგომარეობს, რომ გამომძიებლის მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი მცდარია. იმის მაგივრად, რომ მოხდეს მტკიცებულებების შეგროვება იმ ეჭვის დასამტკიცებლად, ვიღაცამ რაღაც ცუდი გაუკეთა თუ არა არასრულწლოვანს, აუცილებელია საპირისპირო მტკიცებულებების მოპოვებაზე ზრუნვაც. კარგი გამოძიება თავისებური მეცნიერებაა. მტკიცებულების საუკეთესო ფორმაა ,,დამტკიცება უარყოფით'', პრობლემისადმი სისტემური მიდგომით. სპეციალისტები უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა კეთილდღეობის დაცვას; აგრეთვე, დამნაშავის მიმართ სამართლიან, სწორ დამოკიდებულებას.

მთავარი რისკი მდგომარეობს სამომავლო გეგმებში და არა წარსულში გადატანილ შემთხვევებში. თუმცა წარსული ხშირად ხდება მომავლის ინდიკატორი. როდესაც სპეციალისტებს უხდებათ არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში პრობლემებთან გამკლავება, ისინი ცდილობენ, დაამყარონ გარკვეული ურთიერთობა არასრულწლოვანის საჭიროებასა და მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად წარმოქმნილ შესაძლო მავნე ზეგავლენას შორის. ძალიან ხშირად ხდება, რომ ერთი საფრთხის აცილებას, მაგალითად არასრულწლოვანის მოძალადე მშობლებისგან ჩამოშორებას, მოჰყვება მეორე საფრთხე - კერძოდ ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვანის აღზრდასთან.

შესაძლო საფრთხის თავიდან ასარიდებლად საჭიროა შემდეგი გამოკვლევის ჩატარება:

ა. გამოირკვეს ის საშიშროებები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქმესთან. საშიშროება გულისხმობს მავნე, სავალალო შედეგის დადგომის შესაძლებლობას; რა საშიშროება ელის არასრულწლოვანს;

ბ. გამოირკვეს უარყოფითი ფაქტორები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. უარყოფითი ფაქტორი არის ის, რაც ხელს უწყობს მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას;

გ. გამოირკვეს დადებითი ფაქტორები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. დადებითი ფაქტორია ის, რაც ხელს უშლის მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას.

ყოველივე ეს დაგეხმარებათ პასუხი გასცეთ შემდეგ კითხვებს:

- რამდენად რეალურია საშიშროება, და მისი განხორციელების რა შესაძლებლობები არსებობს?
- როგორია დადებითი და უარყოფითი ფაქტორების თანაფარდობა? რომელი ფაქტორები ჭარბობს უფრო მეტად?
- რა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ სპეციალისტებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა არასრულწლოვანის აღზრდის რისკის ფაქტორების შემცირების მიზნით?

1. ძალადობის ნიშნების გამოვლინება. არასრულწლოვანთან ან ოჯახთან მომუშავე ყველა სპეციალისტმა უნდა შეძლოს ძალადობის ნიშნების განსაზღვრა და გამოვლენა. როდესაც სპეციალისტი არ არის დარწმუნებული აღნიშნულ ფაქტში, მაგრამ გააჩნია გარკვეული ეჭვები, რომ არასრულწლოვანს მიადგა ზიანი ან არსებობს ასეთი ზიანის მიყენების რისკი, აუცილებელია, რომ მან შეატყობინოს აღნიშნული ინფორმაცია სხვა შესაბამის სამსახურებს და სპეციალისტებს.

არასრულწლოვანი, რომელზეც მოხდა ძალადობის განხორციელება, ხასიათდება ქცევის გარკვეული თავისებურებებით. ამ თავისებურებათა ძირითადი ნაწილი დამახასიათებელია ყველა არასრულწლოვანისათვის, რომლებიც მსგავსი ფაქტის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. თუმცა აღნიშნული ყველა დაზიანების მიხედვით ვერ ხერხდება ძალადობის ფაქტის დამტკიცება.

2. ფიზიკური ძალადობის ნიშნები. როდესაც ადგილი აქვს პირის მიერ არასრულწლოვნისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებას, როგორც წესი ეს შეგნებულ, განზრახ ქმედებას წარმოადგენს. თუმცა ყოველთვის ასე როდია: კერძოდ, აღნიშნული ფაქტი შეიძლება გამოიწვიოს პირის მომენტალური სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილმა ქმედებამ, რომელსაც შედეგად სერიოზული დაზიანება მოჰყვა. მსგავს შემთხვევებში დაზიანების სიმძიმე უბრალო

შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ არ ევალებათ იმის დადგენა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა სრულწლოვანი, როდესაც არასრულწლოვანზე ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი. მათთვის მთავარი მხოლოდ ძალადობის ფაქტია.

არასრულწლოვანზე ძალადობის განხორციელების ეჭვი შეიძლება წარმოიშვას შემდეგ გარემოებებში:

- თუ არსებობს შეუსაბამობა დაზიანებას და მისი მიყენების ახსნა-განმარტებას შორის;

- მერყეობა ახსნა-განმარტების მიცემის დროს ან საერთოდ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმა;
- მკურნალობის დაგვიანება;
- სხვადასხვა დროს მიყენებული დაზიანებები;
- ადრეული დაზიანებების ისტორია;
- მშობელი არ ამჟღავნებს შეშფოთებას არასრულწლოვანის მდგომარეობის გამო;
- ცოლ-ქმრული ძალადობის ნიშნები;
- ალკოჰოლის ან ნარკოტიკების გამოყენების ნიშნები.

არასრულწლოვანზე ძალის გამოყენების რეალური ეჭვის წარმოქმნის შემდეგი საფუძვლები არსებობს:

- ჩალურჯებები სხეულზე;
- ნაკაწრები და ჩალურჯებები სახის მიდამოებში;
- ჩალურჯებული თვალები;
- ზედა ტუჩის გახეული კანი;
- თითების კვალი კისერზე და წელზე;
- ხელის და თითების კვალი მთელს სხეულზე;
- ხაზოვანი ან კონტურული ჩალურჯებები (განსაკუთრებით დუნდულებზე ან წელზე);
- გაკოჭვის ნიშნები;
- ნაკბენები;
- დამწვრობები, სიგარეტის ნამწვის ან სხვა საგნების ფორმის, მაგალითად უთოსი;

- დამდუღვრის ნიშნები;
- მოტეხილობები (განსაკუთრებით არასრულწლოვნებში, რომლებიც ჯერ ვერ დადიან);
- მოწამვლის ნიშნები.

ა. მოტეხილობები

ძალიან ხშირად არასრულწლოვნებში ძვლის მოტეხილობას იწვევს დავარდნა თამაშის დროს, როდესაც მათ გადააქვთ მძიმე წონის ნივთები. როდესაც ძვლის მოტეხილობა შეინიშნება, რამოდენიმე ადგილას ან მოტეხილობა სხვადასხვა სტადიაშია, ხოლო მიცემული ახსნა-განმარტება შეუსაბამობაში მოდის დაზიანების სიმძიმესთან, სახეზე ნამდვილად ძალადობის ფაქტი გვაქვს. მოტეხილობები ხშირად გვხვდება შემდეგ ადგილებში: ლავიწი, მხრის ძვალი, მკლავი, იდაყვი, მენჯის ძვალი, თითები.

ბ. სახის დაზიანებები

თვალები განსაკუთრებით მგრძნობიარე ორგანოებია, ამიტომ უმნიშვნელო ტრავმამაც კი შეიძლება გამოიწვიოს ჰემორაგია, ლინზების ადგილმდებარეობის შეცვლა ან თვალის ბადისებრი გარსის დაზიანება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, მაგალითად თუ არ ჩავთვლით ჩალურჯებულ თვალებს, მსგავსი სახის დაზიანებები არ ატარებს შემთხვევითობის ხასიათს და სხვა დამატებით ფაქტორებთან ერთად იგი შეიძლება გამოძიების დაწყების მიზეზი გახდეს.

ცხვირში ძლიერმა დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლდენა, დასიება ან ძვლის მოტეხილობა. პირის არეში ძლიერმა დარტყმამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს დასიება ან კბილების დაკარგვა. ყურების არეში მსგავსი სახის ძალადობის შემთხვევაში აღინიშნება ჩალურჯებები ყურის გარშემო ან ყურის ბიბილოებზე, ნახეთქები ან სისხლჩაქცევები.

გ. დაზიანებები თავის არეში და ნერვულ სისტემაზე

ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმას წარმოადგენს თავის არეში მიყენებული დაზიანებები, ვინაიდან ამ დროს არ არის გამორიცხული ტვინის დაზიანება. მსგავსი

სახის დაზიანებების გამოწვევა შესაძლებელია თავის არეში ძლიერი დარტყმით ან ძლიერი შერყევით, განსაკუთრებით მცირეწლოვნებში.

ზურგის ტვინზე მიყენებულმა ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს მამოძრავებელი ნერვების დაზიანება და შედეგად კუნთოვანი სისტემის პარალიზება. თავის ან ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნებია ასევე ცნობიერების დაკარგვა, აპოპლექსიური დამბლა, ან მომატებული ძილიანობა. თუმცა ცნობიერების დაკარგვა შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს წამლების ზედოზირებით ან მოწამვლით.

დაზიანებები თავის არეში შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს თმის ძლიერი მოქაჩვით. ასეთი დაზიანების ნიშანია ლოკალური მოშიშვლებული ადგილები თმის არეში.

დ. სუბდურალური ჰემატომები

სუბდურალური ჰემატომა წარმოადგენს სისხლის დაგროვებას ტვინის გარეთა გარსსა და ტვინს შორის. ხშირ შემთხვევაში არ აღინიშნება თავის ქალის მოტეხილობა, დასიებული ან დალურჯებული ადგილები. ხდება ტვინის პირდაპირი დაზიანება, რაც შედეგად იწვევს თავის ტკივილებს, პარეზს, სხეულის რომელიმე ნაწილის დამბლას და სხვა ანალოგიური სახის დარღვევებს, რომლებიც დაზიანების მიყენებიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ იჩენს თავს. მსგავსი სახის დაზიანებების გამოწვევა შესაძლებელია თავში ძლიერი ჩარტყმით ან მცირეწლოვნის ძლიერი შერყევით. მცირეწლოვნებში ეს დაზიანება შეიძლება გამოვლინდეს ცნობიერების დაკარგვის ან კომის სახით.

ე. აბდომინალური ტრავმა

აბდომინალური დაზიანების ნიშნებია გულისრევა, დასიებული ადგილები და სისუსტე. დარტყმის შედეგად შესაძლებელია სხვადასხვა ორგანოს დაზიანება, როგორიც არის თირკმელი ან ღვიძლი.

მუცელში ძლიერმა ჩარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს დაჟეჟილობები, სისხლჩაქცევები, შოკი ან ურთულეს შემთხვევაში სიკვდილი.

ვ. ნახეთქი, ჩაჟეჟილობები და ნაწიბურები

კანის ნახეთქები არის ქსოვილის ღრმა ჭრილობები ან ნახევები. სხვადასხვა პერიოდში მიყენებული მრავლობითი დაზიანებები და ნახეთქები ადასტურებს

არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტს. აუცილებელია სამედიცინო შემოწმება, რათა დადგინდეს დაზიანების სახე და სერიოზულობა. კანის ისეთი დაზიანებები, როგორიც არის იარები და სხვა დასახიჩრებები, წარმოიშვება სხვადასხვა ბლაგვი საგნის დარტყმის შედეგად, კერძოდ: ღვედების, ქამრის ბალთის, მარყუჟიანი თოკის დარტყმით. მსგავსი სახის იარები, როგორც წესი, აღინიშნება კისრის, მაჯის ან კოჭების მიდამოებში.

ნაწიბურები არის ამოზნექილი ადგილები კანზე, რომლებიც ხშირად წელის მიდამოებში შეიმჩნევა. ისინი წარმოიქმნება რაიმე საგნით დარტყმის შედეგად. მსგავსი სახის კანის დაზიანება შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს გაკაწვრით ან გახეხვით.

ადამიანის კბენის კვალი შეინიშნება ნამგლისებრი ფორმის კბილების ანაბეჭდებით. არასრულწლოვანის კბილების ანაბეჭდები განსხვავდება მოზრდილი ადამიანის კბილების ანაბეჭდებისგან ნამგლისებრი ფორმის სიდიდით. ადამიანის ნაკბენი იწვევს სისხლნაჟღენთების წარმოქმნას; ანომალიურ შემთხვევებში შესაძლებელია ასევე ქსოვილის ამოგლეჯვაც.

სისხლნაჟღენთებს იწვევს კანის ქვეშ სისხლდენა, მისი გახევის გარეშე. ისინი შეიძლება იყოს თითის წვერის სისქის. ძველი და ახალი სისხლნაჟღენთების სიმრავლე, ასევე სახეზე და ფეხებზე შენიშნული სისხლნაჟღენთები, ეჭვის საფუძველს ქმნის.

შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სისხლის მიმოქცევის მოუწესრიგებლობას, რაც იწვევს სისხლნაჟღენთების წარმოქმნას, ამიტომ ყოველივე ეს უნდა დადგინდეს კლინიკური შემოწმების გზით. სპეციალისტებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ სისხლნაჟღენთების წარმოქმნა არ არის იშვიათი მოვლენა მცირეწლოვნებში, ამიტომ სიტუაცია ძირფესვიანად უნდა იქნეს შესწავლილი საბოლოო დასკვნების გამოსატანად.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს სისხლნაჟღენთების ხნოვანებას კანზე მისი ფერის ცვლილების მიხედვით.

ხნოვანება	ფერი
0-2 დღე	შესიებული
0-5 დღე	ლურჯი/წითელი
5-7 დღე	მომწვანო
7-10 დღე	ყვითელი
10-14 დღე	ყავისფერი
14-28 დღე	გაწმენდილი

ზ. შეშუპებები, ამოვარდნილობები და ნაღრძობები

შეშუპებები შეიძლება შეინიშნებოდეს სახსრების შეერთების ადგილას, კოჭებთან, მაჯებთან ან სხვა შესახსრებებთან. ასეთი დაზიანებების შედეგად არასრულწლოვანს უჭირს სიარული. იმ შემთხვევაში, თუ ხდება არასრულწლოვანის კიდურების მოქაჩვა ან გადატრიალება, ძვალმა შეიძლება შეიცვალოს მდებარეობა (ამოვარდეს), ან შესაძლებელია მოხდეს კოჭების, მაჯების ან სხვა სახსრების ღრძობა. აქაც, როგორც ძალადობის სხვა კატეგორიების შემთხვევაში, აუცილებელია სამედიცინო შემოწმება და დაზიანების სიმძიმის განსაზღვრა.

თ. მოგუდვა, ამოტრიალება, შერყევა

არასრულწლოვანის რყევამ შეიძლება სერიოზული დაზიანება გამოიწვიოს. ყურის ამოტრიალებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ყურის ბიბილოების დაზიანება; სქესობრივი ძალადობის შემთხვევაში შესაძლებელია დაზიანდეს სასქესო ორგანოები ამოტრიალების შედეგად.

არასრულწლოვანის კიდურების განმეორებითმა და ხშირმა გადაგრეხვამ შეიძლება გამოიწვიოს შემაერთებელი ძვლების მოტეხილობა. ძლიერი რყევა იწვევს ტვინის და ხერხემლის დაზიანებას. განმეორებითმა დარტყმებმა და რყევამ შეიძლება გამოიწვიოს ჰემატომები და შეშუპებები.

მოგუდვა, როგორც წესი ხდება არასრულწლოვანის სასულეს მკვეთრი მოჭერით, რის შედეგადაც არასრულწლოვანი ვეღარ სუნთქავს. ყელზე მოჭერილმა ხელებმა, ბაწარმა ან შარფმა შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული შედეგი, თუ ძალის დიდი რაოდენობით

გამოყენება მოხდება. მოგუდვას შეიძლება ასევე ჰქონდეს ადგილი, თუ სასულეში მოხვდება უცხო სხეული როგორიც არის საკვები, მონეტები, პატარა საგნები. ეს შეიძლება სრულიად შემთხვევითაც მოხდეს: ჩვილ არასრულწლოვნებს უყვართ პატარა საგნების ჩადება პირში.

ი. დამწვრობები და დამდუღრული ადგილები

კანის ქსოვილის დაზიანება, როგორც წესი, ხდება სიცხესთან, ცხელ სითხესთან, ქიმიურ ნივთიერებებთან, ორთქლთან ან ცეცხლთან შეხებისას. პირველი ხარისხის დამწვრობისას შეინიშნება კანის სიწითლე, მეორე ხარისხის დამწვრობისას წყლულები, მესამე ხარისხის დამწვრობისას ხდება კანის ქსოვილის დაშლა.

სიგარეტის დადებით გამოწვეული წრიული დამწვრობები შეინიშნება ხელებზე, ფეხებზე და დუნდულოებზე. უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან სიგარეტით გამოწვეული დამწვრობები. იგი წარმოადგენს კანის დაავადებას და მსგავს შემთხვევაში კანზე შეინიშნება ჩირქოვანი გამონაყარი.

დამდუღვრა შეიძლება მოხდეს მშობლის მოქმედებით ან უმოქმედობით, ანუ მისი უყურადღებობით. დამდუღვრა შეიძლება გამოყენებული იყოს დასჯის მიზნით, ცხელ წყალში ჩაგდებით.

კ. მოწამვლა და მავნე ნივთიერებები

სამკურნალო აბები, ავეჯის საწმენდი ხსნარები, ზეთები, საღებავის გამხსნელი, საწვავი და სასუქი წარმოადგენს იმ ნივთიერებებს, რომლებსაც სერიოზული საფრთხის შექმნა შეუძლია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

არასრულწლოვანზე ძალადობის განხორციელების შემთხვევებში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ყველა გარეშე პირობა. არსებობს ზოგიერთი ფაქტორი, რომლის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს.

- არასრულწლოვანის ასაკი;
- მომწამვლელი ნივთიერების ადგილმდებარეობა;
- თუ რა მდგომარეობაშია შენახული მომწამვლელი ნივთიერებები;
- მშობლების მიერ მიღებული ზომები არასრულწლოვანისგან მათი გადამალვის მიზნით;

- არასრულწლოვანის დასახმარებლად მიღებული ზომები;
- ადრე მომხდარი შემთხვევები და მოვლენათა ადრინდელი განვითარება;

ლ. ნარკოტიკის და ალკოჰოლის ზემოქმედება ახალშობილებზე

ფეხმძიმობის დროს ნარკოტიკების ან ალკოჰოლის გამოყენება უარყოფითად მოქმედებს ნაყოფზე და ხელს უშლის ახალშობილის ზრდას და განვითარებას. უკიდურეს შემთხვევებში ახალშობილებში ეს გამოიხატება კანკალით. კუჭნაწლავის და ნერვული სისტემების დაზიანებით. ყოველივე ეს შეიძლება არ გამოვლინდეს უმალვე მშობიარობის შემდეგ.

3. არასრულწლოვანის უყურადღებოდ დატოვება. არასრულწლოვანის უყურადღებოდ მიტოვების მრავალი ფაქტი არსებობს და მათი განხილვა არ უნდა მოხდეს ერთმანეთისგან იზოლირებულად. აუცილებელია იმ სპეციალისტების რჩევების და დასკვნების მხედველობაში მიღება, რომლებსაც ახლო ურთიერთობა აქვთ ოჯახთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანის ასაკს და მისი განვითარებისათვის საჭირო პირობების არსებობას. არასრულწლოვანის უყურადღებოდ მიტოვებაზე გავლენას ახდენს სხვა მრავალი ფაქტორი, როგორიც არის სიღარიბე, დიდი დანაკლისი, სტრესული ცხოვრება ან დისკრიმინაცია.

არასრულწლოვანის უყურადღებოდ მიტოვების შემდეგი ნიშნები არსებობს:

- საკვების არასაკმარისი ან არასათანადო მიწოდება;
- პირადი და ოჯახის ჰიგიენის დაუცველობა;
- სამედიცინო შემოწმების და მკურნალობის თავიდან აცილება;
- არასრულწლოვანის უსაფრთხოებისათვის არასათანადო პირობების შექმნა;
- სითბოთი, ტანსაცმლით ან თავშესაფრით არასათანადო უზრუნველყოფა.

4. კვების ნაკლებობა და არასრულწლოვანის განვითარებისათვის ხელის შეშლა. კვების ნაკლებობას იწვევს არასათანადო და არაადეკვატური კვების რეჟიმი. იგი შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს არაადეკვატური დიეტით, საკვების უკმარისობით ან ვიტამინების და მინერალების ნაკლებობით.

განვითარებისათვის ხელის შეშლა გულისხმობს მცირეწლოვნის არასათანადო ფიზიკურ განვითარებას, მათი ასაკის და სქესისათვის შეუსაბამო სიმაღლეს ან წონას. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც ორგანოების არასათანადო ფუნციონირებით, ასევე არაორგანული მიზეზებითაც, კერძოდ მშობლების მიერ უგულვებელყოფით. ორივე შემთხვევაში არასათანადო განვითარება ხასიათდება საერთო ფიზიკური მახასიათებლებით. სპეციალისტებმა არასრულწლოვანთა დაცვის სფეროში უნდა შეძლონ არასრულწლოვანის აღნიშნული მდგომარეობიდან გამოყვანა და უზრუნველყონ მისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა. თუ მსგავს მდგომარეობაში არსებული არასრულწლოვანი არ მიიღებს სათანადო სამედიცინო დახმარებას, არ არის გამორიცხული, რომ შედეგად მივიღოთ სიცოცხლის შეწყვეტა ან ტვინის ნორმალური ფუნქციონირების დაქვეითება.

არასათანადო განვითარების ფიზიკური ნიშნებია:

- გადმოწეული მუცელი;
- ჩავარდნილი თვალები და გაშტერებული მზერა;
- ჩავარდნილი ფერდები;
- კანის მონაცრისფრო-მოყვითალო შეფერილობა;
- საერთო ჰიგიენის დაბალი მაჩვენებელი, ჭუჭყიანი ფრჩხილები, გამონაყარი;
- თხელი კიდურები, უკიდურესი სიგამხდრე;
- სიშიშვლეები თავის თმიან ადგილას;
- იძულებით კვების შედეგად დაზიანებული ენა;
- პასიური ან არარეაგირებადი ქცევა;
- ხშირი გულის რევა, ღებინება;
- საჭმელზე უარის თქმა.

5. სქესობრივი ძალადობის ფაქტების დადგენა. სქესობრივი ძალადობა მოიცავს ფაქტორებს, როდესაც მზრუნველი იდენს ან საშუალებას აძლევს სხვა პირს ჩაიდინოს შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებები:

- არასრულწლოვანის პირზე, სასქესო ორგანოებზე, დუნდულოებზე, მკერდზე ან სხვა ინტიმურ ადგილებზე შეხება სქესობრივი სურვილების დაკმაყოფილების მიზნით.

- არასრულწლოვანის იძულება ან მცდელობა სქესობრივ კავშირზე ან ანალურ აქტზე.
- არასრულწლოვანის იძულება სხვა არასრულწლოვნებთან ან მოზარდებთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად.
- არასრულწლოვანის იძულებით დასწრება სხვა პირების სქესობრივი კავშირის ფაქტზე.
- არასრულწლოვანის გამოყენება სქესობრივი კავშირის სცენების დასადგმელად, არასრულწლოვანთა პორნოგრაფია.

არასრულწლოვანის სქესობრივი ძალადობის მრავალი ნიშანი და სიმპტომი შეიძლება გამოწვეული იყოს იმ პირობებით და გარემოებებით, რომლებიც არ არის კავშირში ცუდად მოპყრობასთან. სწორედ ამიტომ სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ ფიზიკური სიმპტომების და არასრულწლოვანის ნორმალური ქცევის სამედიცინო მიზეზების გამორიცხვა და ემოციური მიზეზების დადგენა.

სქესობრივი ძალადობის ფიზიკური ნიშნებია:

- ჩალურჯებები თითის წვერებზე შიდა მხრიდან;
- სისხლდენა სასქესო ორგანოებიდან;
- გენეტალიების დაზიანება;
- ფეკალური გამონადენი, რექტალური სისხლდენა;
- ფეხმძიმობა;
- მუცლის და თავის ხშირი ტკივილი;

სქესობრივი ძალადობის ემოციური ნიშნები შეიძლება შემდეგში გამოიხატოს:

- შიში, გაღიზიანება და დეპრესია;
- ჭამის აკრძალვა;
- ხასიათის მუდმივი ცვალებადობა;
- უძილობა;
- გაუწონასწორებელი ქცევა;

გარდა ამისა, მოზარდები შეიძლება გახდნენ არადამჯერები, წავიდნენ სახლიდან, ადგილი ჰქონდეს თვითმკვლელობის მცდელობას, დაიწყონ ნარკოტიკების და ალკოჰოლის გამოყენება.

6. ემოციური ზეწოლის ფაქტები. ძალადობის თითქმის ყველა ფორმას ურევია ემოციური ზეწოლის კომპონენტი. თუმცა ემოციური ზეწოლის ნიშნები მაშინაც შეიძლება გვქონდეს სახეზე, როდესაც არ არსებობს ძალადობის სხვა ფორმების ინდიკატორები. ზრდასრულ ადამიანებში, რომლებზედაც ბავშვობაში ხორციელდებოდა ემოციური ზეწოლა, ხშირად თავს იჩენს ფსიქიკური გაუწონასწორებლობა, რაც ასახვას ჰპოვებს მათ გარესამყაროსათან ურთიერთობაზე. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სპეციალისტებმა ძალადობის ეს ფორმა ადრეულ სტადიაშივე გამოავლინონ და აღმოფხვრან.

არასრულწლოვნებზე ემოციური ზეწოლის შემდეგი ინდიკატორები არსებობს:

1. **უკუგდება/უარყოფა**

   უარყოფითი დამოკიდებულება არასრულწლოვანთან, რაც გამოიხატება მის მიმართ გამოვლენილ სიძულვილში, მისი თხოვნების იგნორირებაში და დაუხმარებლობაში;

2. **დამცირება**

   არასრულწლოვანთან ურთიერთობა, როგორც უცხო პირთან, მისი უღირსად ჩათვლა;

3. **დაშინება**

   არასრულწლოვანის დაშინება, ცემით დამუქრება;

4. **იზოლირება**

   არასრულწლოვანის სხვებისგან მოწყვეტა, სხვებთან ურთიერთობის აკრძალვა;

5. **გარყვნა**

   ანტისაზოგადოებრივი ქცევის შთაგონება; დანაშაულებრივი ქმედებისკენ ბიძგება;

6. **ექსპლოატირება**

   არასრულწლოვანის გამოყენება მისთვის არასათანადო საქმის შესასრულებლად;

7. **უარყოფა**

   არასრულწლოვანის უყურადღებოდ მიტოვება და მისი სურვილების უგულვებელყოფა.

§ 3. არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან, ეჭვმიტანილთან და ბრალდებულთან ურთიერთობა

1. არასრულწლოვანთან გასაუბრების მიზნები:

- არასრულწლოვანი უნდა დარწმუნდეს, რომ გამომძიებლები მის დასახმარებლად არიან მისულნი;
- არასრულწლოვანს უნდა აუხსნან საგამოძიებო პროცესის მნიშვნელობა;
- გამომძიებელმა უნდა გაიგოს მეტი ინფორმაცია არასრულწლოვანის და არსებული სიტუაციის შესახებ თავად არასრულწლოვანისგან;
- არასრულწლოვანს უნდა დაეხმარონ საქმის გარშემო ჩვენების მიცემაში, დაადგინონ მოწმეები;
- უნდა დააკვირდნენ არასრულწლოვანის როგორც ფიზიკურ მდგომარეობას, ასევე მის გარეგნულ ქცევას. ხომ არ არსებობს მისი ექსპლუატირების ან სხვა დანაშაულის ნიშნები;
- ეჭვმიტანილის ვინაობის დადგენა;
- დანაშაულის სიმძიმე და ხანგრძლივობა;
- რა, სად და როდის მოხდა. რამდენჯერ;
- იცის თუ არა ვინმე სხვამ დანაშაულის შესახებ;
- მოწმეთა ვინაობა;
- მუქარის ან მოსყიდვის გარემოებები;
- იციან თუ არა აღნიშნულის შესახებ მშობლებმა, მეურვეებმა და სოციალური სამსახურის თანამშრომლება;
- საჭიროა თუ არა სამედიცინო შემოწმება;
- რას გრძნობს არასრულწლოვანი და რაზე წუხს მის მომავალთან დაკავშირებით.

2. კომუნიკაცია სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვნებთან.

არასრულწლოვნებთან კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია, იგი მოიცავს:

- არასრულწლოვანი პირის გრძნობებისა და ფიქრების გაგების მცდელობას, მისი საუბრიდან გამომდინარე;
- თანაგრძნობის გამოხატვასა და სათანადო რჩევების მიცემას.
- კარგი კომუნიკაციის მიზნით საჭიროა:
- მოსმენის, დაკვირვების და სხვისი გრძნობების გაგების უნარ-ჩვევები;

- გამომძიებლის აზრების და გრძნობების წარმოჩენის უნარ-ჩვევები.

ეს უნარ-ჩვევები ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილია. როდესაც ვხვდებით არასრულწლოვანს, რომელიც დადარდიანებულია და დახმარება სჭირდება, ჩვენ ვფიქრობთ, თუ როგორ დავეხმაროთ მას.

ნაშრომის ეს ნაწილი გაგვაცნობს, თუ როგორ უნდა გაამხნევოს გამომძიებელმა არასრულწლოვანები, რომ შემოვიდნენ კონტაქტში და გამოთქვან თავისი აზრები და გრძნობები.

თითოეული არასრულწლოვანის თუ მოზარდის ცხოვრება შემოიფარგლება იმ ოჯახით და ხალხის იმ გარემოცვით, რომელშიც იგი იზრდება. არასრულწლოვანის განვითარება დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელსაც იგი ამ ოჯახიდან და ადამიანებიდან იღებს. არასრულწლოვანი ფიზიკურად და ემოციურად ვითარდება თამაშით, სხვებზე დაკვირვებით, ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმით. ის იზრდება და მასთან ერთად იზრდება აზრების და გრძნობების გადმოცემის შესაძლებლობა.

საზოგადოების მრავალ ფენაში არასრულწლოვანს მალევე უწევს სხვადასხვა ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა. ისინი სწავლობენ ოჯახის მეგობრებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი სრულყოფილი აღზდა-განვითარება, მათ ისევე სჭირდებათ მსგავსი სახის ფართო საზოგადოებრივი შესაძლებლობები, როგორც მზრუნველობა და მეთვალყურეობა სრულწლოვნების მხრიდან. ხშირად მშობლები ფიქრობენ, რომ შვიდი ან რვა წლის ბავშვები ვერ გრძნობენ თუ რა ხდება მათ გარშემო და შესაბამისად არ შეუძლიათ თავისი აზრის გადმოცემა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ბევრი მშობელი თვლის, რომ ბავშვები ვერ გრძნობენ სხვა ადამიანების გულის ტკივილს ან გასაჭირს და ამიტომ არც არაფერს უხსნიან მათ. საბოლოოდ არასრულწლოვანი ვეღარ ხვდება, თუ რის გამო ხდება ძალადობის ფაქტები, რატომ უჩინარდებიან მოულოდნელად ოჯახის წევრები (დავუშვათ სიკვდილის ან დაპატიმრების გამო). ან ვინღა იზრუნებს ახლა მათზე.

დაბადებიდან არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს და იგი ძალიან მგრძნობიარეა მის გარშემო არსებულ ემოციური კლიმატის, ასევე უფროსების ქცევის მიმართ. მაშინაც კი, როდესაც ისინი ვერ გადმოსცემენ სიტყვებით

თავის გრძნობებს და აზრებს, მცირეწლოვნები ცდილობენ თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტის მიმართ არაპირდაპირ, თავისი ქცევით ან ნახატებით წარმოაჩინონ.

დარდი და მოწყენილობა ხშირად გამოვლინდება არასრულწლოვანის ქცევაში. მაგალითად, მოთმინების დაკარგვა ან ღამით სიარული – და არ ხდება ყოველივე ამის სიტყვებით გადმოცემა. იმისათვის, რომ გამომძიებელი დაეხმაროს არასრულწლოვნებს სწორად უნდა ამოიცნოს კომუნიკაციის ეს ხერხები და მისცეს არასრულწლოვანს საშუალება, რომ ხელოვნური ენის თუ თამაშის მეშვეობით შეძლოს თავისი განცდების გადმოცემა.

არასრულწლოვნები იზრდებიან და ჩვენ ველით, რომ მათ ზრდასთან ერთად ფართოვდება კომუნიკაციის შესაძლებლობანიც. ასევე პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარების, პასუხისგებლობის თავის თავზე აღების და საშინაო დავალების დამოუკიდებლად კეთების უნარი. არასრულწლოვნებში, რომლებსაც უწევთ ომის პერიოდის გამოვლა, სხვადასხვა კატასტროფების შესწრება, განვითარების ეს მიმართულება ხშირად წარუმატებლად მთავრდება. მსგავს შემთხვევებში არასრულწლოვანის განვითარება შეიძლება პირიქით დაქვეითდეს. მცირეწლოვნები წყვეტენ ლაპარაკს, ეწყებათ ენის ბორძიკი, ასველებენ საწოლს. მათ ეშინიათ, რომ ოჯახის წევრები მიატოვებენ. მრავალი არასრულწლოვანი გაურბის თავის თანატოლებს და ჩამორჩება სწავლაში. მათ უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა ვინაიდან სურთ ისე ექცეოდნენ, როგორც არასრულწლოვანს. მაგალითად თორმეტი წლის არასრულწლოვანმა შეიძლება მოითხოვოს, რომ მას ისე ექცეოდნენ, როგორც სამი წლის არასრულწლოვანს. ჩვენ უნდა გამოვიმუშავოთ მსგავსი სახის არასრულწლოვნებთან ურთიერთობის გზები და თუნდაც დავთანხმდეთ მათ მოთხოვნას, რომ მოეპყრონ როგორც არასრულწლოვანს.

ნებისმიერი არასრულწლოვანისათვის მნიშვნელოვანია მასზე განუწყვეტლივ ზრუნავდეს ერთი ახლობელი ადამიანი მაინც. ეს განსაკუთრებით ეხებათ მცირეწლოვნებს, რომლებსაც უჭირთ უცხო პირებთან ურთიერთობის დამყარება და ნდობა.

გამომძიებლებისათვის რთულდება არასრულწლოვანის დაკითხვა და ინფორმაციის მოპოვება, როდესაც ადგილი აქვს ოჯახურ ძალადობას. კიდევ უფრო რთულია არასრულწლოვანის დაკითხვა, როდესაც იგი გადაეცა აღმზდელობით დაწესებულებას და მას დაკარგული აქვს ნდობა უცხო ადამიანების მიმართ. იმის

გადასაწყვეტად, უნდა დაიკითხოს თუ არა ზოგიერთ შემთხვევაში არასრულწლოვანი, საჭიროა ამ საკითხისადმი ფრთხილი მიდგომა.

ა. მორალური მხარდაჭერა

ომის და სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს არასრულწლოვნები განსაკუთრებით საჭიროებენ მორალურ მხარდაჭერას და პრაქტიკულ დახმარებას. ოჯახის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვნებს გამორჩევით სჭირდებათ სრულწლოვნების დახმარება და მზრუნველობა, თუმცა ოჯახში მყოფი არასრულწლოვნებიც შეიძლება არ ენდობოდნენ თავიანთ მშობლებს და გარეშე პირებს.

ბ. ვინმეს ნდობა

ყველა არასრულწლოვანს, რომელიც იზრდება თავის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვეებთან ან ზედამხედველებთან, ობოლთა თავშესაფარში თუ საერთო საცხოვრებელში სჭირდება ვინმე, რომელიც მუდმივად იზრუნებს მასზე და დაეხმარება დაბრკოლებების გადალახვაში. ზოგჯერ ისინი ხდებიან ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი და სჭირდებათ პიროვნება, რომელსაც გაანდობენ ყველაფერს. თუ არავინ მოიძებნა, რომელიც მოუსმენს და დაეხმარება მსგავს მდგომარეობაში არსებულ არასრულწლოვანს, იგი საკუთარ თავში იკეტება და აღარავის ენდობა.

გ. ნუგეშისცემა

არასრულწლოვანი, როგორც წესი უკეთ გრძნობს თავს, როდესაც იგი თავის გულის ნადებს უყვება ვინმეს ან ყოველივე ამას თამაშის ელემენტების ან ნახატების მეშვეობით გადმოსცემს. როდესაც მისი მზრუნველი იზიარებს მის ფიქრებს და გრძნობებს, არასრულწლოვანი განიტვირთება დაგროვილი დარდისგან.

დ. დასკვნამდე მისვლა გამოცდილების შედეგად

არასრულწლოვანი შეიძლება შეეცადოს:

- ჩამოიცილოს უარყოფითი ემოციები;
- ჩამოიყალიბოს განსხვავებული აზრი იმის შესახებ, რაც მასთან დაკავშირებით მოხდა და გაითვალისწინოს, რომ სხვასაც შეიძლება ჰქონდეს მსგავსი პრობლემები;

- შეეცადოს მისი პრობლემების მოგვარებას;
- დაიწყოს მომავლისთვის ზრუნვა.

ე. ჯგუფში ურთიერთობა

მნიშვნელოვანია ასევე თანატოლი არასრულწლოვნების მორალური მხარდაჭერა და მეგობრობა. ეს სახელმძღვანელო ძირითადად ორიენტირებულია, თუ როგორ უნდა დაეხმარონ სრულწლოვნები არასრულწლოვნებს, თუმცა მათივე ასაკის არასრულწლოვანის თანადგომაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. (ის არასრულწლოვნები, რომელთაც არ ჰყავთ მეგობრები, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ).

ვ. სხვადასხვა ტიპის კომუნიკაცია

არასრულწლოვნები შეიძლება სხვადასხვა გზით ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს. ისინი ცდილობენ თავისი გრძნობების გამოხატვას მათი თამაშის, ნახატების, მუსიკის, სიმღერის, ცეკვის და წერის მეშვეობით. ნდობის მოსაპოვებლად ჩატარებული სამუშაოების გარდა, არასრულწლოვნებს ასევე უნდა მიეცეთ ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნების, სწავლის და მუშაობის შესაძლებლობა.

ზ. როგორი უნდა იყოს კარგი მსმენელი

ოდესმე თუ შეხვედრილხართ ადამიანს, რომელიც ბევრს არ ლაპარაკობს და საკუთარ თავშია ჩაკეტილი. თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? თქვენ შეიძლება თქვათ: ის უინტერესოა, კრიტიკული, მასისთვის მიუღებელი, არასერიოზული.

გაიხსენეთ, როგორ მოგიგვარებიათ რაიმე პრობლემა მეგობრების რჩევის დახმარებით. თქვენ აუცილებლად გეყოლებათ პირი, რომელთანაც გსიამოვნებთ საუბარი და მას რჩევას ეკითხებით. ეს შეიძლება იყოს თქვენი რომელიმე მშობელი, ბიძა, მშობლების მეგობარი ან თქვენი მეგობარი.

რატომ მოგწონთ ამ პირებთან საუბარი?

თ. არავერბალური კომუნიკაცია

ხშირად კომუნიკაცია ადამიანებს შორის მყარდება არავერბალური გზით. ადამიანის ჟესტების, სახის მიმიკების, ხმის ინტონაციის მიხედვით ადვილი მისახვედრია, თუ რას გრძნობს ან რას ფიქრობს ეს უკანასკნელი. მაგალითად ზოგიერთ

საზოგადოებრივ ჯგუფში თავის გვერდულად გადახრა თანხმობას გულისხმობს, ზოგიერთში კი პირიქით უარყოფას.

გამომძიებელმა მნიშვნელოვანია იცოდეს მისი არავერბალური კომუნიკაცია ეხმარება თუ არა არასრულწლოვანს, რომ თავი კომფორტულად იგრძნოს. მრავალი სრულწლოვანი ცდილობს ისე წარმართოს კომუნიკაცია, რომ არასრულწლოვანს გაუადვილდეს მასთან ურთიერთობა და განიტვირთოს, თუმცა ზოგიერთი პირიქით, მედიდური და მკაცრი ტონის შერჩევის გამო ზღუდავს არასრულწლოვანს და შესაბამისად კარგავს მის ნდობას.

ი. ხმის ინტონაცია

ზოგჯერ ადამიანები ლაპარაკობენ ხმამაღალი, უხეში ხმით და ვერც კი ათვითცნობიერებენ ამას. არასრულწლოვანი ამაზე უარყოფითად რეაგირებს, ვინაიდან ჰგონია, რომ მას უბრაზდებიან და არ მოსწონთ მისი საქციელი. ბევრ საზოგადოებრივ ჯგუფში სრულწლოვნები არასრულწლოვანთან ურთიერთობისას განსხვავებულ ხმის ტონს არჩევენ, კერძოდ უფრო მშვიდ ან მონოტონურს. ამით არასრულწლოვანი ხვდება, რომ სრულწლოვანი მის მიმართ დადებითად არის გაწყობილი და უფრო დაცულად გრძნობს თავს.

კ. სახის გამომეტყველება

იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელს შეწუხებული ან დაღონებული სახის გამომეტყველება აქვს არასრულწლოვანთან საუბრისას, ეს უკანასკნელი აღარ ისურვებს საუბრის გაგრძელებას. გამამხნევებელი ხმით, ღიმილით და თავის დაქნევით მან უნდა აჩვენოს, რომ დაინტერესებულია მისი პრობლემებით.

გამომძიებლის სახის გამომეტყველება უნდა შეიცვალოს იმის შესაბამისად, თუ რას ამბობს არასრულწლოვანი. თუ ის იღიმება იმაზე რაც სრულიად არ არის სასაცილო, არასრულწლოვანი ჩათვლის, რომ გამომძიებელი არ უსმენს მას და არ აინტერესებს რასაც იგი ყვება.

ლ. ხუმრობა და სიცილი

ხუმრობები, ღიმილი და სიცილი ხელს უწყობს არასრულწლოვანის დაძაბულობის მოხსნას და გამომძიებლისადმი ნდობის გაღრმავებას. თუმცა ზოგჯერ ადამიანები მაშინაც იცინიან, როდესაც ისინი აღშფოთებულები არიან ან არ იციან რა თქვან.

მნიშვნელოვანია, რომ გამომძიებელმა შეძლოს აღშფოთების დამალვა, რათა არასრულწლოვანი არ მიხვდეს რომ რაღაც დისკომფორტს ქმნის.

მ. მხედველობითი კონტაქტი

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში კომუნიკაციისას სხვადასხვა სიხშირით ხდება მხედველობითი კონტაქტის გამოყენება. ზოგიერთ კულტურებში არასრულწლოვნებს ტუქსავენ, თუ ისინი არ უყურებენ სრულწლოვნებს მათთან საუბრის დროს. ზოგიერთში კი არასრულწლოვნების მიერ სრულწლოვნების თვალებში შეხედვა უზრდელობად ითვლება, ვინაიდან სრულწლოვანების აზრით არასრულწლოვანი მათთან საუბრის დროს ძირს უნდა იყურებოდეს.

რა თქმა უნდა, ადამიანები არ უნდა უყურებდნენ მუდმივად ერთმანეთს თვალებში, მაგრამ გარკვეული დოზით ეს პროცესი დადებითად იმოქმედებს არასრულწლოვანთან საუბრისას. თუ გამომძიებელი არც ერთხელ არ შეხედას არასრულწლოვანს საუბრის დროს, ვერც შეამჩნევს, რომ იგი რაღაცაზეა ნაწყენი და პრობლემები აქვს. იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი მას დაჟინებით მიაჩერდება იგი შეზღუდულად იგრძნობს თავს. მორიდებულ არასრულწლოვანთან თავდაპირველად დისტანციის დაჭერაა საჭირო და არც ხშირი მხედველობითი კონტაქტია რეკომენდებული.

ნ. საუბრის წარმართვის ფორმა

სხვადასხვა კულტურები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ არასრულწლოვანის სრულწლოვან ადამიანთან ქცევის როგორი ფორმებია დამკვიდრებული. ზოგჯერ ადათი მოითხოვს არასრულწლოვანის ფეხზე დგომას უფროს ადამიანთან ლაპარაკისას, ზოგჯერ კი ჯდომას. არასრულწლოვნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მან თავი კომფორტულად იგრძნოს მასთან საუბრისას და არ შეიზღუდოს კითხვების დასმისას. მაგალითად, როდესაც სრულწლოვანი მჯდომარე არასრულწლოვანს ზემოდან დასცქერის და ისე ელაპარაკება, ეს სრულიად საპირისპირო შედეგს გამოიღებს.

როგორც არასრულწლოვანისთვის, ისე სრულწლოვნისათვის სრულიად მისაღები ფორმაა ერთმანეთისგან ოდნავ მოშორებით ჯდომა. ისინი ამ დროს ერთსა და იმავე დონეზე არიან და არც მთლად სახეში უყურებენ ერთმანეთს. ეს შესაძლებელია როგორც მაგიდასთან, ასევე ხალიჩაზე, ან გრძელ სკამზე.

ო. ერთად საუბარი

კითხვების დასმა ერთ-ერთი მარტივი გზაა კომუნიკაციის დასამყარებლად და არასრულწლოვანის ნდობის გასაღრმავებლად. კითხვების სამი სახე შეგვიძლია გამოვყოთ: კონკრეტული კითხვები, დამხმარე კითხვები და ვრცელი კითხვები.

პ. კონკრეტული კითხვები

მსგავსი კითხვები მოითხოვენ პასუხს ,,კი'' ან ,,არა''. და სხვა სახის კონრეტულ პასუხებს. მაგალითად, ,,რამდენი წლის ხარ?'', ,,რამდენი და ან ძმა გყავს?'', ,,სად ცხოვრობ?", ,,რომელ კლასში ხარ?''.

ეს კითხვები ეხმარება არასრულწლოვანს ადვილად შემოვიდეს კონტაქტში და განეწყოს უფრო ვრცელი საუბრისათვის, ვინაიდან ამ კითხვებზე მხოლოდ ერთი კონკრეტული პასუხია გასაცემი. მას შემდეგ, რაც იგი იტყვის ,,მე რვა წლის ვარ'' საუბარი წყდება და თქვენ ამჯერად შემდეგ კითხვას ამზადებთ.

ჟ. დამხმარე კითხვები

მსგავსი კითხვები ხელს უწყობს პასუხის გაცემას. მაგალითად, ,,ყველაფერი კარგად არის?'', ,,ხომ მეთანხმები?'', ,,მოგწონს ხომ აქ ცხოვრება?'', პასუხი შესაბამისად შეიძლება იყის ,,დიახ'' ან ,,არა''.

არასრულწლოვნებს ხშირად უჭირთ უარყოფითი პასუხის გაცემა, როდესაც კითხვა მსგავსი სახით არის მოცემული და არ არის გამორიცხული, რომ მაშინაც კი, როდესაც ისინი საწინააღმდეგოს ფიქრობენ, დადებითი პასუხი გასცენ. ისინი ფიქრობენ, რომ მსმენელს არ სურს უარყოფითი პასუხის გაგონება და მისი პრობლემების შესახებ გაგება.

რ. ვრცელი კითხვები და კომენტარები

მსგავსი კითხვები ეხმარება არასრულწლოვნებს საკუთარი აზრის გამოთქმაში და მათი გრძნობების გაზიარებაში. ისინი არ მიუთითებენ ერთ კონკრეტულ დადებით ან უარყოფით პასუხზე.

ეს კითხვები შეიძლება შემდეგი სახის იყოს ,,შემდეგ რა მოხდა?'', ,,გინდა მომიყვე ამის შესახებ?'', ,,მომიყევი შენი ოჯახის შესახებ'', ,,მოგწონს აქ ცხოვრება?'', ,,რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვს?'', ,,შემდეგ რა გააკეთე?''.

კომენტარები გამომძიებლის მხრიდან აუცილებელია იმისათვის, რომ არასრულწლოვანი დარწმუნდეს, რომ გამომძიებელი უსმენს მას და ესმის მისი.

კომენტარები შემდეგი სახის შეიძლება იყოს: ,,ალბად ძალიან შეგეშინდა'', ,,არა უშავს, დრო გაივლის და ყველაფერი კარგად იქნება'', ,,საწყენია, ასეთი რამე რომ შეგემთხვა''.

ეს პასუხები და კომენტარები ეხმარება არასრულწლოვანს გაიხსნას და ყველაფერი სრულად მოყვეს, თქვენ კი თქვენი მხრიდან აჩვენებთ, რომ დაინტერესებული ხართ მისი მონაყოლით. ამ გზით გამომძიებელი მეტს გაიგებს არასრულწლოვანის შესახებ და იმ გრძნობების შესახებ, რომელთაც არასრულწლოვანი განიცდის. სპეციალისტები, როგორც წესი, ამ სახის კითხვებს იყენებენ კონკრეტულ კითხვებთან ერთად, რათა დააზუსტონ ესა თუ ის ფაქტი.

ერთი და იგივე კითხვის გამეორება არ არის რეკომენდირებული, რადგან ეს არასრულწლოვანის დაბნევას გამოიწვევს

ს. მარტივი ენის გამოყენება

ხშირად ზრდასრული ადამიანები არასრულწლოვანთან საუბრის დროს არც კი აქცევენ ყურადღებას იგებს თუ არა ყველაფერს არასრულწლოვანი.

გრძელი და რთული კითხვები აბნევენ არასრულწლოვანს და იგი ხშირად ვერც კი ხვდება წინადადების აზრს. გამომძიებელი უნდა ეცადოს არასრულწლოვანს ყველაფერი მარტივი ენით მიაწოდოთ.

ტ. ესმით თუ არა მოსაუბრის

თუ გამომძიებელი არასრულწლოვანს ძალიან ემოციურ თემაზე ელაპარაკება, რომელიც მის ოჯახს უკავშირდება, არასრულწლოვანს შეიძლება გაუჭირდეს გამომძიებლის გაგება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ის შეიძლება ძალიან ნერვიულობდეს.

თუ გამომძიებელს სურს დარწმუნდეს ბოლომდე ესმის თუ არა მისი არასრულწლოვანს, საკმარისი არ არის მხოლოდ მსგავსი კითხვების დასმა ,,ხომ გესმის რას ვგულისხმობ?'' ან ,,გასაგებია?'', ვინაიდან ისინი ერთ კონკრეტულ

პასუხზე მიუთითებენ. არ არის გამორიცხული, რომ არასრულწლოვანმა მსგავს შემთხვევაში გამომძიებელს უპასუხოს ,,დიახ'' და სინამდვილეში ვერ გაიგოს მისი.

ნაცვლად ამისა გამომძიებელმა უნდა ჰკითხოს არასრულწლოვანს ხომ არ სურს მას გაიმეოროს შეკითხვა და აუხსნას თუ რას გულისხმობდა. გამომძიებელმა შეუძლია თქვას: ,,მოდი თუ გინდა ყველაფერი თავიდან გავარკვიოთ. თავად ამიხსენი თუ რას ვამბობდი ახლახანს და მე გეტყვი ყველაფერი სწორად გაიგე თუ არა''.

ზოგჯერ გამომძიებელმა შეიძლება უბრალოდ ყური ვერ მოჰკრას, თუ რა თქვა არასრულწლოვანმა, და შეიძლება მას პასუხის გამეორება მოუწიოს. ამ შემთხვევაში შეიძლება თქვას: ,,შენ ძალიან სასიამოვნო და რბილი ხმა გაქვს, მაგრამ ცოტა ცუდად მესმის და ხომ ვერ გაიმეორებდი რაც ახლახანს მითხარი?''. თუ ის, რასაც არასრულწლოვანი ამბობს ცოტა დამაბნეველი და ბუნდოვანია, რის გამოც ვერ ხერხდება იმავდროულად ყველაფრის გარკვევა, დაუბრუნდით შეკითხვას ოდნავ მოგვიანებით.

უ. ისაუბრეთ არასრულწლოვანთან მშობლიურ ენაზე

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დააზუსტოთ ნამდვილად სწორად ესმის თუ არა არასრულწლოვანს თქვენი, როდესაც თქვენ მის მშობლიურ ენაზე არ ლაპარაკობთ. აუცილებელობის შემთხვევაში გამოიყენეთ თარჯიმანი, მაგრამ გაითვალისწინეთ ის სირთულეებიც რომლებიც, მესამე პირის ჩარევას შეიძლება მოჰყვეს.

თარჯიმანს შეუძლია:

- თარჯიმანმა შესაძლოა ორივე ენა არათანაბრად კარგად იცოდეს;
- ჰქონდეს ცუდი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ხელი შეუშალოს არასრულწლოვანის ჩართვას საუბარში;
- არ თარგმნოს ყველაფერი რაც ითქვა;
- აურიოს ფაქტები და ბოლომდე ვერ გაიგოს რაც ითქვა.

ამ სახის გასაუბრებისათვის თარჯიმნის შემზადება წინასწარ უნდა მოხდეს. მას უნდა აეხსნას არასრულწლოვანის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის მნიშვნელობა. მიეცეს მას საშუალება, ზოგიერთი ფრაზები და გამოთქმები წინასწარ მოიფიქროს.

3. არასრულწლოვანის გაცნობა და ურთიერთობის დამყარება

ა. ნდობის მოპოვება. არ არის გამართლებული იმის მოლოდინი, რომ არასრულწლოვანი თავიდანვე ნდობით მიეპყრობა დამკითხველს. იგი მისთვის უცხო პირია. თუმცა ზოგიერთი არასრულწლოვანი გრძნობების მოზღვავების შედეგად მაშინვე იწყებს საუბარს, როგორც კი ზრდასრული ადამიანის მიერ მისი პრობლემებით დაინტერესებას შეამჩნევს. უმრავლეს შემთხვევაში გასაუბრების წარმატებით წარმოების მიზნით თავიდანვეა საჭირო არასრულწლოვანის ნდობის მოპოვება.

ზოგჯერ არასრულწლოვნებს სურთ, რომ მათი ინფორმაცია კონფიდენციალურად დარჩეს. ოჯახში ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის შემთხვევაში არასრულწლოვანთან გასაუბრების წინ საჭიროა ნებართვის აღება არასრულწლოვანის ოჯახიდან ან მისი მეურვისგან. რაც არასრულწლოვანის ნდობის მოპოვებისათვის არის საჭირო.

ბ. ინტერესი. არასრულწლოვანის ნდობის მოსაპოვებლად მან უნდა იცოდეს, რომ გამომძიებელი დაინტერესებულია მისი ცხოვრებით, მისი იმედებით და მისი პრობლემებით.

გ. მოთმინება. მოთმინება არასრულწლოვნებთან ურთიერთობისას სპეციალისტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია. მოთმინებას დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრის წარმატებით წარმოებისთვის.

დ. ქცევის მანერა. გამომძიებლის ქცევის მანერა და დამოკიდებულება არასრულწლოვნებთან განსაზღვრავს არასრულწლოვნებთან საუბრის დროს მშვიდი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას. მაშინაც კი, თუ იგი არაფერს იტყვის და დაეხმარება არასრულწლოვანს თუ:

- ქცევით შექმნის უსაფრთხო და მშვიდ ატმოსფეროს, რომელიც დაეხმარება არასრულწლოვანს განტვირთვაში;
- პატივს სცემს მის ჩვევებს და აზრებს;
- თუ შესაძლებელი იქნება, გაატაროს არასრულწლოვანთან ერთად მისი ყოველდღიური ცხოვრების ერთ-ერთ მონაკვეთი.

ე. დიალოგის დაწყება

1. არასრულწლოვანთან შეხვედრამდე გამომძიებელი უნდა დარწმუნდეს ხელთ არსებული ინფორმაციის სისწორეში

გამომძიებლის ხელთ არსებული ინფორმაცია არასრულწლოვანის შესახებ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ მოუსმენს იგი არასრულწლოვანს მასთან საუბრისას. მაგალითად მეზობლები ამბობენ, რომ არასრულწლოვანი ძალიან ცუდი ყოფაქცევის არის.

სანამ დამკითხველი არასრულწლოვანს შეხვდება უნდა იფიქროს, თუ რა ითქვა მის შესახებ სხვების მიერ. ამ ინფორმაციამ მის მიმართ კრიტიკული რომ არ გახადოს.

გამომძიებელმა უნდა იფიქროს საღად არასრულწლოვნის და მისი სიტუაციის შესახებ.

2. შეხვედრის ადგილი

ხშირად არასრულწლოვნებთან ურთიერთობის საუკეთესო გზაა მასთან ერთად გასასეირნებლად წასვლა, ან სხვა მისთვის საყვარელ საქმიანობაში ჩაბმა. საუბარი/დაკითხვა უმჯობესია წარიმართოს არასრულწლოვანისთვის ნაცნობ ადგილას. სადაც არ უნდა იყოს დამკითხველი, უნდა დარწმუნდეს, რომ საკმარისი დრო აქვს მასთან საუბრისათვის.

3. გაცნობა

თუ გამომძიებელი არასრულწლოვანს არასოდეს შეხვედრია:

- უნდა წარუდგინოს თავი, გააცნოს თავის ვინაობა;
- წარუდგინოს შეხვედრაზე მყოფი სხვა ადამიანები;
- თუ არასრულწლოვანს შეუძლია კითხვა, კარგი იქნება, თუ დაუწერს სახელს ქაღალდის ფურცელზე;
- აუხსნის, თუ რატომ არის იქ.

მაშინაც კი, თუ გამომძიებელი კარგად იცნობს არასრულწლოვანს, უნდა აუხსნას ამ კონკრეტული გასაუბრების მიზანი.

გამომძიებელმა შეუძლია უთხრას:

- ,,გავიგე, რომ რაღაც პრობლემები გაქვს ოჯახში, ამიტომ ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა თუ მოვიდოდი და გაგესაუბრებოდი''.
- ,,გავიგე რომ სკოლაში აღარ დადიხარ, ამიტომ გადავწყვიტე მენახე და რაღაცით დაგხმარებოდი".
- ,,მაინტერესებს, როგორ ცხოვრობენ აქ ბავშვები''.

4. კონფიდენციალურობა

საჭიროა განემარტოს არასრულწლოვანს, რომ რასაც ის იტყვის, კონფიდენციალურად დარჩება (გამომძიებელი უნდა დარწმუნდეს, რომ არავინ უსმენს საუბარს კარს მიღმა ან ფანჯარასთან).

თუ გამომძიებელს ჭირდება სხვა ადამიანებთან კონკრეტული ფაქტების დაზუსტება მაგალითად, ოჯახის წევრებთან, სოციალური სამსახურის თანამშრომლებთან, უნდა აეხსნას არასრულწლოვანს, თუ რატომ არის საჭირო სხვა პირების ჩართვა და განეცხადოს წინააღმდეგი ხომ არ იქნება ის. (მნიშვნელოვანია არასრულწლოვანისგან მიიღოთ თანხმობა, გაეზიაროს თუ არა კიდევ სხვებს მის მიერ გაცემული ინფორმაცია.)

უნდა გაირკვეს არასრულწლოვანისაგან ხომ არ სურს, რომ საუბარს ესწრებოდეს კიდევ ვინმე სხვა. ეს კითხვა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული არასრულწლოვანის ასაკთან, ზოგჯერ მოზარდებს სურთ, რომ მათ დაკითხვას ესწრებოდნენ ბებია, ბაბუა ან რომელიმე მათი მეგობარი. ზოგჯერ კი პირიქით არავის დასწრება არ უნდათ; მცირეწლოვნებმა შეიძლება განაცხადონ, რომ მათ მხოლოდ თავისი დათუნია, კატა ან ძაღლი სჭირდებათ.

ზოგჯერ არასრულწლოვნებს დაკითხვის დროს სურთ ერთად ყოფნა ან არასრულწლოვანს შეიძლება თავის მეგობართან ყოფნა სურდეს.

5. განტვირთვაში დახმარება

საუბარი უნდა დაიწყოს ბუნებრივად. გამომძიებელმა უნდა ჰკითხოს არასრულწლოვანს სახელი, ასაკი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, დადის თუ არა სკოლაში, რა ინტერესები აქვს და ასე შემდეგ სიტუაციიდან გამომდინარე. ამ გზით გამომძიებელი აჩვენებთ არასრულწლოვანს, რომ მისი ცხოვრების ყველა დეტალი მისთვის საინტერესოა და აინტერესებს იგი როგორც პიროვნება.

შესაძლებელია ეთხოვოს არასრულწლოვანს მოყვეს მისი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ: ,,როგორ ეხმარები დედას სახლის საქმეებში?'' ,,რა ხდება სკოლაში?''. საუბრის ამ სახით დაწყება დაეხმარება არასრულწლოვანს განტვირთვაში და გამომძიებელთან შეჩვევაში. მოგვიანებით შესაძლებელია დაიწყოს საუბარი მეტად მგრძობიარე თემებზე.

არასრულწლოვნები შეიძლება ცმუკავდნენ, დაიწყონ ფრჩხილების კვნეტა და უხერხულად იგრძნონ თავი საუბრისას. იმისათვის, რომ არ მოხდეს მეტად დაძაბვა ზოგჯერ არასრულწლოვანს სთავაზობენ პატარა ბურთულებს ან სათამაშოებს, რომ ყურადღება მათ თამაშზე გადაიტანოს.

პირდაპირი საუბრის დაწყებამდე, შესაძლებელია გამომძიებელმა შესთავაზოს არასრულწლოვანს დახატოს მის ოჯახთან დაკავშირებული რაიმე სურათი, ან რის დახატვასაც თვითონ ისურვებდა. ნახატი შეიძლება დამხმარე საშუალება გახდეს საუბრის წამოწყებაში და ერთმანეთის გაცნობაში.

გამომძიებელმა უნდა გააფრთხილოს არასრულწლოვანი, რომ მას შეუძლია შეისვენოს და შევიდეს საპირფარეშოში. არ არის გამორიცხული, რომ ერთმანეთთან ნდობის ჩამოყალიბებამდე არასრულწლოვანმა ისარგებლოს ამ შემთხვევით და თავი აარიდოს მგრძნობიარე შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

ვ. რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს საუბარი/დაკითხვა?

ძალიან ხშირად არასრულწლოვანის დაკითხვა ხანმოკლეა. საუბარი გრძელდება მხოლოდ რამოდენიმე წუთი. ხანმოკლე საუბრები არ არის საკმარისი არასრულწლოვანის განტვირთვის და ერთმანეთის გასაცნობად.

არასრულწლოვანს ხშირად უჭირს თავდაპირველად საუბრის დაწყება და მას გარკვეული პერიოდი დასჭირდება სიტუაციასთან შესაგუებლად. ამიტომ უმჯობესია ერთი ხანგრძლივი საუბრის წარმართვა, ვიდრე რამოდენიმე მოკლევადიანის.

შესაძლოა საჭირო გახდეს რამოდენიმე გასაუბრების დანიშვნა იმ არასრულწლოვნებთან, რომლებსაც სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ თითოეული გასაუბრება არ უნდა გაგრძელდეს 20 წუთზე ნაკლებ ხანს.

არასრულწლოვანთან გასაუბრება ან დაკითხვა არ უნდა გაგრძელდეს 1 საათზე მეტ ხანს.

ზ. შენიშვნების ჩაწერა

ძალიან ხშირად სპეციალისტებს უჭირთ შენიშვნების ჩაწერა და იმავდროულად არასრულწლოვანის საუბარზე კონცენტრირება.

მსგავს შემთხვევაში უმჯობესი იქნება, თუ კონცენტრირება მოხდება არასრულწლოვანის მონაყოლზე, თუმცა მოგვიანებით კარგია მოკლე შენიშვნების ჩაწერა.

შესაძლებელია ისეთი დეტალების ჩანიშვნა, როგორიც არის სახელი, ასაკი, ნათესავები. ეს უმჯობესია მაშინ მოხდეს, როდესაც უკვე დამთავრდება ერთმანეთის გაცნობას.

სახლიდან წამოსული არასრულწლოვნების შემთხვევაში ისინი საეჭვოდ აღიქვამენ იმ ფაქტს, რომ გამომძიებელი რაღაც ჩანაწერებს აწარმოებს და შეიძლება იკითხონ თუ რა საჭიროა ყველა ეს ინფორმაცია.

მას უნდა აეხსნას, თუ რატომ იწერება შენიშვნები და რაშია საჭირო ეს ფურცლები. ასევე უნდა აეხსნას არასრულწლოვანს, თუ რატომ ხდება მისი საუბრის აუდიო ჩაწერა ან ფირზე ასახვა.

გამომძიებელს მოუწევს გარკვეული ბალანსის დამყარება საჭირო ინფორმაციის მოპოვებასა და არასრულწლოვანის მხრიდან შესაძლო აღელვების განეიტრალებას შორის.

თ. ფაქტები და გრძნობები

ფაქტების შეგროვება გულისხმობს არასრულწლოვანის პრობლემების და სირთულეების გაგებას და ჩაწვდომას. ამ გზით მას პრაქტიკული და ემოციური დახმარება ეწევა. არასრულწლოვანის გრძნობები ყოველთვის უნდა იქნას გათვალისწინებული და მოხდეს მისი დამშვიდება, როდესაც იგი რაღაც სევდიანს ყვება.

ი. დეტალების გამოკითხვა

უნდა გაირკვეს, თუ რა სირთულეებს აწყდება არასრულწლოვანი ამჟამად და რა პრობლემები ჰქონდა მას წარსულში.

კარგი იქნება თუ მას ყოვლედღიური ცხოვრების დეტალებს მოაყოლებთ, დილიდან დაწყებული დაძინების მომენტის ჩათვლით. ასევე შესაძლებელია ეთხოვოს მას, მოყვეს მისი წარსული ცხოვრების შესახებ. მაგალითად: ,,მომიყევი რაიმე შენი ცხოვრებიდან.''

ამ გზით თქვენ უფრო რეალურად შეძლებთ სიატუაციის შეფასებას.

კ. საუბრის თემატიკა

საუბრისათვის შესაძლებელია შემდეგი სახის თემების შერჩევა:

- ვისთან ერთად ცხოვრობს ის;
- სად ცხოვრობენ ოჯახის სხვა წევრები;
- ოჯახის სიტუაცია, სამსახური, შემოსავალი, ჯანმრთელობა;
- სკოლა, ჯანმრთელობა და სამსახური;
- მეგობრები და დასვენების საათები;
- მისი ამჟამინდელი ცხოვრების სირთულეები;
- სირთულეები წარსულში და ძალადობის ფაქტების არსებობა, გარიყვა, გარდაცვალება, შიში, შიმშილი;
- დარდი, ოცნებები და სამომავლო გეგმები;
- ვის ენდობა ის.

ლ. ფანტაზიის გამოყენება

გამომძიელმა, რომელთაც უწევს ურთიერთობა არასრულწლოვანთან, საჭიროა გაიხსენოს მომენტები თავისი ბავშვობიდან, როდესაც რაღაც უსიამოვნოს იგებდა. (დანაკარგი, განშორება, ავადმყოფობა). ცოტა ხნით დაფიქრდეს და გაიხსენოს რა გრძნობა გეუფლებოდა მაშინ.

- ეხმარებოდა ვინმე ზრდასრული ადამიანი?
- რა სახის დახმარებას უწევდა?

- რა სახის დახმარებას ისურვებდა, თუ მას არ ყავდა გვერდში სრულწლოვანი იმ მომეტებში?

შეეცადოს წარმოიდგინოს, თუ რას განიცდის არასრულწლოვანი, რომელსაც მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება და რას გრძნობს ის, როდესაც სირთულეებს აწყდება?

შეუძლია გაამხნევოს იგი შემდეგი შეკითხვების დასმით: ,,რას გრძნობდი ამასთან დაკავშირებით?" ან ,,ყველაზე მეტად რაზე დაგწყდა გული?''

მ. თანაგრძნობა

არასრულწლოვანის საუბრის დროს თანაგრძნობის გამოხატვით გამომძიებელმა უნდა აჩვენოს, რომ იზიარებს მის აზრებს და გრძნობებს და რომ არ იქნება კრიტიკული მისგან წამოსული ნებისმიერი მძაფრი ემოციის მიმართ.

უნდა აჩვენოს, რომ მზად არის მიიღოს მისგან წამოსული ნებისმიერი ემოცია იქნება ეს ბრაზი, შიში, მღელვარება და ა. შ. სიტუაციიდან გამომდინარე.

თანაგრძნობის გამოსახატად და არასრულწლოვანის გრძნობების წარმოჩენაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას სიტყვები:

,,ალბათ ძალიან შეგეშინდა'';
,,ალბათ ძალიან წუხხარ შენს ოჯახზე'';
,,ძალიან დასანანია რასაც შენ ახლა მეუბნები'';
,,კრიტიკულ სიტუაციაში ძნელია ზუსტად განსაზღვრო, თუ რომელია მართებული ნაბიჯი'';
,,ბევრ ბიჭს (გოგოს) ჰქონია მსგავსი სიტუაცია'';
,,შენი აზრით რას გრძნობენ სხვა ბიჭები (გოგოები), რომლებიც შესწრებიან მკვლელობის სცენას?''

4. არასრულწლოვანის გრძნობების გათვალისწინება

ა. სტრესი და სულიერი განცდა

ნორმალურია, როდესაც ადამიანს უბედურ შემთხვევაზე უვითარდება ძლიერი უარყოფითი ემოცია, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ემოცია ნეიტრალდება.

ზოგიერთი არასრულწლოვანი ადვილად უმკლავდება უსიამოვნო შემთხვევით გამოწვეულ უარყოფით ემოციას, სტრესს ვიდრე სხვა მისი თანატოლები. სტრესიდან გამოსვლა ძირითადად უჭირთ არასრულწლოვნებს, რომლებსაც დაძაბულ გარემოში უწევთ ცხოვრება.

შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, თუ რამდენად ძლიერია არასრულწლოვანის სულიერი განცდა:

- დაკვირვება მის ქცევაზე და სხვა არასრულწლოვნებთან ურთიერთობაზე;
- რას გვეუბნებიან თავად არასრულწლოვნები საკუთარი განცდების შესახებ.

არასრულწლოვანზე დაკვირვების წარმოების შედეგად შესაძლებელია გათვითცნობიერება, თუ რას გრძნობს ის. უნდა მოხდეს დაკვირვება არასრულწლოვანის სახის გამომეტყველებაზე, საუბრის რა მომენტში ევსება მას თვალები ცრემლებით, ყოყმანობს თუ არა საუბრის გარკვეულ მომენტში. აქედან გამომდინარე შესაძლებელია იმის გაგება, თუ რას აღიქვამს არასრულწლოვანი ყველაზე მტკივნეულად და რა აწუხებს მას ყველაზე მეტად.

კარგი იქნება, თუ არასრულწლოვანზე დაკვირვება წარმოებს სხვა ბავშვების გარემოცვაში. შესაძლებელია გაირკვეს მეგობრობს თუ არა ის ვინმესთან, ხომ არ არის კონფლიქტში არასრულწლოვნებთან თუ პირიქით - კარგად ეწყობა მათ და თამაშობს მათთან.

ბ. ინტერესის და ენერგიის დაკარგვა

არასრულწლოვნებს, როგორც წესი უყვართ თამაში და საკმარისი ენერგია აქვთ ამისთვის. ისინი არც ჭამაზე და ძილზე ამბობენ უარს. როდესაც არასრულწლოვანს რაღაც აწუხებს, იგი მთელი დღის განმავლობაში მოწყენილი და შეწუხებული დადის და არც სხვებთან თამაშის სურვილი აქვს. იგი კარგავს ენერგიას და მადას.

გ. ცუდი კონცენტრაცია და მოუსვენრობა

არასრულწლოვნებს, რომლებსაც რაღაც პრობლემები აქვთ, უჭირთ კონცენტრირება ამა თუ იმ საკითხზე. როდესაც არასრულწლოვნები დაძაბულები არიან ისინი შეიძლება გახდნენ უკიდურესად აქტიურები და მოუსვენრები. დაიწყონ აქეთ-იქით სირბილი და უაზრო ქცევა.

დ. აგრესია და მავნებლობა

მცირეწლოვნების აგრესია ხშირად მავნებლობაში იზრდება და ამით ისინი თავისი ემოციების რეალიზაციას ახდენენ. ისინი სიტყვებით ვერ გადმოსცემენ უარყოფით ემოციებს და ნაცვლად ამისა შეიძლება ხელი დაარტყან მის გარშემო მყოფ ადამიანებს.

მცირეწლოვნები მათ გარშემო დაგროვილ უარყოფით ემოციას თვითონაც ითვისებენ. ხშირად ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი თვითონ ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ცემის და სხვა რაიმე ზიანის მიყენების შემდეგ ბავშვები დამცირებულად გრძნობენ თავს და სურვილი უჩნდებათ, რომ თვითონაც მიაყენონ ტკივილი სხვა ადამიანებს.

ე. თამაში

არასრულწლოვნებს, და განსაკუთრებით ბიჭებს, უყვართ ომობანას თამაში. მსგავსი სახის თამაშებში ბავშვები ახდენენ მათში დაგროვილი უარყოფითი ემოციის რეალიზაციას. არასრულწლოვნებმა, რომლებსაც სცემეს. შეიძლება თამაშის დროს სცემონ თანატოლ ბიჭებს და ასე შემდეგ.

როდესაც არასრულწლოვნები თამაშის დროს ახორციელებენ ძალადობის ამსახველ ერთსა და იმავე სცენებს, ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი ჯერ კიდევ იტანჯებიან და განიცდიან გადამხდარს. ისინი უკეთ იგრძნობენ თავს, საშუალება რომ ჰქონოდეთ გაუზიარონ თავისი ტკივილი სხვებს.

ერთი და იმავე სცენების ამსახველი ნახატები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ არასრულწლოვანი ვერ ივიწყებს ძველ განცდებს.

ვ. თამაშის აკრძალვა

ზოგჯერ არასრულწლოვნები იმდენად განიცდიან გადამხდარს, რომ საერთოდ თავს ანებებენ თამაშს. მსგავს შემთხვევებში მათ განსაკუთრებული მზრუნველობა და გამხნევება სჭირდებათ.

ზ. მეგობრობა

თუ არასრულწლოვანი ყოველთვის მარტოა, არავისთან არ მეგობრობს ან უარყოფილია სხვების მიერ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

არასრულწლოვანიდან გამომდინარე მიზეზები:

- ის ძალიან გულჩვილი და მოწყენილია და არ შეუძლია სხვებთან მეგობრობა;
- მას მარტო ყოფნა სურს ვინაიდან იგი არ ენდობა სხვა არასრულწლოვნებს და ეშინია, რომ ისინიც ულმობელნი იქნებიან მის მიმართ. მაგალითად, ,,მე არ მინდა სხვებთან მეგობრობა ჩვენ შეიძლება ვიკამათოთ და მათ შეიძლება მომკლან.''
- იგი ურტყამს სხვა არასრულწლოვნებს და შედეგად მათ აღარ სურთ მასთან მეგობრობა;
- იგი ისეთი მავნებელია, რომ ყველას ხელს უშლის თამაშში;
- იგი ვერ იგებს სხვა ბავშვების ენას ან თამაშის წესებს ამიტომ მარტო ყოფნა ურჩევნია.

მიზეზები, რომლებიც არ არის არასრულწლოვანზე დამოკიდებული:

- იგი უარყოფილია სხვა არასრულწლოვნების მიერ იმიტომ, რომ იგი ღარიბი ოჯახიდან ან სხვა რეგიონიდან არის. ან სხვა თვისებებით განსხვავდება მათგან.

სრულწლოვნებზე დამოკიდებული მიზეზები:

არასრულწლოვნები, რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, შეიძლება აღარ ენდობოდნენ სრულწლოვნებს.

- ისინი თავს არიდებენ სრულწლოვნებთან ურთიერთობას;
- ისინი განზრახ იქცევიან ცუდად იმისათვის, რომ შეამოწმონ თუ რა რეაქცია ექნება ამაზე სრულწლოვან ადამიანს.

არასრულწლოვნები, რომლებმაც დაკარგეს თავისი ოჯახები, შეიძლება მიეკედლნენ სხვა სრუწლოვნებს იმის შიშით, რომ იმათაც არ მიატოვონ.

თ. შიში

წარსულში გადატანილი განცდების გამო არასრულწლოვნებს შეიძლება გამოუმუშავდეთ შიშის გრძნობა ხმაურის, ადამიანთა ჯგუფის, განსაკუთრებით კი ფორმიანი ადამიანების მიმართ.

ი. მოწყენილობა და სიფიცხე

ზოგიერთი არასრულწლოვანი მოწყენილი და დადარდიანებულია. ისინი ბევრს ტირიან და თამაშის სურვილსაც არ ამჟღავნებენ. ზოგიერთნი ძალიან ადვილად ღიზიანდებიან.

კ. ფიზიკური სიმპტომები

ძლიერი ემოციები ხშირად ფიზიკურ სიმპტომებშიც ვლინდება. როდესაც რაღაცის გვეშინია, ჩვენ ვკანკალებთ და სიცივე გვიტანს ხოლმე. შეიძლება დაგვეწყოს მუცლის ტკივილებიც.

როდესაც დაძაბულები ვართ, ვკარგავთ მადას, გვეწყება თავის ტკივილები, ცუდად გვძინავს და კოშმარები გვესიზმრება. ემოციური დაძაბულობა შეიძლება შემდეგი სახის ფიზიკური სიმპტომებით გამოიხატოს:

- მშფოთვარე ძილი და ღამის კოშმარები;
- ცუდი მადა ან პირიქით გადაჭარბებული კვება;
- სხვადასხვა ორგანოთა ტკივილები, სიცივის ან სიცხის შეგრძნება;
- თავბრუ და გულის წასვლები;
- ჰაერის უკმარისობა.

ისეთი სახის ფიზიკური ჩივილები, როგორიც არის, ტემპერატურის მატება, პაროქსიზმი, დიარეა, და ხველა შეიძლება არ იყოს გამოწვეული ემოციური დაძაბულობით.

ლ. როდის სჭირდება არასრულწლოვანს დახმარება

არასრულწლოვანს სჭირდება დახმარება თუ ის:

- გვიზიარებს თავის გრძნობებს და გვანდობს თავის პრობლემებს.
- ამჟღავნებს ძლიერ ემოციურ დაძაბულობას, მაგალითად:
    - აგრესიული და მავნებელია
    - ძალიან აღშფოთებულია, ხშირად არის გაბრაზებული და განაწყენებული;
    - ძალიან აქტიური და მოუსვენარია;
    - იზოლირებულია სხვებისგან და არავისთან არ მეგობრობს;
    - არავის ენდობა, მუდმივად შიშის ქვეშ არის;

- პრობლემები აქვს არასრულწლოვნებთან თამაშისას;
- იქცევა როგორც გაცილებით პატარა ბავშვი.

არასრულწლოვნებს ყოველთვის არ შეუძლიათ მათი გრძნობების შესახებ საუბარი. ისინი ძლიერი შიშის ან დაბნეულობის გამო შეიძლება არც იყვნენ ბოლომდე თავის გრძნობებში დარწმუნებულნი და ვერც ახერხებდნენ თავისი გრძნობების გადმოცემას. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ ბოლომდე იქნას გაგებული თუ რას გრძნობს არასრულწლოვანი, საჭიროა მასზე დაკვირვება და მისი ქცევების ბოლომდე შესწავლა, რათა მიეცეს საშუალება სხვა სახით შეძლოს თავისი გრძნობების გადმოცემა.

5. დაბრკოლებების გადალახვა კომუნიკაციის დროს

ა. რატომ არ ილაპარაკებს ის?

ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ არასრულწლოვნებს უჭირთ თავისუფლად საუბარი და ეს ზოგჯერ იმედგაცრუებას წარმოქმნის, რაც გამოუსადეგარისა და უარყოფილის შეგრძნებას აღძრავს. ზოგჯერ საუბრის დროს სიჩუმე ნორმალურია.

უნდა გაკეთდეს სია იმ მიზეზებისა, რამაც შეიძლება ახალი დაბრკოლება შექმნას საუბრისას. შესაძლებელია დასკვნების გამოტანაც:

- არაფერი კეთდება საუბრის წასახალისებლად;
- არასრულწლოვანს აქვს ენობრივი პრობლემები (სიყრუე, მეტყველების პრობლემები, გვიანი აღქმა ან სირთულეები იმ ენასთან დაკავშირებით, რომელსაც საკომუნიკაციოდ იყენებთ);
- მისი ძლიერი ემოციური რეაქციები ართულებს საუბარს.

რაც შეეხება კომუნიკაციის მანერას:

კომუნიკაციის მანერას დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანის განწყობაზე. სრულწლოვანმა ადამიანმა შეიძლება საუბრისას დაბრკოლება შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილი ქცევებით:

- ბევრი ლაპარაკით;
- კრიტიკული შენიშვნებითა და გაკიცხვით;

- დაცინვით ან არასრულწლოვანის დამცირებით;
- აგრესიულობით და დაჩაგვრით;
- აღელვებითა და ემოციურობით;
- შეწინააღმდეგებით ან კამათით;
- არასრულწლოვანის აღელვების შემთხვევაში შეწუხებითა და შეშფოთებით;
- არასრულწლოვანის რწმენისა და ცხოვრების წესის მიმართ უპატივცემულობით;
- უნდობლობით.

ბ. კომუნიკაციის სირთულეები ზრდასრულისთვის

ზრდასრულებისთვის ყოველთვის ადვილი არ არის არასრულწლოვნებთან ურთიერთობა. ხშირ შემთხვევაში უფროსებს იგივე განცდები აქვთ გადატანილი ბავშვობაში. როდესაც არასრულწლოვანი საუბრობს წარსულზე, მტკივნეული მოგონებები იღვიძებს მათში. ზოგჯერ სოციალური მუშაკები ან სამართალდამცავები მზად არიან იტირონ, ამიტომ მათ აშინებთ წონასწორობის დაკარგვის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში სოციალური მუშაკი/სამართალდამცავი უნდა შეეცადოს კონცენტრაცია არასრულწლოვანზე გადაიტანოს და არა – საკუთარ თავზე. ცოტა ხნით შესაძლოა უფროსიცა და არასრულწლოვანიც გაჩუმდეს: სოციალურ მუშაკს/ სამართალდამცავს შეუძლია ამ დროს თქვას რაიმე.

ფრაზები - ,,მსგავსი რაღაცეები მეც ასეთივე სევდას აღმიძრავს''; ,,ხომ არ გინდა განაგრძო იმის მოყოლა, ცოტა ხნის წინ რომ მიამბობდი?!'' – ეხმარება არასრულწლოვნებს იმის აღქმაში, რომ უფროსებსაც ჰქონდათ იგივე პრობლემები, მაგრამ შეძლეს მათი გადალახვა.

გ. პასუხის არქონა

რთულია არასრულწლოვანისგან მისი პრობლემების მოსმენა განსაკუთრებით მაშინ, თუ არის გარკვეული, თუ რა, პასუხი უნდა გაეცეს და წუხილს იწვევს ის ფაქტი, რომ ნათქვამმა შესაძლოა უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდოს იგი.

არასრულწლოვანის ტკივილის შემსუბუქების სურვილი ბუნებრივია, რაც შესაძლოა შემდეგი ფრაზებით შეძლოთ - ,,ნუ ტირი'', ,,ამაზე მეტად აღარ იფიქრო'' ან უბრალოდ სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით შესთავაზოთ მას კამფეტი ან რაიმე ტკბილეული გასამხნევებლად.

თუ არასრულწლოვანი ძლიერი სტრესის ქვეშაა, მაშინ შესაძლოა მისი თანდათანობით დამშვიდება და გამხნევება საუბრის გასაგრძელებლად. უნდა ეჩვენოს, რომ ამით არაფერი დაშავდება, თუ ის საკუთარ გრძნობებს გამოამჟღავნებს; მის ტკივილი მიღებული იქნება და გაზიარებული.

თუ არასრულწლოვანი აღელვებულია, უნდა მოხდეს დროის გახანგრძლივება საუბრის დაწყებამდე, ისე რომ არ უნდა დარჩეს მარტო სანამ არ დაწყნარდება.

უნდა შედგეს სია, სადაც ჩამოთვლილი იქნება დაწყნარების სხვადასხვა შესაძლო გზა, რაც გააადვილებს აღელვებული არასრულწლოვანის დამშვიდების პროცესს.

როგორც პროფესიონალი, თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ შეძლებთ საკუთარი თავის გამხნევებასაც, ეს კიდევ უფრო გაგიადვილებთ სტრესულ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთა დახმარებას.

6. არასრულწლოვანის სირთულეები უფროსებთან ურთიერთობის დამყარებისას

ა. უფროსებთან საუბარი

ბევრი არასრულწლოვანი მიჩვეული არ არის უფროსებთან, განსაკუთრებით უცნობებთან, საკუთარი გრძნობების შესახებ საუბარს.

ბევრ ქვეყანაში არსებობს წესები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ვის უნდა ელაპარაკო განსაკუთრებული საკითხების შესახებ, მაგალითად ვის უნდა ჰკითხო რჩევა და ა.შ.

გოგონამ შეიძლება ბებიასთან თქვას თავისუფლად, რომ გააუპატიურეს, ხოლო მის არყოფნაში სხვა მოხუც ქალსაც გაანდობს თავის სათქმელს.

ბ. სიტყვებში ემოციების ჩადება

ბევრი არასრულწლოვანი არავის წაუხალისებია, რომ საკუთარ თავზე ელაპარაკა, ამიტომ მათ ძალიან უჭირთ სიტყვების მოძებნა გრძნობების აღსაწერად.

იმ არასრულწლოვნებს, რომლებმაც ძლიერი შოკი გადაიტანეს, უჭირთ საუბარი.

შესაძლოა მათ დაგმობის ეშინოდეთ, ამიტომ სურთ შეინახონ საკუთარი გრძნობები. ზოგიერთი არასრულწლოვანი შემთხვევის შემდეგ თვეების განმავლობაში, ზოგიც წლების მანძილზე არ ლაპარაკობს.

ყოველთვის ადვილი არ არის ვიცოდეთ, რას ვგრძნობთ. ზოგიერთი განვლილი გრძნობები იმდენად მტკივნეულია, რომ აღარ შეგვიძლია მათზე ფიქრი – ისინი ,,გაყინულია'' ჩვენში.

გ. უნდობლობა და ეჭვი

გაჭირვებაში მცხოვრებ არასრულწლოვნებს ხშირად ეჭვის გამართლებული მიზეზი აქვთ. მათ შესაძლოა ეშინოდეთ გაცემის, ღალატის, დასჯის ან ძალით რეპატრირების. ხშირად იმ უფროსებს, რომელთაც ისინი ხვდებიან, არ ესმით ეს სირთულეები.

დ. გაბრაზება და მტრული დამოკიდებულება

ზოგ არასრულწლოვანს ეშინია უფროსების, რადგან ისინი ცუდად მოექცნენ და არ გამოიჩინეს სათანადო მზრუნველობა. შესაძლოა არასრულწლოვნები მოელიან, რომ მათ გააკრიტიკებენ და დასჯიან.

ე. დანაშაულის შეგრძნება ან საკუთარი თავის დადანაშაულება

ზოგს რცხვენია იმის, რაც თავს გადახდა, მაგ: თუ ისინი გაუპატიურების ან შეურაცხყოფის მსხვერპლნი არიან. შეიძლება ზოგი საკუთარ თავს ადანაშაულებდეს, რომ ვერ დაიცვა საკუთარი ოჯახი ან თვითონ ცოცხალი გადარჩა, დანარჩენები კი დაიღუპნენ.

კარგი იქნება, არასრულწლოვანთან საუბრისას შეთავაზება, რაც უნდათ ის დახატონ. რის შემდეგაც შესაძლებელია ისეთი თემის შეთავაზება, როგორიცაა ,,ჩემი მომავალი,'' ,,ოცნება'', ,,ჩემი ოჯახი'', ,,ომი'', რაც მათ წარმოსახვას აძლიერებს განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე.

როცა არასრულწლოვანი ხატვას დაასრულებს, შეგიძლიათ სთხოვოთ, გიამბოთ ნახატის შესახებ, მაგრამ არ დააძალოთ ამის გაკეთება. ხატვა შესაძლოა მხოლოდ შვების მომტანი საშუალება იყოს, ან შესაძლოა სიტყვიერი კომუნიკაციისკენ გზის გამკვლევი საშუალებაც აღმოჩნდეს.

ქაღალდები და ფანქრები არ არის აუცილებელი. შეიძლება გამოყენებულ იქნეს საძერწი მასალა ან პირდაპირ მიწის ზედაპირზე დავახატვინოთ.

თუ შესაძლებელია, უკეთესია, სურათი კედელზე დაიკიდოს ან უსაფრთხო ადგილას მოხდეს შენახვა, რათა დაინახოს, რომ აფასებენ მის ნამუშევარს.

ვ. თოჯინებისა და ნიღბების გამოყენება

თავის მოჩვენება გარკვეულ პერსონაჟად არასრულწლოვნებს უადვილებს კომუნიკაციას და აზრების გამოთქმას, რაც სხვა შემთხვევაში ძალზე გაუჭირდებოდათ. მათ შეუძლიათ ნიღბის ან თოჯინის უკან დაიმალონ და ილაპარაკონ ისე, თითქოს უშუალოდ თავად არ ლაპარაკობენ.

ზ. მუსიკა და ცეკვა

მუსიკა, ცეკვა და სიმღერა საუკეთესო საშუალებებია მათ დასახმარებლად, ვინც ემოციურ სტრესში იმყოფება, განსაკუთრებით თუ სიმღერა და მელოდია მათთვის ნაცნობია და ბედნიერ მოგონებებთანაა დაკავშირებული.

მოძრაობა და რიტმი დაძაბულობას ხსნის და თავს კარგად გაგრძნობინებს. ჯგუფური აქტივობა არასრულწლოვანს უსაფრთხოების გრძნობას უჩენს და შესაძლებლობას უქმნის საკუთარი სათქმელი სიტყვების გარეშე გამოხატოს ან უფრო თვითდაჯერებული გახდეს.

თ. თეატრი

წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, რადგან ამ დროს არასრულწლოვანმა შეიძლება თავად მოიგონოს ამბავი, რომელიც გარკვეულწილად გამოხატავს იმ პრობლემებს, რაც მნიშვნელოვანია მისთვის. მას შეუძლია გამოიყენოს ნიღაბი, როგორც პერსონაჟების ემოციებისგან გამყოფი საშუალება.

მას, მაგალითად შეუძლია გამოიგონოს ამბავი თავისი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელსაც შეიძლება სულ სხვანაირი დასასრული მოუგონოს, ვიდრე ის რეალობაში იყო. ეს დასასრული შეიძლება იყოს როგორც ბედნიერი, ისე ნაღვლიანი. ბოლოს მასთან ერთად შესაძლებელია განხილვა, რას ფიქრობს წარმოდგენასა და მის დასასრულზე.

ზოგჯერ უშუალო მონაწილეობის ნაცვლად შესაძლებელია არასრულწლოვანთან თოჯინებით თამაში. ესეც ერთგვარი საშუალებაა ,,ნამდვილ'' ადამიანებთან ურთიერთობის ასარიდებლად.

ი. განცდილის დაწერა

მათთვის, ვინც წერა იცის, საკუთარი გამოცდილებიდან მოთხრობების, ლექსების ან ჩანაწერების შექმნა სათქმელის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა.

ამ დროს არასრულწლოვნებს აბსოლუტური თავისუფლება უნდა მიეცეს, რათა ყოველივე ისე გამოხატონ, როგორც თავად სურთ. არ შეიძლება მისი ნამუშევრის გაკრიტიკება, რადგან ამან შეიძლება ხელი შეუშალოს სათქმელის თავისუფლად გამოხატვას.

კ. სკოლამდელი ასაკის არასრულწლოვანი

ბევრ სრულწლოვან ადამიანს უჭირს არასრულწლოვნებთან ურთიერთობა. ამ ასაკში არასრულწლოვნები ხშირად ვერ ლაპარაკობენ. ზოგიერთი მათგანი კი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ ლაპარაკობს გადატანილი სტრესის გამო. მაშინაც კი, თუ არასრულწლოვანი არ სვამს კითხვებს, მისი ოჯახისა და მომავლის შესახებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ამ საკითხებზე არ ფიქრობს. ძალზე მარტივად და კორექტულად უნდა დაესვას კითხვა ,,რა მოხდა შენს ოჯახში?...'' ძალიან ძნელია, როდესაც არ იცი სად არიან მშობლები. მარტივად აეხსნას სამომავლო გეგმები. მის რეაქციაზე დაყრდნობით შესაძლებელია მეტი ინფორმაციის გამხელა. მის გრძნობებზე დაკვირვება ასევე გამოსადეგია. არასრულწლოვანი გრძნობს, როდესაც უფროსებს მისი გრძნობებისა და აზრების გაგება სურთ და კომუნიკაციაზე უარს ამბობს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა არასრულწლოვნებისათვის კომუნიკაციის საშუალებების დაუფლება. ამაში შედის:

- ფიზიკური კონტაქტი;
- თამაშები და ამბების მოყოლა;
- გამოხატვის საშუალებები, როგორებიცაა: ხატვა, ცეკვა, მუსიკა, როლის თამაში, თოჯინები და თეატრი.

ლ. მოზრდილი არასრულწლოვანი

ზოგიერთი მოზრდილი არასრულწლოვანი უარს ამბობს უფროსებთან კომუნიკაციაზე, რადგან ფიქრობს, რომ შეიძლება დასაჯონ საქციელისათვის ან აქვს გარკვეული აკრძალული ნივთები, რომელთა დამალვაც სურს. ეს შეეხება მაგ, ქუჩის არასრულწლოვნებს, ბიჭებს, რომლებიც ძალადობრივ ქმედებებში არიან ჩარეულნი, აგრეთვე გოგონებს, რომლებიც გააუპატიურეს.

7. არასრულწლოვანი როგორც ეჭვმიტანილი და მოწმე. ყველა გამომძიებელი სავარაუდოდ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს ეჭვიტანილის მიმართ. თუმცა როდესაც ეჭვმიტანილი არასრულწლოვანია, პრიორიტეტს მისი დაცვა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მთავარია დანაშაულის მოტივის დადგენა.

არსებობს რამდენიმე ყველაზე მეტად გავრცელებული მოტივი, როცა არასრულწლოვანია ეჭვმიტანილი:

ა. გაჭირვებული მდგომარეობა ოჯახში. არასრულწლოვანს უნდა, რომ ჰქონდეს იგივე, რაც მის მეგობრებს აქვთ.

როგორც ყველასთვის ცნობილია, ბევრ ოჯახში ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა. დღესდღეობით არასრულწლოვნებს უყვართ ისეთი ცნობილი მარკის ტანსაცმლის ტარება, როგორებიცაა ნაიკი, ადიდასი, პუმა და სხვა. იმ არასრულწლოვნებს, რომლებიც ღარიბი ოჯახებიდან არიან, ასევე უნდათ, არ ჩამორჩნენ სკოლის მეგობრებს, მსგავსი ტანსაცმლის არ ქონის გამო. ზეწოლა ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ არასრულწლოვნები იპარავენ ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და სხვა ნივთებს მეგობრებში პატივისცემის მოსაპოვებლად. ეს შეიძლება მოხდეს იმის მიუხედავად, არასრულწლოვანის განათლების დონე მაღალია თუ დაბალი.

ბ. ოჯახის მხრიდან ზეწოლა და დანაშაულისკენ ბიძგება. ხშირად თავად ოჯახის წევრები არიან დამნაშავენი (კრიმინალები) და იმავეს ასწავლიან არასრულწლოვანებს.

ოჯახის წევრები ხშირად ცნობილი დამნაშავეები არიან. ასეთ ოჯახებში არასრულწლოვნები ხედავენ, რომ მათ ახლობლებს, მამას, ძმას ან ბიძას ხშირად აკავებს ან აპატიმრებს პოლიცია. ოჯახს სულ არ ადარდებს არასრულწლოვანის

განათლება. არასრულწლოვნების ისეთ თვისებებს, როგორიცაა მათი სხეულის მცირე ზომა ხშირად იყენებენ დახურულ სივრცეში შესაჭრელად პატარა ფანჯრების გამოყენებით. არასრულწლოვნებს ასევე ხშირად აგზავნიან ბაზრებში ან სხვა ხალხმრავალ ადგილებში ჯიბის ქურდობისათვის. თუ საკმარის ფულს ვერ მოიპარავენ ხშირად, სცემენ და სახლში კეტავენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა და სამართალდამცავს, ისევე, როგორც სხვა შესაბამის პირებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ არასრულწლოვანი ეჭვმიტანილი იმავდროულად მსხვერპლიცაა. ამ დროს მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის ჩამოცილება ოჯახისგან, მისი განათლება და უკეთესი სოციალური გარემოს შექმნა. სამართალდამცავებმა და სოცუზრუნველყოფის სამსახურმა, მზრუნველმა პირმა და სხვა ადამიანებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

გ. ცუდი „სამეგობრო'' წრე, რომელიც წარმოადგენს ხულიგნურ დაჯგუფებას.

მისი წევრები ერთად სჩადიან დანაშაულს და ერთად უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს.

ერთი ასაკის არასრულწლოვნებს, რომლებიც ერთი სოფლიდან ან უბნიდან არიან, ხშირად ერთ სკოლაში და ერთ კლასში უწევთ სიარული. ყალიბდება პატარა დაჯგუფებები და ყველა არასრულწლოვანს უნდა მას შეუერთდეს. ზოგიერთი დაჯგუფება „თავის რიგებში" მხოლოდ იმ არასრულწლოვნებს იღებს, ვინც „სიმამაცის ტესტს" ჩააბარებს. ზოგჯერ ეს ტესტი კრიმინალურ ქმედებას წარმოადგენს. არასრულწლოვანი, რომელიც მსგავსი ქმედების დროს დაიჭირეს, არაფერს ამბობს თავისი მეგობრების შესახებ, რადგან არ სურს, დაჯგუფებიდან გარიცხონ.

დ. ზეწოლა სკოლის მეგობრების ან სხვა არასრულწლოვნების მხრიდან.

დასავლეთის ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, უფრო და უფრო ხშირდება შემთხვევები, როდესაც მოზრდილი არასრულწლოვნები პატარებს დანაშაულებრივი ქმედებებისთვის იყენებენ. მოზრდილების მხრიდან იმდენად დიდია ზეწოლა, რომ პატარებს არჩევანის საშუალება არ რჩებათ. ზეწოლა გულისხმობს იმას, რომ მათ ემუქრებიან ყოველდღე ცემით, სათამაშოების დამტვრევით, იმით რომ სკოლის მეგობრებს მის შესახებ ტყუილს ეტყვიან. ძალიან რთულია გამომძიებლისთვის არასრულწლოვანი დაარწმუნოს, რომ აუცილებელია მსგავსი ზეწოლისა და

ეჭვმიტანილების შესახებ საუბარი. ყოველთვის არსებობს შიშის ფაქტორი, რომ ეჭვმიტანილები მათ სადმე გააჩერებენ და სცემენ. მსგავსი შემთხვევები ძალზე ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.

მოწმის სტატუსით არასრულწლოვნები ძირითადად ჩნდებიან ოჯახური ძალადობის, ავტო საგზაო შემთხვევების და იშვიათად სხვა დანაშაულებრივი ქმედების დროს.

დეტალების გასახსენებლად არასრულწლოვნებს უფროსებზე უკეთესი მეხსიერება აქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ არასრულწლოვნებს ჰქონდეთ გონზე მოსვლის დრო. გამომძიებელი, რომელიც ამ არასრულწლოვნებთან მუშაობს, დარწმუნდება, რომ არასრულწლოვნებს არ სურთ იმ მოვლენებზე საუბარი, რაც ნახეს. მათ დრო სჭირდება, იმის გასააზრებლად, რაც ნახეს და იმაში დასარწმუნებლად, რომ უსაფრთხოდ არიან. დაკითხვის დროს უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნა ბევრადაა დამოკიდებული გამომძიებელზე. როცა არასრულწლოვანი ხედავს, რომ მამამისი ყოველდღე სცემს დედამისს, იგი ერთგვარ პასუხისმგებლობას გრძნობს, რადგან არ შეუძლია დედამისის დაცვა. არასრულწლოვანს სირცხვილის გრძნობა აწუხებს.

არასრულწლოვნები ცდილობენ, ოჯახის წევრები არ დაადანაშაულონ.

როცა არასრულწლოვანი მოწმის სტატუსით ფიგურირებს ოჯახის გარეთ მომხდარ დანაშაულში ან ავტო საგზაო შემთხვევის დროს, მას ამ შემთხვევაშიც უნდა მივცეთ დრო გონს მოსასვლელად. არასრულწლოვნებს შესანიშნავი ხანგრძლივი მეხსიერება აქვთ და არ ავიწყდებათ დეტალები.

უფრო მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანს ნორმალური აზროვნების უნარის დაბრუნებაში შევუწყოთ ხელი, ვიდრე რაც შეიძლება სწრაფად ჩავატაროთ დაკითხვა. თვეების შემდეგაც კი შეუძლიათ არასრულწლოვნებს გითხრან ყველა დეტალი, რაც ნახეს შემთხვევის ადგილზე.

P.S. ზოგადი წესები დაკითხვის შესახებ შეეხება არასრულწლოვანის დაკითხვის ყველა შემთხვევას მიუხედავად იმისა, ისინი დაზარალებულნი არიან, მოწმენი თუ ეჭვმიტანილნი. ყველა მათგანს განსაკუთრებული მზრუნველობა და მოპყრობა სჭირდება.

არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ გაიზარდონ ისეთ გარემოში, რომელიც მათ ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური და სოციალური თვალსაზრისით განვითარების საშუალებას მისცემს - თავისუფლების, ღირსებისა და ადამიანის პატივისცემის პირობებში.

არასრულწლოვანის უფლებების დარღვევა ძალზე კომპლექსური და სერიოზული პრობლემაა, რამაც შეიძლება თავი იჩინოს არასრულწლოვნების, მოზარდებისა და მათ ოჯახურ ცხოვრებაში. მსგავსი შემთხვევები ხშირად იჩენს თავს იზოლირებულ და სტრესულ გარემოში და ძირითადად აზარალებს ყველაზე დაუცველ პირებს. არასრულწლოვანის უფლებების დარღვევა არის არასრულწლოვნებისა და მოზარდების არაშემთხვევითი ხასიათის ფიზიკური დაზიანება, უყურადღებობა, ფსიქოლოგიური ზიანი, სქესობრივი ექსპლუატაცია. უარეს შემთხვევაში ამას შეიძლება მოჰყვეს სიკვდილი ან ხანგრძლივი ფიზიკური თუ ემოციური სტრესული მდგომარეობა.

სამართალდამცავების როლი არასრულწლოვანის დაცვისას არის უფლებების დარღვევის და მის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობის შემთხვევების შესწავლა, ოქმში ასახვა და გამოძიება. სამართალდამცავების მოვალეობაა არასრულწლოვნებისა და მოზარდების, მათი ოჯახებისა და იმ პირების დახმარება, რომლებიც არასრულწლოვანთა დაცვის ორგანიზაციებში მუშაობენ, მათი უსაფრთხოების დაცვით.

არასრულწლოვანთა დაცვა მთელი საზოგადოების ვალია. განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ საქმეს ის სამთავრობო და არასამთავრობო უწყებები, რომლებსაც ევალებათ დახმარების აღმოჩენა იმ არასრულწლოვნების, მოზარდებისა და მათი ოჯახებისთვის, რომლებმაც მათ მიმართეს. მხოლოდ ერთ უწყებას არ აქვს საკმარისი რესურსები და გავლენა არასრულწლოვანის ან მოზარდის დასაცავად ან დამნაშავის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად. არასრულწლოვანთა დაცვა მოითხოვს დიდ პროფესიონალიზმსა და რესურსებს, რაც შესაძლებელია მხოლოდ კოორდინირებული მუშაობის საშუალებით.

თავი V.

დაკითხვის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებები

§ 1. დაკითხვისას ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენების პროცესუალური და ტაქტიკური ხერხები

თანამედროვე პირობებში გამოძიების ხარისხისა და კულტურის ამაღლება, ასევე სასამართლოში საქმის განხილვა მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დანერგვასა და გამოყენებასთან.

გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის გაუმჯობესება კავშირშია ასევე ისეთ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან, როგორიცაა ფოტო, ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველად არსებული, ასევე 1960 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საერთოდ არ ითვალისწინებდა ხმის ჩაწერას დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს. მხოლოდ 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა შესწორება, რომლის საფუძველზეც 961 მუხლი ითვალისწინებდა ხმის ჩაწერას დაკითხვის დროს, რაც უნდა ჩაითვალოს პროგრესულ მოვლენად.

დღეისათვის მოქმედმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ნაწილობრივ გააფართოვა ხმის ჩაწერის შესაძლებლობა დაკითხვის დროს (მუხლი 303-304).

სიტყვიერი ურთიერთობის პრაქტიკაში ხშირად წარმოიქმნება შეუმჩნეველი გართულებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე. განსაკუთრებით საყურდღებოა მოსაუბრის ნათქვამის გაუგებრობა ან მცდარი გაგება, ასევე მისი არავერბალური ქცევის შეუსაბამობა ნათქვამთან. არის შემთხვევები, როცა დასაკითხი სწორად ვერ იგებს დასმულ შეკითხვას და შესაბამისად იძლევა არასწორ პასუხს ან დამკითხველი ვერ იგებს პასუხის აზრს და ოქმში აღნიშნავს პასუხის არასწორ ინტერპრეტაციას. ოქმის ჩანაწერში შეცდომა

შესაძლებელია მაშინაც, როცა დამკითხველმა რაღაც ვერ გაიგო ნორმალურად და საჩქაროდ გააკეთა ჩანაწერი ოქმში. შესაძლებელია დამკითხველი გაუთვითცნობიერებული იყოს დაკითხვის საგანთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგალითად სპეციალური ცოდნის ქონა (საბუღალტრო, საინჟინრო და სხვა), ამიტომ შესაძლებელია მან არასწორად გააკეთოს ჩანაწერი ოქმში. ამასთან ერთად ჩანაწერებში ცდომილებები შესაძლებელია ენობრივი თავისებურებების გამოვლინებისას, ორაზროვანი გამონათქვამებისას.

აქედან გამომდინარე, დაკითხვის ფიქსაცია ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენებით (განსაკუთრებით ვიდეო აპარატურის) საშუალებას გვაძლევს შემდგომში დაწვრილებით მოვისმინოთ, ვნახოთ და გავაანალიზოთ მოსაუბრის ნათქვამი, რაც გამორიცხავს დაკითხვის შეფასებისას არასწორი აზრის გამოტანას.

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია განვიხილოთ სიტუაციები, თუ რა დროს და რა შემთხვევებისას არის მიზანშეწონილი დაკითხვისას აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენება.

ა. არასრულწლოვანთა (განსაკუთრებით მცირეწლოვანების) დაკითხვისას. ეს განპირობებულია იმით, რომ სიტყვების მარაგი და მეტყველების თავისებურებები არასრულწლოვანებსა (განსაკუთრებით მცირეწლოვანებს) და სრულწლოვანებს შორის განსხვავებულია. არასრულწლოვანები და განსაკუთრებით მცირეწლოვანები ფანტაზიორობენ, იყენებენ გამოთქმებს, რომელთა ნამდვილი არსი მათთვის უცნობია, მათ არა აქვთ დროის, სიჩქარის, ზომის და სხვადასხვა მოვლენების ზუსტი განსაზღვრის უნარი. მცირეწლოვანების ფსიქოლოგიიდან გამომდინარე (რაც განხილულია წინამდებარე თავში) ისინი უმეტესად ჰყვებიან იმას, რისი გაგებაც სურს დამკითხავს ან დაკითხვაზე მყოფ უფროსებს. ყველაფერ ამაში გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ არასრულწლოვანის ჩვენების დეტალური ანალიზის შედეგად, რომელსაც აადვილებს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის არსებობა.

აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის გამოყენება, არასრულწლოვანების და განსაკუთრებით მცირეწლოვანების დაკითხვისას საჭიროა იმიტომაც, რომ ისინი ძალიან იოლად ექცევიან სრულწლოვანების გავლენის ქვეშ, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ შეცვალონ ჩვენება. ყველაფერი ეს გვაძლევს იმის წინაპირობას, რათა ვიდეო და აუდიო

აპარატურა უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანების დაკითხვისას.

ბ. იმ პირთა ჩვენების ფიქსაციისას, რომელთა ჩვენება განსაკუთრებით აუცილებელია, მაგრამ არსებობს ვარაუდი ან ზუსტად არის ცნობილი, რომ გარკვეული მიზეზის გამო დასაკითხი ვერ შეძლებს სასამართლოზე გამოცხადებას; მაგალითად, როცა დაკითხვამდე გამომძიებელისათვის გახდა ცნობილი, რომ მოწმე უნდა წავიდეს ხანგრძლივ მივლინებაში საზღვარგარეთ, ან იგი ცხოვრობს სადმე შორს დასახლებულ რაიონში საიდან ჩამოსვლაც მას გაუჭირდება, ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმგვარია, რომ მას გაუჭირდება სასამართლოზე გამოცხადება. აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების არსებობა აძლევს სასამართლოს საშუალებას შეაფასოს სასამართლოზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებებელი პირის მიერ მიცემული საქმეში არსებული ჩვენება.

გ. იმ პირთა ჩვენების ფიქსაციისას, რომელთა სიცოცხლეს ემუქრება საშიშროება; ასეთ შემთხვევაში ვიდეო ან აუდიო ჩანაწერმა შესაძლებელია დიდი დახმარება გაუწიოს გამოძიებას, რადგან დასაკითხის გარდაცვალების შემთხვევაში საქმეში რჩება არა მარტო ოქმის სახით არსებული ჩანაწერი, არამედ დასაკითხი პირის მიერ პირადად მიცემული ჩვენების ხმის და გამოსახულების ორიგინალი.

მაგალითი პრაქტიკიდან: გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამომძიებელმა საავადმყოფოს პალატაში, მკურნალი ექიმის თანდასწრებით დაკითხა მოქალაქე ,,ნ''-ი, რომელსაც მეუღლემ მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანებები. დაკითხვის დროს ბრალდებული და მისი ათი წლის შვილი, რომელიც შეესწრო დანაშაულს, უარყოფდნენ ცემის ფაქტს. მაგრამ, როცა სასამართლო განხილვისას გამოყენებული იქნა დაზარალებულის დაკითხვის ჩანაწერი, ეჭვმიტანილმა და მისმა შვილმა დაადასტურეს დაკითხვის ,,ჩანაწერში'' მოყვანილი ფაქტები და გარდა ამისა ეჭვმიტანილმა მისცა სრული და ჭეშმარიტი ჩვენება მომხდარი ფაქტის გარშემო.

დ. იმ პირთა ჩვენების ფიქსაციისას, რომელთა პიროვნებიდან გამომდინარე არსებობს ვარაუდი, რომ გამოძიების მიერ განხორციელებული ზეწოლის მომიზეზებით, დასაკითხი შემდგომში უარს იტყვის მიცემულ ჩვენებაზე ან შეცვლის მას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ (მიუხედავად იმისა, რომ ცრუ ჩვენების მიცემისთვის არსებობს პასუხისმგებლობა) ზოგჯერ დანაშაულის ფაქტების შეცვლის მიზნით დასაკითხები

გარკვეული მიზეზების გამო ცვლიან თავიანთ ჩვენებებს, ან საერთოდ უარს ამბობენ მასზე.

თვალნათლივ ჩანს, რომ ზემოთ მოყვანილ ანალოგიურ შემთხვევებში ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრალდებულის ბრალეულობის წინააღმდეგ, როგორც აღიარების გამაგრების საშუალებად ან მის მიერ ჩვენების შეცვლის გამომრიცხავ გარემოებად. თავისთავად აღიარებითი ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის (შემდგომში ,,ჩანაწერი'') არსებობამ არ უნდა შეზღუდოს გამომძიებელი, რათა არ გამოიჩინოს ინიციატივა შემდგომში დამატებით სხვა მტკიცებულებების მოგროვებაში. როგორც წესი, ჩანაწერი შეიცავს გარკვეულ საჭირო ინფორმაციებს, ამიტომ ჩვენების შეცვლის შემთხვევაში გამომძიებელს აძლევს საშუალებას შეაფასოს, არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის გარემოებები და დაადგინოს, თუ რომელი განმარტებები შეესაბამება რეალობას.

საგამოძიებო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც დასაკითხი შეუგნებლად ცვლის თავის ჩვენებას იმიტომ, რომ დიდი დროის გასვლის გამო დაავიწყდა წინათ მიცემული ჩვენება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ,,ჩანაწერი'' ზოგჯერ არ არის მტკიცებულების გამაგრების საშუალება, რათა დასაკითხმა არ შეცვალოს პირვანდელი ჩვენება, არამედ ის არის იმ ფაქტის მტკიცების საშუალება, რომ გარკვეული მომენტისათვის დასაკითხი იძლეოდა იმ ჩვენებას, რაც ,,ჩანაწერშია'' მოცემული. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას გავაფართოვოთ შესაძლებლობა, რათა შევამოწმოთ, თუ რა პირობებში და გარემოებებში რა სახის პასუხებს და ახსნა განმარტებებს იძლეოდა დასმულ კითხვებზე დასაკითხი.

,,ჩანაწერი'' შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კიდევ შემდეგ შემთხვევებში:

ე. გაუპატიურებისას დაზარალებულის დაკითხვის დროს, რადგან, როგორც წესი მათ ერიდებათ, მსგავსი ჩვენების მიცემა სასამართლო განხილვისას ან საერთოდ არ ცხადდებიან სასამართლოზე;

ვ. როცა დაკითხვაში მონაწილეობას იღებს თარჯიმანი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოირკვეს ჩვენების შეცვლის საფუძველი, როცა დასაკითხი მიუთითებს არასწორ ან არაზუსტ თარგმანზე.

ზ. იმ პირების დაკითხვისას, რომელთა ფსიქიკურ სრულყოფილებაშიც შეგვაქვს ეჭვი. ექსპერტ-ფსიქიატრების მტკიცებით ასეთი ,,ჩანაწერები'' მათ აძლევთ საშუალებას გარკვეულ წილად გააიოლონ დასაკითხი პირების ფსიქიატრიული გამოკვლევა.

მაგალითი პრაქტიკიდან: ქურდობის ფაქტთან დაკავშირებული საქმის გამოძიებისას, ეჭვმიტანილი დაკითხვის დროს ლაპარაკობდა არეულად, იგონებდა რაღაც ფაქტებს, ურევდა წელიწადის დროებს, ითხოვდა ცალკე საკანში მოთავსებას, რათა კონცენტრირება გაეკეთებინა გენიალურ აღმოჩენაზე. მსგავსი ჩვენების დაფიქსირება ოქმში იწვევდა სრულ გაუგებრობას, ამიტომ გამომძიებლის გადაწყვეტილებით გაკეთდა დაკითხვის ვიდეო ჩანაწერი, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნა ფსიქიატრიული ექსპერტიზის დროს. ,,ჩანაწერის'' მოსმენამ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისას ექიმები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ბრალდებული სიმულირებდა ფსიქიკურ აშლილობას.

თ. განსაკუთრებით საჭირო საკითხების ფიქსაციისათვის, რომლებიც სრულდება ცალკეული დავალებების შემთხვევაში. ,,ჩანაწერის'' გაკეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებელი უშუალოდ ვერ აწარმოებს ბრალდებულის, მოწმის და დაზარალებულის დაკითხვას და ამ საგამოძიებო მოქმედებას ავალებს სხვა გამომძიებელს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც იმყოფება დასაკითხი პირი. ასევე, დაკითხვის ოქმთან ერთად ,,ჩანაწერი'' გვაძლევს იმ გამომძიებლის დაკითხვაში მონაწილეობის გამორკვევის საშუალებას, რომელმაც მიიღო საქმე წარმოებაში და შემდგომ ეს საქმე უნდა გადაეგზავნოს სხვა ორგანოს.

ი. ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, გაუნათლებელი, ყრუ-მუნჯების, ბრმების და სხვა პირთა დაკითხვისას, როგორც ჩვენების დამატებითი ფიქსაციის საშუალება. ასეთ შემთხვევებში ,,ჩანაწერი'' (უმეტესად ვიდეო ჩანაწერი) აძლევთ მათ საშუალებას დარწმუნდნენ, რომ მათი ჩვენება ფიქსირდება სწორად და შემდგომში სასამართლოზე ვერ ამტკიცებენ იმას, რომ თავიანთი ნაკლის გამო, ჩვენება არის არასწორად დაფიქსირებული.

კ. ,,ჩანაწერი'' შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდგომი გამოძიებისას, ტაქტიკური მიზნებისათვის. მოწმეებისა და ბრალდებულების ,,ჩანაწერის'' მოსმენა სხვა ბრალდებულების თუ დასაკითხი პირების მიერ ეფექტურია, ვიდრე მათ

წაუკითხო ჩვენების ოქმი, მითუმეტეს დღევანდელ პირობებში, როცა საპროცესო კოდექსიდან ამოღებულია დაპირისპირების მუხლი.

ლ. და ბოლოს ,,ჩანაწერის'' გაკეთება მიზანშეწონილია არა მარტო დაკითხვისას, არამედ სხვა საგამოძიებო მოქმედებისას, როგორიცაა ჩვენების ადგილზე შემოწმება და საგამოძიებო ექსპერიმენტი. ეს გვეხმარება შემდგომში დაკითხვის დროს, რათა დასაკითხს წარვუდგინოთ გარკვეული მტკიცებულებები, რომელიც მიღებულია ჩვენების ადგილზე შემოწმებისას და საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს. გარდა ამისა საგამოძიებო მოქმედებისას, როგორიცაა ჩვენების ადგილზე შემოწმება და საგამოძიებო ექსპერიმენტი, ოქმი დგება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მერე და ჩანაწერი გვაძლევს საშუალებას არ გამოგვრჩეს ოქმის გაფორმებისას გარკვეული ნიუანსები, რაც შემდგომში ხელს შეუშლის გამოძიებას რეალობის დადგენაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდაქსის 303-ე და 304-ე მუხლის შესაბამისად დაკითხვის დროს ხმის და გამოსახულების ჩაწერას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რაც გამოიხატება შემდეგში: კერძოდ, 303-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოსახულების ან/და ხმის ჩაწერის შესაბამისი ტექნიკური საშუალება. დაკითხვა ყოველთვის უნდა ჩაიწეროს ამგვარი ტექნიკური საშუალებით, თუ დასაკითხი პირი შუამდგომლობს დაკითხვის ჩაწერაზე და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფს ჩაწერას. ამ მუხლში ნახსენებია გამოსახულების ჩაწერის (ანუ ვიდეო გადაღების) გამოყენება დაკითხვის დროს. (ამ მუხლის შემდგომ პუნქტებში და არც 304-ე მუხლში გამოსახულების ჩაწერა აღარ არის ნახსენები, ნახსენებია მხოლოდ ხმის ჩაწერა. მიზანშეწონილი იქნებოდა თუ 304-ე მულში ხმის ჩაწერასთან ერთად ნახსენები იქნება გამოსახულების ჩაწერაც). საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ,,ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვისას შეიძლება ხმის ჩაწერა''. ამჟამად მოქმედმა საპროცესო კოდექსმა მიუთითა, რომ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან დამცველის ხმის ჩაწერა არ შეიძლება, თუ ისინი ამის წინააღმდეგი არიან, რაც იმით არის განპირობებული, რომ ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენება არის უფლება და არა ვალდებულება.

როგორც კი გამომძიებელი გადაწყვეტილებას იღებს ხმის ან გამოსახულების ჩაწერის შესახებ, იგი ამის თაობაზე დასაკითხს აცნობებს დაკითხვის დაწყებამდე, ამავე დროს ხმის ან გამოსახულების ჩანაწერი დაკითხვის დროს უნდა ასახავდეს დაკითხვის მთელ მიმდინარეობას. დაკითხვის ნაწილის ჩაწერა, აგრეთვე იმავე დაკითხვისას მიცემული ჩვენების გამეორება სპეციალურად ჩაწერისათვის დაუშვებელია.

დაკითხვის დამთავრებისთანავე ხმის ან გამოსახულების ჩანაწერი მთლიანად უნდა წარუდგინონ დასაკითხს და ჰკითხონ, სურს თუ არა რაიმე დაუმატოს ან დააზუსტოს და ადასტურებს თუ არა ჩანაწერის სისწორეს. ხმის ან გამოსახულების ჩაწერის შემდეგ დასაკითხის დამატებითი ჩვენებაც იმავე წესით იწერება.

ხმის ან გამოსახულების ჩაწერის გამოყენების შემთხვევაში გარკვეული თავისებურება ახასიათებს ასევე დაკითხვის ოქმის შედგენას. გარდა იმ მოთხოვნებისა, რასაც კანონი უყენებს საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენას (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლი), გათვალისწინებული უნდა იყოს ოქმის შედგენის თავისებურება:

1. ოქმის სრულყოფისათვის შეიძლება ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის გამოყენება;
2. ვიდეო ან აუდიო მასალების ჩანაწერი ინახება საქმეში;
3. დაკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს გამოყენებული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის შესახებ, მათი გამოყენების პირობები, წესი და ტექნიკური საშუალებების დახასიათება;
4. ოქმში უნდა მიეთითოს, რომ აუდიო და ვიდეო ჩაწერის შესახებ დაკითხვამდე წინასწარ შეატყობინეს დაკითხულ პირს, და დაკითხვაში მონაწილე სხვა პირებს;
5. ოქმში უნდა აღინიშნოს, რომ დაკითხულმა პირმა თავიდან ბოლომდე მოისმინა ან ნახა ჩანაწერი;
6. ოქმში უნდა მიეთითოს იმის შესახებ, თუ რა სახის განცხადება გააკეთა დაკითხულმა პირმა ჩანაწერის მოსმენის შემდეგ;
7. ოქმს დანართის სახით უნდა დაერთოს ჩანაწერის ორიგინალი.

აღსანიშნავია, რომ უნდა გაკეთდეს ჩანაწერის ასლი, შემდგომში საგამოძიებო მოქმედებებში მისი გამოყენებისათვის. ჩანაწერის ორიგინალი უნდა მოთავსდეს ქაღალდის ან სასურველია მუყაოს კოლოფში, დაილუქოს და მას გაუკეთდეს

წარწერა, თუ ვისი ჩვენებაა ჩაწერილი, რომელ საქმეზეა მიღებული ჩანაწერი, ვინ მოახდინა ჩვენების ჩაწერა და რა აპარატურის გამოყენებით.

ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში განუხრელად უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების პრინციპს, რომელიც იძლევა პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის გარანტიას, ხელს უწყობს საქმის ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიება-განხილვას. თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება იძლევა საშუალებას დაეხმაროს პროცესის მონაწილეებს, დარწმუნდნენ კანონის ზუსტ და განუხრელ დაცვაში საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების დროს. ასევე დარწმუნდნენ იმაში, რომ დაკითხვები და სხვა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებული იყო პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვით, რომ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს არ იყო გამოყენებული მუქარა, შანტაჟი, იძულება და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას გვაძლევს, აუდიო და ვიდეო აპარატურის გამოყენება გავხადოთ უფრო მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი დაკითხვების დროს. კერძოდ, დღესდღეობით აღარ წარმოადგენს სირთულეს და განსაკუთრებით სიძვირეს დაკითხვის წარმოების ფიქსირება ვიდეო აპარატურის გამოყენებით, ე.წ. ინფორმაციის შესანახი მატარებლების მოსახერხებლობის და სიიაფის გამო.

სასურველია დაკითხვის დაფიქსირება მოხდეს ისეთი ვიდეო კამერით, რომელიც ჩანაწერს აკეთებს ,,მინი CD-R''-ზე. ამგვარ ვიდეო კამერებს გააჩნიათ ვიზუალური აღქმის ფართე კუთხე, რაც საშუალებას გვაძლევს სურვილისამებრ კადრში მოვახვედროთ დაკითხვაში მონაწილე ყველა სუბიექტი, ასევე ამ კამერებს ვიდეო გამოსახულების ფიქსაციის პარალელურად გააჩნია აუდიო ინფორმაციის მიღების ფართო დიაპაზონი. დაკითხვისას ასეთი ტიპის ვიდეო კამერების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ აუდიოვიზუალური ჩანაწერი სრულად, ყოველგვარი ზედმეტი ტექნიკური ჩარევის გარეშე.

კანონის მოთხოვნის თანახმად დაკითხვის ჩანაწერი უნდა დაილუქოს და დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს დაკითხვის ოქმთან ერთად. ,,მინი CD-R'' გვაძლევს საშუალებას, მარტივად მისი კომპიუტერზე კოპირების შემდეგ, იქნეს დალუქული

და შენახული სასამართლო განხილვამდე ისე, რომ მასზე არსებული ინფორმაცია არ იქნეს დაზიანებული ან განადგურებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თითქმის შეუძლებელია ,,მინი CD-R'' –ზე არსებული ჩანაწერის შემდგომი ფალსიფიცირება.

ჩანაწერის შემდგომი მოსმენა ხდება სასამართლოში, დაკითხვის ოქმის წაკითხვის შემდეგ. (მოსმენის წესი რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 477, 481 მუხლებით)

§ 2.დაკითხვის არატრადიციული მეთოდები.

1. სიცრუის დეტექტორი (პოლიგრაფი) და მისი გამოყენება დაკითხვისას.

მეცნიერული თვალსაზრისით ტყუილი მიეკუთვნება მორალურ-ეთიკურ კატეგორიას და არც ერთ ხელსაწყოს არა აქვს უნარი აღმოაჩინოს იგი. სისხლის სამართლებრივი საქმეების განხილვაში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება ზოგჯერ ღებულობს მოულოდნელ ფორმებს. დანაშაულობასთან ბრძოლის სიახლის ასეთ ფორმას მიეკუთვნება დაკითხვის პროცესში, ე.წ. ,,სიცრუის დეტექტორის'' ანუ ,,პოლიგრაფის'' გამოყენება. ამ აპარატს ლიტერატურაში მოიხსენიებენ, კიდევ როგორც ,,ლაი-დეტექტორს'' (სიცრუეში გამომჭერი), ,,ვარიოგრაფს'', ,,პლეტიზმოგრაფი''

სიტყვა ,,პოლიგრაფი'' წარმოდგება ბერძნული სიტყვების ნაკრებს და თარგმანი ნიშნავს ,,მრავალრიცხოვან ჩანაწერს'' (polys - ნიშნავს მრავალს, მრავალრიცხოვანს, ფართოს და grpho – ჩაწერას).

,,პოლიგრაფი'' წარმოადგენს მრავალფუნქციურ ოსცილოგრაფს, რომელიც საზღვრავს და არეგისტრირებს 4-დან 16-მდე ადამიანში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესს, რაც დაკავშირებულია ემოციების წარმოქმნასთან: სუნთქვის სიხშირესთან, სისხლის წნევასთან, ხელისგულების სინოტივესთან, ბიოდენებთან (ტვინის, გულის, კუნთების) და ასე შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიგრაფის ოპერატორების ასოციაციის კვლევებმა აჩვენეს, რომ ,,პოლიგრაფის'' მიერ მიღებული ინფორმაციის 87-96% ეფექტურად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას.

უმეტესი ქვეყნების და მათ შორის ჩვენი კანონმდებლობით ,,პოლიგრაფის'' გამოყენება იკრძალება და მისი საშუალებით მიღებულ შედეგებს არა აქვს მტკიცებულობითი ძალა. მაგრამ თუ დასაკითხი თანახმა არის, მას შეუძლია გაიაროს შემოწმება ,,პოლიგრაფზე''.

დანაშაულში ეჭვმიტანილის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ამ მდგომარეობის ცვალებადობა და ემოციური მდგომარეობა, მხილებისას და დანაშაულთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიღებისას ძველთაგანვე იწვევდა მეცნიერების და იურისტების ინტერესს.

ძველი დროიდანვე შემჩნეული იყო, რომ დაკითხვისას ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, განიცდიდა მხილების, სიმართლის გამომჟღავნების შიშს, რის გამოც იცვლებოდა მისი ფიზიოლოგიური ფუნქციები. ასე მაგალითად ძველ ჩინეთში ეჭვმიტანილებს პირში ჩაგუბებული ჰქონდათ მშრალი ბრინჯი, მხილების პროცესში თუ ბრინჯი რჩებოდა მშრალი (შიშისაგან ადამიანს პირი უშრება), მტკიცდებოდა ეჭვმიტანილის დანაშაული. ძველ ინდოეთში ეჭვმიტანილს ეუბნებოდნენ დანაშაულთან დაკავშირებულ ნეიტრალურ და კრიტიკულ სიტყვებს, მას უნდა ეპასუხა თავში მოსული პირველივე სიტყვით და თან ნელა უნდა დაერტყა დოლისათვის. მიაჩნდათ, რომ თუ კრიტიკული სიტყვის დასახელებისას ეჭვმიტანილი მაგრად დაარტყამდა დოლს იგი იყო დამნაშავე. [142. გვ.264]

თუ გავაანალიზებთ ზემოთ მოყვანილ ძველ ჩინურ და ძველ ინდურ მეთოდებს, არ იქნება რთული დავასკვნათ, რომ დამნაშავის გამორკვევისათვის მმხილებლები იყენებდნენ ადამიანის ცალკეული ფიზიოლოგიური ცვლილებების კონტროლს. ამ შემთხვევებში, ნერწყვის გამოყოფასა და მოძრაობის აქტივობას.

ბოლო წლებში მსოფლიოში გავრცელება ჰპოვა სპეციალურმა აპარატმა- ,,პოლიგრაფმა'', რომლის მუშაობის პრინციპი ფორმირდებოდა და იხვეწებოდა ადამიანის ფიზიოლოგის შესწავლასთან ერთად. ათწლეულების განმავლობაში იგი გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკაში.

მაინც რაზეა დაფუძნებული ,,პოლიგრაფის'' მუშაობის პრინციპი? მთავარი ის არის, რომ ,,პოლიგრაფი'' აღმოაჩენს არა ტყუილს, არამედ საზღვრავს ადამიანის რეაქციას ექსპერიმენტატორის, მიერ დასმულ კითხვებზე. ადამიანის რეაქცია შეიძლება განვსაზღვროთ, ორგანიზმისათვის დამახასიათებელი მრავალი კრიტერიუმით,

როგორიცაა პულსის სიხშირე, არტერიული წნევისა და სუნთქვის ცვალებადობა (გრკვეული დროის განმავლობაში სუნთქვითი მოძრაობების სიხშირე და სიღრმე), ამასთან ერთად იზომება კანის ელექტრული წინაღობა. იურისტებისთვის, რომლებსაც არა აქვთ შეხება ფიზიკასთან, მედიცინასთან და ბიოლოგიასთან, შეიძლება გაუგებარი იყოს, თუ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე რა პროცესებთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე.

თუ ერთხელ მაინც აღელვებულა ან ანერვიულებულა ადამიანი, ემახსოვრება არასასიამოვნო შეგრძნებები: ხელისგულების ოფლიანობა, ასხამს ცივი ოფლი. როგორც ცნობილია, ადამიანის კანი დენს არ ატარებს, იგი იდეალური დიელექტრიკია, მაგრამ მის ზედაპირზე არის ყოველთვის ოფლის ნაწილაკები, რომელსაც გამოყოფს ორგანიზმი, როგორც დაწყნარებულ მდგომარეობაში ყოფნისას, ისე ფიზიკური, გონებრივი და ემოციური დაძაბულობისას (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სპეციალურად ნავარჯიშები ადამიანები და ფსიქიკურად დაავადებულები). სწორედ ეს განაპირობებს ადამიანის კანის წინაღობის შეცვლას.

ორგანიზმში მიმდინარე ასეთი სახის ცვალებადობებს, აფიქსირებს სპეციალური მიმღები მოწყობილობები, რომლებიც დღესდღეობით წარმოადგენენ მეცნიერების და გამოთვლითი ტექნიკის განვითარების მიღწევებს. მათ მონაცემების აღება შეუძლიათ როგორც ადამიანთან კონტაქტით, ისე უკონტაქტოდ. არსებული მონაცემები და მცირე ცვალებადობები რეგისტრირდება ,,პოლიგრაფზე'', რისი განხილვის შემდეგაც გამოგვაქვს შესაბამისი დასკვნები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უმეტესი ქვეყნების, და მათ შორის ჩვენი კანონმდებლობით ,,პოლიგრაფის'' გამოყენება იკრძალება და მისი საშუალებით მიღებულ შედეგებს არა აქვს მტკიცებულობითი ძალა. ზოგიერთ ქვეყანაში ,,პოლიგრაფის'' გამოყენება დაშვებულია მხოლოდ გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად. დასავლეთ ევროპას ამ მხრივ უკავია ნეიტრალური მდგომარეობა, ოფიციალური მონაცემებით, მსგავს შემოწმებებს პოლიციურ პრაქტიკაში ადგილი არა აქვს. საქართველოში ,,პოლიგრაფის'' გამოყენების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეჭვმიტანილის (მოწმის, დაზარალებულის) ტესტირებისათვის საჭიროა დადგენილი ფორმით მათი წერილობითი თანხმობა, მაგრამ რადგან მიღებული მონაცემები ატარებენ სავარაუდო ხასიათს, ისინი არ

შეიძლება ჩაითვალონ ადამიანის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის პირდაპირ მტკიცებულებად. ზოგიერთ შტატში არსებობს მდგომარეობა, რომლის თანახმადაც ,,პოლიგრაფის'' ჩვენება სასამართლო პროცესზე შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად, თუ ბრალდების და დაცვის მხარე წინასწარ მოილაპარაკებენ ამ საკითხზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ უდანაშაულო ადამიანი თავისუფლად თანხმდება და ხანდახან თვითონაც ითხოვს ,,პოლიგრაფზე'' გამოკვლევას, რაც გამოძიებისათვის მის დანაშაულებრივ ქმედებასთან კავშირის არქონის დამატებით მაჩვენებლად ითვლება.

2. ჰიპნოზის გამოყენება დაკითხვისას. ზოგიერთ ქვეყანაში, დანაშაულის გამოძიებისას დაკითხვის პროცესში, გარკვეულ წილად ეფექტურობით გამოირჩევა ფსიქოენერგეტიკული მეთოდები. ასეთი ერთ-ერთი მეთოდია ჰიპნოზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციებში მსოფლიოს 32 ქვეყანაში. ყოფილ საბჭოთა კავშირში, და დღესდღეობით საქართველოშიც, მსგავსი მეთოდი არ გამოიყენება, რადგან იგი ითვლება არატრადიციულ, ბოლომდე შეუსწავლელ მეთოდად. მეცნიერები მაინც ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები დაკითხვისას ადამიანზე ამ სახით ზემოქმედების უსაფრთხოებაზე, ამიტომ ითვლება, რომ ეჭვმიტანილების დაკითხვისას ჰიპნოზის გამოყენება არაჰუმანურია. იმ ქვეყნებშიც კი სადაც დაშვებულია დაკითხვის დროს ჰიპნოზის გამოყენება, მას იყენებენ მხოლოდ მოწმეების შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა, ცნობილია გახმაურებული საქმეები, სადაც დაკითხვისას გამოყენებული იქნა ჰიპნოზი, კერძოდ არასრულწლოვანთა გაუპატიურების საქმესთან დაკავშირებით. დაზარალებულებს სტრესის შედეგად არაფრის გახსენება არ შეეძლოთ, მაგრამ ჰიპნოზის ქვეშ დაკითხვისას მათ გაახსენდათ ისეთი მცირედი ნიშნებიც მოძალადეზე, როგორიცაა ლოყაზე ხალი, შრამი, და სხვადასხვა ჭრილობები და ასე შემდეგ. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ადამიანი აფიქსირებს ვიზუალურად თითქმის ყველეფერს, მაგრამ მეხსიერებას არ შეუძლია აღქმის შემდეგ ყველაფრის გახსენება. ჰიპნოზის ქვეშ კი შესაძლებელია, პრაქტიკულად ყველაფრის გახსენება, ისეთი მოვლენებისაც კი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20-30 წლის უკან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰიპნოზის ქვეშ დაკითხვა ნებადართულია მხოლოდ იუსტიციის მინისტრის და ფედერალური პროკურორის თანხმობის საფუძველზე.

აუცილებელია, რომ გამომძიებლის გარდა დაკითხვას ესწრებოდნენ დამკვირვებელი და ექიმი.

ექსტრასენსორიკის მექანიზმი ჯერჯერობით არ არის მეცნიერების მიერ საფუძვლიანად შესწავლილი, ამიტომ პრაქტიკაში მითი გამოყენება და მით უმეტეს საქართველოს შემთხვევაში არ არის კანონიერი და ჰუმანური.

3. ბიორითმოლოგიის გამოყენება დაკითხვისას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გარკვეულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ბრალდებული (ეჭვმიტანილი), მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ აღიარებს დანაშაულს და სცნობს თავს დამნაშავედ, მაგრამ ზოგჯერ იმყოფება ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, როცა მსგავსი მტკიცებულების წარდგენისას იგი არ რეაგირებს მასზე და სულერთია, თუ რა მამხილებელი მასალა წარუდგინეთ მას.

ბიორითმოლოგებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმში იმყოფება ასზე მეტი ბიოლოგიური რითმი, რომლებიც გამოხატავს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. ეს არის ყოველდღიური ძილისა და სიფხიზლის, სხეულის ტემპერატურის ცვალებადობის, გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის და სხვადასხვა ბიორითმები. არსებობს ბიორითმები, რომელთა გამოვლინების ციკლი შეადგენს თვეებს და წლებს. უმეტესობა მათგანი დამოკიდებულია მზის გამოსხივების რითმულ ცვალებადობაზე, მთვარის ფაზებზე და დედამიწის ელექტრომაგნიტური ველის ცვალებადობზე. სხვადასხვა ქვეყნებში მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გეომაგნიტური აქტივობისას იზრდება ავადმყოფთა რიცხვი ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებებში, იზრდება თვითმკვლელობები და სხვადასხვა დანაშაულობათა რიცხვი. შემჩნეულია დამოკიდებულება მთვარის ფაზებსა და განზრახ მკვლელობათა რიცხვს შორის.

გამომძიებელისათვის აუცილებელია არა მარტო დასაკითხვის ცალკეული ემოციების გამოვლინების შეფასება, არამედ მისი განწყობის ცოდნაც. ამაში მას დაეხმარებიან ბიორითმოლოგები, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ დაკითხვისათვის ხელსაყრელი პერიოდი.

ბიორითმოლოგების გამოკვლევებით დადგენილია, რომ იმ პირების ექსპერიმენტულ დაკითხვისას, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, 36 შემთხვევიდან 28

შემთხვევაში (78%) მიღებულ იქნა დაწვრილებითი ჩვენება ჩადენილი დანაშაულის გარშემო. 8 შემთხვევაში (22%) ბრალდებულებს პოზიცია არ შეუცვლიათ, მაგრამ წამოცდენიათ ფაქტები, რომლებიც ადასტურებდა დანაშაულის ჩადენაში მათ მონაწილეობას. შემდგომში დაკითხვის ვიდეო ჩანაწერები გამოყენებული იქნა დამნაშავეების მხილებაში.

ტაქტიკური თვალსაზრისით დასაკითხები არ იყვნენ ინფორმირებულები, რომ მათთან მუშაობის პერიოდი შერჩეული იყო სპეციალურად, ბიორითმოლოგების გამოთვლების შედეგად და ადვოკატების ყოფნას დაკითხვაზე ხელი არ შეუშლია გამოძიებისათვის მათგან დაწვრილებითი რეალური ჩვენების მიღებაში.

4. სუნისა და მუსიკალური ფონის გამოყენება დაკითხვისას. შესაბამისი სასიამოვნო მუსიკალური ფონის შექმნა და გამოყენება არის ერთ-ერთი დასაშვები ხერხი ისეთი ბრალდებულის დაკითხვისას, რომელიც იძლევა ცრუ ჩვენებას. ეს ხერხი ემყარება იმ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს, რომლის მიხედვითაც დამტკიცებულია, რომ მუსიკას შეუძლია იმოქმედოს ადამიანის ემოციურ სფეროზე.

ადამიანზე მუსიკის ზეგავლენა უმეტესად დამოკიდებულია კონკრეტულ ცხოვრებისეულ პირობებზე, რომელშიდაც ისინი იმყოფებიან. თითქმის ყველა ბრალდებულს აქვს ისეთი მუსიკალური ნაწარმოები, რომლის მოსმენაც მას სიამოვნებას ანიჭებს. მუსიკა აღაგზნებს, წარმოქმნის ადამიანში შესაბამისი აზრებისა და გრძნობების ასოციაციას, რომელიც იწვევს მისი ქცევის გარკვეულ ფორმირებას. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ბრალდებულის შინაგანი განწყობის ნეიტრალიზება, ცრუ ჩვენების მიცემაზე, შესაძლებელია (თუნდაც გარკვეული პერიოდით) მისთვის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოების ზემოქმედებით.

მუსიკის გამოყენება იძლევა ეფექტს მაშინ, როცა კარგად არის შესწავლილი ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) პიროვნული ნიშან-თვისებები, მისი ემოციონალური სფეროს თავისებურებები, ტემპერამენტი.

წინა პარაგრაფებში განვიხილეთ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყნოსვითი შეგრძნება თამაშობს დიდ როლს სმენასთან და მხედველობასთან ერთად. სუნს შეუძლია შექმნას ან გაახანგრძლივოს გარკვეული განწყობა, იმოქმედოს ადამიანის ქცევაზე, შრომისუნარიანობაზე, გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემაზე, შიდათავისქალის წნევაზე,

ტონუსზე, მხედველობაზე, სმენაზე, პულსზე. ბევრ ადამიანში სუნს შეუძლია გამოიწვიოს მოგონებები. ეს აიხსნება იმით, რომ ყნოსვის მექანიზმი დაკავშირებულია თავის ტვინის იმ ნაწილთან, რომელიც მართავს მეხსიერებას და ემოციებს.

ბრალდებულების დაკითხვის შესახებ ამჟამად არსებულ ლიტერატურაში თითქმის არ გვხვდება რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებს სქესის მიხედვით დასაკითხების ფსიქოლოგიური თავისებურებების გარჩევას, როცა ამავე დროს ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები მიუთითებენ ქალთა სქესის წარმომადგენლების მიერ სუნის აღქმის თავისებურებებზე და მის ქცევაზე გავლენის შესახებ.

1974-1990 წლებში, რუსეთში ირკუტსკის ოლქის პროკურატურაში ჩაატარეს ცდები იმ ქალებზე, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებები და რომლებიც არ აღიარებდნენ დანაშაულს. ჩატარებული ცდებიდან 40 შემთხვევა დადებითი შედეგით დამთავრდა.

პიროვნებების გარშემო განხორციელებული საგამოძიებო ოპერატიულ ღონისძიებების გატარების შედეგად, შეგროვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რომელიც ახასიათებდა დასაკითხ პიროვნებას, გამორკვეული იქნა მონაცემები თუ რომელი სუნამო უყვარს ბრალდებულს და რა ასოციაციებს აღუძრავდა მათ ესა თუ ის სუნამო.

ფსიქოლოგების რჩევით ბრალდებული ქალბატონების დაკითხვა წარმოებდა 17-დან 21 საათამდე. სანდო გარემოს შესაქმნელად კაბინეტში იმყოფებოდა ერთი გამომძიებელი. ბრალდებულის მოყვანამდე 10 წუთით ადრე გამომძიებელი კაბინეტს ანიავებდა კარგად, რომ არ ყოფილიყო რაიმე სხვა სუნი, ასხურებდა სათანადო სუნამოს შალის ნაჭერს და დებდა მაგიდის თაროზე. დაკითხვები გრძელდებოდა 2-დან 4 საათამდე, ამასთანავე ყველა ეპიზოდში არც ერთი დაკითხულთაგანი არ იყო ინფორმირებული და ვერც ხვდებოდა სუნის სპეციალური გამოყენების ფაქტს.

5. ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება დაკითხვისას. აშშ-ს საპოლიციო პრაქტიკაში ტარდებოდა ექსპერიმენტები დაკითხვის დროს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით. დასაკითხების ვენაში შეჰყავდათ მორფის, ქლოროფორმის, ქლორიანი სკოპოლომინის შრატები, რომლებიც

ასუსტებდა ტვინში გარკვეულ უჯრედებს და მოქმედებდა ადამიანზე როგორც ალკოჰოლი. იმის შემდეგ, როცა ადამიანი მივიდოდა ნახევრად უგონო მდგომარეობამდე ანუ პარალიზებული იყო ტვინის გარკვეული შემაჩერებელი უნარი, იწყებდნენ მის დაკითხვას. ამერიკელი მეცნიერი გ. მულბარი 1944 წელს აღნიშნავს იმ ფაქტებს, რომ სკოპოლომინის გამოყენებისას 50% შემთხვევაში ბრალდებულები ნახევრად უგონო მდგომარეობაში ლაპარაკობდნენ სიმართლეს.

დაკითხვის მსგავსი მეთოდები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1958 და 1960 წლებში ცნობილი იქნა, როგორც არასამართლიან ქმედებად, ადამიანის ღირსების შელახვად და ადამიანის უფლებების დარღვევად, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სამართალწარმოებასთან.

ზოგიერთ ქვეყანაში ღიად არ რეკლამირდება დაკითხვისას ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, ზოგჯერ დეკლარილებასაც უკეთებენ მისი გამოყენების არაჰუმანურობას. ამიტომ სასურველია, რომ საპროცესო კოდექსში ნათლად იყოს აღნიშნული მსგავსი ნივთიერებების გამოყენების დაუშვებლობა.

სირთულე მსგავსი დაკითხვებისას მდგომარეობს პრეპარატის ოპტიმალური მუშა დოზის შერჩევაში. დაუშვებელია დოზის გადამეტება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დასაკითხის სრული გათიშვა ან სულაც სიკვდილი და მცირე დოზა კი ვერ იწვევს სასურველი ,,ეფექტის'' მიღწევას.

ნარკოდაკითხვისას იყენებდნენ და დღესაც საზღვარგარეთ ზოგან იყენებენ შემდეგ დაუშვებელ მეთოდებს:

- სასმელში ბელადონის (,,Atropa belladonna''ლათ. ველური ბალი) ნაყენის გარევა, იმ მიზნით, რომ ნახევრად მიძინებულ მდგომარეობაში ადამიანს დააცდევინონ სიმართლე;
- ვენაში სკოპოლომინის მცირე დოზის (0,5-1 მლგრ, 0,05% ხსნარი) ნელ-ნელა შეყვანა. ამის შემდეგ სუბიექტი ვერ აკონტროლებს თავს, ხდება ზედმეტად გახსნილი ურთიერთობაში, გულღია და ყვება იმას, რასაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში არ მოყვებოდა;
- ნატრიუმის-ტიოპენტალის ანუ პენტოტალის ხსნარის (ნარკოზული საშუალება ბარბიტურატი) 2-8 მლგრ, 10%-იანი ხსნარის ნელ-ნელა ვენაში შეყვანით (1 მლგრ-1 წუთში). ამის შემდეგ 10-15 წუთში შუქი ნელ-ნელა ბინდდება, ნივთები

პატარავდება ზომებში, დამალული აზრები ამოტივტივდება ზედაპირზე, ქრება თავდაჭერილობა, სიფრთხილე, თუმცა ურთიერთობის სურვილი არ მჟღავნდება.

- ნატრიუმის ამიტალის ანუ ბარბამილის (Amylat Natrium. Amilat. Amobarbital. Estimalum. Isoamyl. Pentimal.) 2-8 მლგრ, 10%-იანი ხსნარის ნელ-ნელა ვენაში შეყვანით (3-5 წუთში), ნარკოტიკულ ძილში გადასვლის შემდეგ, ამფიტამინის ($C_9H_{13}N$) ანუ 2-ამინი-1-ფენილპროპანის პსიქოსტიმულატორის ძლიერი დოზით გაგრძელებით. მიძინებული ადამიანის ფორსირებული გაღვიძების შედეგად აძლევს მას ენერგიის მოზღვავებას, რაც იწვევს ლაპარაკის სურვილს; ხმები და გარშემო ყველა სახე ხდება ნათელი და რელიეფური, პულსი და სუნთქვა ხშირდება, მთელი აზრები ნათდება და სურვილი ჩნდება ყვირილის ყველაფრის გადმონთხევის.

დასკვნა

ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს მრავალწლიანი არსებობის მანძილზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენდა იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლის დახმარებითაც საბჭოთა სახელმწიფო მანქანამ შეძლო XX საუკუნის 30-40-იან წლებში მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების განხორციელება და 70-80-იან წლებში დისიდენტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა.

1960 წლის 30 დეკემბერს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში სისლისსამართალწარმოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მართალია მითითებული იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის აუცილებლობა, მაგრამ კანონის ეს მოთხოვნა აშკარად დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან იმ დროისათვის არსებული დაკითხვის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხები, რომლებიც შემუშავებულია ჯერ კიდევ საბჭოური მმართველობისასას – 30-40-იან წლებში, ხოლო გადამუშავებულია 1960-70 წლების პერიოდში, ვერ აკმაყოფილებდა ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნებს: გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1948 წელის დეკემბრის რეზოლუციას – ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია'' და, ასევე, ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციას'', მიღებულს რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს. ამ დეკლარაციებში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ადამიანის თავისუფლებების ხელშეუხებლობასა და დაკავებულთა, დაპატიმრებულთან მოპყრობის პირობებზე.

აღნიშნული, და შემდგომში მიღებული საერთაშორისო ხასიათის სამართლებრივი აქტები, ითვალისწინებდა დაკითხვის დროს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების განუხრელ დაცვას, რისი შესრულებაც შეუძლებელი იყო იმ დროისათვის არსებული დაკითხვის პრაქტიკის პირობებში. ხშირი იყო დაკითხვისას პიროვნებებზე ზეწოლის ფაქტები, რასაც გარკვეულ წილად ხელს უწყობდა სამართალდამცავ ორგანოებში არსებული დაუსჯელობის სინდრომი.

აღნიშნული მიზეზი უნდა ვეძებოთ საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებაში - სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესებული იყვნენ დანაშაულის გახსნის

პროცენტული მაჩვენებლების ზრდით. თავის თავად ეს იწვევდა დასაკითხი პირებისადმი არაადეკვატური მოპყრობის გამოვლინებას. კერძოდ, მოწმეების და დაზარალებული პირების დაკითხვას არასაკმარისი დრო ეთმობოდა, რაც გამოიხატებოდა მათი მონაყოლის მხოლოდ დაკითხვის ოქმში აღნუსხვით და არა, მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მომხდარი ფაქტების გარშემო მიცემული ჩვენების შესწავლას.

ამრიგად, საბჭოთა სინამდვილეში სისხლისსამართალწარმოება მიმართული იყო არა იმდენად საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურების მუშაკების მხრიდან გამოვლენილი თვითნებობისაგან პიროვნების დასაცავად, არამედ ნებისმიერი ხერხების გამოყენებით დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის იდეასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილება პიროვნების დაკითხვისას მათი უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა გამოიწვია პროფესიონალური კადრების დენადობა სამართალდამცავი ორგანოებიდან, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა საგამოძიებო მოქმედებების წარმოებაზეც. კერძოდ, გამოჩნდნენ ახალგაზრდა იურისტები, რომლებსაც არა აქვთ არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება ისეთი საგამოძიებო მოქმედების წარმოებაში, როგორიც არის დაკითხვა. გარდა არსებული ძველი საბჭოური ლიტერატურისა არ არსებობს შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც ახსნის და განმარტავს დაკითხვის წარმოების ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

პრინციპულად ახალი ტიპის საზოგადოებრივ მოწყობაზე გადასვლა, სისხლის სამართლისსამართალწარმოების ძირფესვიან ცვლილებასთან ერთად ითვალისწინებს გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების მოდერნიზაციას, რომელთა რიგს ეკუთვნის დაკითხვაც.

დაკითხვა კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რაზედაც განსხვავებული წარმოდგენები აქვთ პროფესიონალ გამომძიებლებს, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებსა და იურისტებს. ის ჩამოყალიბდა მავნე პრაქტიკის პირობებში და

ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს თანამედროვე გამომძიებლის პროფესიულ აზროვნებაზე.

სწორედ ამიტომ საქართველოში, პირველად, სისტემაში მოვიყვანეთ დაკითხვის ტაქტიკური და ფსიქოლოგიური ხერხები, რომელიც ადრე ცალ-ცალკე ჰქონდათ განხილული ფსიქოლოგებს თუ კრიმინალისტებს, შევიმუშავეთ პრაქტიკული რჩევები, რაც დღეისათვის აუცილებელია საგამოძიებო მოქმედების ეფექტურობის ამაღლებისათვის.

მოწმისაგან ინფორმაციის მიღება ან დანაშაულის ჩამდენისაგან აღიარება, დიდად არის დამოკიდებული დაკითხვის სწორად ორგანიზებასა და ჩატარებაზე. დაკითხვის არასწორად წარმართვამ შესაძლოა უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს დაკითხვაში მონაწილე ყველა მხარისათვის. ამ მხარეებს კი წარმოადგენენ: მოწმეები, დაზარალებულები, ეჭვმიტანილები, გამომძიებლები, პოლიციელები და სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებსაც დაკითხვასა და გამოკითხვაში მონაწილეობის პროცესუალური უფლება გააჩნიათ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ დაკითხვის წარმოების დიფერენცირებული მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ფსიქოლოგიისა და კრიმინალისტიკის მიღწევებს, აგრეთვე, არსებულ პოზიტიურ გამოცდილებას.

ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი გამოირჩევა თავისი აქტუალობით და წარმოადგენს საქართველოში პირველ ცდას, სისხლისსამართალწარმოებასა და კრიმინალისტიკაში, დაკითხვის თანამედროვე პრობლემების შესწავლისა და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვისას ჩვენების ფორმირების პროცესი, რომელიც ცალ-ცალკე განხილულია ფსიქოლოგების და კრიმინალისტების მიერ. დღევანდელი მოთხოვნილებების საფუძველზე, ასევე პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენ შევისწავლეთ ჩვენების ფორმირების საფეხურები - აღქმა, ფაქტებისა და გარემოებების დამახსოვრება და გადაცემა, რამაც მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დასაკითხი

პირებიდან მოწოდებული ინფორმაციის და ფაქტების ანალიზი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ დაკითხვის ბოლოს, არამედ უშუალოდ დაკითხვის პერიოდში.

ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სისტემაში მოგვეყვანა დაკითხვისას გამოყენებული ტაქტიკური ხერხები და შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რაც საშუალებას მიცემს დაკითხვის უფლებით აღჭურვილ პირებს უმოკლეს დროში, პრაქტიკულად გაერკვნენ ჩვენების ფორმირების საფეხურებში, რათა მოახერხონ ჩვენების ანალიზი უშუალოდ დაკითხვის პერიოდში.

ჩვენების ფორმირების სამი საფეხურიდან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ჩვენების გადმოცემის ვერბალურ და არავერბალურ საკითხებს, რაც ჩვენი აზრით, არის მთავარი კომპონენტი, რათა გაანალიზებულ იქნეს გადმოცემული ფაქტები უშუალოდ დაკითხვის პერიოდში, კომუნიკაციის მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების საკითხების გამოყენებით, ნაშრომში ჩამოვაყალიბეთ დასაკითხის მიერ ჩვენების მიცემისას ინფორმაციის გადაცემის დომინირებული ფორმების დადგენისათვის საჭირო მეთოდები. შევიმუშავეთ და სისტემაში მოვიყვანეთ ჩვენების მიღებისას თითოეული დომინირებული ფორმის შესაბამისი დაკითხვის ტაქტიკური ხერხი.

შესწავლილია მოწმისაგან ან დაზარალებულისაგან სრული და დაზუსტებული ინფორმაციის მიღებისათვის შემეცნებითი დაკითხვის ანუ ე.წ. ,,კოგნიტური ინტერვიუს'' გამოყენების საკითხები, რაც ითვალისწინებს მოვლენების კონტექსტში აღდგენის, სხვა და სხვა თანმიმდევრობით გახსენების, პერსპექტივაში დანახვის და სპეციფიკური გახსენების ტაქტიკური ხერხების გამოყენებას.

პრაქტიკაში ხშირად სათანადოდ არ არის განსაზღვრული დაზარალებულის როლი, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს გამოძიების ეფექტურობაზე, ამიტომ შევისწავლეთ ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიცაა კონფლიქტური და არაკონფლიქტური დაზარალებულების დაკითხვა. შევიმუშავეთ რეკომენდაციები ამ ტიპის დაზარალებულების დასადგენად, შესაბამისი დაკითხვის ტაქტიკური ხერხის გამოყენებისათვის. პრაქტიკულად შევისწავლეთ ,,ვიქტიმურობის ფენომენი'', როგორც ადამიანის გაზრდილი შესაძლებლობა, მისი სულიერი და ფიზიკური

ფაქტორებიდან, სოციალური როლის ან სტატუსიდან გამომდინარე, განსაზღვრული გარემოებების გამო აღმოჩდნენ დანაშაულის მსხვერპლად.

ეჭვმიტანილის დაკითხვისას, ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს რეალური აღიარების მიღება ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის უფლებების დარღვევას, მის დამცირებას და ღირსების შელახვას. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვესწავლა პრაქტიკაში გავრცელებული სხვადასხვა ტაქტიკური ხერხები, რომელიც გამოიყენება ცალკეული გამომძიებლების მიერ ინტუიციის და გამოცდილების საფუძველზე, რის საფუძველზეც ჩვენს მიერ, საქართველოში პირველად შემუშავებულია და პრაქტიკაშია დანერგილი ე.წ. RPM-ს (racionalizacion, projection, minimizacion) მეთოდი, რასაც ,,გამართლების'' მექანიზმი ვუწოდეთ. იგი წარმოადგენს ეჭვმიტანილების დაკითხვისას დანაშაულის რაციონალიზაციის, გადაბრალების და შემცირების საუკეთესო ტაქტიკურ ხერხს. აღნიშნულ ტაქტიკურ ხერხს ზოგიერთი გამოცდილი გამომძიებელი იყენებდა ქვეცნობიერად პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და მის ათვისებას ჭირდებოდა გარკვეული პერიოდის პრაქტიკა, რათა გარკვეულიყვნენ ,,გადაბრალების'' მექანიზმის დადებით და უარყოფით მხარეებში.

გაეროს ბავშვთა ფონდის ,,იუნისეფის'' მიერ, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვანთა 70-80%, აქედან 22% მუდმივად, განიცდიან სხვა და სხვა ფორმის ძალადობას, დაწყებული მსუბუქი ფორმიდან დასრულებული მძიმე ფორმებით. რაც თავისთავად არასრულწლოვნებში მეტყველების, ქცევის დარღვევის და ფსიქოზურ გამოვლინებებს იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალადობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები საკუთარი მიზნების მიღწევას და პრობლემების გადაჭრას ასევე ძალადობით ცდილობენ. დღეისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხი, სადაც უმეტეს წილად დასაკითხ პირებად გვევლინებიან არასრულწლოვნები, რომლებიც თავის დროზე თავად გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, ჩვენ შევისწავლეთ არასრულწლოვანთა დაკითხვის თავისებურებანი და შევიმუშავეთ არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის,

ბრალდებულის, მოწმის და დაზარალებულის დიფერენცირებული დაკითხვის მეთოდები, სხვა და სხვა სახის ძალადობის შემთხვევებში.

ამრიგად, ჩვენს მიერ შემუშავებული დაკითხვის ტაქტიკური ხერხები სრულად ავსებენ კრიმინალისტიკური ტაქტიკის და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის პრობლემებს, რაც საშუალებას იძლევა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობას. გარკვეულწილად, ჩვენს მიერ, ყოველივე ზემოაღნიშნული სიახლე წარმატებით იქნა გამოყენებული და დღესაც ხდება მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პრაქტიკაში.

P.S. ბოლო მიღწევების გამოყენება, დაეხმარება ოპერატიულ თანამშრომლებს, გამომძიებლებს და მოსამართლეებს მოწმესთან, დაზარალებულთან, ეჭვმიტანილთან და ბრალდებულთან, ტაქტიკურად სწორი და მოფიქრებული კონტაქტის დამყარებაში, რათა სრულად მიაღწიონ მიზანს დანაშაულის გამოძიებისას და ჭეშმარიტების დადგენისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 1995 წელი.
2. ,,ადამიანის განზომილების შესახებ ევროპის უსაფრთხოება და თანამშრომლობა ‘‘, კოპენჰაგენი 1990წლის 29 ივნისი.
3. ,,ადამიანის განზომილების შესახებ ევროპის უსაფრთხოება და თანამშრომლობა ‘‘, მოსკოვი 1991წლი.
4. ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია’‘, რომი 1950 წელი 4 ნოემბერი.
5. ,,ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების კრებული’‘, თბილისი 1998 წელი.
6. ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია’‘, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 1948 წელი, დეკემბერი.
7. ,,მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ’‘, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აქტი.
8. ,,პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის’‘ პარიზი 1990 წელი.
9. ,,საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ’‘ მიღებული 1966 წლის 16 დეკემბერი.
10. კონვენცია წამების, სხვა არაადამიანურ და ღირსების დამამცირებელი ქცევისა და დასჯის წინააღმდეგ, მიღებული 1984 წლის 10 დეკემბერს.
11. გაბისონია ი. დაპირისპირება, როგორც საგამოძიებო მოქმედება, გაუქმდა, რამდენად სწორია ეს ნაბიჯი?, ჟურნალი ,,მართმსაჯულება და კანონი’‘ №3 20006 წელი.
12. გოგიჩაიშვილი თ. იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი 1994 წელი.
13. გოგნიაშვილი ნ. ხაზარაშვილის ბ. ზოგიერთი მოსაზრება მოწმის ჩვენების ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით, ჟურნალი ,,სამართალი’‘ №8, 2003 წელი.
14. გოგშელიძე რ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის სრულყოფის საკითხებისათვის. ,,მართლმსაჯულება და კანონი’‘ №5, 2006 წელი.

15. გოგშელიძე რ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის სრულყოფის საკითხებისათვის. ,,მართლმსაჯულება და კანონი'' №2/3, 2007 წელი.
16. დაუთაშვილი პ. საქართველოს სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი), თბილისი 2008 წელი.
17. დაუთაშვილი პ. საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი 2008 წელი.
18. დაზარალებულთან მოპყრობა, (მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო), "ფონდი ღია საზოგადოება საქართველო" თბილისი 2005 წელი.
19. თრენკელი ე. ,,მოწმის ფსიქოლოგია" თბილისი 2003 წელი.
20. ინწკირველი ზ. ბრალდებულის ცრუ აღიარების მიზეზები და მათი გამოვლენის მექანიზმი ფსიქოლოგიური და პროცესუალური ხერხებით და საშუალებებით. ჟურნალი ,,სამართალი''№3, 2000 წელი.
21. ინწკირველი ზ. ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბილისი 1998 წელი.
22. ინწკირველი ზ. ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალური მნიშვნელობა, ჟურნალი ,,სამართალი''№3-4, 1998 წელი.
23. ინწკირველი ზ. ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალური მნიშვნელობა, ჟურნალი ,,სამართალი''№5-6, 1998 წელი.
24. ინწკირველი ზ. ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალურ-ეთიკური მხარე, ჟურნალი ,,სამართალი''№1-2, 1998 წელი.
25. კაპანაძე რ. ხმის ჩაწერის არსი და მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში, ჟურნალი ,,სამართალი''№3, 1999 წელი.
26. კომუნიკაციის უნარ ჩვევები, (მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო), "ფონდი ღია საზოგადოება საქართველო" თბილისი 2005 წელი.
27. კრიმინალისტიკა (სახელმძღვანელო II ტომი), თბილისი 1995 წელი.
28. მერაბიშვილი გ. ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია, თბილისი 1998 წელი.
29. ნათაძე რ. ,,ფსიქოლოგია'', თბილისი 1983 წელი.
30. სამსონიძე ც. ნანეიშვილი გ. ზურაბაშვილი დ. ბერია ზ. ხარებავა თ. ბაზღაძე თ. სასამართლო ფსიქიატრია, თბილისი 2006 წელი

31. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), თბილისი 2008 წელი.
32. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი 2002 წელი.
33. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბილისი 2008 წელი.
34. შინდელიშვილი გ. ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის მომზადება, ჟურნალი ,,სამართალი''№4, 2001 წელი.
35. შინდელიშვილი გ. ფსიქოლოგიური კონტაქტი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვისას, ჟურნალი ,,სამართალი''№5, 2001 წელი.
36. სისხლის სამართლის პროცესი, სახელმძღვანელო გამომცემლობა ,,მერიდიანი'' თბილისი 2002 წელი.
37. ტორვალდი ი. კრიმინალისტიკის ასი წელი, თბილისი 1978 წელი.
38. უზნაძე დ. ,,ფსიქოლოგია'', თბილისი 1998 წელი.
39. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, გამომცემლობა საქართველოს მაცნე 2006 წელი.
40. ფაფიაშვილი შ. მოწმის დაზარალებულის და განსასჯელის სასამართლოში დაკითხვა. ,,სასამართლო''№4 2002 წელი.
41. ფალიაშვილი ა. გამოძიების ორგანოების სრულყოფის საკითხები საქართველოს რესპუბლიკაში, კრებული ,,სამართლის რეფორმა საქართველოში'' თბილისი 1994 წელი.
42. ფალიაშვილი ა. მაგნიტოფონის გამოყენება საქართველოს გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მიერ, ჟურ. საბჭოთა სამართალი №2, 1974 წელი.
43. ფალიაშვილი ა. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, გამომცემლობა ,,მერიდიანი'' თბილისი 2004 წელი.
44. ფალიაშვილი ა. სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ, ჟურნალი ,,სამართალი''№4-5, თბილისი 2000 წელი.
45. ფალიაშვილი ა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის დებულებათა შესახებ, ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი''№4, თბილისი 2006 წელი.

46. ფალიაშვილი ა. ხმის ჩაწერის გამოყენების სადაო საკითხები სისხლის სამართალწარმოებაში, ,,სისხლის სამართლის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინოლოგიის აქტუალური საკითხები'' კრებული, თბილისი 1986 წელი.
47. ცინცაძე ზ. დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე, ჟ. ,,სამართალი'' №6-7, 2003 წელი.
48. ციხისელი თ. დეკანოზიშვილი გ. დაკითხვის ტაქტიკა და ფსიქოლოგიური თავისებურებები, თბილისი 2005 წელი.
49. ცნობილაძე პ. საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება, ჟურნალი ,,სამართალი'', 2004 წელი
50. Абшилова Г. В. Некоторые особенности производства допроса с участием переводчика // Российский следователь. -2004. - № 10.
51. Антонян ЮМ, Еникеев М.И., Эминов В.Е. Психология преступника и расследование преступлений. - М: Юристь, 2003.
52. Арабули Д. Т. Особенности вызова на допрос свидетеля в уголовном судопроизводстве // Вестник Оренбургского государственного университета. Часть 1, Уголовный процесс. - Оренбург: Оренбургский государственный университет, 2005. -№ 3.
53. Ароцкер Л.Е. Тактика и этика судебного допроса. – М., 1969
54. Баев О. Л. Основы криминалистики: Курс лекций. - М.: Изд-во Экзамен, 2006.
55. Баев О.Я. Тактика следственных действий: Учебное пособие. - 2-е изд.; доп. и испр.- Воронеж: НПО "МОДЭК", 2004.
56. Бандурин С. Г., Громов Н. А.,О проблемах свидетельского иммунитета // Следователь. -2004. - № 7 (75).
57. Бандурка А.М., Бочарова С.П., Землянская Е.В. Яридическая психологоия Издательство Национального университета внутренних дел Харьков 2002г. С.203.
58. Бастрыкин, А., Александрова, О. Особенности допроса иностранных граждан на предварительном следствии // Законность. -2004. - № 3.
59. Белкин Р. С. Собирание, исследование и оценка доказательств. – М., 1966. С. 253.
60. Белкин Р.С. Курс криминалистики. Изд. III томах. Том I. - М., 2005. С. 287 - 288.

61. Белкин Р.С. Криминалистическая энциклопедия. Изд. Мегатон-XX. Москва 2000 г. Стр. 214.
62. Белкин Р.С. Лившиц Е.М. Тактика следственных действий. - М.: "Новый Юрист", 2006.
63. Бочарова С.П. Память в процессах обучения и профессиональной деятельности. – Тернополь, 1997
64. Брусенцева В. А. Особенности допроса несовершеннолетних, потерпевших от ненасильственных половых преступлений // Воронежские криминалистические чтения. - Воронеж: Изд-во Воронежского государственного университета, 2006.
65. Вагин О.А., Шумилов А.Ю. Основные понятия, используемые в настоящем Кодексе // Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации (научно-практическое издание) / Под общ. ред. В.В. Мозякова. - М.: Книга-Сервис, 2006.
66. Васильев А. Н., Карнеева Л.М. Тактика допроса. М., 1988.
67. Васильев А. Н., Корнеева Л. Н. Тактика допроса при расследовании преступлений. – М., 1970. С. 720.
68. Волков В. Н. Психологические особенности проведения допроса в свете судебных реформ // Закон и право. -2005. - № 1.
69. Володина А.Н. Психологические методы получения информации при осуществлении допроса // Актуальные проблемы юриспруденции. Тюмень, 2004. Вып.4.
70. Воробьев Г. А. Тактика и психологические особенности судебных действий: Учеб. Пособие. - Краснодар: Изд-во Кубан. ун-та, 2004.
71. Григорьев Ф. Г. Право свидетеля являться на допрос с адвокатом // Право и государство. -2005. - № 10.
72. Григорьев Ф. Г. Проблема анонимных свидетелей // Уголовный процесс. -2006. - № 1.
73. Груничева Г. А., Гурова Е. А. Особенности допроса на первоначальном
1. этапе расследования дел об убийствах // Российский следователь. -2006. - № 7.

74. Гуковская Н.И. Допрос несовершеннолетнего в уголовном судопроизводстве М.: Юридическая литература, 1974.
75. Гусаков А. Н., Филющенко А. А. Следственная тактика в вопросах и ответах: Учеб. Пособие. Свердловск: Урал. гос. ун-т, 2003.
76. Гусаков А.Н. Следственные действия и тактические приемы. - М., 2006.
77. Дербенев А. П. О психологических приемах допроса на предварительном следствии //Правоведение. - 1981. - № 1.
78. Допрос свидетелей с использованием аудиовизуальных средств.// Борьба с преступностью за рубежом. -2004 - № 7.
79. Доспулов Г. Г. Психология допроса на предварительном следствии. М., 2000.
80. Доспулов Г.Г. Психология допроса на предварительном следствии. – М., 1976
81. Дулов А.В. Судебная психология. – М., 2006.
82. Еникеев М.И. Основы общей и юридической психологии. – М., 1996
83. Ефимов А.Н. Особенности допроса несовершеннолетних потерпевших// Дальневосточные криминалистические чтения.- Владивосток, 2003. Вып.2. С.53-54.
84. Ефимчев СП., Кулагин Н.И., Ямпольский А.Е. Допрос: учеб. пособие. - Волгоград, 2002.
85. Задорожный В.И. Проблемы совершенствования организационного и правового обеспечения виктимологической профилактики преступлений. - М., Российский следователь. №3, 2006. С.34-38
86. Задорожный В.И. Проблемы совершенствования организационного и правового обеспечения виктимологической профилактики преступлений. - М., Российский следователь. №3, 2006. С.34-38
87. Закатов А. А. Тактика допроса потерпевшего на предварительном следствии. - Волгоград: Изд-во ВСШ МВД СССР, 1976.
88. Зинченко П.И. Непроизвольное запоминание. – М., 1961
89. Золотарев Р. Г. Особенности производства допроса потерпевших и свидетелей по делам о заведомо ложном сообщении об акте терроризма // Закон и право. -2004. - № 5.

90. Золотых В.В. Проверка допустимости доказательств в уголовном процессе. Ростов-на-Дону.1999. С. 350.
91. Зорин Г. А. Многовариантные программы допросов: Технологии построения и применения - М.: Изд-во деловой и учебной литературы, 2005.
92. Зорин Г.А. Руководство по тактике допроса. – М., 2001
93. Игнатов С. Тактика допроса адвокатом-защитником свидетеля в суде по уголовному делу // Уголовное право. - 2004. - № 1.
94. Идашкин Ю.В. К вопросу о непроизвольном запоминании. //Вопросы психологии. – 1969. – №2. – С.27-35
95. Ищенко Е.П. История развития криминалистики // Криминалистика/ Под ред. И.Ф.Герасимова.- М.: Изд-во Высшая школа, 2000.
96. Казинян Г. С., Соловьев А. Б. Проблемы эффективности следственных действий / Ереванский гос. ун-т. Ереван, 1987
97. Каневский Л.Л. Организация и методика расследования дел о преступлениях несовершеннолетних. М., 1982.
98. Капустянский В. В. Допрос как средство достижения целей на стадии предварительного расследования уголовных дел // Российский следователь. -2006. - № 8.
99. Карнеева Л. М. Особенности предъявления обвинения и допроса обвиняемого в условиях деятельности органов внутренних дел. - М., 2003.
100. Карпец И.И. Проблема преступности. – М., 1969
101. Кобенко О. В. Тактические аспекты судебного допроса и особенности оценки показаний потерпевших и свидетелей террористического акта // Вестник криминалистики. Выпуск 2 (18). -М.: Спарк, 2006.
102. Комиссаров В.И. Теоретические проблемы следственной тактики. - Саратов., 2000
103. Комиссарова Я.В., Семенов В.В. Особенности невербальной коммуникации в ходе расследования преступлений. – М., 2004
104. Комлев Б.А.Нарушения закона, влекущие исключение показаний потерпевшего, свидетеля из процесса доказывания // Законность. - 1997. - №12.

105. Кондаков Н.И. Логический словарь - справочник. Изд. 2, испр. и доп. - М.: Изд-во Наука, 2000. С. 1176; Краткий словарь иностранных слов. - М., 2002.
106. Кони А.Ф. На жизненном пути. – М., 1913. – Т.1
107. Кони А.Ф. Память и внимание. //Из воспоминаний судебного деятеля. – М., 1922. – С.33
108. Коновалова В.Е. Допрос: Тактика и психология. – Харьков, 1999
109. Кореневский Ю. В. Этические начала в деятельности следователя.— Вин.: Проблемы судебной этики. - М., 1994.
110. Корнеева А.М. Применение звукозариси в следственной работе. Москва 1967.
111. Корнелюк О. В. Теория и практика применения некоторых положений УПК РФ // Следователь. -2004. - № 6 (74).
112. Криминалистика / Под ред. А.Г. Филиппова и А.Ф. Волынского. М.: Издательство «Спарк», 2005.
113. Криминалистика / Под ред. Е.П. Ищенко. М., 2006.
114. Криминалистика. Под ред. Е.П. Ищенко – М., /2000. С. 385.
115. Криминалистика: Учебн. для ВУЗОВ/ Под ред. И.Ф. Герасимова, Л.Л. Драпкина. – М., 2005.
116. Криминалистика: Учебник / Отв. ред. Н.П. Яблоков. М., 2006.
117. Криминалистика: Учебник / Под ред. Закатова А.А., Смагоринского Б.П. М.: ИМЦ ГУК МВД РФ, 2003.
118. Криминалистика: Учебное пособие / Под ред. Шурухнова Н.Г. – М.: Юрист, 2002
119. Кудрявцев В. Л. Процессуально-тактические основы участия адвоката - защитника в допросе потерпевшего и свидетеля в суде // Адвокатская практика. - 2006. - № 2.
120. Кудрявцев В.Н. Причинность в психологии.- М., 1968
121. Кудрявцев В.Н. Причинность в психологии.- М., 1968
122. Лебедев И.Б., Цветков В.А. Психология в правоохранительной деятельности. – М., 2003
123. Леви А. А. К вопросу об обязанностях и правах свидетеля в уголовном процессе // Правоведение. -2000. - № 1.

124. Леви А.А. Звукозарис в уголовном процесе. М.: Изд-во Юрид. Лит., 1974.
125. Лейкина Н.С. Причины конкретных преступлений и личность преступника в аспекте индивидуализации наказаниях/Преступность и ее предупреждение. Л., 1991. С. 127—140
126. Любичев С.Г. Этические основы следственной тактики. - М., 2000.
127. Макаренко А.С Собр. соч. М., 1957. Т. 4.
128. Материалы архива Октябрьского районного суда г. Саратова за 2002 г.
129. Матусевич И.А. Изучение личности обвиняемого в процессе предварительного расследования преступлений. – М., 1975
130. Митричев С.П. Теоретические основы советской криминалистики. - М., 2005.
131. Михайлов А.И., Соя-Серко Л.А., Соловьев А.Б. Научная организация труда следователя. – М.,1974. С. 127.
132. Моховиков А.Н. Судебная психиатрия. – Одесса, 1998
133. Мульбар Г. Расследование убийств. – Нью-Йорк: 1944. С. 420.
134. Национальная энциклопедия полиции. – Париж, 1998. С. 852.
135. Образцов В.А. Основы криминалистики. М., 2003
136. Образцов В.А., Богомолова С.Н. Допрос потерпевшего и свидетеля на предварительном следствии. – М., 2003
137. Ожегов С.И., Н.И. Шведова Толковый словарь русского языка. 4-е изд. – М.,1999.С. 250.
138. Осипова Е. В. Установление психологического контакта с участниками уголовного судопроизводства // Оптимизация уголовного судопроизводства. - Калининград, 2000.
139. Очередин В.П. Допустимость и недопустимость по уголовным делам доказательств. Волгоград.2003. С. 278.
140. Палиашвили А. Я. Звукозапись и видеозапис в суде (особенности и спорные вопросы), Сборник укрепление законности и правопорядка, Москва 1987
141. Питерцев С.К., А.А. Степанов. Тактика допроса на предварительном следствии и в суде.СПб.2001. С. 356.

142. Питерцев С.К., Степанов А.А. Тактика допроса на предварительном следствии и в суде. - СПб., 2005
143. Платонов К.К., Голубев Г.Г. Психология. – М., 1973
144. Плотников А. А. Использование полиграфа в раскрытии преступлений: лекция. – Хабаровск, 1996. С. 264.
145. Победкин А. В. О понятии показаний в уголовном процессе // Следователь. -2005. - № 12.
146. Порубов А.Н. Ложь и борьба с ней на предварительном следствии. – М., 2002.
147. Порубов Н. И. Тактика допроса на предварительном следствии: учеб. пособие. – М., 1998.
148. Порубов Н.И. Научные основы допроса на предварительном следствии. - Минск, 1991.
149. Порубов Н.И. Тактика допроса на предварительном следствии. – М., 1998
150. Психология. /Под ред. П.А.Рудика. – М., 1974
151. Ратинов А.Р. Судебная пси¬хология для следователей. - М.: Юрид. лит., 2001.
152. Рахунов Р.Д. Свидетельские показания в советском уголовном процессе. - М., 1989;
153. Рзаев Т. Ю. Современные проблемы теории и практики допроса: Автореф. дис….. канд. юр. наук. - М.,2002.
154. Ривман Д.В. Криминальная виктимология. - СПб.: Питер, 2002. - С. 84-85.
155. Романов В.В. Юридическая психология. – М., 1998
156. Романов В.В. Юридическая психология: Учебник. - М., 2001.
157. Рубинштейн С.Л. Основы общей психологии. – М., 1946
158. Руководство для следователей / Под ред. зам. Генерально¬го прокурора СССР Н.В. Жогина. - М.: Юрид. лит., 1971.
159. Салиенко В. И. Принципы правомерного воздействия на допрашиваемых: учеб. пособие. – Хабаровск, 2003. С. 76.
160. Саморока В. А. Тактика допроса и стратегия поведения // Российский следователь. -2005. - № 12.

161. Сафин Н.Ш. Допрос несовершеннолетнего в советском уголовном судопроизводстве: (Процессуальные и криминалистические проблемы).- Казань: Изд-во Казанского ун-та, 2003.
162. Сафин Н.Ш. Допрос несовершеннолетнего в уголовном судопроизводстве: (Процессуальные и криминалистические проблемы).- Казань: Изд-во Казанского ун-та, 2000.
163. Сафин Н.Ш. допрос несовершеннолетого подозреваемого и обвеняемогою Казань: Изд-во Казанского ун-та, 1990.
164. Селиванов Н.А. Советская криминалистика: система понятий. - М., 1982.
165. Скичко О. Ю. Нравственные основы допроса несовершеннолетних свидетелей и потерпевших // Российский следователь. -2005. - № 9.
166. Скичко О. Ю. Особенности фиксации хода и результатов допроса несовершеннолетних свидетелей и потерпевших // Следователь. -2004. - № 7 (75).
167. Скичко О. Ю.Периодизация психического развития несовершеннолетних и ее значение для тактики допроса свидетелей и потерпевших, не достигших 18 лет // Следователь. -2006. - № 3.
168. Скичко О. Ю.Тактико-психологические основы допроса несовершеннолетних свидетелей и потерпевших на предварительном следствии. -М.: Юрлитинформ, 2006.
169. Следственные действия. Криминалистические рекомендации. Под ред. В. А. Образцова. – М., 2000. С. 169.
170. Сокол В.Ю. Методологические и организационные аспекты тактико-криминалистического обеспечения раскрытия преступлений. – Краснодар, 2003.
171. Сорокин В.В. Некоторые вопросы психологии допроса несовершеннолетних подозреваемых и обвеняемых. // криминалистика и судебная экспертиза. Выпуск 19 . -Киев. 2079.
172. Строгович М.С. Курс советского уголовного процесса. – М., 1958
173. Суховеенко Ю. В. Психологические особенности свидетеля - основа выбора тактики следователя // Следователь. -2004. - № 11.

174. Тер-Акопов А.А. Ответственность за нарушение социальных правил поведения. - М.: Юридическая литература, 1995.
175. Уголовно-процессуальное право зарубежных стран: хрестоматия. – М., 1988. С. 360.
176. Ушаков О. М. Теоретические и практические проблемы тактики допроса лица, склонного к даче ложных показаний: Автореф. дис….. канд. юр. наук. - Владивосток, 2004.
177. Франк Л.В. Потерпевшие от преступления и проблемы советской виктимологии. - Душанбе, 1973.
178. Хижняк, Д. С. Проблемы внедрения когнитивного интервью в отечественную практику расследования /Д. С. Хижняк. //Следователь. -2004. - № 4 (72). - С. 25 - 26
179. Цветков П.И. Исследование личности обвиняемого. – Л., 1973
180. Центров Е. Е. Наводящий вопрос и пределы использования информации на допросе // Ученые-юристы МГУ о современном праве. - М.: Городец-издат, 2005.
181. Центров Е.Е. Криминалистическое учение о потерпевшем. - М, 2005.
182. Цомартов В.Н. Тактические приемы допроса и пределы их допустимости: канд. дисс. М., 1977.
183. Шавер Б,М. Методика расследования преступлений несовер¬шеннолетних. — Саратов, 1935.
184. Шибутани Т. Социальная психология.-М., 1969
185. Щерба С.П. Расследование и судебное разбирательство по делам лиц, страдающих физическими или психическими недостатками. М.: Юридическая литература, 1978.
186. Щербатых Ю. Искусство обмана. – М., 1998. С. 350.
187. Экман П. Психология лжи. - СПб., 2001.
188. Энциклопедия преступлений и катастроф. Наркотические средства и психотропные вещества. – М., 1998. С. 342.
189. Эрик Берн. Введение в психиатрию и психоанализ для непосвященных. Минск. 1998. С. 343.

190. Якимов И.Н. Криминалистика: Уголовная тактика. - М., 2003.
191. Якуб М.Л. Показания свидетелей и потерпевших. - М., 1981 и др.
192. Якубович Н.А. Общие проблемы криминалистической тактики // Советская криминалистика: Теоретические проблемы. - М.: Изд-во Юрид. Лит., 1978.
193. Allen J. Michael, LLB, LLM, BARISTER ,,Criminal Law'', Fifth Edition, - London: Bleckstone Press Limited, 1999.
194. Allen J. Michael, LLB, LLM, BARISTER ,,Criminal Law'', Sixth Edition, - London: : Bleckstone Press, 2001.
195. BBC English Dictionary. – Harper Collins Publisher, Ltd. London, 1992.
196. Crystal D. The Cambridge Encyclopedia of Language. – Cambridge, 1992.
197. English-Russian Law Dictionary/ Andrianov S.N., Berson A.S., Nikiforov A.S. – Russo Press: Moscow, 1998.
198. Ivanova L.I., Sheberstova T.B. The Peculiarities of the English Legal Term and Their Reflection in Translation //The Problems of Intercultural Communication (international conference materials). ISUCT Press: Ivanovo, 2000.
199. Superanskaya A.V., Podolskaya N.V., Vasilieva N.V. General Terminology: Theoretical questions. – Moscow, 1989.
200. The Language of Law /Pigolkin A.S. – Moscow, 1990.
201. «Combating computer crime. Prevention. Detection. Investigation». Chantico publishing company, inc. 1990.

დანართი

სურ. 1



სურ. 2

სურ. 3

სურ. 4



სურ. 5

სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ. 17



სურ. 18



დრო საათებში

სურ. 19

სურ. 20



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23



სურ. 24.1

სურ. 24.2



სურ. 25.1

სურ. 25.2



სურ. 26.1

სურ. 26.2



სურ. 27



სურ. 28



სურ. 29



სურ. 30.1



სურ. 30.2



სურ. 31



სურ. 32



სურ. 33

სურ. 34

სურ. 35

სურ. 36

სურ. 37

სურ. 38

სურ. 39

1: დალურჯებების მიდამოები



2: ძირითადი ორგანოების დიაგრამა



აბდომინალური დაზიანების სიმპტომები:	**დაზიანების სახეები:**
1. ღებინება ;	კედელზე, კარზე ან ავეჯზე მიხეთქებული არასრულწლოვანი;
2. გულისრევა, შოკი;	პირდაპირი დარტყმა ბავშვზე;
3. სისხლი შარდში, ტკივილი, შეშუპებები, სისუსტე;	არასრულწლოვანის ცემა;

3: თავის დაზიანებები

შერყევის და დაგდების შედეგად გამოვლენილი თავის დაზიანებები



თავის დაზიანების სიმპტომებია:

- არასრულწლოვანს არ შეუძლია თავის ზემოთ აწევა
- თავი გადატრიალებულია ერთ მხარეს
- თვალის გუგები გაფართოვებულია
- თვალის გუგები არ რეაგირებს შუქზე
- თვალებში შეინიშნება სისხლჩაქცევები
- ღებინება/გულის რევა
- დაქვეითებული ცნობიერება
- დამბლა
- სპაზმები
- არასრულწლოვანი ვერ სწევს თავს ვერც ერთი მიმართულებით